

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ვახტანგ გურული, დარეჯან ობოლაძე

შამილი და ქართველები

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“
თბილისი 2017

ნაშრომი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა და ეძღვნება XIX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, დალესტნისა და ჩეჩნეთის იმამის შამილი მუჰამედ ტაჰირ ალ კარაჰის ურთიერთობას საქართველოსა და ქართველებთან. განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი – ისტორიის დოქტორი ლევან ჯიქია

რეცენზენტი – ისტორიის დოქტორი გვანცა ბურდული

© ვახტანგ გურული, დარეჯან ობოლაძე, 2017

© გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“, 2017

ISBN 978-9941-9457-9-3

წინათქმა

რუსეთის იმპერიამ 1802-1810 წლებში ქართული სამეფო-სამთავროები ისე დაიპყრო, რომ ჩრდილო კავკასიაში ფეხი მყარად მოკიდებული არ ჰქონდა. უზარმაზარ სივრცეზე — შავი ზღვიდან (მდინარე ყუბანის შესართავიდან) კასპიის ზღვამდე (მდინარე თერგის შესართავამდე) — მოსახლე ჩრდილო კავკასიის ისლამის აღმსარებელი ავტოქტონი ხალხების დიდი ნაწილი რუსეთს ჯერ კიდევ არ დაეპყრო, ხოლო დაპყრობილ ხალხებში (ჩერქეზებში, ჩეჩნებში და სხვ.) მუდმივი აჯანყებები მიმდინარეობდა. ჩრდილო კავკასიის დაპყრობას ხელი შეუშალა ისეთმა მოვლენებმა, როგორც იყო: XIX საუკუნის დამდეგს ევროპაში ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმდინარე ომებში (1805-1807 წწ.) რუსეთის მონაწილეობა, რუსეთ-ირანის ომი (1804-1813 წწ.), რუსეთ-ოსმალეთის ომი (1806-1812 წწ.), 1812 წლის სამამულო ომი და რუსეთის არმიის ლაშქრობა ევროპაში (1813-1814 წწ.). XIX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოდან რუსეთი ჩრდილო კავკასიის დაპყრობას შეუდგა. ომები 1864 წლამდე გაგრძელდა და ისტორიაში კავკასიის დიდი ომების (1817-1864 წწ.) სახელით შევიდა. კავკასიაში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ახალი ეტაპისა და კავკასიის დიდი ომების დასაწყისი დაკავშირებულია გამოჩენილი რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწის გენერალ ალექსი ერმოლოვის (1777-1861) სახელთან. კავკასიის დიდმა ომებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე საქართველოში. საქართველო, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ამ ომში ჩათრეული აღმოჩნდა.

ჩვენ არ განვიხილავთ საკითხს, თუ რატომ ებრძოდნენ რუსეთის ჯარის ქართველი გენერლები, ოფიცრები და ჯარისკაცები, ქართული სახალხო ლაშქარი (მილიცია) ყაზი მოლას, ჰამზათ ბეისა და შამილს. არც იმის შესახებ ვაპირებთ მსჯელობას, თუ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის თანადროულად იმამ შამილის ლაშქარი რატომ არ წყვეტდა საქართველოს (კახეთის, ქარბელაქნის) დარბევას და ადამიანების გატაცებას. ჩრდილო კავკასიის ხალხები (ჩეჩნები, ინგუშები, ლეკები, ხუნძები და სხვ.) და ქართველები ერთმანეთთან ისტორიულმა ბედუკუღმართობამ

დაუპირისპირა, თუმცა ორივეს ერთი საშიში მტერი – რუსეთი ემუქრებოდა. ჩვენ გვინდა მკითხველს გავაცნოთ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ იმამ შამილისა და მისი წინამორბედების, ყაზი მოლასა და ჰამზათ ბეის, უთანასწორო ბრძოლის ისტორია, შამილის დამოკიდებულება საქართველოსთან და ქართველებთან.

თავი I. კავკასიის დიდი ომების დასაწყისი

1816 წლის აპრილის ბოლოს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრ I-მა თავისთან იხმო 1812 წლის სამამულო ომის გმირი, რუსეთის იმპერიაში ძალზე პოპულარული გენერალი ალექსეი ერმოლოვი და მას საქართველოს მთავარსარდლად და ირანში რუსეთის საგანგებო ელჩად დანიშვნა შესთავაზა. იმპერატორს ერმოლოვი არ უყვარდა, რაც ამ შეხვედრის დროსაც არ დაუმალავს და მასთან მისულ გენერალს პირდაპირ უთხრა: თქვენი დანიშვნა ალექსეი არაკჩეევმა (გამოჩენილი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე, იმჟამად იმპერატორის კანცელარიის უფროსი) და პიოტრ ვოლკონსკიმ (რუსეთის ჯარების მთავარი შტაბის უფროსი) მირჩიესო. 1816 წლის 29 ივნისს, ალექსანდრ I-მა გენერალ-ლეიტენანტი ალექსეი ერმოლოვი ცალკეული ქართული კორპუსის მთავარსარდლად (საქართველოს მთავარსარდლად), საქართველოს, ასტრახანისა და კავკასიის გუბერნიების სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველად და ირანში რუსეთის საგანგებო ელჩად დანიშნა. დანიშვნის დროისათვის გენერალი 39 წლის იყო. 1819-1820 წლებში ცალკეული ქართული კორპუსი კავკასიის ცალკეულ კორპუსად გარდაიქმნა და ალექსეი ერმოლოვი კავკასიის ცალკეული კორპუსის მთავარსარდლი (კავკასიის მთავარსარდლი) გახდა.

ალექსეი ერმოლოვს რამდენიმე ურთულესი საკითხი უნდა გადაეჭრა, მათ შორის, ჩრდილო კავკასიის დაპყრობა და იქ რუსული მმართველობის დამყარება. ჩრდილო კავკასიის ისლამის აღმსარებელ ხალხთა დამორჩილება თუ ვერ მოხერხდებოდა, საფრთხე შეექმნებოდა რუსეთის ბატონობას სამხრეთ კავკასიაშიც. გარდა ამისა, ირანსა და ოსმალეთს საშუალება მიეცემოდა, დახმარება აღმოეჩინა ჩრდილო კავკასიელი ხალხებისათვის და იქ რუსეთის დამარცხებით პირობები მოემზადებინა სამხრეთ კავკასიის დაბრუნებისათვის. ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა რომ ძალზე რთული და ხანგრძლივი პროცესი იქნებოდა, ეს რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად იცოდნენ, თუნდაც უახოესი ასწლეულის გამოცდილებით. რეგიონში გაბატონებას მთელი ძალებით აღუდგებოდნენ წინ ირანი და ოსმალეთი, არც დასავლეთ ევრო-

პის სახელმწიფოები დარჩებოდნენ გულგრილნი. თუ ირანის, ოს-მაღეთისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ჩარევა ჩრდილო კავკასიის საქმეებში მრავალ ფაქტორზე იქნებოდა დამოკიდებული, ერთი რამ იმთავითვე ცხადი იყო: ჩრდილო კავკასიის ავტოქტონი მოსახლეობა თავისუფლების დაკარგვას ადვილად არ შეეგუებოდა და ბრძოლას ბოლომდე გააგრძელებდა. სწორედ ეს სირთულეები გაითვალისწინა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრ I-მა, როცა უმაღლეს ხელისუფლებასთან მუდმივი კონფლიქტისათვის სამხედრო და პოლიტიკური ასპარეზიდან განდევნილი გენერალი ალექსეი ერმოლოვი კვლავ სახელმწიფო სამსახურში დააბრუნა და იმპერიის ურთულესი რეგიონი ჩააბარა.

1. ალექსეი ერმოლოვის ჩამოსვლა საქართველოში და მისი პირველი ღონისძიებანი. ალექსეი ერმოლოვი თბილისში 1816 წლის 10 ოქტომბერს ჩამოვიდა. 12 ოქტომბერს მან გამოსცა პირველი ბრძანება ცალკეული ქართული კორპუსისადმი. ასე დაიწყო „ერმოლოვის ეპოქა“ კავკასიაში. ჩრდილო კავკასიისა (კავკასიის ხაზზე) და სამხრეთ კავკასიაში (საქართველოში) განლაგებული რუსეთის ჯარებში ვითარების გაცნობის შემდეგ ალექსეი ერმოლოვმა დაასკვნა, რომ ჯარი მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა. საქართველოს მთავარსარდალ **პაველ ციციანოვის** (1802-1806) მიერ განხორციელებული სამხედრო მმართველობის რეფორმის შემდეგ ამ თვალსაზრისით საქართველოში მნიშვნელოვანი არაფერი გაკეთებულა. იგივე მდგომარეობა იყო ჩრდილო კავკასიაშიც. კავკასიის ხაზზე განლაგებული რუსეთის ჯარები სრულიად მოუმზადებელი იყო ომისათვის, ჩრდილო კავკასიის მუსლიმი ხალხების ერთობლივი თავდასხმის შემთხვევაში რუსები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. რუსეთის საიმპერატორო კარს, პირადად იმპერატორ ალექსანდრ I-ს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამხედრო სამინისტროსა და მთავარ შტაბს არ გააჩნდათ იმ სამხედრო-პოლიტიკური ღონისძიებების ერთიანი კონცეფცია, რომელიც ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში უნდა გატარებულიყო. ერთიანი კონცეფციის არარსებობის გამო არათანმიმდევრულად და დაბნეულად მოქმედებდნენ ციციანოვის შემდ-



ალექსეი ერმოლოვი (1816-1827)

გომი საქართველოს მთავარსარდლები: ივანე გუდოვიჩი (1806-1809), ალექსანდრე ტორმასოვი (1809-1811), ფილიპ პაულუჩი (1811-1812) და ნიკოლაი რტიშჩევი (1812-1816). ასე რომ, ერმოლოვს თბილისში ჩამოსვლის პირველივე დღიდანვე მოუხდა იმ პრობლემების გადასაჭრელად ზრუნვა, რომლებიც თანდათან გროვდებოდა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში. ამ ურთულესი ამოცანების გადაჭრას ერმოლოვი იმ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებზე დაყრდნობით ვერ შეძლებდა, რომლებიც მას 1816 წელს თბილისში დახვდნენ. პირველი დღეებიდანვე საქართველოს ახალი მთავარსარდალი ღირსეული თანამებრძოლების თავმოყრას შეუდგა. მან ქართული კორპუსის შტაბის უფროსად პოლკოვნიკი ალექსეი ალექსანდრეს ძე ველიამინოვი (ველიამინოვ II) დანიშნა. დანიშვნის დროისათვის იგი 28 წლისა იყო, მაგრამ უკვე ჰქონდა დიდი გამოცდილება, მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1806-1812 წლებისა და 1812 წლის სამამულო ომებში. დიდი საომარი გამოცდილების მქონე პროფესიონალი სამხედრო და ამავე დროს მკაცრი და დაუნდობელი ალექსეი ველიამინოვი სწორედ ის პიროვნება იყო, რომელსაც წესრიგი უნდა შეეტანა გადაგვარებულ და კორუფციაში ჩაფლულ საქართველოს რუსულ სამხედრო მმართველობაში. გარდა ამისა, ალექსეი ველიამინოვს საბრძოლო მზადყოფნაში უნდა მოეყვანა ჩრდილო კავკასიის ხაზზე განლაგებული რუსეთის ჯარები. ამ ჯარების საბრძოლო მზადყოფნა ძალზე დაბალი იყო, რისი ერთ-ერთი მიზეზიც კავკასიის ხაზის მთავარსარდლის გენერალ-მაიორ ივანე დელპოცოს სუსტი მმართველობა იყო. ალექსეი ერმოლოვს ივანე დელპოცოს გადაყენება სურდა, მაგრამ მისი შემცველი ვერ შეარჩია და დროებით თავი შეიკავა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კავკასიის ხაზზე განლაგებული ჯარების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა ველიამინოვს უნდა დაეწყო, რომელსაც მალე ერმოლოვის შუამდგომლობის საფუძველზე გენერალ-მაიორის სამხედრო ნოდება მიენიჭა.

2. რუსეთის ჯარების რაოდენობა კავკასიაში. 1816 წლის ოქტომბრისათვის, ალექსეი ერმოლოვის თბილისში ჩამოსვლის დროისათვის, ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში განლაგებული იყო რუსეთის



ივან კვლამიშვილი

ჯარების შემდეგი ნაწილები: გრენადერთა 2 პოლკი, კარაბინერთა 1 პოლკი, ქვეითთა 8 პოლკი, ეგერთა 4 პოლკი. ეს პოლკები გაყოფილი იყო ორ დივიზიად: მე-19 და მე-20 დივიზიებად და 1 სარეზერვო ბრიგადად. მე-19 დივიზია განლაგებული იყო ჩრდილო კავკასიაში – კავკასიის ხაზზე, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: სუზდალის ქვეითთა, ვოლოგდის ქვეითთა, ყაზანის ქვეითთა, ეგერთა მე-15, ეგერთა მე-16, ეგერთა მე-19 პოლკები. მე-20 დივიზია განლაგებული იყო სამხრეთ კავკასიაში, ძირითადად საქართველოში. დივიზიის შემადგენლობაში შედიოდა: ტროიცკის ქვეითთა, ყაზარდოს ქვეითთა, თბილისის ქვეითთა, ბელეცკის ქვეითთა, სევასტოპოლის ქვეითთა და ეგერთა მე-17 პოლკები. სარეზერვო ქვეით ბრიგადაში შედიოდა: ქართველ გრენადერთა, ხერსონის გრენადერთა, კარაბინერთა მე-7 პოლკები. ეგერთა მე-17 პოლკი ქართლში, სოფელ ქვეშში, იდგა, ხოლო კარაბინერთა მე-7 და ქართველ გრენადერთა პოლკები კახეთში იყო განლაგებული. ხერსონის გრენადერთა პოლკი გორში იდგა, ხოლო კარაბინერთა მე-7 პოლკი – ყარაბაღში (შუშაში). 1815 წელს შეიცვალა პოლკების დაკომპლექტების წესი. ახალი წესის თანახმად, ქვეითთა პოლკში 3 ბატალიონი უნდა ყოფილიყო. პოლკის საშტატო შემადგენლობა ასე განისაზღვრა: 240 უმცროსი ოფიცერი, 2.760 რიგითი, 131 არასამწყობრო მომზადების სამხედრო მოსამსახურე. ცალკეული ქართული კორპუსის კავალერია ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის, დონის კაზაკთა 15 პოლკის, ჩრდილო კავკასიელ კაზაკთა 1 პოლკისა და ასტრახანელ კაზაკთა რაზმისაგან შედგებოდა. ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც კახეთში იყო განლაგებული, 7 ესკადრონი იყო, თითოეულში შტატის მიხედვით 126 უმცროსი ოფიცერი, 1.260 რიგითი და 97 არასამწყობრო მომზადების სამხედრო მოსამსახურე ირიცხებოდა. დონის კაზაკთა 15 პოლკისაგან 9 სამხრეთ კავკასიაში, ხოლო 6 ჩრდილო კავკასიაში იყო განლაგებული. დონის კაზაკთა თითოეულ პოლკში 10 ურიადნიკი და 500 რიგითი ირიცხებოდა, ხოლო ჩრდილო კავკასიელ კაზაკთა პოლკში – 18 ურიადნიკი და 482 რიგითი. სამხრეთ კავკასიაში განლაგებულ ცალკეულ ქართულ კორპუსში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, შე-



ალექსეი ველიამინოვი

დიოდა 6 საარტილერიო ასეული, კაზაკთა 1 საარტილერიო საკავალერიო რაზმი, 3 საგარნიზონო პოლკი, და 6 საგარნიზონო ბატალიონი. სულ ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარები 45.000 ქვეითსა და 6.929 კავალერისტს ითვლიდა, რომელთაც შეიარაღებაზე ჰქონდათ სხვადასხვა ტიპის 131 ზარბაზანი. ამ ძალების ორი მესამედი სამხრეთ კავკასიაში იყო გადმოსროლილი.

ალექსეი ერმოლოვმა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში არსებულ რუსეთის ჯარების განლაგებაში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა: კარაბინერთა მე-7 პოლკი შუშიდან ქართლში გადმოიყვანა, ხოლო შუშაში ეგერთა მე-9 პოლკი გაგზავნა, რომელიც მანამდე შურაგელში იდგა. თბილისის ქვეითთა პოლკს დაუბრუნეს ბატალიონი, რომელიც საზღვარზე არსებულ საგუშაგოებზე იდგა და მთელი პოლკი ბამბაკსა და შურაგელში განალაგეს. ცალკეული ქართული კორპუსის შემადგენლობაში ითვლებოდა კასპიის საზღვაო ბატალიონი და 3 საგარნიზონო პოლკი. ეს პოლკები იყო: ასტრახანის, ვლადიკავკაზისა და გურიის. გურიის პოლკი შავი ზღვის სანაპიროზე წმინდა ნიკოლოზის (შეკვეთილის) სიმაგრეში იდგა. ყიზლარის, მოზდოკის, ბაქოს, დერბენტისა და ლენქორანის ბატალიონები (6.000 ოფიცერი და ჯარისკაცი) მუდმივად უნდა მდგარიყვნენ დისლოკაციის ადგილზე, რის გამოც ომის შემთხვევაში მათი გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა.

3. მდგომარეობა კავკასიის ხაზზე დიდი ომების დასაწყისისათვის. ალექსეი ერმოლოვის უმთავრეს მისიას ჩრდილო კავკასიის დაპყრობა წარმოადგენდა. დიპლომატიური მისია ირანში და რუსეთ-ირანის ურთიერთობის მოგვარება ჩრდილო კავკასიის დაპყრობისათვის მომზადების გეგმის ნაწილი იყო. ირანთან ურთიერთობის მოგვარებამდე რუსეთი ჩრდილო კავკასიაში ფართომასშტაბიან სამხედრო მოქმედებებს ვერ დაიწყებდა.

ალექსეი ერმოლოვმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგზე (ჩრდილო კავკასიის დასავლეთი ნაწილი), მდინარე ყუბანის გასწვრივ არსებული ციხე-სიმაგრეები და რედუტები საკმარისი არ იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუ-

სეთისადმი მტრულად განწყობილი ჩრდილო კავკასიის ხალხები ყუბანის მარჯვენა ნაპირზე განლაგებულ რუსულ სოფლებს დაესხმოდნენ თავს. ამ თვალსაზრისით მდგომარეობა ძალზე სავალალო იყო: უსტ-ლაბინსკის ციხე-სიმაგრე მთლიანად ხისაგან იყო ნაგები; კავკასიის ციხე-სიმაგრე ნანგრევებად იყო ქცეული; პროჩნი-ოკოპისა და წმინდა ნიკოლოზის სიმაგრეები ისე იყო აგებული, რომ მდინარე ყუბანის ადიდების დროს მთლიანად წყლით იფარებოდა. ორივე ციხე-სიმაგრეში უამრავი ჯარისკაცი იღუპებოდა ავადმყოფობით. ერმოლოვმა ამ სიმაგრეების დანგრევის ბრძანება გასცა; ტემნო-ლესსკაიას ციხე-სიმაგრე ისეთ ადგილზე იყო აგებული, რომ არანაირი სტრატეგიული დანიშნულება არ გააჩნდა და არც საბრძოლო მასალებისა და პროვიანტის მარაგი ჰქონდა, მომარაგება ფერხდებოდა გაუვალი გზების გამო. მდინარე ყუბანის ნაპირას განლაგებული ყველა ციხე-სიმაგრე ტრიალ მინდორზე იყო და მათი დაცვა უალრესად გაძნელებოდა. გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იყო კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგზე (ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილი). აქ ციხე-სიმაგრეები და რედუტები სტრატეგიულ ადგილებში იყო განლაგებული და მათი საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა დიდად არ გაჭირდებოდა. საქართველოს მთავარსარდლად ერმოლოვის დანიშვნამდე მდინარე სუნჯაზე (თერგის მარჯვენა შენაკადი) ააგეს რედუტი ნაზრანოვსკი, რომელიც მოზდოკიდან საქართველოში მომავალ გზას იცავდა. ერმოლოვი ამ გზის დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მან ბრძანება გასცა, რომ 1817 წლის ზაფხულში მდინარე სუნჯაზე აეგოთ კიდევ ერთი რედუტი – პრეგრადნი. 1817 წლის ოქტომბერში რედუტი უკვე მზად იყო, იგი სახელმწიფო ხაზინას 2.568 მანეთი დაუჯდა. მიუხედავად ამისა, ჩეჩნებმა გადაწყვიტეს თავდასხმა მოეწყოთ კავკასიის ხაზზე. პრეგრადნის რედუტის გარნიზონი ვლადიკავკაზის საგარნიზონო პოლკის 1 ასეულისა და კაზაკთა 1 ასეულისაგან შედგებოდა, შეიარაღებაზე ჰქონდა 2 ზარბაზანი. რედუტის ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ არ გააჩნდა სასმელი წყალი, რომელიც ჯარისკაცებს მდინარე სუნჯადან უნდა აეღოთ. წყლის მოსატანად ჯარისკაცებს 250-380 საყენი უნდა გაეელოთ. ერმოლოვმა 1817

წლის 22 ნოემბერს კავკასიის ხაზის მთავარსარდალ გენერალ-მაიორ ივან დელპოცოს უბრძანა სიმაგრის გარშემო ზარბაზნის ყუმბარის გასროლის მანძილზე მთლიანად გაეჩეხათ ტყე. ერმოლოვის მიერ გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა ჩეჩნები დაარწმუნა, რომ ახალი მთავარსარდალი სანახევრო ღონისძიებებით არ კმაყოფილდებოდა. ჩეჩნებმა სწორად აუღეს ალლო შექმნილ ვითარებას. 1817 წლის 30 ნოემბერს ერმოლოვმა იმპერატორს კიდევ ორი ციხე-სიმაგრის აშენების ნებართვა სთხოვა. საქართველოს მთავარსარდალი იმპერატორს მოახსენებდა, რომ ჩეჩნები სიმაგრეების მშენებლობას ადვილად არ შეეგუებოდნენ, მოსალოდნელი იყო ომი. ერმოლოვი იმპერატორს სწერდა, რომ ომის შემთხვევაში ჩრდილო კავკასიის ხაზზე განლაგებული ჯარები საკმარისი არ იქნებოდა. საქართველოს მთავარსარდალი ხელისუფალს აფრთხილებდა, რომ ჩრდილო კავკასიაში მცირე წარუმატებლობასაც კი დამლუპველი შედეგები ექნებოდა. ალექსანდრ I-მა გაითვალისწინა საქართველოს მთავარსარდალის თხოვნა და 1818 წლის 10 იანვარს ბრძანება გასცა, ყირიმიდან ერმოლოვის დაქვემდებარებაში ეგერთა მე-8 პოლკი გადაესროლათ.

4. ჩრდილო კავკასიის დაპყრობის დასაწყისი. მიუხედავად ალექსეი ერმოლოვის მიერ გატარებული ღონისძიებებისა, ჩეჩენთა თავდასხმები კავკასიის ხაზზე კვლავ გრძელდებოდა. ჩეჩნები იტაცებდნენ ქალებსა და ბავშვებს, ცხენებსა და საქონლის ჯოგებს. ისინი აღარ ჯერდებოდნენ კაზაკთა საგუშაგოებსა და რედუტებზე თავდასხმას და ვლადიკავკაზის ციხე-სიმაგრის შემოგარენშიც კი გამოჩნდნენ. ჩეჩნები რუსეთის ჯართან ბრძოლაში არ ებმებოდნენ და ჯარის გამოჩენისთანავე სასწრაფოდ უკან იხევდნენ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იქმნებოდა მდინარე თერგის ყინულით დაფარვის შემდეგ, ჩეჩნებს შეეძლოთ ხიდების გვერდის ავლით ნებისმიერ ადგილას გადაელახათ მდინარე. კავკასიის ხაზის მთავარსარდალი გენერალი დელპოცო იძულებული გახდა თერგზე მუდმივი საგუშაგოები საერთოდ მოეხსნა, საგუშაგოებს დღისით ღია ადგილზე აწყობდნენ, ხოლო ღამით – ტყით დაფარულ ფართობებზე. ჩეჩნები განსაკუთრებით ცდილობდნენ, კაზაკთა ცხ-

ენები გაეტაცებინათ, რათა მომავალი თავდასხმის დროს რუსებს მათი დევნის საშუალება აღარ ჰქონოდათ. დელპოცოს საშუალება არ ჰქონდა ყოველი თავდასხმის შემდეგ გატაცებული ცხენების ნაცვლად ახალი გამოეყო კაზაკებისათვის. ერმოლოვის ბრძანების თანახმად, ტყვედ აყვანილი რამდენიმე ჩეჩენი ჩამოახჩვეს. ამასთან ერთად, ჩეჩნების აულების მოსახლეობა გააფრთხილეს, რომ კავკასიის ხაზზე თავდასხმელთა შეფარების შემთხვევაში აულებს მიწასთან გაასწორებდნენ. კავკასიის ხაზის გასწვრივ განლაგებული რუსული სტანიცების მოსახლეობას დაევალა საყარაულო რაზმების შედგენა, რომელთაც ღამით სტანიცები ჩეჩნების თავდასხმებისაგან უნდა დაეცვათ. ერმოლოვმა შეიტყო, რომ სტანიცებში მცხოვრები კაზაკები გარკვეული ღირებულების სანაცვლოდ ზოგჯერ ჩეჩნებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ, ხოლო სტანიცების მამასახლისები და კაზაკთა პოლკების მეთაურები დანაშაულის აღსაკვეთად არანაირ ღონისძიებას არ ატარებდნენ. ამ მოვლენის აღმოფხვრის მიზნით ერმოლოვმა 1818 წლის 25 ივნისს გამოსცა საგანგებო ბრძანება, რომლის თანახმად, თუ ჩეჩნები სტანიცებს გაძარცვავდნენ, ხოლო კაზაკები მძარცველებს გაურიგდებოდნენ და წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ, ნაძარცვის ღირებულების დადგენის შემდეგ მოსახლეობას ზარალი აუნაზღაურდებოდა სტანიცის მამასახლისის ქონების გაყიდვის ხარჯზე. ერმოლოვმა დაადგინა, რომ კავკასიის ხაზზე შექმნილი მძიმე მდგომარეობა გამონვეული იყო იმითაც, რომ კაზაკთა პოლკებსა და სტანიცებში სამხედრო სამსახურის შესრულების პროცესში სისტემატურად ირღვეოდა დისციპლინა, არ ემორჩილებოდნენ მეთაურს, სამხედრო სამსახურს ტოვებდნენ და სხვ. 1818 წლის 25 ივლისს ერმოლოვი გენერალ ოსიპ დებუს მკაცრი ტონით სწერდა, რომ უნესრიგობისადმი მისი გულგრილი დამოკიდებულება განაპირობებდა მისდამი დაქვემდებარებულ სამხედროთა ყოველად უღირს საქციელს.

პეტერბურგში ვერ აეხსნათ კავკასიის ხაზზე შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა. 1818 წლის 4 მაისს რუსეთის ჯარების მთავარი შტაბის უფროსი, ინფანტერიის გენერალი პიოტრ ვოლკონსკი ალე-

ქსეი ერმოლოვს სწერდა, რომ ეცნობებინა, თუ რით იყო განპირობებული კავკასიის ხაზზე მთიელთა გამუდმებული თავდასხმები. 1818 წლის 22 ივნისს ერმოლოვი ვოლკონსკის სწერდა: ჩეჩენთა და სხვა მთიელთა თავდასხმები კავკასიის ხაზზე განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ძარცვის სურვილით, სხვა მიზეზები არ არსებობსო. ერმოლოვი აღნიშნავდა, რომ მის დანიშვნამდეც კავკასიის ხაზზე თავდასხმები რეგულარული იყო, მაგრამ პეტერბურგს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში აცნობებდნენ. გენერალი მოხსენებაში წერდა, რომ მისი დანიშვნის შემდეგ თავდასხმების რიცხვი არ გაზრდილა, უბრალოდ, პეტერბურგში, წინა წლებისაგან განსხვავებით, ყოველი თავდასხმის შესახებ იგზავნებოდა ცნობა, რაც ქმნიდა იმის შთაბეჭდილებას, რომ თითქოს კავკასიის ხაზზე მთიელთა რაოდენობა გაიზარდა.

ალექსეი ერმოლოვი დარწმუნდა იმაში, რომ მთიელთა თავდასხმები კავკასიის ხაზზე კვლავაც გაგრძელდებოდა, თავდასხმების აღკვეთას კარგად დაგეგმილი ღონისძიებები და, რაც მთავარია, დრო სჭირდებოდა. ერმოლოვი წერდა: მთა უზარმაზარი ციხე-სიმაგრეა, მისი შტურმით ალება დიდ მსხვერპლსა და დროს მოითხოვსო. მთიელების წინააღმდეგ პირველი დიდი ოპერაცია ერმოლოვმა 1818 წლის გაზაფხულისათვის დაგეგმა. კავკასიის ხაზზე არსებულ ციხე-სიმაგრეებსა და რედუტებში ჯარის საკმაო რაოდენობის განლაგების შემდეგ, 1818 წლის მაისში, ერმოლოვი თერგის მარცხენა ნაპირს მიაღგა. საქართველოს მთავარსარდლის დაქვემდებარებაში იყო: ეგერთა მე-8 პოლკის 2 ბატალიონი, ეგერთა მე-16 პოლკის 2 ბატალიონი, ტროიციკის ქვეითთა პოლკის 1 ბატალიონი, ყაბარდოს ქვეითთა პოლკის 1 ბატალიონი, ჩრდილო კავკასიელ კაზაკთა რაზმი, 18 მძიმე და მსუბუქი ზარბაზანი. სულ ყველა ბატალიონში ირიცხებოდა: შტაბის ოფიცერი და უფროსი ოფიცერი – 106, უმცროსი ოფიცერი – 434, რიგითი – 4.933, არასამწყობრო მომზადების – 167. არტილერიას ემსახურებოდა: შტაბის ოფიცერი და უფროსი ოფიცერი – 10, რიგითი – 223, არასამწყობრო მომზადების – 49. გარდა აღნიშნულისა, საბრძოლო მზადყოფნაში იყო: არარეგულარული ჯარის უფროსი ოფიცერი – 13, ურიადნიკი –

32, რიგითი - 440. სულ ერმოლოვის დაქვემდებარებაში იყო დაახლოებით 5.596 მებრძოლი.

თერგის მარჯვენა ნაპირზე გადასვლა დანიშნული იყო 1818 წლის 25 მაისს. ჩეჩნებს მდინარის გადალახვისას წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, რუსეთის ჯარი მდინარე სუნჯას (თერგის მარჯვენა შენაკადი) ნაპირისაკენ დაიძრა. 1818 წლის 10 ივნისს ალექსეი ერმოლოვმა ჩეჩნეთში, მდინარე სუნჯაზე, საფუძველი ჩაუყარა რუსულ ციხე-სიმაგრე გროზნაიას. ციხე-სიმაგრის გარშემო მდებარე ჩეჩნთა აულებმა წინააღმდეგობის განევა ვერ გაბედეს, მათ მხოლოდ თავიანთი აულებისაკენ მიმავალ გზებზე საყარაულო რაზმები განალაგეს. გროზნაიას მშენებლობა 1818 წლის ოქტომბერში დასრულდა. მდინარე სუნჯაზე რუსული ციხე-სიმაგრის დაარსებამ, რასაც კავკასიის ხაზის თერგიდან სუნჯაზე გადატანა მოჰყვა, ჩეჩნები მძიმე მდგომარეობაში ჩაყარა, მათ სახნავ-სათესი მიწებისა და სათიბების დიდი ნაწილი დაკარგეს. მალე, ერმოლოვის ბრძანების თანახმად, ბარში მცხოვრები ჩეჩნები აიძულეს მამა-პაპათა საცხოვრებელი ადგილები მიეტოვებინათ და მთაში არსებულ აულებს შეხიზვნოდნენ. აშაკარა იყო, რომ ჩეჩნებს ოჯახების პურით გამოკვება და საქონლის ჯოგის შენახვა ძალზე გაუჭირდებოდათ. საარსებო საშუალება მათ ძარცვით უნდა მოეპოვებინათ, თუმცა მდინარე სუნჯაზე ციხე-სიმაგრე გროზნაიას აგების შემდეგ ძარცვა დიდად გაჭირდა. ჩეჩნებს, რუსების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების გარდა, სხვა გზა აღარ დარჩათ. რუსებმა ციხე-სიმაგრე გროზნაიას გარშემო ტყის გაჩეხა დაიწყეს, რამაც არა მარტო ჩეჩნეთში, არამედ დაღესტანშიც დიდი მღელვარება გამოიწვია. მთიელებმა იგრძნეს, რომ რუსები მათი მიწების დაპყრობას არა მარტო თოფითა და ზარბაზნით, არამედ ნაჯახითაც აპირებდნენ. ჩეჩნეთში მღელვარება სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. იმპერატორი ალექსანდრე I მხარს უჭერდა ერმოლოვის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, მაგრამ, ამასთან ერთად, 1818 წლის 30 სექტემბერს რუსეთის ჯარების მთავარი შტაბის უფროსის, პიოტრ ვოკონსკის, მეშვეობით, ერმოლოვს მოუწოდებდა ჩეჩნებთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინა. ჩეჩნების აულების ნაწილმა

რუსებს მძევლები მისცა, რაც ერთხანს მშვიდობის შენარჩუნების იმედს იძლეოდა. ჩეჩნების მეორე ნაწილი მძევლების მიცემაზე უარს ამბობდა და ბრძოლისათვის ემზადებოდა. ბრძოლისათვის ემზადებოდნენ დალესტნელებიც. გენერალ-მაიორმა ანდრეი პესტელმა გადაწყვიტა დალესტნელებისათვის დაესწრო და 1818 წლის ოქტომბერში აული ბაშლი დაიკავა. გენერალი პესტელი, ისევე როგორც ბევრი სხვა რუსი გენერალი და ოფიცერი, აბუჩად იგდებდა მთიელებს, ანგარიშს არ უწევდა მათ ადათ-ნესებს. რუსეთის ჯარის მიერ ბაშლის დაკავება დიდი შეცდომა იყო. აულში შესული რუსების მცირე რაზმი ბაშლისა და სხვა აულებიდან მოსულმა მთიელებმა ალყაში მოაქციეს, ხოლო გარშემო მთიელთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, გამოჩნდნენ ცხენოსანთა რაზმებიც. გენერალ პესტელს უკვე ჰყავდა მძევლები აულ ბაშლიდან. გენერალმა მათი განთავისუფლების მაგივრად სხვა აულების მამასახლისებსაც მძევლები მოსთხოვა. და ეს მაშინ, როდესაც 2.000 რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი 20.000 მთიელის ალყაში იყო. მთიელებს სათავეში ედგნენ: ავარიის ხანი, მისი ძმა ჰასან ხანი და შიხ ალი ხანი. სულ რამდენიმე დღეში აჯანყება მთელ დალესტანს მოედო. მხოლოდ ტარკის შამხალი მეჰდი დარჩა რუსების ერთგული. 1818 წლის 23 ოქტომბერს დალესტნელებმა გენერალ პესტელის რაზმს შეუტყეს. გენერალი ერთ-ერთ კოშკში ჩაიკეტა და მხოლოდ რუსი არტილერიისტების მიერ დროულად გახსნილმა ცეცხლმა იხსნა იგი გარდაუვალი სიკვდილისაგან. რუსების რაზმი დაიქსაქსა და აულ ბაშლის სხვადასხვა უბანში განლაგდა. თავდაცვით ბრძოლას ფაქტობრივად პოდპოლკოვნიკი მიშჩენკო და მაიორი იზნოსკოვი ხელმძღვანელობდნენ. 24-25 ოქტომბერს აულ ბაშლიში განლაგებულ რუსებზე მთიელთა თავდასხმები გრძელდებოდა. მშვიერი ჯარისკაცები ძლივს ახერხებდნენ მათ მოგერიებას. 3.000 მთიელი მძიმე მდგომარეობაში აგდებდა აულის კოშკებში განლაგებულ რუსებს. არტილერიის გამოყენებით რუსებმა შეძლეს რამდენიმე შეტევის მოგერიება. სამი დღის განმავლობაში მშვიერ ჯარისკაცებს თვალი არ მოუხუჭავთ. გენერალმა პესტელმა ბაშლის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. რუსებმა აული გადანვეს და

თან ნაიყვანეს დალესტნელთა სხვადასხვა სოფლის 29 მძევალი.

გენერალ ანდრეი პესტელის მარცხმა დალესტნელებისა და ჩეჩნების საბრძოლო სულიკვეთების ამაღლება გამოიწვია. ალექსეი ერმოლოვი იძულებული გახდა პესტელის მეთაურობით დამსჯელი ექსპედიცია გაეგზავნა დალესტანში და თვითონაც საბრძოლო მოქმედების რაიონში ჩასულიყო. გენერალ პესტელის სამხედრო-საექსპედიციო რაზმი (1.800 ოფიცერი და ჯარისკაცი) დერბენტიდან 1818 წლის 14 ნოემბერს გავიდა. რუსებმა ბრძოლებით გაიარეს რამდენიმე აული, აჯანყებულები გაფანტეს, ხოლო აულები გადაწვეს. 1818 წლის შემოდგომასა და ზამთარში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შედეგად ერმოლოვმა რუსეთის იმპერიას შეუერთა დალესტნის ის აულები, რომლებიც რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდნენ, ხოლო ის აულები, რომელთაც აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღიათ, კვლავ თავისუფალ აულებად დარჩნენ.

რუსებს მიმხრობილი ტარკის შამხალი მეჰთი ავარიის ხანის თავდასხმას ელოდა და რუსებს სთხოვდა დახმარებას. 1818 წლის 20 ნოემბერს ერმოლოვი ტარკაში შევიდა. დალესტნის მმართველების დიდი ნაწილი საქართველოს მთავარსარდალს ეახლა და მორჩილება აღუთქვა. ერმოლოვი დარწმუნებული იყო, რომ მთიელები მიცემულ პირობას არ შეასრულებდნენ, მაგრამ მოახლოებული ზამთრის გამო დალესტანში საბრძოლო მოქმედებების გაგრძელება შეუძლებელი იყო. 1818 წლის ნოემბრის ბოლოს ერმოლოვმა ტარკის საშამხლოს ტერიტორია დატოვა და 1 დეკემბერს სტაროგლადკოვსკის სტანიცასთან მდინარე თერგი გადმოლახა და თბილისში დაბრუნდა.

1819 წლის გაზაფხულიდან უკვე კავკასიის ცალკე კორპუსის მთავარსარდალმა (კავკასიის მთავარსარდალმა) ალექსეი ერმოლოვმა ჩრდილო კავკასიის დაპყრობის მიზნით ახალი საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, რომელიც წლის ბოლომდე გრძელდებოდა. სახედრო ექსპედიციის დროს ერმოლოვმა ჩეჩნეთში, მდინარე აკტაშის ნაპირას, დააარსა რუსული ციხე-სიმაგრე ვნეზაპანაია. მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, დალესტანში რუსული მმართველობის შემოღება შეუძლებელი გახდა. ერმოლოვი ყურ-

ადლებით ეკიდებოდა რუსეთ-ირანის საზღვრის გამაგრების საქმეს. მან სამუდამოდ გააუქმა შაქის სახანო, სახანოს ტერიტორია შაქის ოლქში შევიდა. სომხეთის სოფელ გიუმრში, რომელიც რუსეთის, ირანისა და ოსმალეთის საზღვრების შესაყარზე მდებარეობდა, რუსებმა ციხე-სიმაგრის მშენებლობა დაიწყეს. იმავდროულად მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე რუდეტ-კალეს გამაგრების მიზნით, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა

ოსმალეთთან ომის შემთხვევაში აუცილებელი იყო კავკასიის ხაზთან მუდმივი კავშირის შენარჩუნება. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მცხეთასთან მდებარე ღართისკარის საგუშაგოს გამაგრებას. ღართისკარზე გადიოდა თბილისიდან დუშეთისაკენ მიმავალი გზა.

5. ქართული კორპუსის რეორგანიზაცია. ალექსეი ერმოლოვის მიერ ახალი ციხე-სიმაგრეების დაარსება აუცილებელს ხდიდა ჩამოყალიბებულიყო დამატებითი საგარნიზონო ბატალიონები დაახლოებით 14.000 ოფიცრისა და ჯარისკაცის შემადგენლობით. ერმოლოვის გეგმის თანახმად, გარნიზონებში ოფიცრებისა და ჯარისკაცების რაოდენობა ასეთი უნდა ყოფილიყო: რედუტ-კალეში (ყულევში) – 3.000, გიუმრში – 3.000, ყარაბაღში – 2.400, ბაქოში – 1.000, ღერბენტში – 1.600, ძველ შემახაში – 2.000, ღართისკარში – 1.000. იმპერატორი ალექსანდრ I 1819 წლის 19 აპრილის ბრძანებში აღნიშნავდა, რომ ქართული კორპუსის ამდაგვარად გაზრდა დაუშვებლად მიაჩნდა, მაგრამ ფიქრობდა, რომ შესაძლებელი იყო რამდენიმე ღონისძიების გატარება. იმპერატორის აზრით, ქართული კორპუსის შემადგენლობა უნდა დარჩენილიყო უცვლელი: ქვეითთა 8 პოლკი, ეგერთა 4 პოლკი, გრენადერთა 2 პოლკი, კარაბინერთა 1 პოლკი, სულ 15 პოლკი. ყოველ პოლკში უნდა ყოფილიყო 300 უმცროსი ოფიცერი და 3.600 რიგითი, ხოლო ყოველ ბატალიონში – 100 უმცროსი ოფიცერი და 1.200 რიგითი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ომის შემთხვევაში ქართულ კორპუსს, სულ მცირე, 50.000 ოფიცერი და ჯარისკაცი ეყოლებოდა მწყობრში. იმპერატორის ბრძანების თანახმად, ქართულ კორპუსში უნდა შესულიყო შემდეგი

პოლკები: აფშერონის, თენგიზის, ნავაგინსკის, შირვანის, კურინის, სამეგრელოს, ეგერთა 41-ე, 42-ე, 43-ე, და 45-ე პოლკები. ქართული კორპუსის დაქვემდებარებაში იგზავნებოდა 51-ე და 52-ე საარტილერიო ასეულები. ეს პოლკები მე-19 და მე-20 დივიზიების შემადგენლობაში ასე იყო განაწილებული. მე-19 დივიზიაში შედიოდა: ყაბარდოს, თენგიზის, ნავაგინსკის, სამეგრელოს, ეგერთა 43-ე და 45-ე პოლკები (1819 წლის 16 ივნისიდან ეგერთა 45-ე პოლკი ეგერთა 44-ე პოლკად იწოდებოდა). მე-20 დივიზიაში შედიოდა: აფშერონის, შირვანის, კურინსკის, თბილისის, ეგერთა 41-ე და 42-ე პოლკები. გრენადერთა ბრიგადაში შედიოდა: ხერსონის, ქართული და კარაბინერთა მე-7 პოლკები. ამ ჯარების ნაწილი ჩრდილო კავკასიაში, ხოლო ნაწილი სამხრეთ კავკასიაში იმყოფებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმპერატორმა ალექსანდრ I-მა უარი თქვა საგარნიზონო ბატალიონების შექმნაზე, სამაგიეროდ, მისი ბრძანებით, ყოველი პოლკის (გარდა გრენადერთა პოლკებისა) მეორე ბატალიონი საგარნიზონო სამსახურისათვის უნდა გამოყენებინათ. ამრიგად, ქართული კორპუსის 8 პოლკიდან საგარნიზონო სამსახურისათვის გამოყოფილი იქნებოდა 10.400 ოფიცერი და ჯარისკაცი, ხოლო კავკასიის ხაზზე განლაგებული კიდევ 4 პოლკიდან – 5.200 ჯარისკაცი, სულ 15.000 ოფიცერი და ჯარისკაცი.

ამრიგად, ალექსანდრ I-მა, მართალია, მთლიანად არ გაიზიარა ალექსეი ერმოლოვის შეხედულება, მაგრამ საბოლოოდ, კავკასიის მთავარსარდალმა ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში ჯარების სერიოზული რაოდენობით გაზრდას მაინც მიაღწია.

თავი II. ჰაზავათის (სალვთო ომის) დასაწყისი

1. მოლა მუჰამედი და ჰაზავათის დასაწყისი. ალექსეი ერმოლოვის ლაშქრობას ჩრდილო კავკასიაში და იქ რუსული ციხე-სიმაგრეების მშენებლობას ისლამის აღმსარებელი ჩრდილო კავკასიის ხალხების პროტესტი მოჰყვა. ერმოლოვი ჯერ კიდევ კავკასიაში იმყოფებოდა, როდესაც ახალი რელიგიური მოძღვრება გაჩნდა, რომელიც ძლიერ მიმდინარეობდა იქცა და ისტორიაში მიურიდიზმის სახელით შევიდა. 1823 წელს დალესტანში, აულ იარაგში ცხოვრობდა მოლა მუჰამედი, რომელიც ითვლებოდა ყურანის დიდ მცოდნედ, რის გამოც მორწმუნეთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მოლა მუჰამედი იმავდროულად მთავარი ყადიც იყო და ამდენად, შეეძლო მოსახლეობაზე გავლენა მოეხდინა. მოლა მუჰამედი იმდენად სახელგანთქმული რელიგიური მოღვაწე იყო, რომ მასთან არაბულისა და ყურანის შესასწავლად ბუხარიდან ჩამოვიდა შემდეგში ცნობილი რელიგიური მოღვაწე ჰასან მუჰამედი. მოლა მუჰამედმა შემდეგში ცოდნა კიურდამირში ჰაჯი ისმაილთან გაიღრმავა. იარაგში დაბრუნების შემდეგ იგი აქტიურად შეუდგა ქადაგებას, რომლის დროსაც მრევლს ურწმუნოების წინააღმდეგ საღვთო ომისაკენ – ჰაზავათისაკენ – მოუწოდებდა. ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ჯარის მიერ განხორციელებულმა დაპყრობებმა, აულების გადანვამ და მუსლიმთა ხოცვა-ჟლეტამ გამოიწვია ის, რომ ჰაზავათისაკენ მონოდებას არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალები და ბავშვებიც კი უჭერდნენ მხარს. დაიწყო შეიარაღებული რაზმების შექმნა და რუსეთის ჯარის თავდასხმის შემთხვევისათვის აულების გამაგრება. ახალი რელიგიური მოძღვრება სწრაფად გავრცელდა მთელს დალესტანსა და ჩეჩნეთში. აულ იარაგში მრავალი მორწმუნე ჩადიოდა, რომელიც მალე მიურიდიზმის ცენტრად იქცა. მოლა მუჰამედის წყალობით მიურიდიზმის იდეას ეზიარნენ და ჰაზავათს შეუერთდნენ შემდეგში სახელგანთქმული ადამიანები: ჯემალ ედ დინი, ყაზი მოლა, ჰამზათ ბეი და შამილი. ასე დაიწყო მზადება საღვთო ომისათვის. მოლა მუჰამედმა და მისმა თანამებრძოლებმა შეძლეს, რომ ჰაზავათი ნამდვილ სახალხო მოძრაობად იქცა.

2. იმამი ყაზი მოლა. ცხადია, რუსეთის ხელისუფლება აცნობიერებდა ჰაზავათიდან მომდინარე საფრთხეს, მაგრამ 1826-1828 წლების რუსეთ-ირანისა და 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში დაღესტანსა და ჩეჩნეთში ჯარების გადასროლა და ფართომასშტაბიანი დამსჯელი ექსპედიციის მოწყობა შეუძლებელი გახადა. ასეთ ვითარებაში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ჩეჩნეთისა და დაღესტნის პირველი იმამი ყაზი მოლა. იგი 1795 წელს დაიბადა შიდა დაღესტნის აულ გიმრში. ყაზი მოლას იმამად გამოცხადების ზუსტი თარიღი დადგენილი არ არის. სავარაუდოა, რომ იგი იმამი 1829 ან 1830 წელს გახდა. ამ დროისათვის ჩრდილო კავკასიაში შარიათის ნორმები არ იყო დამკვიდრებული, მის ნაცვლას საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ადათ-წესები მოქმედებდა. იმამი ყაზი მოლა თვლიდა, რომ ჩეჩნეთსა და დაღესტანში შარიათის ნორმების დამკვიდრებას შეძლებდა, ოღონდ არა ოჯახური ურთიერთობისა და ქორწინების სფეროში. ჩეჩნეთისა და დაღესტნის აულებში მოსამართლის როლში ყადი გამოდიოდა, რომელსაც განაჩენი არა შარიათის, არამედ ადათზე დაყრდნობით გამოჰქონდა. გახდა თუ არა იმამი, ყაზი მოლამ ჩეჩნეთისა და დაღესტნის მოსახლეობას ადათებზე უარის თქმა და შარიათის ნორმების მიხედვით ცხოვრება მოსთხოვა. იმამის პრინციპულმა პოზიციამ შედეგი გამოიღო და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შარიათის ნორმები მიიღო. იმ აულებს, რომელთაც ადათების მიხედვით ცხოვრება ირჩიეს, ყაზი მოლა დარბევით ემუქრებოდა. 1829 წლის დასასრულისათვის ყაზი მოლამ შარიათის ნორმები დაამკვიდრა დაღესტნის დიდ ნაწილში, თითქმის მთელ ავარიაში (ხუნძეთში), მაგრამ ნარუმატებლობა განიცადა ავარიის ცენტრ აულ ხუნძახში. 1829 წლისათვის ყაზი მოლა ძლიერების ზენიტში იყო და ოცნებობდა ჩრდილო კავკასიის ყველა მუსლიმის იმამი გამხდარიყო. ყაზი მოლას მშობლიურ სოფელ გიმრში თავს იყრიდა დაღესტნიდან, ჩეჩნეთიდან და ჩრდილო კავკასიის სხვა ადგილებიდან ჩამოსული მუსლიმები და ყაზი მოლას ქადაგეგვს ისმენდნენ. ერთ-ერთი ქადაგებისას იმამმა ასე მიმართა შეკრებილთ: "თქვენ არა ხართ ჭეშმარიტი მუსლიმები, თქვენ არ გნამდათ წმინდა შარიათი და არ

ემორჩილებოდით წინასწარმეტყველის (მუჰამედის - ვ.გ.) აღთქმას, თქვენი თავი ურწმუნოებთან ურთიერთობით შებღალეთ. მე თქვენ გეუბნებით! სანამ დაღესტანი რუსების ფეხთ ქვეშაა განრთხმული, მანამ თქვენ ბედნიერება არ გელირსებათ: მზე დანვავს თქვენს ყანებს, არ მოგეცემათ ცის ნამე, თქვენ დაიხოცებით ბუზებივით, გენევათ სხვა უბედურებაც. როცა უზენაესის წინაშე წარდგებით, გელით არა ნეტარება, არამედ მუდმივი და სასტიკი სატანჯველი! მე მოვლენილი ვარ ალაჰის მიერ, რათა გიხსნათ თქვენ. ალაჰისა და მისი წინასწარმეტყველის, მუჰამედის, სახელით ურწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოგიწოდებთ. ჰაზავათი რუსების წინააღმდეგ! ჰაზავათი მათ წინააღმდეგ, ვინც არ ცნობს შარიათს!"

ყაზი მოლას ქადაგებების საბოლოო შედეგი ის იყო, რომ მოსახლეობა უსიტყვოდ ემორჩილებოდა მას. ასეთ ვითარებაში იმამს ძალზე აღიზიანებდა ხუნდახელებისა და ავარიის ხანის სიჯიუტე. 1830 წლის თებერვალში ყაზი მოლა 8.000 მებრძოლით ურჩების დასასჯელად გაემართა. მას თან ახლდნენ ჰამზათ ბეი და შამილი. აულ ხუნდახთან მიახლოების შემდეგ იმამმა ჯარი შეაჩერა და ხუნდახელებს მორჩილება მოსთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმუქრებოდა, რომ ქვას ქვაზე არ დატოვებდა. ავარიის ახალგაზრდა მმართველმა აბუ ნუცალ ხანმა ხუნდახი წინასწარ გაამაგრა და დანებებას არ აპირებდა. საბრძოლველად იყვნენ განწყობილი ხუნდახელებიც, მაგრამ ყაზი მოლას ლაშქრის სიმრავლემ მათი საბრძოლო სულისკვეთება დასცა. ყაზი მოლამ შამილს ხუნდახზე ორი მხრიდან შეტევა დაავალა. ლაშქარი იერიშზე დაიძრა და საბრძოლო შედახილებით სოფელს მიუახლოვდა. შეშინებულმა ხინდახელებმა სროლა შეწყვიტეს და სიკვდილს ელოდნენ. ამ დროს აულის დამცველებთან მივიდა ხანის დედა ფახუ ბიკე და მებრძოლებს მიმართა: „ავარიელებო! თუ თქვენ შეშინდით, მაშინ ღირსნი არა ხართ იარაღი ატაროთ. მოგვეცით იარაღი ქალებს და თქვენ დაიხურეთ ჩვენი ჩადრები. ამ სიტყვებმა ხუნდახის დამცველები გაამხნევა, ყველანი სახელოვანი სიკვდილისათვის მოემზადდნენ. ყაზი მოლამ აულის დამცველთა წინააღმდეგობა ვერ დაძლია, რადგან აბუ ნუცალ ხანი ბრძოლას უნარიანად ხელმძღვანელობდა. დამარცხებულ

ყაზი მოლას ლაშქარს დიდხანს სდიეს და მნიშვნელოვანი ზარალიც მიაყენეს. ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად რუსეთის იმპერატორმა ნიკოლაი I-მა ავარიელებს დროშა უბიძა, რომელზედაც რუსეთის იმპერიის გერბი იყო გამოსახული.

ყაზი მოლას გაძლერებამ და 1829 წელს ხუნძახზე ლაშქრობამ რუსეთის საიმპერატორო კარი სერიოზულად დააფიქრა 1830 წლის ივლისში რუსეთის ჯარი კავკასიის მთავარსარდლის გენერალ-ლეიტენანტ ჩგრიგორი როზენის სარდლობით სოფელ გიმრისაკენ დაიძრა. ყაზი მოლა მიხვდა, რომ რუსეთის ჯარს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და გიმრი დატოვა. სოფლის მოსახლეობამ კავკასიის მთავარსარდალს სრული მორჩილება გამოუცხადა და მძევლებიც მისცა. მიღწეულით კმაყოფილმა გრიგორი როზენმა ყაზი მოლას დევნა აღარ გააგრძელა და უკან დაბრუნდა. როზენის შეცდომით დაუყოვნებლივ ისარგებლა ყაზი მოლამ და მუსლიმების წინაშე რუსეთის ჯარის უკან დაბრუნება გამარჯვებად წარმოაჩინა.

1831 წელს ყაზი მოლამ რუსების წინააღმდეგ ჩეჩნების აჯანყება გადანყვიტა, რასაც შედეგად ვნეზაპნაიას სიმაგრეში მდგარი რუსეთის გარნიზონის ამონყვეტა უნდა მოჰყოლოდა. ამის შემდეგ იმამი დალესტანში გადასვლას დერბენტის (დარუბანდის) დაკავებას და ყაზიყუმუხის ხან ასლანის ლაშქართან ერთად შირვანის, ყუბისა და თალიშის ყოფილი სახანოებიდან რუსების განდევნას და იქ ხანების ძალაუფლების აღდგენას აპირებდა. ჩეჩნეთიდან რუსების განდევნა ყაზი მოლამ შიხ აბდულას დაავალა, ხოლო თვითონ 1831 წლის მაისის დამლევს 8.000 მებრძოლით საშამხლოს ცენტრი ქალაქი ტარკი დაიკავა. შამხალმა ოჯახთან ერთად კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე რუსულ სიმაგრე ბურნაიას შეაფარა თავი. ბურნაიას სიმაგრის კომენდანტმა მაიორმა ფედოსეევმა პორუჩიკ გუსბაშის მეთაურობით ტარკის მიმართულებით კურინსკის პოლკის ერთი ასეული გაგზავნა 1 ქვემეხით. ასეული სიმაგრეში დაბრუნდა და მეთაურმა კომენდანტს მოახსენა, რომ მონინააღმდეგე დიდ რიცხოვრივ უპირატესობას ფლობდა. ფედოსეევს აფიქრებდა ის, რომ მის განკარგულებაში მხოლოდ 516 ოფიცერი და ჯარისკაცი იყო. ყაზი მოლა ბურნაიას სიმაგრეს მიახლოვ-

და თუ არა, შეტევა დაიწყო. ყაზი მოლას მებრძოლები სიმაგრეში შეიჭრნენ და ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. მოულოდნელად სიმაგრეში თოფისნამლის სანყოფი აფეთქდა. გამაყრუებელმა ხმამ და შავმა კვამლმა ყაზი მოლას მებრძოლები წუთით შეაფერხა, რითაც ისარგებლა ფედოსეევმა და ხანმოკლე ხელჩართული ბრძოლის შემდეგ მონინალმდეგე სიმაგრიდან განდევნა. მეორე შეტევა სიმაგრეზე ასევე წარუმატებლად დამთავრდა. 1831 წლის 28 მაისს ბურნაიას სიმაგრის გარნიზონის დასახმარებლად სწრაფი სვლით დაიძრა გენერალ კოხანოვის რაზმი. კოხანოვის დაქვემდებარებაში იყო კურინსკის პოლკის 7 ასეული, დონის კაზაკთა 1 ასეული, 700 მუსლიმი ცხენოსანი და 6 ზარბაზანი. გამოვიდა თუ არა აულ მუსელიმიდან, გენერალ კოხანოვის არიერგარდს თავს დაესხნენ ყაზი მოლას ქვეითები და ცხენოსნები. რუსებმა დიდი დანაკარგი განიცადეს და მხოლოდ საღამოს 10 საათისათვის ტარკს მიუახლოვდა. კოხანოვმა შეიტყო, რომ ბურნაიას სიმაგრის გარნიზონი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა: მებრძოლებს აღარ ჰქონდათ წყლის, ტყვიებისა და ყუმბარების მარაგი. 1831 წლის 29 მაისს გენერალ კოხანოვის რაზმი სამ ნაწილად გაიყო და პოდპოლკოვნიკ ფონ დისტერლოს, მაიორ ივანჩენკოსა და მაიორ ნიკლაურის მეთაურობით ტარკას შეუტია. რუსებს მრავალი ხერგილის გადაღახვა მოუხდათ, ხელჩართული ბრძოლების შემდეგ რუსებმა ტარკის ნაწილი დაიკავეს. რუსებისათვის ცნობილი გახდა, რომ ტარკაში, ერთ-ერთ სახლში თვით ყაზი მოლა იყო გამაგრებული. სახლში ჩასაფრებული მსროლელები დიდ ზიანს აყენებდნენ რუსებს. პოდპოლკოვნიკმა ფონ დისტერლომ სახლის იერიშით ალება სცადა, მაგრამ ზუსტი გასროლით იგი მაშინვე მოკლეს. ტარკისათვის დანყებული ბრძოლა უკვე 10 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, მსხვერპლი იზრდებოდა. ასეთ ვითარებაში გენერალმა კოხანოვმა პრაპორშჩიკ ევდოკიმოვს უბრძანა, ტარკის ის უბნები გადაენვა, სადაც ყაზი მოლას მებრძოლები გამაგრებულიყვნენ. ხანძარმა შთანთქა თითქმის ყველა სახლი და ყაზი მოლაც იძულებული გახდა, აული დაეტოვებინა. ტარკისათვის ბრძოლაში დაიღუპა 32 ოფიცერი და ჯარისკაცი, დაიჭრა 5 ოფიცერი და 72 ჯარისკაცი.

ყაზი მოლამ ბრძოლაში დაკარგა თავისი ერთგული მეომრები რაზმი და ალი სულთანნი.

ჩეჩნეთში რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნილმა შიხ აბდულამ დიდ ლაშქარს მოუყარა თავი და 1831 წლის 14 ივნისს 8.000 მებრძოლით ვნეზაპნაიას სიმაგრეს ალყა შემოარტყა. ამ დროისათვის სიმაგრეში 1.500 ოფიცერი და ჯარისკაცი იმყოფებოდა. გარნიზონის დასახმარებლად პოლკოვნიკ შუმსკის მეთაურობით გაიგზავნა 1 ქვეითი ბატალიონი 4 ქვემეხით. შუმსკიმ ხელჩართული ბრძოლით გაარღვია მონინააღმდეგის რიგები და სიმაგრეში შევიდა. შიხ აბდულამ ვნეზაპნაიას წყალი მოუნყვიტა. 17 ივნისს სიმაგრესთან ყაზი მოლა გამოცხადდა და პირადად ჩაუდგა ბრძოლას სათავეში. უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ვნეზაპნაიას გარნიზონის დასახმარებლად სასწრაფოდ დაიძრა რუსეთის ჯარის ორი რაზმი გენერალ ბეკოვიჩისა და გენერალ ემანუილის მეთაურობით. 27 ივნისს ორივე რაზმი ვნეზაპნაიას მიუახლოვდა. ყაზი მოლამ უმაღვე შეცვალა ბრძოლის ტაქტიკა, სიმაგრეს ალყა მოხსნა და ვნეზაპნაიასთან ახლოს მდებარე აულ ანდრეევკასაკენ (ენდიჩი) დაიხია. ბეკოვიჩმა და ემანუილმა შეცდომა დაუშვეს, როცა ყაზი მოლას დაედევნენ. უღრან ტყეში გამავალ გზაზე ყაზი მოლამ რუსებს ძლიერი ცეცხლი გაუხსნა, ბევრი ოფიცერი და ჯარისკაცი დაიჭრა, უფრო მეტი დაიღუპა. გენერლებმა უკან დახევის ბრძანება გასცეს, მაგრამ უკვე გვიან იყო. რუსებს ხშირად ხელჩართული ბრძოლით უწევდათ გზის გაკაფვა. ორივე რაზმის ყველა ოფიცერი ან დაიჭრა, ან დაიღუპა. ყაზი მოლას მებრძოლებმა ხელთ იგდეს რუსების ერთი ქვემეხი ყუმბარებით. გენერალი ემანიუელი დიდი დანაკარგით დაბრუნდა ვნეზაპნაიას სიმაგრეში. მისმა რაზმმა 15 ოფიცერი დაკარგა, დაიჭრა და დაიღუპა 360 ჯარისკაცი.

ყაზი მოლა ტრიუმფით შევიდა საშამხლოს ტერიტორიაზე, სადაც ჯარი შეასვენა. რუსების დამარცხებამ ჩრდილო კავკასიის მოსახლეობაში დიდი აღტაცება გამოიწვია. თაბასარანიდან (სამხრეთ დაღესტანი) და ყაიბალიდან (ცენტრალური დაღესტანი) იმამ ყაზი მოლას დეპუტაცია ეახლა და რუსების განდევნაში დახმარება სთხოვა. დეპუტაციის თხოვნამ ყაზი მოლას რუსების წინ-

ნალმდეგ ახალი ბრძოლისაკენ უბიძგა, - იმამმა კასპის ზღვის სანაპიროზე მდებარე დერბენტის ძლიერ ციხე-სიმაგრეზე (სამხრეთ დაღესტანი) ლაშქრობა გადანყვიტა. 1831 წლის 12 აგვისტოდან 19 აგვისტომდე ყაზი მოლას დერბენტისათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული. დერბენტის გარნიზონის დასახმარებლად გენერალ კოხანოვის დიდი რაზმი დაიძრა. ყაზი მოლამ დერბენტის მიდამოები დატოვა და უკან დაიხია.

ყაზი მოლას დერბენტზე ლაშქრობამ კავკასიის მეფისნაცვალ-ლი დაარწმუნა, რომ სასწრაფო და გადამჭრელი ღონისძიებების გატარება იყო აუცილებელი. აუცილებლად იქნა მიჩნეული, დაღესტანში დიდი დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნა. დაღესტანზე შეტევა ორი მიმართულებით უნდა დაწყებულიყო: აღმოსავლეთიდან (დერბენტიდან) და ჩრდილოეთიდან (კავკასიის ხაზიდან). დერბენტში თავი მოიყარა რუსეთის ჯარის სერიოზულმა ძალამ - 3.500 ქვეითმა და 3.000 ცხენოსანმა 20 ზარბაზნით. 1831 წლის 2 ოქტომბერს გენერალ-ადიუტანტ პანკრატიევის მეთაურობით რუსები დერბენტიდან თაბასარანისა და ყაიტალისაკენ დაიძრნენ. გენერალ პანკრატიევის რაზმი სამ კოლონად იყო გაყოფილი. პირველ კოლონას მეთაურობდა ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი თავადი დადიანი, რომლის დაქვემდებარებაში იყო: ერევნის ქვეითთა პოლკის 6 ასეული; მუსლიმ ცხენოსანთა 1 პოლკი, მუსლიმ მოხალისეთა 3 ასეული და 8 ქვემეხი. მეორე კოლონაში (მეთაური პოლკოვნიკი მიკლაშევსკი) შედიოდა: ეგერთა 42-ე პოლკის 2 ბატალიონი, კურინსკის პოლკის 1 ბატალიონი, მუსლიმ ცხენოსანთა 2 პოლკი 4 ზარბაზნით.. მესამე კოლონა პოლკოვნიკ ბასოვის მეთაურობით ასეთი შემადგენლობით დაიძრა სალაშქროდ: აფშერონისა და კურინსკის პოლკების 7 ასეული, დონის კაზაკთა 1 პოლკი, ყუბის მუსლიმი ცხენოსნების რაზმი და 8 ზარბაზანი. სამივე კოლონამ მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა. პოლკოვნიკმა მიკლაშევსკიმ შტურმით აიღო თაბარასანის მნიშვნელოვანი ცენტრი აული დიუვეკი. დიუვეკს თაბასარანელები მიუვალ სიმაგრედ თვლიდნენ, ამიტომ მთელი ქონება იქ ჰქონდათ გადამალული. პოლკოვნიკმა დადიანმა ბრძოლით გაიარა ტყით დაფარულ მთის კალთებზე მი-

მავალი გზა, დაიკავა აული ჰუშინი და დაამარცხა ყაზი მოლას ცნობილი თანამებრძოლი ყადი აბდირზაჰი. წარმატებით მოქმედებდა ყაიტალის ტერიტორიაზე პოლკოვნიკი ბასოვი, რითაც მან ყაიტალელებს ტაბატარანელთა დახმარების საშუალება მოუსპო. 1831 წლის 11 ოქტომბერს რუსეთის ჯარის სამივე კოლონა ქვემო ყაიტალის სოფელ ბაშლისაკენ დაიძრა. თაბასარანში რუსების მიერ გამართული ხოცვა-ჟლეტით დაშინებულმა ბაშლის მოსახლეობამ გენერალ პანკრატიევს დეპუტაცია გაუგზავნა და შეწყალება ითხოვა. გენერალმა იმპერატორის სახელით ყაიტალელებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილეობა აპატია. ლაშქრობის დროს გენერალმა პანკრატიევმა მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა ავარიის ხან აბუ ნუცალთან და მის დედასთან, ფახუ-ბიკესთან. გენერალმა დედა-შვილს ყაზი მოლასთან ბრძოლაში შემწეობა სთხოვა. აბუ ნუცალ ხანი უშუალოდ ბრძოლაში არ ჩაბმულა, მაგრამ რუსების თხოვნით, ჯარი ავარიის საზღვარზე განალაგა და ყაზი მოლას ლაშქარი სახანოს ტერიტორიაზე არ შეუშვა. თაბასარანსა და ყაიტალში მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ გენერალი პანკრატიევი 1831 წლის 15 ოქტომბერს საშამხლოს დასამორჩილებლად დაიძრა. ყაზი მოლას ლაშქარმა რუსებს დიდი წინააღმდეგობა გაუწია აულ ერჰელთან და აულ ჩირკასთან. საბოლოოდ, ორივე აული დანებდა.

დერბენტის მხრიდან შეტევის პარალელურად ჩრდილოეთიდან, კავკასიის ხაზიდან, დალესტანში შეიჭრა გენერალ ალექსეი ველიამინოვის (ველიამინოვ II-ის) რაზმი. ველიამინოვის დაქვემდებარებაში იყო: 2.500 ქვეითი, 500 ცხენოსანი, 22 ზარბაზანი. რუსები ჩეჩნეთის აულ ჩირ-იურთისაკენ დაიძრნენ და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ იგი დაიკავეს. ამ გამარჯვების შემდეგ ველიამინოვმა რაზმი მდინარე თერგზე დააბრუნა.

ყაზი მოლამ ისარგებლა იმით, რომ დალესტანში ლაშქრობის გამო კავკასიის ხაზზე არსებული სიმაგრეებიდან რუსებმა ჯარები გაიყვანეს და ჩეჩნეთის აული გუდერმესი დაიკავა. ხალხი იმამს აღფრთოვანებით შეხვდა. გუდერმესში შეკრებილ ჩეჩნებს ყაზი-მოლამ საღვთო ომისაკენ მოუწოდა. გუდერმესის შემდეგ იმამი

რამდენიმე აულში შევიდა, სადაც მოსახლეობა ასევე დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ამ დროისათვის ყიზლარის სიმაგრიდან (ჩრდილოეთ დაღესტანი) გარნიზონი გაყვანილი იყო. შეიტყო თუ არა ეს ყაზი მოლამ, დაუყოვნებლივ სიმაგრის დასაკავებლად გაემართა. ყიზლარში საშინელი პანიკა დაიწყო. ყაზი მოლას ლაშქარი სიმაგრეში შეიჭრა, გაიმართა ხოცვა-ჟლეტა. ყიზლარის დაკავების შემდეგ იქ არსებული პროვიანტის დიდი მარაგი მთიელებს დარჩათ. ამ გამარჯვების შემდეგ ყაზი მოლა დაღესტნის შიდა რაიონებისაკენ გაემართა. ყიზლარის სიმაგრის დაკავებამ უკიდურესად აღაშფოთა იმპერატორი ნიკოლაი I. სიმაგრიდან გასულ ყაზი მოლას თავისი რაზმით დაედევნა გენერალი ალექსეი ველიამინოვი, მაგრამ უშედეგოდ. ყაზი მოლამ მთებს შეაფარა თავი და შემდეგ ტრიუმფით შევიდა დაღესტნის აულ ჩუკმესკენტში, სადაც მის ლაშქარს უამრავი ადამიანი შეემატა. ყაზი მოლა ჩუკმესკენტის ახლოს, აულ აღაჩა-ყალაში, გამაგრდა და თავდაცვისათვის მოემზადა. ეგერთა 42-ე პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა მიკლაშევსკიმ აღაჩა-ყალას დაკავების ბრძანება მიიღო. 1831 წლილს 30 ნოემბერს მიკლაშევსკი ეგერთა 42-ე პოლკის 2 ბატალიონით, კურინსკის პოლკის 6 ასეულით, ტარკის საშამხლოს ცხენოსანი მილიციითა და 11 ზარბაზნით ჩუკმესკენტისაკენ დაიძრა. სიმაგრესთან მიახლოების შემდეგ მზვერავებმა მიკლაშევსკის აცნობეს, რომ სიმაგრეს ღრმა თხრილი ჰქონდა შემოვლებული, ხოლო მისასვლელი გზა უამრავი ხერგილით იყო გადაკეტილი, რაც ზარბაზნების გადატანას შეუძლებელს ხდიდა. შექმნილ ვითარებაში პოლკოვნიკმა მიიღო გადანყვეტილება, სიმაგრისათვის მხოლოდ ქვეითი ჯარით შეეცა. პარალელურად ხერგილებისა და სიმაგრისათვის მალლობზე განლაგებულ 8 ზარბაზანს ძლიერი ცეცხლი უნდა გაეხსნა. საბრძოლო გეგმის თანახმად ქვეითებს პოდპოლკოვნიკ მიხაილოვის მეთაურობით თხრილი უნდა გადაეღახათ და სიმაგრეში შეჭრილიყვნენ. ქვეითებმა რამდენიმე ხერგილი წარმატებით გადალახეს, მაგრამ თხრილისა და ხის ძლიერი გალავნის გადალახვა ძნელი გამოდგა. თხრილს მიახლოებულ ქვეითებს გალავნის კედლებში გამოჭრილ სათოფურებიდან ძლიერი ცეცხლი დაატყდა თავს. პირველსავე

ნუთებში ბევრი რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი დაიღუპა. ხელში დაჭრილი პოლკოვნიკი მიკლაშევსკი ჩამოქვეითდა და პირადად გაუძღვა ქვეითებს იერიშზე. არტილერიისტებმა სიმაგრის დაბომბვა გააძლიერეს. გადალახეს თუ არა თხრილი, რუსებმა სიმაგრის კედლის დაშლა დაიწყეს. კედლის დანგრევაში მონაწილეობდა მიკლაშევსკიც, მაგრამ მალე იგი ზუსტი გასროლით მოკლეს. რუსები სიმაგრეში შეიჭრნენ და პოლკოვნიკის დალუპვისათვის სასტიკად იძიეს შური. მთიელებმა ღამის სიბნელით ისარგებლეს და სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ, საბოლოოდ კი გიმრში მოიყარეს თავი. რუსებმა ჩუკმისკენტის სიმაგრე გადანვეს. პოლკოვნიკ მიკლაშევსკის გარდა, ბრძოლაში დაიღუპა: შტაბის ოფიცერი -3; უფროსი ოფიცერი -3, უმცროსი ოფიცერი 14, ჯარისკაცი - 370. ჩუკმისკენტის სიმაგრის დაკავების შემდეგ დიდი ბრძოლები აღარ გამართულა.

გენერალ-ადიუტანტი პანკრატიევი ვარაუდობდა, რომ განცდილი მარცხის შემდეგ იმამი ყაზი მოლა ძალაუფლებას დაკარგავდა და დალესტანიც დამშვიდდებოდა, მაგრამ პირიქით მოხდა, - ჩუკმისკენტის სიმაგრისათვის ბრძოლაში იმამმა და მიურიდებმა ისეთი გამძლეობა და სიმამაცე გამოიჩინეს, რომ მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვეს და გმირებად იქცნენ. ყაზი მოლას ლაშქარს დალესტნიდან და ჩეჩნეთიდან კიდევ ბევრი ადამიანი შეემატა. ჰაზავათი ძალას იკრებდა.

1832 წლის აგვისტოში კავკასიის მთავარსარდალ ჩგრიგორი როზენის საერთო მეთაურობით ინგუშეთში, ნაზრანის სიმაგრის ახლოს, რუსეთის ჯარის დიდმა კონტინგენტმა (10.000 ოფიცერი და ჯარისკაცი) მოიყარა თავი. როზენის დაქვემდებარებაში იყო: მოსკოვის პოლკის 2 ბატალიონი, ბუტირსკის პოლკის 2 ბატალიონი, ერევნის პოლკის 2 ბატალიონი, ეგერთა მე-40 პოლკის 3 ბატალიონი, ეგერთა 41-ე პოლკის 1 ბატალიონი, ეგერთა 43-ე პოლკის 1 ბატალიონი, მოზდოკის კაზაკთა პოლკი, ქართველ ცხენოსანთა პოლკი, ამიერკავკასიის ცხენოსანთა 2 პოლკი, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის 1 ასეული, კაზაკთა სახაზო ბატალიონის 1 ასეული. ამ დროს ყაზი მოლა მდინარე თერგის

მარჯვენა ნაპირზე მდებარე აულების დამორჩილებას ცდილობდა. რუსებმა ცნობა მიიღეს, რომ მთიელთა ლაშქარი ჩეჩნეთის აულ ანდრეევკას(ენდირეი) უახლოვდებოდა. პოლკოვნიკმა ვოლჟინსკიმ მიიღო ბრძანება, რომ 500 კაზაკით შავდან-იურთისაკენ დაძრულიყო. კაზაკებმა მთიელების ლაშქარი გაფანტეს და უკან დახეულებს დაედევნენ. დევნაში გართული კაზაკები ტყის მასივს მიუახლოვდნენ. ყაზი მოლამ თავისი ლაშქრის ქვეითები ტყეში ჩაასაფრა, საიდანაც მოულოდნელად გადავიდა შეტევაზე. გაიმართა ცხარე ბრძოლა, რუსებმა დიდი ზარალი განიცადეს. პოლკოვნიკი ვოლჟინსკი ჩამოქვეითთა და ხმლით იგერიებდა მთიელებს, რომლებიც ზარბაზნების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. ხელჩართულ ბრძოლაში რამდენიმე ჭრილობის მიღების შემდეგ ვოლჟინსკი დაიღუპა. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ კაზაკებმაც უკან დაიხიეს და ქვემეხები მთიელებს დარჩათ. გამარჯვებულმა ყაზი მოლამ ურჩი აულები დასაჯა, და დიდი ჩეჩნეთისა და აულ შალის გავლით 1832 წლის 23 აგვისტოს აულ გერმენჩუკს მიუახლოვდა, სადაც იმამს 3.000 ჩეჩენი ელოდა. გერმენჩუკი მდიდარი აული იყო, მასში 600 კომლი ცხოვრობდა. აული მდინარე ჯალკის ნაპირზე მდებარეობდა, მისასვლელი გზები გადაკეტილი იყო თხრილებითა და ხერგილებით.

გენერალი ალექსეი ველიამინოვი ყაზი მოლას დაედევნა, აულ გერმენჩუკს მიუახლოვდა და 20 ზარბაზნიდან ძლიერად დაბომბა იგი. ბუტირსკისა და მოსკოვის პოლკები ეგერთა 41-ე პოლკის ერთ ბატალიონთან ერთად შეტევაზე გადავიდა, რუსები აულში შეიჭრნენ, გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მალე ბრძოლაში ჩაება კაზაკთა 2 ასეული პოლკოვნიკ ზასის მეთაურობით და ქართველ ცხენოსანთა პოლკი გვარდიის შტაბს-როტმისტრ თავად ანდრონიკაშვილის მეთაურობით. ბრძოლაში ზასიცა და ანდრონიკაშვილიც დაიჭრნენ. ჩეჩნებმა აული დატოვეს და ტყეს შეაფარეს თავი. ბრძოლის დროს ყაზი მოლა აულში არ იმყოფებოდა, იგი ქვეითებითა და ცხენოსნებით ტყეში იდგა, რათა მოულოდნელად რუსებისათვის ზურგიდან დაერტყა. გერმენჩუკში რუსების შეჭრის შემდეგ ყაზი მოლა ბრძოლაში აღარ ჩაება და გიმრში დაბრუნდა. ამით 1832

წლის ექსპედიცია ჩეჩნეთში დასრულდა. ჩეჩნეთის დაახლოებით 80 აული რუსებს დაემორჩილა და მძევლების მიცემაზეც დასთანხმდა.

ჩეჩნეთში რუსეთის ჯარის წარმატების ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელ დაღესტანში. დაღესტნელები სერიოზულად შეშფოთდნენ, რუსეთის ჯარის მიერ ჩეჩნეთის დაკავება სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა დაღესტანს, რომლის მოსახლეობა ძირითადად ჩეჩნეთში მონეულ ხორბალს იყენებდა საკვებად. მარცხის მიუხედავად, იმამი ყაზი მოლა სულით არ დაცემულა, იგი ჰამზათ ბეის რუსების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებისაკენ მოუწოდებდა. იმამმა მონოდებები გაავრცელა და მიურიდებს აუნყა, რომ რუსები მალე დაღესტანსაც იმავე უბედურებას დაატეხდნენ თავს, რაც ჩეჩნეთს დაატრიალეს. ყაზი მოლამ ყველა მიურიდს საღვთო ომის გაგრძელებისაკენ მოუწოდა. იმამის მონოდებას მიურიდთა მხოლოდ მცირე ნაწილი გამოეხმაურა, გიმრში მყოფ ყაზი მოლასთან იმაზე გაცილებით ნაკლები რაოდენობის მიურიდები ჩავიდნენ, რასაც იმამი ელოდა.

1832 წლის ოქტომბერში კავკასიის მთავარსარდალმა გრიგორი როზენმა დაღესტანში სამხედრო ექსპედიცია დაგეგმა, რომლის მთავარი ამოცანა გიმრის დაკავება იყო. გენერალ ალექსეი ველიამინოვის რაზმი 8.000 ოფიცრითა და ჯარისკაცით დაღესტანზე ლაშქრობისათვის მოემზადა და დაღესტნის სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრ თემირ-ხან-შურიდან აულ გიმრისაკენ დაიძრა. საბრძოლო მოქმედებების საერთო მსვლელობას ჩგრიგორი როზენი ხელმძღვანელობდა. ველიამინოვის რაზმში შედიოდა: ხერსონის გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი, ერევნის კარაბინერთა პოლკის 5 ასეული, თბილისის ქვეითთა პოლკის 1 ბატალიონი, ეგერთა 41-ე პოლკის 1 ბატალიონი, აფშერონის ქვეითთა პოლკის 1 ბატალიონი, ბუტირსკის ქვეითთა პოლკის 2 ბატალიონი, ეგერთა 43-ე პოლკის ნაკრები რაზმი, კავკასიის მესანგრეთა ბატალიონის 2 ასეული, ქართველ ცხენოსანთა 1 ასეული, კავკასიის მუსლიმ ცხენოსანთა 2 პოლკი, თერგის კაზაკთა 1 პოლკი, მოზდოკის კაზაკთა 1 პოლკი და 14 ზარბაზანი. აული გიმრი მდინარე სულაჰის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდა. ისედაც მიუდგომელ აულს სხვადასხვა ადგილას

აღმართული ქვის სამი კედელი იცავდა. ყაზი მოლა და მიურიდები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსები გიმრის დაკავებას ვერ შეძლებდნენ. მიურიდები ხუმრობდნენ: რუსებს გიმრში მოსვლა მხოლოდ წვიმასთან ერთად შეუძლიათო.

1832 წლის 14 ოქტომბერს ალექსეი ველიამინოვის რაზმი გიმრს მიუახლოვდა და 17 ოქტომბრამდე ხერგილებისაგან და თოვლისაგან გზას წმენდდა. 17 ოქტომბერს გამთენიისას გრიგორი როზენმა შეტევის დაწყების ბრძანება გასცა. ველიამინოვმა გიმრზე მარცხენა ფლანგიდან შეტევისათვის გამოყო ბუტირსკის პოლკის 2 ბატალიონი, ქართველ ცხენოსანთა ასეული, მუსლიმ ცხენოსანთა რაზმი და ჩრდილო კავკასიელ კაზაკთა რაზმები. მარჯვენა ფლანგიდან შეტევა უნდა განეხორციელებინა ხერსონის გრენადერთა და თბილისის ქვეითთა პოლკებს. რუსების პირველი შეტევა მარცხითა და დიდი დანაკარგით დასრულდა. გენერალი ველიამინოვი ბრძოლაში რეზერვის ჩაბმას აპირებდა, როცა მოულოდნელად აულ ერპელის მხრიდან მთებიდან გიმრისაკენ დაეშვნენ მთიელები. ალექსეი ველიამინოვმა პოლკოვნიკ თავად დადიანს უბრძანა, ერევნის კარაბინერთა პოლკის ძალებით გიმრისაკენ დაძრული მთიელებისათვის გზა გადაეღობა. პოლკოვნიკმა დადიანმა ბრძანება უნაკლოდ შეასრულა, რამაც ველიამინოვს საშუალება მისცა გიმრზე მეორე შეტევა დაენერო. ბუტირსკის პოლკის 2 ბატალიონი, ქართველ ცხენოსანთა ასეული, მუსლიმ ცხენოსანთა რაზმები, ერევნის კარაბინერთა პოლკის ასეულები და ეგერთა 41-ე პოლკის ბატალიონი იერიშზე გადავიდნენ და ხელჩართული ბრძოლის დაწყებას შეეცადნენ, მაგრამ მთიელებმა უკან დაიხიეს და სხვადასხვა ადგილიდან გახსნილი ცეცხლით ცდილობდნენ რუსების შერყევას. დიდი დანაკარგის მიუხედავად, რუსებმა პირველი კედელი გადალახეს. იმავდროულად ხერსონის ეგერთა და თბილისის ქვეითთა პოლკებმა პირველი კედლის გადალახვის შემდეგ სწრაფად წაინიეს წინ და მეორე კედელიც აიღეს. მიურიდები თავდადუზოგავად იბრძოდნენ და ბევრი მათგანი შეენირა კიდევ გიმრის დაცვას. 4-საათიანი ბრძოლის შემდეგ რუსები გვამებით მოფენილ გიმრში შევიდნენ. ყაზი მოლამ და შამილმა მოასწრეს და კოშკში გამაგრდნენ. ისინი დანე-

ბებას არ აპირებდნენ. რუსებმა კოშკს ალყა შემოარტყეს. ყაზი მოლამ იგრძნო, რომ სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა. მოულოდნელად ყაზი მოლას თანამებრძოლი მიურიდი მუჰამედ სულთანის ხანჯალმომარჯვებული კოშკიდან გადმოხტა, მაგრამ ალყა ვერ გაარღვია და რუსებმა ხიშტებზე ააგეს. მუჰამედ სულთანის შემდეგ კოშკიდან თვით ყაზი მოლა გადმოხტა და ისიც ხიშტებით განგმირეს. მუჰამედ სულთანისა და ყაზი მოლას დაღუპვის მიუხედავად, შამილი არ შედრკა და მალე ისიც გადმოხტა კოშკიდან, მასაც ხიშტი უგმირეს მკერდში. შამილმა მკერდიდან ხიშტი გამოიგლიჯა, ალყა გაარღვია და მიიმალა. გიმრისათვის ბრძოლაში რუსებმა 1 ოფიცერი და 40 ჯარისკაცი დაკარგეს, დაიჭრა შტაბის ოფიცერი – 2, უფროსი ოფიცერი 34, ჯარისკაცი – 353.

რუსებს ეგონათ, ყაზი მოლას სიკვდილი მთიელებს დააშინებდა, მაგრამ მოხდა პირიქით, მოსახლეობა თავს დამნაშავედ გრძნობდა, რომ იმამს დროულად ვერ დაეხმარნენ, ვერ დაუდგნენ მხარში. ყაზი მოლას სიკვდილმა მუსლიმები გააერთიანა, რამაც მომდევნო იმამს, ჰამზათ ბეის, რუსების წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება გაუადვილა.

3. იმამი ჰამზათ ბეი. დაღესტნისა იმამი ჰამზათ ბეი ავარიიდან იყო. იგი 1789 წელს დაიბადა აულ გოცატალში. მამამისი ავარიის ხან სულთან აჰმედის უახლოესი თანამებრძოლი იყო და მრავალგზის მონაწილეობდა ავარიელების (ხუნძების) მიერ კახეთში მოწყობილ ლაშქრობებში. 24 წლის ასაკში ჰამზათ ბეის უკვე სერიოზული განათლება ჰქონდა მიღებული. მამის გარდაცვალების შემდეგ იგი მშობლიურ გოცატალში დაბრუნდა, მაგრამ მალე ხუნძახში გაემგზავრა. იმ დროს ავარიას სულთან აჰმედ ხანის შვილი, მცირეწლოვანი აბუ ნუცალ ხანი, განაგებდა, რომლის რეგენტი დედა, ფახუ ბიკე, იყო. ფახუ ბიკემ ჰამზათ ბეი ხანის სასახლეში მიიწვია და მას, როგორც ნათესავს, ისე ეპყრობოდა. ჰამზათ ბეი ხუნძახში 4 წელი დარჩა და ამ ხნის განმავლობაში მიღებული ცოდნა კიდევ უფრო გაიღრმავა. გოცატალში დაბრუნების დროისათვის ჰამზათ ბეის უკვე მთელი დაღესტანი იცნობდა, როგორც განათლებულ და პატივსაცემ პიროვნებას. იმამმა ყაზი მოლამ ჰამზათ ბეი გიმრში

მიიწვია და დიდი პატივით მიიღო. ყაზი მოლამ ჰამზათ ბეის შარიათის ნორმების დამკვიდრებასა და რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა, რაზეც ეს უკანასკნელი სიხარულით დასთანხმდა.

1833 წელს, ხუნძახზე წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ, ყაზი მოლამ ჰამზათ ბეის დაავალა, ავარიის სამხრეთით მცხოვრები თემები რუსეთის წინააღმდეგ აეჯანყებინა. ჰამზათ ბეიმ იმამს დახმარება აღუთქვა და მალე გოცატალში დაბრუნდა. გოცატალში ჰამზათ ბეისთან მივიდა ჭარელი ლეკების დეპუტაცია, რომელმაც შიჰ შაბანის სახელით მას ჭარ-ბელაქანში შარიათის ნორმების დამკვიდრებასა და რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას დაჰპირდა. ჰამზათ ბეიმ დალესტნის მოსახლეობას ჰაზავათისაკენ მოუწოდა. მოწოდებას დაახლოებით 5.000 მებრძოლი გამოეხმაურა და ჰამზათ ბეი ამ ლაშქრით ჭარ-ბელაქნისაკენ დაიძრა. ჰამზათ ბეიმ რამდენჯერმე ადვილად დაამარცხა ზაქათალის სიმაგრეიდან მის შესახვედრად გამოსული რუსთა რაზმები და ერთ-ერთ ბრძოლაში ზარბაზანიც წაართვა მათ.

1833 წლის ნოემბერ-დეკემბერში დალესტნის მთებში დიდი თოვლი მოვიდა, რის გამოც ჭარ-ბელაქანში მყოფ ჰამზათ ბეისა და მის ლაშქარს სამშობლოში დაბრუნება გაუჭირდებოდა. ამის გამო ჰამზათ-ბეიმ გენერალ სტრეკალოვთან მოლაპარაკება დაიწყო და ლაშქრის დაშლის სანაცვლოდ ჭარელი ლეკებისათვის ამნისტია მოითხოვა. სტრეკალოვმა ჰამზათ ბეი ზაქათალაში მიიწვია, სადაც იგი შიჰ შაბანის თანხლებით გამოცხადდა. სტრეკალოვს მოლაპარაკების წარმოების უფლებამოსილება არ ჰქონდა, რის გამოც ორივენი დააპატიმრა და თბილისში გაგზავნა. მოგვიანებით იმამი შამილი აღნიშნავდა, რომ გენერალ სტრეკალოვის ვერაგობამ მას რუსების მიმართ ნდობა დაუკარგა. თბილისში ჰამზათ ბეი საპყრობილეში ჩასვეს. მას უკვე იმედე აღარ ჰქონდა, რომ ოდესმე სამშობლოში დაბრუნდებოდა. მისთვის სრულიად მოულოდნელად ყაზიყუმუხის ხანმა გენერალ-მაიორმა ასლანმა კავკასიის მთავარსარდალ გრიგორი როზენს სთხოვა, ჰამზათ ბეი გაეთავისუფლებინა, ხოლო სანაცვლოდ თბილისში მძევლად თავის შვილს

გაგზავნიდა. კავკასიის მთავარსარდალს არ უნდოდა ყაზიყუმუხში ძალზე პოპულარული ასლან ხანის განაწყენება და ჰამზათ ბეი გაათავისუფლა. თბილისში მძევლად მყოფი ქაიხოსრო მამის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ თბილისიდან ავარიაში გაიქცა, მაგრამ გზად მთებში გაიყინა. გოცატალში დაბრუნებულმა ჰამზათ ბეიმ შვილის დალუპვის ამბავი რომ გაიგო, რუსები სამშობლოსა და მისი ოჯახის მტრებად გამოაცხადა და ფიცი დადო, რომ შვილის დალუპვისათვის შურს იძიებდა.

საპყრტობილიდან გათავისუფლების შემდეგ ჰამზათ ბეი ხშირად სტუმრობდა ყაზი ყუმუხის მმართველ გენერალ ასლან ხანს. სტუმრობის მიზანი მარტო მადლიერების გამოხატვა არ იყო. ჰამზათ ბეი და ასლან ხანი დიდხანს საუბრობდნენ ხოლმე ავარიის სახანოსა და გარდაცვლილი ხანის მცირეწლოვანი ვაჟების ბედის შესახებ. ასლან ხანი მტრულად იყო განწყობილი ავარიის ხანის ქვრივის, ფახუ ბიკეს, მიმართ, რადგან ამ უკანასკნელმა პირობა დაარღვია და თავისი ულამაზესი ქალიშვილი ცოლად არ მიათხოვა ასლან ხანის ვაჟს. ასლან ხანმა ჰამზათ ბეი ციხიდან იმიტომ გაათავისუფლებინა, რომ იგი ავარიის ხანის ქვრივისა და მისი მცირეწლოვანი ვაჟების წინააღმდეგ გამოეყენებინა. მასპინძელი ჰამზათ ბეის საუბრისას აგრძნობინებდა, რომ იგი ავარიის ხანი გახდებოდა, თუ ფახუ ბიკესა და მისი შვილების დახოცვაში დაეხმარებოდა. ასლან ხანი და ჰამზათ ბეი შეთანხმდნენ და დასახული გეგმის განხორციელებისათვის შესაფერის დროს დაელოდნენ.

ჭარ-ბელაქნიდან დაბრუნებული ჰამზათ ბეი იმამ ყაზი მოლას ლაშქარს შეუერთდა და რუსების წინააღმდეგ რამდენიმე ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. ამის შემდეგ იგი გოცატალში დაბრუნდა და იქვე დარჩა გიმრზე რუსების ლაშქრობამდე. სწორედ გოცატალში შეიტყო ჰამზათ ბეიმ რუსების მიერ გიმრის აღებისა და იმამ ყაზი მოლას დალუპვის ამბავი. ჰამზათ ბეიმ მიურიდებს ყაზი მოლას დანყებული საქმის გაგრძელებისაკენ მოუწოდა. შემდეგ იგი ეახლა მთელ დაღესტანში ცნობილ შეიხ მუჰამედს. მალე შეიხმა მოუწოდა დაღესტნის ყველა თემს, ყველა ყადს, შეკრებილიყვნენ აულ კორადოში, რათა უმნიშვნელოვანესი საკითხები გადაეჭრათ.

შუადღისას კორადოში თავი მოიყარეს ყადებმა, თემების მამა-სახლისებმა, სხვა საპატივცემულო ადამიანებმა. მალე აულში მიურიდების დიდი რაზმის თანხლებით შევიდა ჰამზათ ბეი. მეჩეთში აუცილებელი რიტუალის შესრულების შემდეგ ჰამზათ ბეიმ გზნებარე სიტყვა წარმოთქვა: "ყაზი მოლამ მე თავის მონაცვლედ გამომარჩია. ბრძენმა შეიჰმა მუჰამედმა მირჩია იმამის მემკვიდრე ვიყო. მამ ასე, მართლმორწმუნეებო, მე ვაცხადებ, რომ თქვენი იმამი ვარ!" იმამად გამოცხადების შემდეგ ჰამზათ ბეიმ დალესტინის აულები შემოიარა და საღმრთო ომისაკენ მოუწოდა მოსახლეობას. იმამი მალე ძალზე პოპულარული გახდა, რამაც ჰამზათ ბეის გადაწყვეტინა, რომ ავარიის დაუფლებისათვის ბრძოლა უნდა დაენყო. ყაზი მოლასთან გამოცხადდა შამილი. იმამი გრძნობდა, რომ შამილი მისი კონკურენტი იყო და იგი ცივად მიიღო. მიუხედავად ამისა, შამილმა იმამი დაარწმუნა, რომ მისი ერთგული თანამებრძოლი იქნებოდა.

1834 წლის აგვისტოში იმამი ჰამზათ ბეი 10.000 მებრძოლით აულ ხუნძახს შემოადგა. ხუნძახის ციხეში იმჟამად იმყოფებოდა ქვრივი დედოფალი ფახუ ბიკე და მისი მცირეწლოვანი ვაჟები აბუ ნუცალ ხანი და უმა ხანი. მესამე ძმა ბულაჩ ხანი მძევლად ჰყავდა ჰამზათ ბეის და იმხანად ხუნძახში არ იმყოფებოდა. ჰამზათ ბეიმ ძმები მოსალაპარაკებლად თავის ბანაკში მიიწვია. ჰამზათ ბეი ფახუ ბიკეს აღზრდილი იყო და რომ არა შამილი, ალბათ ხანის ვაჟებს ვერაგულად არც დახოცავდა. ავარიის ხანის ვაჟების ბედი შამილის დაჟინებულმა მოთხოვნამ გადაწყვიტა. შამილი ჰამზათ ბეის არწმუნებდა, რომ ძმების დახოცვის შემდეგ ავარიის ხანთა დინასტია შეწყდებოდა. ჰამზათ ბეი დიდხანს არ ეთანხმებოდა შამილს, ეს უკანასკნელი კი იმამს არწმუნებდა, რომ ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა და ძმები დაეხოცა. იმამი მაინც მერყეობდა. შამილმა აღარ დაახანა, მკვლევები შეარჩია და აბუ ნუცალ ხანი და უმა ხანი სიკვდილით დაასჯევინა. ხანის ვაჟების მცველმა რაზმმა ხელი გამოიღო და დაახლოებით 40 მომხდური დახოცა, მათ შორის ჰამზათ ბეის ძმა და ქვისლი. შამილმა ეს უკანასკნელები წინასწარგანზრახვით დანიშნა იმ მებრძოლების უფროსებად, რომელთაც

ავარიის ხანის ვაყები უნდა დაეხოცათ. შამილი სავსებით სწორად ვარაუდობდა, რომ ამ ვერაგული მკვლელობის შემდეგ ჰამზათ ბეი ავარიში პოპულარობას დაკარგავდა და ხანის ნათესავეები იმამს მოსისხლე მტრებად ექცეოდნენ. შამილის ვერაგული გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა, რადგან ცოცხალი გადარჩა ავარიის ხანის უმცროსი ვაჟი ბულაჩი, რომელიც ცოტა ხნით ადრე ჰამზათ ბეიმ მძევლად წაიყვანა და მისი ნათესავის იმან ალის მეთვალყურეობით აულ გოცატალში ცხოვრობდა. შამილმა გადაწყვიტა ბულაჩ ხანიც მოეკლა. ამჯერად იგი ჰამზათ ბეის არწმუნებდა, რომ საქმე ბოლომდე მიეყვანა და უკანასკნელი მემკვიდრეც გზიდან ჩამოეცილებინა. ხუნძახში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების დროს იმამმა ჰამზათ ბეიმ აშკარად იგრძნო, რომ შამილი შეეცდებოდა, თვითონ ის ჩამოეცილებინა გზიდან.

ავარიის ხანის შვილების დახოცვის შემდეგ იმამი ჰამზათ ბეი საცხოვრებლად ხუნძახში დარჩა. მალე იმამი ხანის სასახლეში გადავიდა საცხოვრებლად, რამაც ავარიელები კიდევ უფრო გააბოროტა. ჰამზათის მიმართ განსაკუთრებული სიძულვილით გამოირჩეოდნენ ავარიის ხანის ნათესავეები და მათი მომხრეები. ეს კარგად გამოიყენა შამილმა, ხანის ოჯახის ნათესავეებს საიდუმლოდ დაუკავშირდა და მალე მთელი ავარია ჰამზათ ბეის წინააღმდეგ განაწყობდა. შეთქმულების სათავეში ზოსმან ზოულ ჰაჯი და მისი ორი შვილიშვილი, ოსმანი და ჰაჯი მურატი, იდგნენ.

1834 წლის 19 სექტემბერს ჰამზათ ბეის, როგორც იმამს, ლოცვა უნდა აღევლინა ხუნძახის მეჩეთში. შეთქმულებმა იმამის მკვლელობა სწორედ ამ დღეს დაგეგმეს. ჰამზათ ბეის თანამებრძოლებმა როგორღაც შეიტყვეს მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ და წინა დღით იმამს აცნობეს. უერთგულეს მიურიდს, რომელმაც ჰამზათ ბეის ეს ამბავი მიუტანა, იმამმა ასეთი კითხვით მიმართა: "შეგიძლია შეაჩერო ანგელოზი, თუ იგი შენი სულისათვის მოვა?" უარყოფითი პასუხის მიღების შემდეგ იმამმა მიურიდს უთხრა: "რაც ალაჰის მიერაა განსაზღვრული, მას თავიდან ვერ აიცილებ." მართლაც, 19 სექტემბერს ერთ-ერთმა შეთქმულმა იმამი ჰამზათ ბეი მეჩეთში ხანჯლით მოკლა. მისი შიშველი სხეული ოთხი დღე

მეჩეთის ახლოს ეგდო.

ჰამზათ ბეის მკვლელობის დღეს შამილი ხუნძახში არ იმყოფებოდა. შეიტყო თუ არა მომხდარი, შამილმა თავი დალესტინისა და ჩეჩნეთის იმამად გამოაცხადა.

4. იმამი შამილი. ჰაზავათის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაკავშირებულია მესამე იმამის, შამილის – **შამილ მუჰამედ ტაჰირ ალ კარაჰის** – სახელთან.

შამილის მოღვაწეობის დასაწყისი. შამილი დაიბადა, ერთი ცნობით, 1797 წელს, ხოლო მეორე ცნობით, 1798 წელს დალესტინის აულ გიმრში. მამა – ავარიელი მჭედელი **დენგავ მუჰამედი** იყო, დედა – ავარიელი ბეების შთამომავალი **ჰირბუდაჰი**. ერთი ცნობით, შამილის წინაპრები მამის მხრიდან **ყუმუხები** იყვნენ. ფიზიკურად ძლიერმა შამილმა სულიერი წრთობა ყაზი მოლასთან ურთიერთობაში შეიძინა. ყაზი მოლა არ მალავდა, რომ ჰამზათ ბეისაგან შედარებით, შამილი ჰაზავათისათვის უფრო თავდადებული მებრძოლი იყო. ცხადია, ეს ძალზე აღიზიანებდა ჰამზათ ბეის. ყაზი მოლას გიმრში არყოფნის დროს უმნიშვნელოვანეს საკითხებს შამილი ნყევტდა. რუსების მიერ გიმრის აღებისას მიღებული ქრილობის შემდეგ შამილი 25 დღის განმავლობაში სიკვდილს ებრძოდა და ბოლოს მაინც გამოჯანმრთელდა. ჰამზათ ბეის იმამად გახდომის შემდეგ შამილი დიდი გავლენით აღარ სარგებლობდა, თუმცა იმამი მას ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას ავალებდა, როგორც იყო ჯარის შეკრება და ჯარის სურსათითა და ტყვია-წამლით მომარაგება. იყო შემთხვევები, როცა ჰამზათ ბეიმ შამილი რუსების წინააღმდეგ გაგზავნილი სამხედრო ექსპედიციის მეთაურადაც დანიშნა.

შამილის არჩევა იმამად. როგორც ვთქვით, ჰამზათ ბეის მკვლელობის დღეს შამილი ხუნძახში არ ყოფილა, იგი თავის სოფელ გიმრში იმყოფებოდა. შეიტყო თუ არა იმამის მკვლელობის ამბავი, დალესტინის თემების მამასახლისებს, ყადებსა და ყველა გავლენიან პირს ჰამზათ ბეის მკვლელობა ამცნო და **არაქ-თაუს** მთაზე მიიწვია. ორი დღის შემდეგ მიწვეულები მრავალრიცხოვანი ამალით დათქმულ ადგილას გამოცხადდნენ. პრაქტიკულად, ეს იყო დალ-



შამილი (1834-1859)

ესტნის სახალხო საბჭო, რომელსაც იმამი უნდა აერჩია. შამილს კონკურენტი არ ჰყავდა, მას შეერებილთა აბსოლუტური უმრავლესობა უჭერდა მხარს. თავდაპირველად შეთავაზება შამილმა არ მიიღო და თანხმობა მხოლოდ კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ განაცხადა. დალესტნისა და ჩეჩნეთის იმამი შამილი არაქ-თაუს მთიდან პირდაპირ დალესტნის აულ უნცუყულისაკენ გაემართა, სადაც ლაშქარი უნდა შეეკრიბა ხუნძახზე გასალაშქრებლად.

ლაშქრობა აულ ხუნძახზე. შამილმა ხუნძახზე გალაშქრება იმისთვის გადაწყვიტა, რომ ავარიის ხანის უმცროსი ვაჟი, ბულაჩ ხანი, მოეკლა და ამით საბოლოოდ გაეტეხა ავარიელთა წინააღმდეგობა. იგი ვარაუდობდა, რომ ბულაჩ ხანის მოკვლის შემდეგ ავარიელებს სხვა აღარაფერი დარჩებოდათ, გარდა მორჩილების გამოცხადებისა, რადგან ხანის არც ერთი მემკვიდრე უკვე ცოცხალი აღარ იქნებოდა. შამილმა იცოდა, რომ ხანის ოჯახის ამონყვეტას ავარიელები ჰამზათ ბეის აბრალეებდნენ, ხოლო შამილი ჰამზათ ბეის მკვლელობის ორგანიზატორად მიაჩნდათ. ამას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ავარიელთა გულის მოგებისათვის. თუ გამჟღავნდებოდა, რომ შამილი ხანის ოჯახის ამონყვეტაში ჰამზათ ბეიზე უფრო დიდი დამნაშავე იყო, ავარიელები მას მტრად შერაცხდნენ, ამიტომ იყო, რომ იმამი ხუნძახზე გალაშქრებას ჩქარობდა. ჰამზათ ბეის მკვლელობის შემდეგ ავარიის სახანოს განაგებდა იმამის მკვლელობის ორგანიზატორ ოსმან ზიულ ჰაჯის შვილიშვილი, ხანის ოჯახის სისხლისმიერი ნათესავი ჰაჯი მურატი. ჰაჯი მურატმა და მისმა ძმამ, ოსმანმა, სრული მორჩილება გამოუცხადეს შამილს. მალე ცნობილი გახდა ავარიის სახანოს მიმართ იმამის მიერ ჩაფიქრებული ვერაგული გეგმის ზოგიერთი დეტალი, რამაც ჰაჯი მურატის პოზიცია კარდინალურად შეცვალა.

ხუნძახზე ლაშქრობის დაწყებამდე შამილი მიურიდების ძლიერ რაზმთან ერთად აულ გოცატალის ახლოს დაბანაკდა, სადაც ჰამზათ ბეის ბიძის, იმან ალის, მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრობდა ხუნძახიდან მძევლად წამოყვანილი ავარიის ხანის უმცროსი ვაჟი ბულაჩ ხანი. შამილმა იმან ალის ბულაჩ ხანისა და ჰამზათ ბეის მიერ დატოვებული მთელი სიმდიდრის გადაცემა მოსთხოვა. იმან

ალიმ შამილს სიმდიდრე დაუყოვნებლივ გადასცა, მაგრამ ბულაჩ ხანის გადაცემაზე უარი შეუთვალა. იმან ალიმ უარი ასე ახსნა: ჩემი შვილი, ჩოფან ბეი, ავარიის ხანის ორი შვილის მკვლელობაში მონაწილეობდა და ხანის შვილების მკვლელებმა სასიკვდილოდ დაჭრეს. დაჭრილი შვილი გოცატალში მოიყვანეს და ჩემს ხელში დალია სული. სიკვდილის წინ მან ხანის შვილების დახოცვა მოინანია და მთხოვა, გადაემერჩინა ავარიის ხანის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ბულაჩ ხანი. გაბრაზებული შამილი იმან ალის დაემუქრა. ცხადია, იმან ალი შამილსა და მის მიუზღებებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. იმამმა გამოაცხადა, რომ ბულაჩ ხანის მოკვლა მან ხუნძახელების მიერ ჰამზათ ბეის მკვლელობის გამო გადაწყვიტა, თუმცა ყველამ იცოდა, რომ ნამდვილი მიზეზი სულ სხვა იყო. მოგვიანებით, შამილის ბრძანებით, ბულაჩ ხანი ავარიის სახანოს ტერიტორიაზე ციცაბო კლდიდან მდინარეში გადააგდეს. ბულაჩ ხანის ვერაგულმა მკვლელობამ ავარიელები სამკვდროსასიცოცხლოდ დააპირისპირა შამილთან. შამილის მტრად იქცა ავარიის ხასანოს მმართველი ჰაჯი-მურატი. ყოველივე ეს კი იმით დამთავრდა, რომ ავარიის სახანო რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შევიდა.

გიმრის გადანვა რუსების მიერ. 1834 წელს ხუნძახზე სალაშქროდ დაძრულ შამილს ავარიელებმა მორჩილება განუცხადეს, მაგრამ ფარულად ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ჯარის სარდლობას დაუკავშირდნენ და წინადადება მისცეს, შამილის წინააღმდეგ ერთობლივად ემოქმედათ. კერძოდ, ავარიელები რუსებს სთავაზობდნენ ესარგებლათ შამილის ხუნძახზე ლაშქრობით და შამილის მშობლიური აული გიმრი დაეკავებინათ. რუსების ჯარი მართლაც შეიჭრა გიმრში და მთელი აული გადანვა. იმამის დაუძინებელ მტერს, რუსების სამსახურში შესულ ულუ ბეის პირადად გადაუწვავს შამილის სახლი. შეიტყო თუ არა გიმრის დაკავების ამბავი, გაბოროტებულმა შამილმა ხუნძახზე ლაშქრობა სასწრაფოდ შეწყვიტა და მიურიდთა ძლიერი რაზმით გიმრისაკენ დაიძრა. იმამმა გიმრში რუსებს ველარ მიუსწრო. აულის გადანვის შემდეგ რუსეთის ჯარი თემირ-ხან-შურში (დალესტანი) დაბრუნდა.

შამილი აშილტაში. გიმრში მისულ შამილს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა, – მოეკლა ულუ ბეი. გიმრის მოსახლეობის თანდასწრებით შამილმა ხანჯლით პირადად მოჰკვეთა თავი თავის მოსისხლე მტერს და შეკრებილთა გასაგონად ხმამაღლა განაცხადა: „ამიერიდან ყველა მოღალატეს ასეთი ბედი ელის!“ გიმრში მყოფ იმამს საფრთხე ელოდა, რადგან რუსეთის ჯარის ძლიერი რაზმი არცთუ ისე შორს, თემირ-ხან-შურში, იყო დაბანაკებული. თანამებრძოლებმა შამილს ურჩიეს, სადმე შორეულ აულში გადაეტანა თავისი რეზიდენცია. იმამმა ახალ სამყოფლად დალესტნის აული აშილტა შეარჩია. აშილტაში გადასვლისთანავე შამილმა ცეცხლითა და მახვილით დაიწყო ადათების აღმოფხვრა და შარიათის დამკვიდრება. აშილტელები იმამის ნებას დაემორჩილნენ, მალე შამილმა შარიათის აღიარება სხვა აულებსაც მოსთხოვა. აულების უმრავლესობამ იმამის მოთხოვნა შეასრულა. წინააღმდეგობა მხოლოდ დალესტნის აულ უნცუყულის მცხოვრებლებმა გასწიეს. რუსების მხარდაჭერით გათამამებულმა უნცუყულებმა არა მარტო ადათები არ დათმეს, რამდენჯერმე ილაშქრეს კიდევ აშილტაზე. მეტიც, მათ აშილტელებს შესთავაზეს, შამილი ან მათთვის გადაეცათ, ან აულიდან განედევნათ. აშილტელებმა იმამს არ უღალატეს, თუმცა შამილთან აულის წარმომადგენელი გაგზავნეს და უნცუყულებების მოთხოვნები აცნობეს. შუამავალმა იმამს შემდეგი მოახსენა: ჩვენმა ყადმა აულის მცხოვრებთა შეკრებაზე თქვენი აშილტადან გაძევება გვირჩია, რადგან სანამ თქვენ აულში ხართ, ჩვენს უბედურებას ბოლო არ მოეღება. შამილმა ყადი თავისთან დაიბარა და მათ შორის ასეთი გაიმართა:

შამილი: – მართლა ურჩიე შენ ხალხს ჩემი აშილტადან გაძევება?

ყადი: – დიახ, მე ვურჩიე შენი გაძევება, რადგან თქვენ გამო აშილტას მარჯვნიდან თავს ესხმიან ხუნძახელები, მარცხნიდან – უნცუყულები და ყოისუელები, ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც თქვენ მოველინეთ ჩვენს აულს, ყოველი მხრიდან უბედურება დაგვატყდა თავს.

შამილი: – მისმინე, ურწმუნოები რომ თავს დასხმოდნენ სტ-

ამბოლს და მოსახლეობისაგან სულთნის გადაცემა ან მისი ქალაქიდან გაძევება მოეთხოვათ, შენ ნებას მისცემდი მათ, სულთანი ან ურნმუნოებისათვის გადაეცათ ან ქალაქიდან გაეძევებინათ და ამას სისხლისღვრის თავიდან აცილებით და ქალაქში სიმშვიდის შენარჩუნებით გაამართლებდი?!

ყადი: არა, მე ამის უფლებას არ მივცემდი!

შამილი: – ძაღლო, ამიერიდან იცოდე, მე ისეთივე იმამი ვარ, როგორც სულთანია!

მიუხედავად პრინციპული პოზიციისა, შამილმა დროებით მაინც უარი თქვა შარიათის დანერგვაზე, თუმცა საბოლოოდ მიზნის განხორციელებაზე ხელი არ აუღია. 1835 წელს იმამი გენერალ ნიკოლაი რიადს სწერდა: „არ იფიქროთ, რომ შარიათის სხივი ჩაქრა. არა! შარიათის სხივი ჩაუქრობელია და იგი მალე მოედება ყველა აულსა და ტომს. შეიგნეთ ეს!“

მიუხედავად რადიკალური ღონისძიებებისა, შამილმა ჩრდილო კავკასიაში შარიათი ვერ დაამკვიდრა. შამილის ძლიერების ზენიტში ყოფნის პერიოდშიც კი ბევრი აული არ ცნობდა შარიათს და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ადათების მიხედვით წარმართავდა. იმ აულებშიც კი, სადაც ფორმალურად შარიათი მიიღეს, შამილის დამარცხების შემდეგ კვლავ ადათები აღდგა.

შამილის ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასთან. დაღესტანში პოზიციის განმტკიცების შემდეგ, 1835-1836 წლებში, ჰაზავათს დაუჭირა მხარი და შამილს მორჩილება დაუდასტურა ჩეჩნეთის უმრავლესმა აულმა. შამილის მიერ ჩრდილო კავკასიაში ახალი სახელმწიფოს, იმამატის, შექმნა, ცხადია, ყოველად მიუღებელი იყო რუსეთის იმპერიისათვის. მიუხედავად ამისა, თავისი მოღვაწეობის დასაწყისში იმამი შამილი რუსეთის მეგობრად წარმოადგენდა თავს. ამ დროისათვის ჩრდილო კავკასიის ნაწილი, მაგალითად, ტარკის საშამხლო და ხუნძახის სახანო, რუსეთის ქვეშევრდომობაში იყო შესული, თუმცა შამილი არ ერიდებოდა იქ ლაშქრობებს. რუსი გენერლებისათვის გაგზავნილ წერილებში შამილი ამ ლაშქრობების მიზნად ტერიტორიების დაპყრობას კი არ ასახელებდა, არამედ – მოსახლეობაში ჭეშმარიტი რწმენის(ისლამის) განმტკიცებას. იმავე

ნერილებიდან კარგად ჩანს, რომ შამილი დალესტინისა და ჩეჩნეთის ერთადერთ მფლობელად მიიჩნეოდა თავს. იმამი რუსეთის ხელისუფლებას სთხოვდა, ხელი არ შეეშალა ჩრდილო კავკასიაში შარიათის დამკვიდრებისათვის. ცხადია, როგორც პეტერბურგში, ისე თბილისში კარგად ხვდებოდნენ, რომ ყაზი მოლასა და ჰამზათ ბეის საქმის გამგრძელებელი ქრისტიანების წინააღმდეგ ჰაზავათის (სალეთო ომის) გაჩაღებას აპირებდა. 1836 წელს შამილმა ავარიის (ხუნძეთის) სახანო დაიკავა, მაგრამ როგორც კი შეიტყო, რომ გენერალი რეუტი დიდი ჯარით მის წინააღმდეგ დაიძრა, ავარია (ხუნძეთი) დატოვა და ჯარიც დაშალა.

გენერალ კარლ ფეზის სამხედრო ექსპედიცია ავარიაში (ხუნძეთში). შამილი ხვდებოდა, რომ ჩრდილო კავკასიაში მისი ძალაუფლების გავრცელება ძნელი იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ დამსჯელი ექსპედიციების მოწყობასთან ერთად სხვა გზებითაც ცდილობდა გავლენის მოპოვებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1836 წელს მისი ქორწინება მოკლული იმამის, ჰამზათ ბეის, ქვრივზე. ამ ქორწინებამ დადებითი შედეგი გამოიღო. ავარიის სახანოს რამდენიმე თემმა შამილი იმამად ცნო. შამილი მიიჩნევდა, რომ ავარიაში მისი გავლენა მაინც სუსტი იყო. ავარიელების მიმხრობის მორიგ მცდელობას წარმოადგენდა შამილის დაპირება, რომ შურს იძიებდა ჰამზათ ბეის მკვლელებზე. მიუხედავად იმისა, რომ ავარიელებმა, კერძოდ, ხუნძახელებმა კარგად იცოდნენ ჰამზათ ბეის მკვლელობაში შამილის მონაწილეობის შესახებ, იმამის იმედი ჰქონდა, რომ ეს ნაბიჯი თავის ნაყოფს გამოიღებდა. ამ შემთხვევაში იმამი აშკარად შეცდა, ავარიელებმა მისი არ ირწმუნეს და მეხთის ხან აჰმედის რჩევით ჩრდილოეთ დალესტანში რუსეთის ჯარების მეთაურს, გენერალ კარლ ფეზის სახანოში რუსეთის ჯარების შეყვანა სთხოვეს. გენერალმა ფეზიმ ავარიაში ჯარის დაუყოვნებლივ შეყვანისაგან თავი შეიკავა. მას შემდეგ, რაც ავარიის სახალხო კრებამ გენერალს მეორედ სთხოვა ჯარის შეყვანა, 1837 წლის 7 მაისს რუსეთის ჯარი აულ თემირ-ხან-შურიდან (დალესტანი) აულ ხუნძახისაკენ (ავარია) დაიძრა. გენერალ ფეზის დაქვემდებარებაში იყო: ქვეითთა 8 ბატალიონი, კაზაკთა 3

ასეული და 18 ზარბაზანი. რუსეთის ჯარი ავარიის ცენტრ ხუნ-
დახში შევიდა. გენერალ ფეზისთან ხუნდახში გამოცხადდნენ მეხ-
თის ხანი აჰმედი და ყაზიყუმუხის ხანი მუჰამედ მირზა. გენერალმა
ფეზიმ ხუნდახში ორი ასეული დატოვა და ძირითადი ძალებით აულ
აშლტასა და აულ აჰულგოსაკენ დაიძრა, სადაც შამილის რეზი-
დენცია და ოჯახი იმყოფებოდა. დიდი დანაკარგის მიუხედავად,
რუსებმა ორივე აული დაიკავეს. ამის შემდეგ გენერალი ფეზი აულ
თილითლოსაკენ დაიძრა, სადაც შამილი იყო გამაგრებული. 1837
წლის 4-5 ივნისს რუსებმა აულის მისადგომები დაიკავეს და გადამ-
წყვეტი შტურმისათვის მოემზადნენ. შტურმის დაწყებამდე გენერ-
ალ ფეზისთან გამოცხადდა შამილის წარმომადგენელი და იმამის
სახელით მოლაპარაკება დაიწყო. 7 ივნისს შამილი მუჰამედ მირზა
ხანის ბანაკში გამოცხადდა და ყურანზე დაიფიცა, რომ ამიერიდან
ლაშქრობებს შეწყვეტდა და აღარავის დამორჩილებას ეცდებოდა.
იმამი თანახმა იყო, მაგომედ მირზა ხანისათვის მძევლებიც მიეცა.

შამილის მოლაპარაკება რუსებთან. იმავდროულად შამილმა
წერილი გაუგზავნა გენერალ-მაიორ კარლ ფეზის და პირობა მის-
ცა, რომ აღარასდროს დაარღვევდა რუსეთთან დადებულ ზავს.
იმამი ითხოვდა, რომ ორივე მხარეს დაევიწყებინა ძველი წყენა და
ამიერიდან ერთმანეთისათვის მიცემული სიტყვა აღარ დაერღვი-
ათ. გენერალმა ფეზიმ შამილის დანაპირები ირწმუნა და ლაშქრობა
შენწყვიტა. პეტერბურგსა და თბილისში შამილის წერილს იმდენად
დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, რომ შესაძლებლად მიიჩნიეს იმამ
შამილის შეხვედრა რუსეთის იმპერატორ ნიკოლაი I-თან. იმამი იმ-
პერატორთან უნდა გამოცხადებულიყო ნიკოლაი I-ის კავკასიაში
მოგზაურობის დროს. ეს მოგზაურობა მალევე, 1837 წელს, იყო
დაგეგმილი. შამილთან მოლაპარაკება კავკასიის მეფისნაცვალმა
გენერალ კლიუკი ფონ კლიუგენაუს დაავალა. წინასწარი შეთანხ-
მების მიხედვით, შამილი და კლიუგენაუ მცირე რაზმების თანხ-
ლებით აულ გიმრში შეხვდნენ ერთმანეთს. კლიუგენაუ შამილს
მიუახლოვდა და ხელი გაუნოდა, მაგრამ იმამმა რუსეთის წარ-
მომადგენელს ხელი არ ჩამოართვა. მოლაპარაკება ასეთი არასა-
სიამოვნო ფაქტით დაიწყო. კლიუგენაუ იმამს არწმუნებდა, რომ

აუცილებლად უნდა შეხვედროდა რუსეთის იმპერატორს, რომელიც მას დიდი პატივით მიიღებდა, ყურადღებასა და ნყალობას არ მოაკლებდა. შამილი იმპერატორთან შეხვედრის სასტიკი წინააღმდეგი იყო და აცხადებდა, რომ ყოველი ასეთი ღონისძიება მისი თავისუფლების ხელყოფას ნიშნავდა: "მე გადავწყვიტე შეხვედრაზე არ წავიდე, იმიტომ, რომ მრავალჯერ ვიხილე თქვენი მხრიდან ლალატი." კლიუგენაუ მიხვდა, რომ მოლაპარაკების გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და წამოდგა. სწორედ ამ დროს შამილის ერთ-ერთი თანამებრძოლი ახვერდი მუჰამედი, რომელიც, მიურიდებით გარშემორტყმული, მღეროდა, იმამს მიუახლოვდა და შეჩერდა, ახვერდი მუჰამედის მოძრაობამ გენერალი გააკვირვა, თუმცა საშიში მასში ვერაფერი დაინახა. გენერალმა შამილის ბიძას, ბართი ხანს, მიმართა:

კლიუგენაუ – ძვირფასო, რაო, ხელში ჩამიგდეთ?

ბართი ხანი (ლიმილით) – თქვენ როგორ ფიქრობთ?

კლიუგენაუ – ნუთუ თქვენ ფიქრობთ მოლალატურად მომექცეთ?

ბართი ხანი – არა!

კლიუგენაუ – თუ თქვენ, ველურებს, გსურთ მე პატიოსნად მომეპყრათ, მაშინ როგორ ბედავს შამილი, იფიქროს, რომ ჩვენ, რუსები, ცივილიზებული ადამიანები, მას უღირსად მოვექცევით?

გამომშვიდობებისას გენერალმა კლიუგენაუმ შამილს კიდევ ერთხელ გაუწოდა ხელი, ბართი ხანის რჩევით, იმამი მზად იყო ხელი გაეწოდებინა გენერლისათვის. მოულოდნელად იმამსა და გენერალს შორის ჩადგა ახვერდი მუჰამედმა და შამილს მიმართა: წესი არ არის და ცოდვაცაა, რომ იმამი ურწმუნოს ხელს შეეხოს. კლიუგენაუმ ნათქვამი თარგმნის გარეშეც გაიგო, სასტიკად გაცხარდა, ფეხები დააბაკუნა, ყვირილი დაიწყო, მაგრამ იმდენად გაუგებრად, რომ მხოლოდ სიტყვების: "სულელის" და "ძალლის" გარჩევა შეიძლებოდა. გენერლის სიტყვებიც თარგმნის გარეშე გაიგო შამილმა და გაბრაზებულმა იქვე მდგომ მიურიდებს მიმართა: "სასწრაფოდ მომაშორეთ ეს ღორი, თორემ საქმე ცუდად წაუვა!" ასე დასრულდა მოლაპარაკება. მოგვიანებით შამილი

იგონებდა: ახვერდი მუჰამედი, რომ ჩემსა და კლიუგენაუს შორის ჩადგა, გენერლის ადიუტანტმა, ევდოკიმოვმა (შემდეგში ჩეჩნეთსა და დაღესტანში შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელგანთქმულმა გენერალმა ნიკოლაი ევდოკიმოვმა – ვ.გ.) ბუდიდან დინჯად ამოიღო დამბაჩა, ყურადღებით შეამონმა, გატენილი იყო თუ არა და ისევ ბუდეში დააბრუნა. ამის შემხედვარე შამილს გაუფიქრებია: "ეს მამაცი ადამიანი თავს ისახელებს!" იმამის წინასწარმეტყველება გამართლდა, როგორც ავლნიშნეთ, გენერალი ევდოკიმოვი დიდხანს ებრძოდა შამილს და მისი დატყვევების მონაწილედ იყო. ასე უშედეგოდ დამთავრდა გენერალ კარლ ფეზის სამხედრო ექსპედიცია და შამილთან მოლაპარაკება. უამრავი რუსი ოფიცრისა და ჯარისკაცის სისხლის ფასად გენერალმა ფეზიმ მხოლოდ იმას მიაღწია, რომ თემირ-ხან-შურასა და ხუნძახს შორის მუდმივი მიმოსვლა დაიწყო.

1839 წლის სამხედრო ექსპედიცია. 1837 წლის ბოლოს კავკასიის მთავარსარდალად ევგენი გოლოვინი (1837-1842) დაინიშნა. იგი თბილისში 1838 წლის მარტში ჩამოვიდა. ამ დროისათვის ჰაზავათი ძალას იკრებდა, რაც შამილის წინააღმდეგ სასწრაფო და გადამჭრელი ღონისძიებების გატარებას ითხოვდა. მიუხედავად ამისა, პეტერბურგში თვლიდნენ, რომ უპირველეს ამოცანას დასავლეთ კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, დამკვიდრება წარმოადგენდა. რუსები ზედიზედ იკავებდნენ ზღვის სანაპიროზე არსებულ სტრატეგიულ პუნქტებს, საბრძოლო მოქმედებებს პირადად კავკასიის მთავარსარდალი ხელმძღვანელობდა. რაც შეეხება აღმოსავლეთ კავკასიას, აქ სამხედრო ექსპედიციები მხოლოდ ყუბის სახანოს ტერიტორიაზე იგზავნებოდა. ყუბაში დაწყებული აჯანყება 1837 წელს გენერალმა კარლ ფეზიმ ჩაახშო. შამილმა შესანიშნავად ისარგებლა დასავლეთ კავკასიაში რუსეთის ჯარების გადასროლით და აქტიურად დაიწყო მზადება რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველ რიგში, იმამმა დაღესტნის აულ აჰულგოს გარშემო სიმაგრეების მშენებლობა დაიწყო. სულ მოკლე დროში აჰულგო მიუვალ სიმაგრედ იქცა ტყვია-ნამლისა და სურსათის სერიოზული მარაგით.

1839 წლის დამდეგს შამილი 5.000-იანი ჯარით შეიჭრა ავარიის სახანოს ტერიტორიაზე და რამდენიმე აული დაარბია, რის შემდეგაც ჯარით ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შევიდა, რათა საღვთო ომის გაჩაღებისათვის შეენყო ხელი. ჩეჩნეთში რამდენიმე სიმაგრე ააგეს. შამილმა იცოდა, რომ ჩეჩნეთის ბარში რუსებს ვერ დაუმაგრდებოდა, ამიტომ მოსახლეობა ბარიდან მთებში გახიზნა. ჩეჩნეთის ბევრ აულში შამილმა შარიათის დანერგვა შეძლო. ამ პერიოდში შამილის უახლოესი თანამებრძოლები იყვნენ: სურჰაი, ალი ბეი, ახვერდი მუჰამედი და სხვები. 1839 წლისათვის შამილს ჩეჩნეთის აულების უმრავლესობა უსიტყვოდ ემორჩილებოდა. იმამის გაძლიერება და მისი ავტორიტეტის ზრდა სერიოზულად აფიქრებდა რუსეთის ხელისუფლებას. 1839 წლის გაზაფხულზე ორი დიდი სამხედრო ექსპედიცია გაიგზავნა მთიან დაღესტანსა და ჩეჩნეთში. პირველ ექსპედიციას (სამურის რაზმს), რომელიც დაღესტანში შეიჭრა, სათავეში პირადად კავკასიის მეფისნაცვალ ივანე გოლოვინი ედგა. მეორე ექსპედიციას (ჩეჩნეთის რაზმს), რომელსაც ჩეჩნეთის ტერიტორიაზე უნდა ემოქმედა, გენერალი პაველ გრაბე მეთაურობდა. გენერალ გრაბეს უშუალოდ შამილის წინააღმდეგ უნდა ემოქმედა, რომელიც იმხანად ჩეჩნეთის ტერიტორიაზე იმყოფებოდა. სამურის რაზმმა წარმატებით განავითარა შეტევა, გოლოვინმა დაიკავა დაღესტნის აულები: ახტი და სამური, აღმა აუყვა მდინარე სამურის ხეობას, გადმოლახა კავკასიონის მთავარი ქედი და ჭარ-ბელაქანში დაბანაკდა. ჩეჩნეთის რაზმის წინააღმდეგ შამილს ჯარი არ გაუგზავნია. იმამმა გადაწყვიტა გენერალ გრაბესთან ბრძოლაში არ ჩაბმულიყო და დაღესტნის კარგად გამაგრებულ აულ აჰულგოში დახვედროდა მტერს. აჰულგოსაკენ მიმავალ გზაზე მთიელებმა რამდენიმე სიმაგრე ააგეს. გენერალმა გრაბემ გადაწყვიტა კარგად მომზადებულიყო აჰულგოზე შეტევისათვის და, როდესაც სამხედრო ექსპედიციის ზურგს სათანადოდ უზრუნველყოფდა, მხოლოდ მაშინ გადასულიყო შეტევაზე. 1839 წლის 9 მაისს გენერალ გრაბეს რაზმი ვნეზაპნაიას სიმაგრიდან (ჩეჩნეთი) აჰულგოსაკენ (დაღესტანი) დაიძრა. რუსების არიერგარდმა პოლკოვნიკ ლაბინცოვის მეთაურობით ჩეჩნები დაამარცხა და

უკან დაახევინა. გენერალმა გრაბემ დაარბია იჩქერიაში(ჩეჩნეთი), მდინარე აქსაისა და იამენსუს ველებზე, მდებარე აულები, საიდანაც მძევლები აიყვანა. ამის შემდეგ გრაბეს რაზმი ვნეზაპნაიას სიმაგრეში დაბრუნდა. 1839 წლის 21 მაისს გენერალი გრაბე ვნეზაპნაიას სიმაგრიდან აულ ჩირკატასაკენ დაიძრა, რომელსაც გვერდი აუქცია და 29 მაისს დალესტნის აულ არლუანისაკენ გაემართა, სადაც 10.000 მებრძოლით შამილი იყო გამაგრებული. აული არლუანი მიუვალ ადგილას მდებარეობდა და კარგადაც იყო გამაგრებული. აულში ქვისაგან ნაგები 500 სახლი იყო, ეს სახლები 5-6 იარუსად იყო განლაგებული ტერასებზე, თითოეული სახლი დამოუკიდებელ სიმაგრეს წარმოადგენდა. აულის გარშემო მრავალი ხერგილი მოეწყო. 31 მაისს, დილის 8 საათზე, გენერალმა გრაბემ ყაბარდოს, კურინსკისა და აფშერონის პოლკებს შეტევაზე გადასვლა უბრძანა. შეტევის წინ რუსებმა ზარბაზნებიდან ძლიერად დაბომბეს არლუანი. თავდაცვის პირველ ხაზზე მყოფი შამილი მიურიდების რჩეულ რაზმთან ერთად სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა რუსებს. მიურიდების ცეცხლს ბევრი რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი შეეწირა. კურინსკის პოლკი (მეთაური პოლკოვნიკი პულო) და ყაბარდოს პოლკი (მეთაური პოლკოვნიკი ლაბინცოვი) ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. პოლკების მოქმედების კოორდინაციას ახდენდნენ შტაბს-კაპიტანი ვიდელჰეიმი და პორუჩიკი მილიუტინი. ხიშტებით შეტევაზე გადასულ რუსებს მედგრად დაუხვდნენ ხმლებითა და ხანჯლებით შეიარაღებული მიურიდები, რომელთა დიდი ნაწილი ხერგილებზე დაიღუპა. რუსები აულში შეიჭრნენ და თითოეული სახლი ბრძოლით დაიკავეს. მიურიდები მაშინაც კი არ დანებდნენ, როცა რუსებმა სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. შიგ გამაგრებულებიდან ცოცხალი თითქმის არავინ გადარჩენილა. შამილმა გადარჩენილი მიურიდებით აულ ჩირკატისაკენ დაიხია, უკუქცეულებს გზა მოუჭრა ვლასოვის ცხენოსანთა რაზმმა და კურინსკის პოლკის ბატალიონმა. ხელჩართულ ბრძოლაში ორივე მხარემ მრავალი მებრძოლი დაკარგა. რუსებს გამარჯვება ძვირად დაუჯდათ. ბრძოლაში დაიღუპა 1 გენერალი, 4 შტაბის ოფიცერი, 26 უფროსი ოფიცერი და 611 ჯარისკაცი.

არლუანის დაკავებამ გადანყვიტა აულ ჩირკატის ბედიც. 1839 წლის 5 ივნისს პოლკოვნიკ ლაბინცოვის რაზმი უბრძოლველად შევიდა აულში, რომელიც შამილის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა.

არლუანის დაკავების შემდეგ შამილი აპულგოს სიმაგრეში გადავიდა. გენერალმა გრაბემ დიდი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად აპულგოზე შეტევა გადაიფიქრა და მისი ხანგრძლივი ალყით დამორჩილება გადანყვიტა. 1839 წლის 13 ივნისს გრაბემ აულის გარშემო ალყის შეკვრა დაიწყო. ერთი კვირის განმავლობაში რუსები ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ აპულგოს სიმაგრეს. გენერალმა გადანყვიტა, პირველ რიგში, დაეკავებინა მთავარი სიმაგრიდან ცალკე მდგარი კოშკი. 29 ივნისს კოშკის დაკავების მიზნით დაწყებული იერიში წარუმატებლად დამთავრდა. 29 ივნისსვე აპულგოსათვის ბრძოლები ახალი ძალით გაჩაღდა 3 ივლისს. ბრძოლებში რუსებმაც და მთიელებმაც დიდი დანაკლისი განიცადეს. 12 ივლისს გრაბეს დასახმარებლად მივიდა შირვანის ქვეითთა პოლკის 3 ბატალიონი პოლკოვნიკ ვრანგელის მეთაურობით. ამ დროისათვის აპულგოს სულ 1.200 მიურინი იცავდა. მიუხედავად ამისა, 16 ივლისს შეტევაზე გადასული რუსები შამილმა სასტიკად დაამარცხა. აგვისტოს დამდეგისათვის, როცა აპულგოში გამაგრებული შამილი და მისი მიურინები განწირულები აღმოჩნდნენ, შამილმა გენერალ გრაბეს რამდენჯერმე შესთავაზა მოლაპარაკების დაწყება. წინაპირობად გენერალი იმამის შვილის მძევლად გაგზავნას ითხოვდა, რასაც შამილი არ დაეთანხმა. 17 აგვისტოს რუსებმა კიდევ ერთხელ შეუტყეს. მოიერიშეებს მედგრად დახვდნენ მიურინები სუჰრაის მეთაურობით. კურინსკის პოლკის ოფიცრები და ჯარისკაცები გენერალ ალექსანდრ პულოსა და პოდპოლკოვნიკ წიკლაურის მეთაურობით სულ ახლოს მივიდნენ სიმაგრის კედლებთან. მიურინები კვლავ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ შეტევაზე გადასულებს. ალყაში მოქცეული მიურინები დანებებას სიკვდილს არჩევდნენ და ციცაბო კლდიდან უფსკრულში იჩეხებოდნენ. 17 აგვისტოს შუადღისას რუსები სიმაგრეში შეიჭრნენ. აპულგოს სიმაგრე ორი ნაწილისაგან შედგებოდა, პირველი სიმაგრის დაკავების

შემდეგ რუსებმა მეორეს შეუტყეს. შამილი მიხვდა, რომ წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა და თავისი 8 წლის ვაჟი ჯემალ-ედინი გენერალ გრაბეს გაუგზავნა მძევლად. გრაბემ მოლაპარაკება გენერალ პულოს დაავალა. დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ შამილი რუსთა ბანაკში მივიდა და მოლაპარაკებაც დაიწყო. საუბარი შეეხებოდა ჩეჩნეთსა და დაღესტანში საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტას. შამილის შეუპოვრობამ მდგომარეობიდან გამოიყვანა გენერალი პულო. გაცხარებულმა გენერალმა შამილს უთხრა, რომ ყველა მომხდარ უბედურებაში მხოლოდ ის იყო დამნაშავე. შამილმა ეს შეურაცხყოფად მიიღო, წამოდგა, პულოს შინელზე ხელი ჩაავლო და ძირს ისე დაქაჩა, რომ გენერალმა წამოდგომა ვერ შეძლო. შეშინებულმა გენერალმა შამილს მიმართა: "თქვენ თავისუფალი ადამიანები ხართ და შეგიძლიათ გააკეთოთ ის, რაც გსურთ. ჩვენ მოვალენი ვართ ვიმოქმედოთ ისე, როგორც კანონი გვიბრძანებს. თქვენთვის ცნობილი პირობების მიხედვით დავდეთ ჩვენ ზავი. ჩვენი წესის მიხედვით, თქვენ ვალდებული ხართ გამოცხადდეთ კავკასიის კორპუსის მთავარსარდალთან, რათა თქვენ შორის მოლაპარაკება გაიმართოს, დამტკიცდეს ზავის პირობები და მოლაპარაკების შედეგები ეცნობოს იმპერატორს." ამ სიტყვების მოსმენა შამილს არ ესიამოვნა, რადგან ფიქრობდა, რომ შვილის მძევლად მიცემით მან რუსებს ყველა პირობა შეუსრულა. რუსეთის იმპერატორთან შეხვედრა იმამს არ სურდა, მიურიდეტი კი იმპერატორთან შესახვედრად წასვლას ურჩევდნენ, შამილი ყოყმანობდა და გადანყვეტილებას ვერ იღებდა. ამ დროს გაისმა იმამის ბიძის, ბართი ხანის, ხმა. ბართი ხანი გენერალ პულოს მიმართავდა: „დიახ, ჩვენ თავისუფალი ადამიანები ვართ! ყოველი ჩვენგანი თავისებურად განსჯის, ჩვენს აულებში ბევრი სწავლულია, რომელთა რჩევის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია.“ ბართი ხანს სიტყვა არც კი დაემთავრებინა, რომ ერთი დამსწრეთაგანი გვერდზე გადავა და მუსლიმებს ლოცვისაკენ მოუწოდა. ამით ისარგებლა შამილმა და პულოს მიმართა: მოლაპარაკება სხვა დროისათვის გადავდოთ, რადგან ლოცვის შემდეგ ჩვენ საუბარი გვეკრძალება.

შამილი აპულგოში დაბრუნდა და მრავალგზისი შეთავაზების

მიუხედავად, რუსებთან მოლაპარაკება აღარ გაუგრძელებია. 1839 წლის 22 აგვისტოს გენერალმა გრაბემ შეტევა განაახლა და აჭულგო მთლიანად დაიკავა. ამით სამხედრო ექსპედიციაც დასრულდა. აჭულგოსათვის ბრძოლები რუსებს ძვირად დაუჯდათ: დაიღუპა შტაბის 1 ოფიცერი, 9 უფროსი ოფიცერი, 255 ჯარისკაცი; დაიჭრა შტაბის 1 ოფიცერი, 21 უფროსი ოფიცერი, 511 ჯარისკაცი.

1840 წლის სამხედრო ექსპედიცია ჩეჩნეთში. რუსეთის ჯარის მიერ აჭულგოს დაკავებას დიდი შიშინობა მოჰყვა დაღესტანში. ბევრმა აულმა ჩათვალა, რომ შამილისათვის მხარდაჭერა მათთვის შეიძლებოდა ისეთივე ტრაგედიით დასრულებულიყო, როგორც აჭულგოში. ავარიში შამილი ისედაც არ იყო პოპულარული, თანაც იქ უკვე რუსეთის ჯარი იდგა. ამას ემატებოდა ის, რომ შამილის უერთგულესი თანამებრძოლები: სურჰაი, ალი ბეი, ალი ჩულა მუჰამედი, ათასობით მიურიდთან ერთად აჭულგოსათვის ბრძოლებში დაიღუპნენ. ერთი შეხედვით, ისე ჩანდა, რომ შამილს ბრძოლის გაგრძელების პერსპექტივა აღარ ჰქონდა. იმამი რუსეთის ხელისუფლების მიერ დაშვებულმა შეცდომამ იხსნა: გენერალმა გრაბემ ჩეჩნეთის რაზმში შემავალი პოლკები და ბატალიონები მუდმივი დისლოკაციის ადგილებში, საზამთრო ყაზარმებში, დააბრუნა, ხოლო თვითონ ჩეჩნეთში რუსული ადმინისტრაციის ჩამოყალიბებას შეუდგა. ჩეჩნეთის მოსახლეობას რუსული ადმინისტრაციის შემოღებისათვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ ადმინისტრაციის სათავეში ჩაყენებულმა გენერალმა პულომ თავისი სისასტიკით მალე მთელი ჩეჩნეთი აიძხვდრა. განსაკუთრებით დიდი მღელვარება გამოიწვია გავრცელებულმა ხმებმა იმის შესახებ, რომ მალე ჩეჩნების განიარაღება, ხოლო შემდეგ რუსეთის ჯარში განწვევა დაიწყებოდა. აულებიდან 40 გავლენიანი და ყველასაგან პატივცემული ქალი გაშლილი თმებით შამილს ეახლა და შველა სთხოვა. ქალებმა შამილს აცნობეს, რომ ჩეჩნებმა ყურანზე დაიფიცეს, რომ იმამს რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენდნენ.

შამილმა ჩეჩნეთში მიურიდები გაგზავნა და მოსახლეობის აჯანყებისათვის მომზადება დაავალა. ჩეჩნების ახალი აჯანყების

მომზადებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ჰაჯი მუჰამედ ეფენდიმ. თვითონ შამილი მდინარე სუნჯაზე გამოჩნდა და სუნჯისა და თერგისპირა ჩეჩნებს ბარიდან მთებში გადასახლებისაკენ მოუწოდა. რუსების წინააღმდეგ განსაკუთრებით აგრესიულად იყო განწყობილი იჩქერიის, აუხის და ჩეჩნეთის სხვა ნაწილების მოსახლეობა. სულ მალე შამილი კვლავ დიდი სამხედრო ძალის სათავეში აღმოჩნდა. შამილი ამით არ დაკმაყოფილდა, მას სურდა ყაზიყუმუხისა და დერბენტის (დაღესტანი) სახანოებიც აეჯანყებინა რუსეთის წინააღმდეგ, გადანყვეტილი ჰქონდა კახეთში ლაშქრობა. ამჯერად იმამმა თავის რეზიდენციად აირჩია იჩქერიის(ჩეჩნეთი) აული დარგო-ვედენო, რომელიც უღრანი ტყეებით იყო გარშემორტყმული. მალე შამილმა თავდასხმები დაიწყო მდინარეების თერგისა და სუნჯის ნაპირებზე განლაგებულ რუსულ სიმაგრეებზე, დაარბია ტარკის საშამხლოს აულებიც. 1840 წლის გაზაფხულისათვის რუსების წინააღმდეგ აჯანყებისათვის მზად იყო დიდი და პატარა ჩეჩნეთის მოსახლეობა. 1840 წლის ივლისის დამდეგს შამილმა აულ ჩირკაზე ლაშქრობა გადანყვიტა. რუსები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს შამილის მოქმედებას. გადანყდა, რომ აული ჩირკა არ დაეთმოთ იმამისათვის. გენერალი აპოლონ გალაფეევი გროზნაიას სიმაგრიდან გავიდა და ჩეჩნეთის აულების დარბევას შეუდგა. გალაფეევის დაქვემდებარებაში იყო: კურინსკის პოლკის 3 ბატალიონი, შირვანის პოლკის 2 ბატალიონი, სამეგრელოს პოლკის 1 ბატალიონი, მესანგრეთა 2 ასეული, დონის კახაკთა 4 ასეული და 14 ზარბაზანი. გენერალ გალაფეევის რაზმში იმყოფებოდა თენგიზის ქვეითთა პოლკიდან გენერალ გალაფეევის რაზმში მივლინებული რუსი პოეტი პორუჩიკი მიხაილ ლერმონტოვი, რომელიც კავკასიის კორპუსში მსახურობდა. რუსები ვარაუდობდნენ, რომ ჩეჩნეთის აულების დარბევის შემდეგ შამილს მებრძოლების ნაწილი ჩემოსცილდებოდა და ოჯახების დაცვის მიზნით შინ დაბრუნდებოდა, მაგრამ ჩეჩნები მედგრად იცავდნენ თავს. დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა გეხის ტყისა და აულ გეხისათვის. 1840 წლის 11 ივლისს მდინარე ვალერიკის (მდინარე სუნჯის შენაკადი) ნაპირას სისხლისმღვრელი ბრძოლა რამდენიმე საათის

განმავლობაში გრძელდებოდა. ამ ბრძოლას მიხაილ ლერმონტოვმა ლექსი მიუძღვნა. 1840 წლის 11 ივლისს განთიადისას გენერალი გალაფეევი დიდი ძალებით გეხის ტყის დასაკავებლად დაიძრა. შევიდნენ თუ არა რუსები ტყეში, სხვადასხვა ადგილიდან ჩეჩნების მიერ გახსნილი ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოჰყვნენ. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, ჩეჩნებმა უკან დაიხიეს. რუსებმა ტყის მასივი გაიარეს და საკმაოდ ვრცელ მინდორზე აღმოჩნდნენ. მინდორი მშვიდობიანად გაიარეს, მაგრამ მიუახლოვდნენ თუ არა ტყის ნაპირს, ჩეჩნებმა კიდევ უფრო ძლიერი ცეცხლი გახსნეს. პოლკოვნიკი ფრეიტაგი კურინსკის პოლკს შეტევაზე გაუძღვა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ჩეჩნები პოზიციებს არ თმობდნენ, მათი უმრავლესობა ბრძოლაში დაეცა. ბრძოლის შემდეგ დაწერილ მოხსენებაში გენერალი გალაფეევი სხვა ოფიცრებთან ერთად განსაკუთრებით აღნიშნავდა თენგინის ქვეითთა პოლკის პორუჩიკ მიხაილ ლერმონტოვის სიმამაცეს. მდინარე ვალერიკის ნაპირებზე გამართულ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის გენერალმა გალაფეევმა მიხაილ ლერმონტოვი ვლადიმირის IV ხარისხის ორდენზე წარადგინა, მაგრამ კავკასიის მეფისნაცვალმა ევგენი გოლოვინმა იგი მხოლოდ სტანისლავის III ხარისხის ორდენით დააჯილდოვა და თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ოფიცერს აქამდე სხვა ორდენი მიღებული არ ჰქონოდა.

1840 წლის 14 ივლისს გენერალ აპოლონ გალაფეევის რაზმი გროზნაიას სიმაგრეში დაბრუნდა, საიდანაც შემოდგომაზე კიდევ რამდენიმე ექსპედიცია მოაწყო ჩეჩენტა წინააღმდეგ. ყველა ამ ექსპედიციაში მონაწილეობდა მიხაილ ლერმონტოვი, რომელიც ამჯერად კავალერიაში ირიცხებოდა. 1840 წლის 10 ოქტომბერს კავალერიისტთა რაზმის მეთაურის დაჭრის შემდეგ მიხაილ ლერმონტოვი ამ რაზმის მეთაურად დანიშნეს. რაზმში 40 მეტრძოლი ირიცხებოდა და საბრძოლო მოქმედებების ანგარიშებში იგი "ლერმონტოვის რაზმის" სახელით იხსენიება. ლერმონტოვის რაზმი მუდამ მონიწივე პოზიციაზე იბრძოდა და ცნობილი გახდა იმით, რომ ჩეჩენტა აულების წინააღმდეგ მხოლოდ ცივ იარაღს იყენებდა. რაზმმა დიდი სისასტიკით დაარბია რამდენიმე აული, ხერგილების

აღებისას დახოცა უამრავი ჩეჩენი.

მართალია, გენერალ გალაფეევის რაზმმა ჩეჩნეთის ბევრი აული აიკლო, მაგრამ დამსჯელმა ექსპედიციამ საპირისპირო შედეგი გამოიღო: ჩეჩნები რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად კიდევ უფრო დიდი შემართებით განენწყნენ. თბილისსა და პეტერბურგში შემფოთებას ვერ მალავდნენ. 1840 წლის ოქტომბერში გენერალი პაველ გრაბე გროზნაიას სიმაგრეში დაბრუნდა და გენერალ გალაფეევის რაზმს ჩაუდგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ გრაბე შამილს ჩეეულებრივ "მანანწალად" თვლიდა, მთელი სერიოზულობით შეუდგა ახალი სამხედრო ექსპედიციის მზადებას. 1840 წლის 27 ოქტომბერს გენერალი გრაბე ძლიერი რაზმით მცირე ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შევიდა და, პირველ რიგში, ის აულები დაარბია, რომლებიც გენერალ გალაფეევის რაზმს გადაურჩა. ნოემბრის ბოლოსათვის მცირე და დიდი ჩეჩნეთის თითქმის ყველა აული აკლებული იყო. ზამთრის დადგომამ გენერალი აიძულა სამხედრო ექსპედიცია შეენწყვიტა. დიდი მსხვერპლის მიუხედავად, რუსებმა მიზანს ვერ მიაღწიეს: 1840 წლის დასასრულისათვის მდინარეებს სუნწყასა და ავარიის (ხუნძეთის) ყოისუს შორის მდებარე აულები იმამის ხელისუფლებას ცნობდნენ.

ჰაჯი მურატი. 1840 წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა შამილის მხარეზე რუსეთის სამსახურში მყოფ პრაპორშჩიკ ჰაჯი მურატის გადასვლა. ამ ფაქტმა ავარიაში დიდი მღელვარება გამოიწვია. ჰაჯი მურატი ავარიელი ბეების შთამომავალი იყო, იგი აქტიურად მონაწილეობდა იმ ბრძოლებში, რომლებსაც იმამ ყაზი მოლას წინააღმდეგ ავარიელები აწარმოებდნენ. მას შემდეგ, რაც იმამმა ჰამზათ ბეიმ ავარიის ხანის ვაჟები დახოცა, ჰაჯი მურატი იმამის წინააღმდეგ მონყობილი შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე გახდა. ჰამზათ ბეის მკვლელობის შემდეგ ავარიელებმა ჰაჯი მურატი სახანოს მმართველად აირჩიეს და იმამ შამილისაგან დაცვა სთხოვეს. რუსეთის ხელისუფლებამ ავარიელების გადანყვეტილება მოინონა, ჰაჯი მურატს პრაპორშჩიკის ნოდება უბოძა და ავარიის მმართველად დაამტკიცა. ავარიის სახანო ჰაჯი მურატს დროებით, ყაზიყუმუხის ხან მუჰამედ მირზას ავარიაში

ჩასვლამდე, უნდა ემართა. შავი მურატი ენერგიას არ იშურებდა სახანოს დაცვისათვის, მაგრამ იძულებული გახდა ხელისუფლება ჯერ ყაზიყუმუხის ხან მუჰამედ მირზასათვის, ხოლო შემდეგ მეჰ-დის ხან აჰმედისათვის დაეთმო. ძალაუფლების გარეშე დარჩენილი შავი მურატი რუსეთის ხელისუფლების, კერძოდ, გენერალ კლიუკი ფონ კლიუგენაუს დიდი ნდობით სარგებლობდა, რამაც ეჭვი აღუძრა აჰმედ ხანს. ეს უკანასკნელი ცდილობდა რუსებსა და შავი მურატს შორის ურთიერთობა დაეძაბა. აჰმედ ხანი სისტემატურად ავრცელებდა ხმებს, თითქოს შავი მურატი ორპირი ადამიანი იყო და ფარული კავშირი ჰქონდა შამილთან. რუსების მიერ გიმრის დაკავების შემდეგ კლიუგენაუმ იმ მუსლიმებს, რომელთაც რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ფიცი ჰქონდათ დადებული, ჩალმის ტარების უფლება მისცა. ეს ფაქტი აჰმედ ხანმა შავი მურატის წინააღმდეგ გამოიყენა. აჰმედ ხანმა და ხუნძახის ციხის კომენდანტმა შავი მურატი კლიუგენაუსთან დააბეზლეს, რომ მან იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცების გარეშე დაინყო ჩალმის ტარება და იმავდროულად ავარიელებს მოუნოდებდა ხუნძახის ციხის რუსული გარნიზონისათვის შეშა არ მიეწოდებინათ. აჰმედ ხანმა შავი მურატი შეიპყრო და ხუნძახის გარნიზონის ჰაუპტვახტში გამოკეტა. კლიუგენაუმ აჰმედ ხანს თემირ-ხან-შურში გაგზავნა მოსთხოვა. 1840 წლის 9 ნოემბერს შავი მურატი ძლიერი რაზმის თანხლებით ხუნძახიდან თემირ-ხან-შურში გაგზავნეს. ულელტეხილის ბილიკზე გადასვლისას შავი მურატი უფსკრულში გადახტა და თან გადაიყოლა ორი რუსი ჯარისკაცი, რომლებიც მას თოკით იჭერდნენ. გარდაუვალი სიკვდილისაგან იგი ღრმა თოვლმა იხსნა. მოტეხილი ფეხით გაქცეულმა ერთ-ერთ აულს მიაღწია და იქ გამოიზამთრა. გენერალმა კლიუგენაუმ გამოძიება დანიშნა, დადგინდა, რომ შავი მურატს შამილთან კავშირი არ ჰქონია და ყველაფერი აჰმედ ხანის მოგონილი იყო. კლიუგენაუმ შავი მურატი კვლავ რუსეთის სამსახურში მიიწვია, მაგრამ უარი მიიღო. სამაგიეროდ, მან შამილს ანდიელი ყადი ლობაზანი მიუგზავნა და ნაიბის თანამდებობა სთხოვა. შამილმა დიდად გაიხარა და შავი მურატს აჰმედ ხანისა და რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში ყოველგვარი დახმარე-

ბა აღუთქვა. ჰაჯი მურატი ავარიის ნაიბად დაინიშნა და რუსების წინააღმდეგ ავარიელთა აჯანყება დაევალა. ავარიელებს რუსთა წინააღმდეგ ომი არ სურდათ, მაგრამ არც ჰაჯი მურატთან ბრძოლას აპირებდნენ.

ბრძოლები ავარიაში (ხუნძეთში). შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია: თუ ავარიის სახანო შამილს მიემხრობოდა, რუსები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. ვითარება იმდენად საშიში იყო, რომ კავკასიის მთავარსარდალმა ევგენი გოლოვინმა შამილთან მოლაპარაკების დანწყებაც კი გადანწყვიტა. 1840 წლის ბოლოსათვის შამილის ძალაუფლება დიდ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა: შამილს უსიტყვოდ ემორჩილებოდა მდინარეებს: სუნჯას, ანდიის ყოისუსა და ავარიის ყოისუს – შორის მდებარე აულები. ამკარა იყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარები შამილს ვერ დაამარცხებდნენ. ამიტომ იყო, რომ კავკასიის ხაზიდან შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნა მე-14 ქვეითი დივიზია.

1841 წლის დამდეგს შამილმა ჰაჯი მურატს ავარიის დალაშქვრა დაავალა და დაჰპირდა, რომ თვითონაც ჩავიდოდა ავარიაში. ჰაჯი მურატი დიდი ლაშქრით აულ ცელმესში შევიდა და აქ ელოდებოდა შამილს. რუსებს კარგად ესმოდათ ცელმესის დაკავების მნიშვნელობა, მაგრამ უგზობასა და დიდ თოვლში ჯარის გადაადგილება თუ შესაძლებელი იქნებოდა, ზარბაზნების გადატანა ძალზე გაჭირდებოდა. გენერალმა კლიუკი ფონ კლიუგენაუმ 1841 წლის თებერვლის დამდეგს აფშერონის პოლკის 1 ბატალიონი პოდპოლკოვნიკ ვაგნერის მეთაურობით ცელმესისაკენ გაგზავნა. ცელმესზე დაიძრა მეჰდისა და ავარიის სახანოების მილიცია (1.000 ცხენოსანი). ცელმესის ასაღებად დაძრული რუსეთის ჯარის საერთო სარდლობას ახორციელებდა გენერალი ბაკუნინი. რუსებმა აულის გარშემო სიმაღლეები დაიკავეს და 4 თებერვალს პოდპოლკოვნიკ ვაგნერის კოლონა ცელმესში შეიჭრა. ჰაჯი მურატის მებრძოლებმა ძლიერი ცეცხლი გახსნეს და უამრავი რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი დახოცეს. მიუხედავად ამისა, რუსებმა მაინც შეძლეს ნახევარი აულის დაკავება. აულში შეჭრილმა რუსებმა

პორუჩიკ ლაგოდას მეთაურობით ზარბაზნები დაუშინეს სახლებს. თითქმის უიმედო ვითარებაში ჰაჯი მურატმა შეძლო თავდაცვის ორგანიზება და ძლიერი ცეცხლით უპასუხა რუსებს. ზუსტი გასროლებით ჰაჯი მურატის მეზობლებმა დაჭრეს გენერალი ბაკუნინი, პოდპოლკოვნიკი ვაგნერი, პორუჩიკი ლაგოდა, ორი ასმეთაური და ორი უმცროსი ოფიცერი. ჯარის მეთაურობა კაპიტანმა პასეკმა მიიღო, რომელმაც გადანყვიტა შეტევა გაეგრძელებინა და აულის ცენტრში მდებარე მეჩეთი დაეკავებინა. ხელჩართული ბრძოლის შემდეგ რუსებმა მეჩეთი დაიკავეს. დაჭრილმა ჰაჯი მურატმა თავი აულ ინჰუსს შეაფარა.

ცელმესის დაკარგვა ავარიის დაკარგვის მომასწავებელი იყო. ამიტომ იყო, რომ შამილი და ჰაჯი მურატი ახალი ლაშქრობისათვის ემზადებოდნენ. ემზადებოდნენ რუსებიც, მაგრამ შამილმა დაასწრო. იმამმა ჯვეად ხანი რამდენიმე ასეული ცხენოსნით ავარიში გაგზავნა. მეორე მხრიდან ავარიაში უნდა შეჭრილიყვნენ ყადი აბუკირი და მოლა ულუ ბეი. შამილი ფიქრობდა, რომ ძალები დაექსაქსათ და სხვადასხვა მიმართულებით გადაესროლათ. როცა რუსები ჯვეად ხანის, აბუკირისა და ულუ ბეის წინააღმდეგ დაიძვრებოდნენ, იმამი ჩეჩნების (ანდიელებისა და იჩქერიელების) ლაშქრით ავარიაში შეიჭრებოდა და ცელმესს დაიკავებდა. 1841 წლის ნოემბერში შამილმა გადანყვიტა, სამი მხრიდან შეჭრილიყო ავარიაში და იქ განლაგებული რუსების ჯარი და რუსული ადმინისტრაცია გაენადგურებინა. საბრძოლო ოპერაცია წარმატებით დაიწყო, ყადმა აბუკირმა უნცუყული დაიკავა და წინსვლა გააგრძელა. მალე შამილმა ავარიისაკენ მიმავალი ყველა გზა გადაჭრა. ავარიის სიმაგრეებში განლაგებული რუსული გარნიზონები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მოულოდნელად აფშერონის პოლკის ბატალიონმა მაიორ პოზნანსკის მეთაურობით შეუტია მოწინააღმდეგეს და ავარიისაკენ მიმავალი გზა გახსნა. 1841 წლის 19 ნოემბერს პოზნანსკიმ კვლავ დაამარცხა მიურიდები და თემირ-ხან-შურიდან ხუნძახისაკენ მიმავალი გზა საბოლოოდ განმინდა. გენერალ კლიუგენაუს შეეძლო თავისუფლად შესულიყო ხუნძახში, მაგრამ მან ზამთრის დადგომასთან დაკავშირებით ჯარი კვლავ თემირ-

ხან-შურში დააბრუნა.

ბრძოლები ყაზიყუმუხისათვის. 1842 წლის დამდეგს კავკასიის მეფისნაცვალმა ევგენი გოლოვინმა ჩრდილოეთ დაღესტანში მოქმედი ჯარების მეთაურად გენერალი კარლ ფეზი დანიშნა. ფეზიმ რამდენიმე წარმატებული საბრძოლო ოპერაცია განახორციელა, მაგრამ გენერალ კლიუკი ფონ კლიუგენაუსთან უთანხმოების გამო იგი მალე გაათავისუფლეს თანამდებობიდან. 1842 წლის 25 მაისს შამილი 15.000 მებრძოლით ყაზიყუმუხის სახანოში შეიჭრა და სცადა ალყა შემოერტყა სახანოს ცენტრ ყუმუხში გამაგრებულ პოლკოვნიკ მოვსეს არლუთინსკი-დოლგორუკოვის რაზმისათვის. არლუთინსკი-დოლგორუკოვმა 1-ელ იენისს დატოვა ყუმუხი და სწრაფი მარშით მონინალმდეგესთან შესახვედრად გაემართა. პოლკოვნიკის დაქვემდებარებაში ქვეითი ჯარის 3,5 ბატალიონი, 1160 მილიციელი და 4 ზარბაზანი იყო. 2 იენისს რუსები მდინარე ყოისუს მიადგნენ, რომლის მეორე ნაპირზე უკვე შამილის ლაშქარი იდგა. შამილი დაუყოვნებლივ გადავიდა შეტევაზე და ცხენოსანი რაზმით რუსების ალყაში მოქცევა სცადა. ზარბაზნებიდან გახსნილი ძლიერი ცეცხლით არლუთინსკი-დოლგორუკოვმა მონინალმდეგის შეტევა შეაჩერა, ხოლო შემდეგ გაფანტა. შამილმა ყაზიყუმუხის სახანო დატოვა.

1842 წლის სამხედრო ექსპედიცია ჩეჩნეთში. პარალელურად საბრძოლო მოქმედებები ვითარდებოდა ჩეჩნეთში. გენერალმა გრაბემ გადანყვიტა, იჩქერიისა (ჩეჩნეთი) და ანდიის (დაღესტანი) ტერიტორიაზე შეჭრილიყო. 1842 წლის 30 მაისს გრაბე 10.000 მებრძოლით აულ დარგო-ვედენოსაკენ დაიძრა, სადაც შამილის რეზიდენცია იყო. რუსები აულში შეიჭრნენ და გადანვეს. მრავალრიცხოვანი რაზმის იმედად მყოფმა გრაბემ იჩქერიის ტერიტორიაზე წინსვლა გააგრძელა. იჩქერიის ტყეებში გამავალ გზაზე ჩეჩნები განუწყვეტლივ უსაფრდებოდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ რუსებს. ორი დღის შემდეგ გრაბეს რაზმს სასმელი წყლის მარაგი გაუთავდა. რუსებს სულ უფრო და უფრო უჭირდათ გზაზე მოწყობილი ხერგილების გადალახვა. ერთ-ერთი ხერგილის დაცვას მოლაშუაიბი ხელმძღვანელობდა. ამ ხერგილზე ჩეჩნებმა მოკლეს ყაბარ-

დოს პოლკის პირველი ბატალიონის მეთაური პოდპოლკოვნიკი ოსტროვსკი, ბრძოლაში დაიღუპა ან დაიჭრა მონინავე რაზმის ყველა ოფიცერი. სამი დღის განმავლობაში გრაბეს რაზმმა სულ 25 ვერსი გაიარა. 1842 წლის 2 ივნისს გენერალმა გრაბემ უკან დახევის ბრძანება გასცა. ჩეჩნები დაედევნენ უკუქცეულებს და 6 ზარბაზანი წაართვეს. რუსებმა მოინდომეს ზარბაზნების დაბრუნება, მაგრამ ამ ბრძოლაში დაიღუპა ყაბარდოს პოლკის მესამე ბატალიონის მეთაური პოდპოლკოვნიკი პრასკინი. გზაზე, რომლითაც გენერალი გრაბე უკან იხევდა, უამრავი რუსი ოფიცრისა და ჯარისკაცის გვამი დარჩა. რუსებმა დაჭრილი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ნაყვანაც კი ვერ მოახერხეს. 1842 წლის 4 ივნისს გენერალ გრაბეს რაზმი დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა. იჩქერიის სამხედრო ექსპედიცია რუსებს ძვირად დაუჯდათ: დაიღუპა და დაიჭრა 6 ოფიცერი და 1.700 ჯარისკაცი. ჩეჩნებს დარჩათ რუსების ერთი ქვემეხი, ერთი ზარბაზანი, საბრძოლო საჭურველისა და სურსათის მთელი მარაგი.

1842 წელს 12 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ყაზი მოლამ რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ომი დაიწყო. ომმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შამილის იმამად გახდომის დროიდან, 1834 წლიდან, მიიღო. 1834-1842 წლები, რუსეთის ჯარის ცალკეული წარმატების მიუხედავად, მაინც შამილის ტრიუმფის პერიოდი იყო. არავინ ელოდა, რომ ირანსა და ოსმალეთთან ომებში გამობრძმედილი კავკასიის კორპუსის ჯარების უძლეველობის მითი მცირერიცხოვან მთიელებთან ბრძოლაში სამარცხვინოდ გაქარწყლდებოდა.

იმამატის ადმინისტრაციული და სამხედრო სისტემა. ყაზი მოლასა და შამხათ ბეის თითქმის არაფერი გაუკეთებიათ იმამატის სახელმწიფოებრივი მოწყობისათვის. ეს მისია შამილს ხვდა წილად. დაღესტანსა და ჩეჩნეთში შამილს რამდენიმე ასეული აული და დაახლოებით 230.000 კომლი ემორჩილებოდა. მან იმამატის ტერიტორია ოკრუგებად დაყო. თითოეულ ოკრუგში 1000 კომლამდე შედიოდა. ოკრუგის სათავეში ნაიბი იდგა. ნაიბი საერო და სამხედრო ხელისუფალს წარმოადგენდა. იმამატში მოქმედებდა საყ-

ოველთაო სამხედრო ვალდებულების სისტემა: ყველა მამაკაცი 16 წლიდან 60 წლამდე ვალდებული იყო, საჭიროების შემთხვევაში ლაშქარში გასულიყო. ყველა მამაკაცს ჰქონდა თოფი, დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი. შეძლებული ოჯახები მამაკაცებს ომში ცხენით უშვებდნენ. ვისაც ცხენის შეძენა არ შეეძლო, ის ქვეით ლაშქარში ირიცხებოდა. თუ ცხენოსანი მებრძოლი ავადმყოფობის გამო სალაშქროდ ვერ წავიდოდა, ცხენი სხვა მებრძოლისათვის უნდა გადაეცა. შამილი ყოველწლიურად ცდილობდა ცხენოსანთა რაზმების გაზრდას. ყოველი ნაიბი ვალდებული იყო თავისი საგანმგებლი ტერიტორიიდან 300 ცხენოსანი გამოეყვანა. შამილს შორეულ ლაშქრობაშიც კი ალალი არ ახლდა. ყოველ მებრძოლს აუცილებელი ტვირთი, მათ შორის სურსათი, თვითონ მიჰქონდა. სურსათის მარაგის ამონურვის შემდეგ ლაშქარს დახმარებას მახლობელი აულების მოსახლეობა უწევდა. შამილი მხოლოდ საყოველთაო სამხედრო ვალდებულების საფუძველზე შეკრებილი ლაშქრის იმედად არ იყო, რუსების წინააღმდეგ ძირითად დამრტყმელ ძალას კარგად განვრთნილი და შეიარაღებული, ჰაზავათის იდეით ფანატიკურად შეპყრობილი მიურიდები წარმოადგენდნენ. მიურიდების რიცხვი დიდი არ იყო, თითოეულ ნაიბს რამდენიმე ათეული, ხოლო შამილს 500 მიურიდი ჰყავდა. მიურიდები იმავდროულად იმამის უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფდნენ. მიურიდები იმდენად კარგი მებრძოლები იყვნენ, რომ სულ რამდენიმე მათგანი მთელი ბრძოლის ბედს წყვეტდა ხოლმე. 1842 წელს შამილმა სამხედრო იერარქია დააწესა. დაახლოებით გენერლის შესაბამისი უმაღლესი სამხედრო ნოდება მიიღეს ახვერდი მუჰამედმა, მოლა შუაიზმა და ულუ ბეიმ, ხოლო კაპიტნის შესაბამისი სამხედრო ნოდება – ყველა ნაიბმა. რუსები შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში უმეტესად იმიტომ იმარჯვებდნენ, რომ კარგად იყენებდნენ ზარბაზნებს. შამილს ზარბაზნები არ ჰქონდა, ან თუ ჰქონდა, მხოლოდ რუსეთთან ნადავლის სახით მოპოვებული. აულ დარგოში შამილმა ზარბაზნების ჩამომსხმელი საამქრო ააგებინა. იქვე ამზადებდნენ ყუმბარებს ზარბაზნისათვის. დარგოში, უნცუყულსა და გუნიბში თოფის წამლის საამქროები მუშაობდა.

შამილმა აკრძალა სისხლის აღება. მოკლულის ოჯახსა და ნათესავებს შეეძლოს მკვლელის შეპყრობა, მაგრამ იგი კი არ უნდა მოეკლათ, არამედ ნაიბისათვის წარედგინათ. ხოლო ნაიბი მკვლელს შამილს წარუდგენდა. შამილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქვრივი ქალების უფლებების დაცვას. საქმე ის იყო, რომ ბრძოლაში უამრავი მამაკაცი იღუპებოდა, რამაც არა მარტო მამაკაცების რაოდენობა შეამცირა, არამედ იკლო შობადობამაც. ბევრი მრავალშვილიანი ოჯახი ქვრივის იმედად დარჩა. შამილმა კარგად იცოდა, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ რუსეთთან ბრძოლაში დაღუპული მებრძოლების ქვრივები და ცდილობდა როგორმე შეემსუბუქებინა მათი მდგომარეობა. იმამი ქორწინების წესის ნაწილობრივ ცვლილებაზეც კი წავიდა. მან ნაიბებს უბრძანა შეეკრიბათ ქვრივი და გაუთხოვარი ქალები. ქალები ვალდებული იყვნენ ნაიბისათვის ეთქვათ იმ მამაკაცის ვინაობა, რომელზე დაქორწინებასაც ისურვებდნენ. თავდაპირველად ქალებმა დიდი წინააღმდეგობა გასწიეს, მაგრამ შამილმა ეს წესი მაინც დააკანონა. ქვრივი ან გაუთხოვარი ქალის მიერ დასახელებული მამაკაცი, თუნდაც დაქორწინებული და თუნდაც უცოლო, ვალდებული იყო ის ქალი შეერთო, რომელმაც იგი ქმრად შეარჩია. თუ ახლად დაქორწინებულები ხასიათით ერთმანეთს ვერ შეეგუებოდნენ, მუსლიმთა წესის მიხედვით, მათი განქორწინება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. მამაკაცებს შამილის მიერ დამკვიდრებული წესი არ მოსწონდათ, მაგრამ იმამი უკან დახევას არ აპირებდა. ამ გზით შამილმა დალესტანსა და ჩეჩნეთში შობადობის ზრდას მიაღწია.

რუსებისათვის საშინელი 1843 წელი. მართალია, რუსებმა წინა წლებშიც ბევრი მწარე მარცხი იწვნის, მაგრამ 1843 წელი საშინელი აღმოჩნდა მათთვის. 1843 წლის იანვარში კავკასიის მთავარსარდალ ალექსანდრ ნეიდეგარდტს (1842-1844) აცნობეს, რომ შამილი დიდი ომისათვის ემზადებოდა. 1843 წლის აგვისტოში, როდესაც დალესტანში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დასრულდა, შამილმა დიდი ლაშქარი შეკრიბა და აულ დარგო-ვედენოდან (ჩეჩნეთი) აულ დილიმში (დალესტანი) გადავიდა. დილიმში თავი მოიყარა ცხ-

ენოსანმა და ქვეითმა ლაშქარმა, დაახლოებით 10.000 მეგრძოლ-
მა. შამილმა ხმები დაარხია, რომ ყიზლარის რუსულ სიმაგრეზე
(დალესტანი) თავდასხმისათვის ემზადებოდა, სინამდვილეში კი იგი
აულ უნცუყულზე (დალესტანი) გეგმავდა გალაშქრებას. 1842 წელს
უმცუყულელებმა შამილის 80 მიურადი რუსებს ჩაუგდეს ხელში და
იმამი ამჯერად ლალატისათვის უმცუყულელების დასჯას აპირებ-
და. თუ ყველაფერი წარმატებით განვითარდებოდა, ბოლოს შამილი
ავარიაში შეჭრას გეგმავდა. 1843 წლის 27 ივლისს აულ დილიმიდან
დაიძრა, 70 ვერსი სწრაფად გაიარა და უნცუყულს მიუახლოვდა.
უნცუყულთან თავისი ლაშქრით ავარიიდან მივიდა ჰაჯი მურატიც.
ხანმოკლე ბრძოლაში შამილმა უნცუყულის გარნიზონი გაანადგუ-
რა, სიმაგრე დაანგრია და ბევრი მცხოვრები სიკვდილით დასაჯა.
უნცუყულის დაკავების შემდეგ შამილმა ჰაჯი მურატი ავარიაში
გაგზავნა. ავარიის ნაიბს მოსახლეობა რუსების წინააღმდეგ უნდა
აეჯანყებინა. უნცუყულის დაკავებიდან 12 დღის განმავლობაში
შამილმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. შამილ-
მა რუსები დაამარცხა და დალესტანში რამდენიმე მნიშვნელოვანი
სტრატეგიული პუნქტი, მათ შორის აული გოცატალი, დაიკავა.
ამის შემდეგ შეწყდა კავშირი აულ თემირ-ხან-შურსა (დალესტანი)
და აულ ხუნდახს (ავარია) შორის. ხუნდახში 2 ბატალიონითა და
10 ზარბაზნით გამაგრებული გენერალი კლიუკი ფონ კლიუგენაუ
მონყვეტილი აღმოჩნდა დალესტანსა და ჩეჩნეთში განლაგებულ
ჩეჩნეთის ჯარებს. შამილის წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ
ავარიის მთელი მოსახლეობა იმამს მიემხრო, რუსები მხოლოდ
ხუნდახს ინარჩუნებდნენ. ხუნდახის დაკავებას დიდი სტრატეგიული
მნიშვნელობა ჰქონდა, გარდა ამისა, შამილი ხელში ჩაიგდებდა
საბრძოლო საჭურვლისა და სურსათის დიდ მარაგს. მიუხედავად
იმისა, რომ ხუნდახისაკენ გზა გახსნილი იყო, შამილი შეტევის დაწ-
ყებას არ ჩქარობდა. იმამს ცნობა ჰქონდა, რომ სამხრეთ დალესტ-
ნიდან ხუნდახისაკენ მიემართებოდა გენერალ მოვსეს არლუთინ-
სკი-დოლგორუკოვის ძლიერი რაზმი. 1843 წლის 12 სექტემბერს
არლუთინსკი გოცატალს მიუახლოვდა. გოცატალში თვით ჰაჯი
მურატი იყო გამაგრებული. არლუთინსკიმ იერიშზე დაძრა თბილი-

სისა და სამეგრელოს ქვეითი პოლკები. ჰაჯი მურატი უნარიანად ხელმძღვანელობდა თავდაცვას. აულის მისადგომებთან მოწყობილი ხერგილების გადალახვა ძნელი აღმოჩნდა. თბილისისა და სამეგრელოს პოლკებს არლუთინსკი პირადად წარუძღვა იერიშზე და ხერგილებზე განლაგებულმა მთიელებმა უკან დაიხიეს. სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ რუსები გოცატალში შეიჭრნენ, ჰაჯი მურატმა გაქცევით უშველა თავს. გოცატალის დაკავების შემდეგ გზა ხუნძახისაკენ გახსნილი იყო. 14 სექტემბერს გენერალი არლუთინსკი ხუნძახში შევიდა. არლუთინსკისა და კლიუგენაუს რაზმების გაერთიანების შემდეგ ხუნძახში 4.008 ქვეითმა და 1.760 ცხენოსანმა მოიყარა თავი, რუსებს შეიარაღებაზე 17 ზარბაზანი გააჩნდათ. კლიუგენაუ და არლუთინსკი შამილის მთავარ ძალებთან შესახვედრად დაიძრნენ, მაგრამ შამილმა ბრძოლას თავი აარიდა, ჩრდილოეთისაკენ დაიხია და 1843 წლის 30 სექტემბერს ანდრეევკას მიუახლოვდა. ამ დროისათვის აულში ყაზარდოს პოლკის ბატალიონი იდგა პოლკოვნიკ კოზლოვსკის მეთაურობით. სოფლის მცხოვრებლების უმრავლესობას რუსი კოლონისტები შეადგენდნენ, რომლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ კოზლოვსკის. შამილმა სოფელი ვერ დაიკავა, უკან დაიხია და მალე ლაშქარიც დაშალა.

რუსებმა გადაწყვიტეს ამიერიდან ავარიის სახანოს დასაცავად დიდი ჯარი გამოეყოთ და ხუნძახი შამილისათვის აღარასდროს დაეთმოთ. ავარიის დაცვა დაღესტანში განლაგებულ რუსეთის სარდლობას დაევალა. როდესაც რუსები ავარიის დაცვისათვის ჯარების მობილიზებას ახდენდნენ, შამილმა დაღესტნის აულ დარგოში ნაიბები შეკრიბა და 1843 წლის 27 ოქტომბრისათვის საბრძოლო მზადყოფნა უბრძანა. 27 ოქტომბერს შამილმა მოწინავე რაზმი მდინარე ყაზიყუმუხის ყოისუს ნაპირზე მდებარე დაღესტნის აულ გერგებლისაკენ დაძრა. ამ დროს გერგებლის სიმაგრეში თბილისის პოლკის 2,5 ბატალიონი იდგა, რომელსაც შეიარაღებაზე 5 ზარბაზანი გააჩნდა. 1 ნოემბერს გერგებლთან შამილიც მივიდა. პირველი იერიში რუსებმა მოიგერიეს. შემდეგ დღეებში შამილმა კიდევ ხუთჯერ შეუტია გერგებლს, ამ ბრძოლებში დაახლოებით 30 რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი დაიღუპა. 3 ნოემბერს

მთიელები აულში შეიჭრნენ. გაიმართა საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რომლის დროსაც გარნიზონის დიდი ნაწილი განადგურდა. 4 ნოემბერს გერგებილს მიუახლოვდა დალესტნის რაზმი გურკოს მეთაურობით, მაგრამ გურკომ შეტევაზე გადასვლა ვერ გაბედა, უკან დაიხია და დასალუპავად განირა გარნიზონის დრჩენილი ნაწილიც. 8 ნოემბერს მიურიდები გერგებელში შეიჭრნენ და ცოცხლად გადარჩენილი დაახლოებით 50 რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი დახოცეს. გერგებილის დაკავებამ შამილს ავარიასა და საერთოდ მთელ სამხრეთ დალესტანში თავისუფალი მოქმედების საშუალება მისცა.

შამილმა გადაწყვიტა, რომ გავერანებული ავარიის დაკავებისათვის ხუნძახის ძლიერ რუსულ გარნიზონთან შებრძოლება არ ღირდა. იმამმა ტარკის საშამხლოს წინააღმდეგ ლაშქრობა გადაწყვიტა. მიურიდების ძლიერმა ცხენოსანმა რაზმმა თემირ-ხან-შურიდან დერბენდისაკენ მიმავალი გზა ჩაკეტა. გზის ჩაკეტვამდე ტარკის შამხალმა და მისმა მოკავშირე მეჰდის ხანმა ოჯახები თემირ-ხან-შურსა და დერბენტში გახიზნეს. 1843 წლის 11 ნოემბერს შამილი აულ ბოლშაია კაზანიშჩეში შევიდა და შამხლის სასახლეში დაბინავდა. იმავე დღეს დალესტნის რუსული მმართველობის ცენტრი თემირ-ხან-შური შამილმა ალყაში მოაქცია და გარნიზონს დანებება შესთავაზა. 8 დღის განმავლობაში მთიელები ბევრჯერ გადავიდნენ იერიშზე, მაგრამ უშედეგოდ. მსხვერპლი ორივე მხრიდან დიდი იყო. მეცხრე დღეს თემირ-ხან-შურის დასახმარებლად გენერალ რობერტ ფრეიტაგის მეთაურობით კურინსკის პოლკი მივიდა. ფრეიტელმა ისარგებლა იმით, რომ შამილმა ჩეჩნეთის ლაშქარი დალესტანში გაიხმო და კურინსკის სიმაგრედან თემურ-ხან-შურის გარნიზონის დასახმარებლად დაიძრა და რამდენიმე დამარცხება მიაყენა მთიელებს. თემირ-ხან-შურის გარნიზონის გარდა, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ხუნძახის გარნიზონიც. ამ უკანასკნელს მეთაურობდა პოლკოვნიკი დიომიდ პასეკი, რომელმაც სიმაგრის დატოვების ბრძანება მიიღო, მაგრამ უკან დასახვევი გზა უკვე გადაეკეტა ჰაჯი მურატს. პასეკმა უკან დახვევა დაიწყო და მაშინვე მთიელთა დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ჰაჯი მურატს ერთი თვის განმავლობაში დიომიდ პასეკის რაზმი ალყაში ჰყავდა

მოქცეული, თუმცა მძიმე მდგომარეობაში მყოფ რუსებს დანებება ვერ აიძულა. გენერალი რობერტ ფრეიტაგი პასეკის რაზმის მის-
აშველებლად აპირებდა წასვლას, როდესაც შეიტყო, რომ თემირ-
ხან-შურის გარნიზონი კვლავ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.
ამ ცნობის მიღებისთანავე გენერალი კვლავ თემირ-ხან-შურისაკენ
გაემართა. პასეკის რაზმი კვლავ უიმედო ვითარებაში აღმოჩნდა.
1843 წლის 14 ნოემბერს დალესტინისა და გენერალ ფრეიგატის
რაზმები გაერთიანდა და 15 ნოემბერს შამილის მთავარი ძალების
წინააღმდეგ დაიძრა. შამილმა გაითვალისწინა ის, რომ თემირ-ხან-
შურის რუსული გარნიზონი ჯერ კიდევ ბრძოლას განაგრძობდა
და პასეკის რაზმიც არ იყო განადგურებული და ბოლშაია კაზა-
ნიშჩესაკენ დაიხია. ფრეიტაგმა შამილს დონის კაზაკთა რაზმები
დაადევნა. მალე რუსებმა ბოლშაია კაზანიშჩე დაიკავეს და პასეკის
რაზმსაც უკან დასახვევი გზა გაუხსნეს. მართალია, პასეკის რაზმ-
მა დიდი დანაკლისი განიცადა, მაგრამ საბოლოო განადგურებას
მაინც გადაურჩა. დიდი მსხვერპლის მიუხედავად, სიმაგრის შენარ-
ჩუნება შეძლო თემურ-ხან-შურის გარნიზონმაც.

შამილთან მოლაპარაკების მცდელობა. იმამ შამილის წარმატე-
ბებმა და რუსეთის ჯარის დიდმა დანაკარგმა რუსეთის იმპერა-
ტორი ნიკოლაი I აიძულა კავკასიის მთავარსარდალ ალექსანდრ
ნეიდგარდტისათვის ებრძანა დალესტინისა და ჩეჩნეთის იმამთან
ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარებაზე ეზრუნა. ნეიდგარდტს
უფლება მიეცა შამილის გარემოცვის მოსყიდვის მიზნით ფული არ
დაეზოგა. შამილის გარემოცვის მოსყიდვა გენერალ მოვსეს არ-
ლუთინსკი-დოლგორუკოვს დაევალა. პირველ რიგში, არლუთინს-
კიმ მოწოდებით მიმართა დალესტინისა და ჩეჩნეთის მოსახლეობას,
გენერალი მოსახლეობას რუსეთისადმი უსიტყვო მორჩილებას ურ-
ჩევდა. შამილმა ნაიბებს უბრძანა არ დაეშვათ აულებში მოსახლეო-
ბის შეკრება და არლუთინსკის მოწოდებების წაკითხვა. თბილისსა
და პეტერბურგში დარწმუნდნენ, რომ შამილთან მოლაპარაკებას
აზრი არ ჰქონდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სისხლისმღვრელი ომი
უნდა გაგრძელებულიყო.

1844 წლის სამხედრო ექსპედიცია. 1844 წელს რუსეთის სარდ-

ლობამ შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად ამჯერად 5 რაზმი ჩამოაყალიბა: ჩეჩნეთის, დაღესტნის, სამურის, ლეკეთისა და ნაზ-რანის. 1844 წლის იანვარ-თებერვალმა მშვიდად ჩაიარა, სიმშვიდე თითქმის არ დარღვეულა არც გაზაფხულზე. 1844 წლის 2 ივნისს შამილის ლაშქარმა დაღესტნის აული კაკაშური დაიკავა, ხოლო 3 ივნისს აულ გილისაკენ დაიძრა. გილში გენერალ დიომიდ პასეკის მეთაურობით ძლიერი გარნიზონი (ქვეითთა 3 ბატალიონი, დონის კაზაკთა 4 ასეული, ავარიის ცხენოსანთა რაზმი, 10 ზარბაზანი) იდგა. პასეკმა შამილის ლაშქრის გამოჩენის ამბავი მაშინვე დაღესტნის რაზმის მეთაურს გენერალ ალექსანდრ ლიდერსს შეატყობინა და მთიელთა წინააღმდეგ შეტევისათვის მოემზადა. 1844 წლის 3 ივნისს პასეკი შეტევაზე გადავიდა. აულ გილის მიდამოებში განლაგებული შამილის ლაშქარი 27.000 ცხენოსანსა და ქვეითს ითვლიდა, გენერალ პასეკის დაქვემდებარებაში კი მხოლოდ 1.400 ოფიცერი და ჯარისკაცი იყო. გარდა ამისა, გარნიზონის დასახმარებლად თემურ-ხან-შურიდან კიდევ დაახლოებით ამდენივე ოფიცერი და ჯარისკაცი იქნა გადასროლილი. სისხლისმღვრელ ბრძოლაში უამრავი რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი დაიღუპა, დიდი იყო მსხვერპლი მთიელთა მხრიდანაც. შამილმა ბრძოლა აღარ გააგრძელა და უკან დაიხია. აულ გილისათვის ბრძოლაში რუსების მიერ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ შამილის პოზიციები ტარკის საშამხლოსა და მეჭთის სახანოში უკიდურესად შესუსტდა.

1844 წლის მოვლენებიდან აღსანიშნავია რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში მყოფი ელისუს მფლობელ დანიელ ბეის (დანიელ სულთნის) იმამ შამილის მხარეზე გადასვლა. 1844 წლის 4 ივლისს დანიელ ბეიმ ელისუს მეჩეთში შამილს ერთგულება შეჰფიცა. მალე შამილის ერთგულებაზე მოსახლეობამაც დაიფიცა. მოგვიანებით დანიელ ბეიმ შამილსაც უღალატა და ისევ რუსების მხარეს გადავიდა.

1845 წლის სამხედრო ექსპედიცია (დარგო-ვედენოს ექსპედიცია). 1844 წლის დეკემბერში კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა მიხაილ ვორონცოვი (1844-1854). იგი თბილისში 1845 წლის 25 მარტს ჩამოვიდა. იმპერატორმა ნიკოლაი I-მა მეფისნაცვალს შამი-



მიხაილ ვორონკოვი (1844-1854)

ლის დამარცხება და ჩრდილო კავკასიის დამორჩილება დაუსახა მიზნად. 1845 წლის საბრძოლო მოქმედებების გეგმა ვორონცოვს თავად იმპერატორმა უკარნახა. გეგმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: რუსეთის ჯარის რამდენიმე რაზმს ერთდროულად და ერთმანეთთან კავშირში უნდა ემოქმედათ. ნიკოლაი I-მა მიხაილ ვორონცოვს უთხრა: „გაანადგურე შამილის ბრბო, შეიჭერი მისი სამფლობელოს ცენტრში და იქ დამკვიდრდი“. მეფისნაცვალმა კარგად ვერ გაიგო, რას გულისხმობდა იმპერატორი „სამფლობელოს ცენტრში“, რადგან შამილის რეზიდენციის დაკავებას არანაირი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. იმამს რეზიდენცია რამდენიმე აულში ჰქონდა, ამიტომ ადვილად შეეძლო სხვა აულებშიც გადასულიყო. იმპერატორთან საუბარმა კავკასიის მეფისნაცვალი დაარწმუნა, რომ პეტერბურგში არ იცოდნენ, თუ შამილის სახით ვისთან ჰქონდათ საქმე, როგორი იყო სამხედრო-სტრატეგიული ვითარება ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, დალესტანსა და ჩეჩნეთში. თავისი აზრი მიხაილ ვორონცოვმა წერილობით მოახსენა რუსეთის იმპერიის სამხედრო მინისტრს.

შამილის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა რამდენიმე 5 რაზმი: ჩეჩნეთის (მეთაური გენერალი ალექსანდრ ლიდერსი), დალესტანის (მეთაური გენერალი ვასილი ბებუთოვი), სამურის (მეთაური გენერალი მოვსეს არლუთინსკი-დოლგოროუკოვი), ლეკეთის (მეთაური გენერალი გრიგორი შვარცი), ნაზრანის (მეთაური გენერალი პიოტრ ნესტეროვი). ხუთივე რაზმს საბრძოლო მოქმედებები ერთდროულად უნდა დაეწყო. მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა ჩეჩნეთისა და დალესტანის რაზმები. ჩეჩნეთის რაზმში შედიოდა: რეგულარული ჯარის ქვეითთა 12 ბატალიონი და 2 ასეული, ქართული ქვეითი მილიციის 2 რაზმი (1.000 მეზრძოლი), რეგულარული ცხენოსანი ჯარის 6 ასეული, ქართული ცხენოსანი მილიციის 5 ასეული, 20 ზარბაზანი. დალესტანის რაზმში შედიოდა: რეგულარული ჯარის ქვეითთა 9 ბატალიონი და 6 ასეული, რეგულარული ცხენოსანი ჯარის 3 ასეული, 18 ზარბაზანი.

1845 წლის 31 მაისს კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი და კავკასიის მეფისნაცვალი მიხაილ ვორონცოვი ჩეჩნეთის რაზმში

მივიდა, რომელიც იმ ხანად ვნეზაპნაიას სიმაგრის (ჩეჩნეთი) ახლოს იდგა. იმავე დღეს ჩეჩნეთის რაზმი აულ ხუზარისაკენ (დალესტანი) დაიძრა და 3 ივნისს დალესტნის რაზმს შეუერთდა. შამილის მიუხრდობა რაზმებმა ანდიისაკენ (დალესტანი) მიმავალი გზები გადაკეტეს. იმავედროულად შამილმა ბარტუნის სიმაგრე (დალესტანი) დატოვა და უკან დაიხია. ბარტუნიდან გუმბეთში ორი გზა მიდიოდა: ერთი კირკის უღელტეხილით, ხოლო მეორე მიჩიკალის უღელტეხილით. მიხაილ ვორონცოვს მზევრავებმა დანამდვილებით ვერ უთხრეს, რომელი გზა უფრო მოსახერხებელი იყო. 1845 წლის 5 ივნისს მეფისნაცვალი გუმბეთისაკენ კირკის უღელტეხილით დაიძრა. რეგულარული ჯარის ქვეითთა ბატალიონებთან და დონის კაზაკთა ასეულებთან ერთად ლაშქრობაში მონაწილეობდა ქართული ქვეითი მილიციის 1 რაზმი და ქართული ცხენოსანი მილიციის ორი ასეული. ჯარმა, როგორც იქნა, დაძლია უღელტეხილი, მაგრამ დაეშენენ თუ არა ფერდობზე, მთიელებმა ბრძოლა გაუმართეს. რუსები ძალზე ნელა მიიწვედნენ წინ. ქართული ქვეითი მილიცია პოლკოვნიკ ლევან მელიქიშვილის მეთაურობით მთიელთა ზურგში ცდილობდა გაჭრას. კურინსკის, აფშერონისა და ჟიტიომირის პოლკებმა ქართულ მილიციასთან ერთად შამილის ლაშქარს უკან დაახევინეს. მთიელები ახალ პოზიციაზე გამაგრდნენ და ძლიერი ცეცხლი გახსნეს. ყველაზე წინ გაიჭრა ქართული ქვეითი მილიცია და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება მთიელებთან. მალე ქართველებს კურინსკის პოლკის ქვეითები მიეშველნენ. საბრძოლო ბატალიები გაგრძელდა. ბრძოლის ველისათვის წამით არ მოუცილებია თვალი მიხაილ ვორონცოვს. მალე რუსების მხარეს ახალი ძალები ჩაებნენ, მთიელები გატყდნენ და უკან დაიხიეს. ამის შემდეგ შამილმა მიჩიკალის გამაგრებული პოზიციაც დატოვა და რუსებმა აული გუმბეთი დაიკავეს. მიხაილ ვორონცოვი გუმბეთში ერთი კვირა დარჩა, მთელი ამ დროის მანძილზე გადაუღებლად წვიმდა, რამაც ისედაც გაუვალი გზები მთლად უვარგისი გახადა. ვორონცოვმა კირკის უღელტეხილის დაცვისათვის 1 რაზმი დატოვა, ხოლო 1845 წლის 11 ივნისს ჩეჩნეთისა და დალესტნის რაზმები ბუცურის უღელტეხილით ანდიისაკენ (დალესტანი) დაძრა. მალე რუსებმა შეიტყვეს,

რომ შამილმა ანდიის აულები გადაწვა და კვლავ უკან დაიხია.

1845 წლის 14 ივნისს დილის 6 საათზე ჩეჩნეთისა და დაღესტნის რაზმები დაღესტანში შემავალი ანდიის პროვინციის საზღვარს მიუახლოვდნენ. აქამდე იგი ანდიის ტერიტორიაზე არასდროს შესულა. საზღვარს პირველი ჩეჩნეთის რაზმი მიუახლოვდა, რომელსაც უკან მიჰყვებოდა დაღესტნის რაზმი. რუსეთის რეგულარული ჯარისა და ქართული მილიციის წინააღმდეგ შამილმა 6.000 მებრძოლი გამოიყვანა. იმამთან ერთად ბრძოლას 11 ნაიბი ხელმძღვანელობდა. ბრძოლის წინ შამილმა აულ ალმაში ნაიბები შეკრიბა და გამოუცხადა: „სარდალი (კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი მიხაილ ვორონცოვი – ვ.გ.) მთელი კავკასიის ძალებით ჩვენზე მოდის. მისი მიზანია ან ჩვენი ამოწყვეტა, ან ჩვენთან ზავის დადება. იცოდეთ, თუ რომელიმე თქვენგანი მე რუსებთან დაზავებას მთხოვს, მოვკლავ!“

გამოჩნდა თუ არა რუსეთის ჯარი, მთიელებმა უკან დაიხიეს და პოზიცია მდინარე ხადორის მეორე ნაპირზე, ანდიის პროვინციის აულ ანდიის მოპირდაპირედ, დაიკავეს. ქართული მილიცია უკანდახეულებს ფეხდაფეხ მიჰყვა და მალე მიაღწია უკვე გადაძნვარ აულ ანდიას. კავკასიის მომავალი მეფისნაცვალი ალექსანდრ ბარიატინსკი ყაბარდოს პოლკის ერთი ბატალიონით აულ ანდიისაკენ დაიძრა, რათა ქართულ მილიციას დახმარებოდა. მართალია, ჩეჩნებს აულის დატოვება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, მაგრამ ქართულ მილიციასა და ბარიატინსკის ბატალიონს მდგარი წინააღმდეგობა გაუჩიეს. ბარიატინსკის ეგერებმა ჩეჩნები აულიდან განდევნეს, მაგრამ ეკანდახეულებმა სასწრაფოდ დაიწყეს მდინარის კლდოვან ნაპირზე ახალი პოზიციის დაკავება. ეგერების კვალდაკვალ უკანდახეულთა დევნას ქართული მილიცია აგრძელებდა. მალე რუსი ეგერები და ქართული მილიცია ჩეჩნების ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოჰყვნენ. ჩეჩნები სამი ზარბაზნიდან გამუდმებით ბომბავდნენ ეგერებისა და მილიციელთა პოზიციებს. მიუხედავად ძლიერი ცეცხლისა, ეგერები და ქართული მილიცია ნაბიჯ-ნაბიჯ მიინეოდნენ მდინარის კლდოვან ნაპირზე. ჩეჩნებმა ისარგებლეს რიცხობრივი უპირატესობით, შეტევაზე გადავიდნენ და ეგერებისა

და ქართული მილიციის ერთბაშად განადგურება სცადეს. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. ჩეჩნებმა უკან დაიხიეს და შეტევაზე გადასულ ეგერებსა და ქართულ მილიციას კლდეებიდან ლოდები დაუშინეს. დიდი მსხვერპლის მიუხედავად, ყაზარდოს პოლკის ეგერებმა და ქართულმა მილიციამ ჩეჩნებს უკან დაახევინეს. დაღამებამდე ეგერები და ქართული მილიცია მთის თხემზე დარჩნენ, შემდეგ აულ ანდიაში დაბრუნდნენ და იქ გამაგრდნენ.

აულ ანდიასთან გამართული ბრძოლის შემდეგ რუსეთის ჯარსა და ქართულ მილიციას საჭურვლისა და სურსათის უმნიშვნელო მარაგი დარჩა. აუცილებელი გახდა ჯარისკაცთა დღიური ულუფის შემცირება. სურსათის მოლოდინში ჯარი და ქართული მილიცია 1845 წლის 6 ივლისამდე დარჩა. 6 ივლისს მიხაილ ვორონცოვი აულ დარგო-ვედენოს (ჩეჩნეთი) მიმართულებით დაიძრა, რათა შამილის რეზიდენცია დაეკავებინა. ვორონცოვის დაქვემდებარებაში იყო: ქვეითი ჯარის 8.000 ოფიცერი და ჯარისკაცი, 1.200 ცხენოსანი და 8 ზარბაზანი. 14 ვერსის გავლის შემდეგ რუსები იმ მთის თხემზე შეჩერდნენ, რომლის იქითაც იწყებოდა ტყით დაფარული ფართო და ღრმა ხევი. აული დარგო სწორედ ამ ხევის გაღმა იყო. მთიდან რუსებმა შენიშნეს, რომ უღრან ტყეში, შემალლებულ ადგილზე, ჩეჩნებს ბანაკი გაემართათ. ვორონცოვმა დაუყოვნებლივ, 7 ივლისსავე, გადანყვიტა შეტევის დაწყება. ჩეჩნების ბანაკის ზარბაზნებიდან დაბომბვის შემდეგ რუსეთის ჯარი და ქართული მილიცია შეტევაზე გადავიდა და ბანაკის გარშემო მოწყობილ ხერგილებს მიუახლოვდა. მიხაილ ვორონცოვს ლაშქრობაში თან ახლდა რუსეთის იმპერიის დედოფლის ძმა, ჰესენის პრინცი ალექსანდრი. მიხაილ ვორონცოვი და პრინცი ალექსანდრე ცხენოსანთა რაზმთან ერთად ხერგილებთან მიიჭრნენ. ამით გამხნეებული ბელევესკისა და ლიტვის ბატალიონთა ჯარისკაცები და ქართული მილიცია ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. ხერგილების გადალახვა დაღამებამდე გრძელდებოდა. სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ ჯარი და მილიცია მდინარე არღუნის ფართო ველზე გავიდა. მიხაილ ვორონცოვმა საღამოს ბინდბუნდში შენიშნა ცეცხლში გახვეული აული დარგო, რომელიც შამილის ბრძანებით გადაწვეს. გამარ-

ჯვება რუსებს ძვირად დაუჯდათ. ბრძოლაში დაიღუპა რამდენიმე ასეული ოფიცერი და ჯარისკაცი, ქართველი მილიციელი. სასიკვდილოდ დაიჭრა გენერალი ბორის ფოკი, ფეხში დაიჭრა მიხაილ ვორონცოვის ადიუტანტი, კავკასიის მომავალი მთავარმართველი ალექსანდრ დონდუკოვ-კორსაკოვი.

მიხაილ ვორონცოვი და პრინცი ალექსანდრე ჩეჩნების მიერ დატოვებულ ბანაკში მივიდნენ. ვორონცოვმა გენერალ კონსტანტინ ბელიავსკის უბრძანა 2 ბატალიონით, ქართული ქვეითი მილიციის ორი რაზმითა და 4 ზარბაზნით დაუყოვნებლივ დაეკავებიინა გადამწვარი აული დარგო-ვედენო. დანარჩენი ჯარი და ქართული მილიცია დარგოში 1845 წლის 6-7 ივლისის ღამეს შევიდნენ.

დარგოში რუსების შესვლამ შამილი სულიერად ვერ გატეხა. გულგატეხილობა არ იგრძნობოდა არც მიურიდებს შორის. საერთო განწყობილება ისეთი იყო, თითქოს ომი ახლალა იწყებოდა. ამას ადასტურებს ის, რომ შამილმა სულ მალე კიდევ უფრო დიდი ლაშქარი შეკრიბა. დარგოს გარშემო ტყეში ჩეჩნებმა სასწრაფოდ გაიწყეს ახალი ხერგილების აგება. მიხაილ ვორონცოვი მიხვდა, რომ დარგოში დარჩენა მეტად სახიფათო იყო. აულ ანდიისაკენ იმავე გზით უკანდახევა, რომლითაც რუსები დარგოში შევიდნენ, ჩეჩნების მოსალოდნელი თავდასხმების გამო ასევე საშიში იყო. ვითარებას ართულებდა ისიც, რომ ანდიიდან გამოსული საბრძოლო საჭურვლითა და ტყვია-წამლით დატვირთული ალალი იგვიანებდა. 10 ივლისს გენერალ ვასილი ბებუთოვის ძლიერი რაზმის თანხლებით რუსების ალალი დარგოს მიუახლოვდა. დარგომდე გასავლელი რჩებოდა უღრანი ტყის მასივი. ვორონცოვმა ალალის შესახვედრად გენერალ კლიუკი ფონ კლიუგენაუს მეთაურობით ცხენოსანთა დიდი რაზმი გაგზავნა. კლიუგენაუს რაზმი განთიადზე დაიძრა. შევიდნენ თუ არა რუსები ტყეში, ჩეჩნებმა ცეცხლი გახსნეს. მიუხედავად ამისა, რუსები წინ მიიწევდნენ. მოწინავე რაზმის მეთაური გენერალი დიომიდ პასეკი ჩეჩნების თავდასხმის მოლოდინში იყო, მაგრამ მტერი არსად ჩანდა. პასეკი დაეჭვდა, მალე გაირკვა, რომ შამილმა პასეკის მოწინავე რაზმი გაატარა და მოულოდნელად თავს დაესხა კლიუგენაუს რაზმს. კლიუგენაუ პასეკის იმედად იყო,

ამიტომ ჩეჩნებს მომზადებული ვერ დახვდა. გაიმართა ხელჩართული შეტაკება. ბრძოლაში დაიღუპნენ გენერალი ევგრაფ ვიქტოროვი, პოლკოვნიკი კრივოშეინი და თითქმის ყველა ოფიცერი და ჯარისკაცი. ჩეჩნებმა ხელში ჩაიგდეს რუსების ორი ზარბაზანი. გენერალმა პასეკმა გენერალ კლიუგენაუს რაზმზე ჩეჩნების მოულოდნელი თავდასხმის ამბავი რომ შეიტყო, უკვე გვიან იყო. მალე პასეკთან მოიხრბინა რამდენიმე ცოცხლად გადარჩენილმა რუსმა და სამნუხარო ამბავი აუწყა მას. პასეკმა გზა გააგრძელა და სალამოსათვის გენერალ ბებუთოვის წინამძღოლობით აულ დარგოს მახლობლად მდგარ ალაღს შეუერთდა. ღამით ბებუთოვი და პასეკი ჩეჩნების თავდასხმას ელოდნენ. მთელი ღამის განმავლობაში რუსები ეძებდნენ ტყეში გაბნეულ კურინსკის, ყაბარდოს, ნავაგინსკის, ლიუბლინის პოლკების ჯარისკაცებსა და ქართული მილიციის მებრძოლებს. მეორე დღით, 11 ივლისს, გენერალმა ვასილი ბებუთოვმა თავი მოუყარა გადარჩენილ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, ქართველ მილიციელებს, მოაწესრიგა ალაღი და დარგოსაკენ დაიძრა. მალე ალაღი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ჩეჩნებმა კლიუგენაუს რაზმი გაანადგურეს. მთელი მიდამო დაფარული იყო რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცების გვამებით. მოულოდნელად ალაღი და მისი გამცილებელი რაზმი ჩეჩნებმა ალყაში მოაქციეს. გენერალმა პასეკმა ჩეჩნების მიერ მოწყობილ ხერგილებზე შეტევის დაწყება სცადა, მაგრამ რამდენიმე ტყვიით დაჭრილი დაეცა. თავდაცვის ორგანიზება ვერ მოხერხდა, რითაც ისარგებლეს ჩეჩნებმა და ცივი იარაღით სიცოცხლეს გამოასალმეს უამრავი რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი. მოკლული იქნა პოლკოვნიკი რონჟევსკი და თითქმის ყველა ოფიცერი, რომელიც გენერალ ბებუთოვის რაზმში ირიცხებოდა. დაჭრილი გენერალი პასეკი ჩეჩნებმა ჩაიგდეს ტყვედ და მალე მოკლეს კიდეს. აფშერონის პოლკის რამდენიმე ჯარისკაცი მიხაილ ვორონცოვს ეახლა და სთხოვა ტყიდან პასეკის გვამის გამოსატანად ბატალიონი გაეგზავნა. ვორონცოვმა ჯარისკაცები შეაქო, მაგრამ აუხსნა, რომ შეიძლებოდა ჩეჩნებს ტყეში გაგზავნილი ბატალიონიც გაენადგურებინათ. ვორონცოვისაგან უარის მიღების შემდეგ ათი ჯარისკაცი ნებართვის გარეშე შეუდგა

პასეკის გვამის ძებნას. ათიდან რვა ჯარისკაცი ჩეჩნებმა მოკლეს, მხოლოდ ორმა მიაღწია ბანაკს. პასეკის გვამის საძებნელად გაემართა ქართული ქვეითი მილიციის მცირერიცხოვანი რაზმიც, მაგრამ გენერლის გვამი მათაც ვერ იპოვეს.

მიხაილ ვორონცოვმა სავსებით სწორად განსაზღვრა, რომ აულ დარგოში ყოფნას აზრი აღარ ჰქონდა. 1845 წლის 12 ივლისს რუსები ლაშქრობის გასაგრძელებლად მოემზადნენ. ვორონცოვს უნდოდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ რუსები შამილის წინააღმდეგ შეტევის დაწყებას აპირებდნენ. სინამდვილეში მეფისნაცვალმა გენერალ ვასილი ბებუთოვს უბრძანა ანდიის პროვინციაში ყველა საგუშაგო მოეხსნა და უკან დაეხია. ვორონცოვს თემირ-ხან-შურში დაბრუნება ჰქონდა გადანყვეტილი. იმავდროულად მიხაილ ვორონცოვმა კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსს გენერალ რობერტ ფრეიტაგს უბრძანა დარგოდან თემირ-ხან-შურისაკენ უკანდახეული ჯარის შესახვედრად ხუთი სხვადახვა გზით დაუყოვნებლივ გაეგზავნა დამხმარე ძალა. 13 ივლისს, დილის 4 საათზე, ვორონცოვი დარგოდან გავიდა. გასვლამდე მან ბრძანება გასცა ჯარის კუთენილი, მაგრამ ბრძოლაში გამოუსადეგარი მთელი ტვირთი გაენადგურებინათ, ხოლო თავისი ბარგი პირადად მოუღო ბოლო. ზედმეტი ბარგისაგან გათავისუფლება ჯარს სწრაფი მოძრაობის საშუალებას მისცემდა. 13 ივლისს რუსებს წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ, 14 ივლისს კი ცხადი გახდა, რომ შამილი რუსებს თავისუფლად უკან დახევის საშუალებას არ მისცემდა. შამილმა მცირერიცხოვანი რაზმები გზის ორივე მხარეს სტრატეგიულ პუნქტებში განალაგა და რუსებს დაელოდა. გზის ერთ მონაკვეთზე მთიელებმა ხერგილები და ძლიერი ცეცხლი გახსნეს. ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა პოლკოვნიკი კონსტანტინ ბენკერდორფი. ხერგილებიდან გახსნილმა ცეცხლმა მრავალი რუსი ოფიცრისა და ჯარისკაცის სიცოცხლე შეინირა. ბრძოლაში დაიღუპნენ: ნავაგინსკის პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ბიბიკოვი, მესანგრეთა ბატალიონის მეთაური პოლკოვნიკი ზავალიევსკი, ქართული ქვეითი მილიციის რაზმის მეთაური თავადი ერისთავი, შტაბს-კაპიტანი გრაფი ჰეიდენი, ბარონი დელვიტი, პორუჩიკი ლონგინოვი და გრაფი დე

ბალმენტი. თავდაცვის ორგანიზებას აძნელებდა ის, რომ საექსპედიციო რაზმი ტყეში მიმავალ ვინრო და გაუვალ გზაზე დიდ მანძილზე იყო გაჭიმული. ცუდ გზაზე მოძრაობა ფერხდებოდა იმიტაც, რომ ჯარისკაცებს თან მიჰყავდათ უამრავი დაჭრილი, მიჰქონდათ ყუმბარების გარეშე დარჩენილი 10 ზარბაზანი. დაჭრილებიცა და მწყობრში მყოფნიც შიმშილისა და წყურვილისაგან იტანჯებოდნენ. მალე მიხაილ ვორონცოვს ადიუტანტმა მოახსენა, რომ ჯარისკაცებს სიარული აღარ შეეძლოთ. მიხაილ ვორონცოვის, გენერლების ლიდერისა და ბელიავსკის ჯარისკაცებთან საუბრებმა შედეგი ვერ გამოიღო. შეიქმნა უაღრესად კრიტიკული სიტუაცია. გენერლებისა და უფროსი ოფიცრების თათბირზე გადაწყდა შეექმნათ მცირერიცხოვანი ბრძოლისუნარიანი რაზმი და სამშვიდობოზე გაეყვანათ კავკასიის მეფისნაცვალი მიხაილ ვორონცოვი, რომელსაც სხვებთან ერთად ან ტყვეობა ან სიკვდილი ელოდა. ვორონცოვმა გენერლების წინადადება არ მიიღო და კოლონის თავში მიმავალი რაზმის ჯარისკაცებთან სასაუბროდ გაემართა. ამჯერად კავკასიის მეფისნაცვალმა შეძლო დაღლილ-დაქანცული და ავადმყოფი ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთების ამალგება. ამით ისარგებლა ვორონცოვმა და შეტევაზე გადასვლის ბრძანება გასცა, ხოლო ჯარისკაცებს თვითონ გაუძღვა. მალე ჩეჩნების მიერ გზაზე მოწყობილი ხერგილი გადალახეს. ვორონცოვმა მეომრები შეასვენა, რადგან გენერალ ფრეიტაგის დამხმარე რაზმს ელოდა. ფრეიტაგის რაზმის მოლოდინში საექსპედიციო რაზმი მდინარე არღუნის ნაპირას დაბანაკდა. არც 17 და არც 18 ივლისს ფრეიტაგის მიერ გამოგზავნილი დამხმარე რაზმი არ გამოჩენილა, იგი საექსპედიციო რაზმის ბანაკს მხოლოდ 1845 წლის 18 ივლისის საღამოს მიუახლოვდა. 19 ივლისს, დილის 9 საათზე, ფრეიტაგთან შესაერთებლად დაიძრა მიხაილ ვორონცოვიც. 20 ივლისს ორივე რაზმმა უკან დახევა გააგრძელა. ასე დასრულდა რუსებისათვის საბედისწერო დარგოს ექსპედიცია.

პეტერბურგში დარგოს ექსპედიციის მარცხი არ შეიმჩნიეს. პირიქით, მიხაილ ვორონცოვს თავადის წოდება უბოძეს და კურინსკის პოლკის შეფადაც დანიშნეს. მიუხედავად ამისა, პეტერბურგში

შექმნილი რეალობა გაითვალისწინეს და კავკასიის მეფისნაცვალს ალარ კარნახობდნენ, თუ როგორ უნდა შეედგინა შამილის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა. ამ გადწყვეტილებამ მიხაილ ვორონცოვს ხელ-ფეხი გაუხსნა და შამილის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი გეგმის შედგენას შეუდგა. ამ გეგმის მიხედვით: 1. სასწრაფოდ უნდა დამთავრებულიყო ჩიჩნეთის გამაგრებული ხაზის აგება, რომლის ცენტრი უნდა ყოფილიყო ვოზიშენსკაიას სიმაგრე; 2. მდინარე სუნჯაზე უნდა გაეგრძელებინათ კაზაკთა სტანიცების დაარსება; 3. სუნჯის გამაგრებული ხაზის გასწვრივ მთლიანად უნდა გაეჩეხათ ტყეები; 4. უნდა შეექმნათ სიმაგრეთა ხაზი, რომელიც შამილს სამხრეთ დაღესტანში გაჭრის საშუალებას არ მისცემდა; 5. კავკასიის კორპუსის შემადგენლობაში უნდა შექმნილიყო დაღესტნის, სამურის, სტავროპოლისა და ყუბანის პოლკები, ეს პოლკები უნდა გაეძლიერებინათ არტილერიით. ამრიგად, საბრძოლო მოქმედებები დროებით უნდა შეჩერებულიყო და დაჩქარებული ტემპით დაწყებულიყო გამაგრებული ხაზების მშენებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ სიმაგრეებისა და გამაგრებული ხაზების მშენებლობა მიხაილ ვორონცოვის იდეა არ იყო, იდეა და მისი პრაქტიკული განხორციელების დასაწყისი ალექსეი ერმოლოვის სახელს უკავშირდება.

გულხელდაკრეფილი არც შამილი იჯდა. იმამმა ნაიბებს უბრძანა გამუდმებული თავდასხმები ეწარმოებინათ რუსულ სიმაგრეებსა და კაზაკების სტანიცებზე, მაქსიმალურად შეეშალათ ხელი გამაგრებული ხაზების მშენებლობისათვის. მიხაილ ვორონცოვისათვის სრულიად მოულოდნელი იყო შამილის ლაშქრობა ყაბარდოში 1846 წელს. შამილმა ვერ მოახერხა დარიალის ხეობით საქართველოში მომავალი სამხედრო გზის გადაკეცვა, მაგრამ ამის საშიშროება საბოლოოდ არ მოხსნილა. თვით რუსი გენერლები აღიარებდნენ, რომ შამილის ლაშქრობა ყაბარდოზე ბრწყინვალედ განხორციელებული ექსპედიცია იყო. მთავარი დარტყმა იმამმა კავკასიის ხაზის ყველაზე სუსტად დაცულ სტრატეგიულ პუნქტებზე განახორციელა და, ცოცხალი ძალის რეზერვი რომ ჰყოლოდა, ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში მომავალ სამხედრო გზასაც გადაკეცავდა. ყაბარდოში მიღწეულმა წარმატებამ შამილის ავტო-

რიტერტის ზრდა გამოიწვია.

1845 წლის შემოდგომაზე, სანამ ლაშქარს ზამთრის მოახლოების გამო დაშლიდა, შამილმა რუსების მიერ კარგად გამაგრებული აული ცუდაჭარი დაიკავა და დალესტინის უმნიშვნელოვანეს სამხედრო-ადმინისტრაციულ ცენტრ თემირ-ხან-შურისაკენ მიმავალი გზა გადაჭრა. ჩრდილოეთ დალესტანში რუსეთის ჯარების მეთაურმა გენერალმა ვასილი ბებუთოვმა შამილის წინააღმდეგ ქვეითთა 4 ბატალიონითა და 4 ზარბაზნით სასწრაფოდ გაგზავნა გენერალი მიხაილ კუდაშევი, ხოლო თვითონ 1845 წლის 11 ოქტომბერს ქვეითთა 5 ბატალიონითა, ცხენოსანთა 2 დივიზიონით, კაზაკთა რაზმით, ქართული ცხენოსანი და ქვეითი მილიციის 3 ასეულითა და 8 ზარბაზნით შამილის ძირითად ძალებთან შესაბრძოლებლად გაემართა. 13 ოქტომბერს ბებუთოვმა კუდაშევის რაზმიც შეიერთა და ზარბაზნებიდან ძლიერად დაბომბვის შემდეგ აულ აიშიაკს შეუტია. რეგულარულ ჯარსა და ქართულ მილიციას ყოველი სახლის ბრძოლით დაკავება უნევედათ, აიშიაკის ალების შემდეგ გენერალმა ბებუთოვმა შეტევა გააგრძელა. შამილი აულ კუტეშის მიდამოებში გამაგრდა. ამ დროს ბებუთოვმა ცნობა მიიღო, რომ გენერალ მოვსეს არლუთინსკი-დოლგოროუკოვის რაზმი მასთან შესაერთებლად მოემართებოდა. ბებუთოვისა და არლუთინსკის რაზმები 15 ოქტომბერს გაერთიანდნენ. გენერალი ვასილი ბებუთოვი აულ კუტეშს მიუახლოვდა თუ არა, დაუყოვნებლივ შეტევის ბრძანება გასცა. შეტევაზე გენერალ ილია ორბელიანის მეთაურობით პირველი დაიძრა ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის 2 ესკადრონი. ცხენოსნებს უკან მიჰყვნენ დალესტინისა და აფშერონის ქვეითი პოლკები და ქართული მილიცია. აულის ყველა სახლში შამილის მებრძოლები იყვნენ გამაგრებული. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც ორივე მხრიდან უამრავი ადამიანი დაიღუპა. რამდენიმე საათის შემდეგაც კი რუსებს მხოლოდ აულის ნაწილი დაეკავებინათ. ბრძოლა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როდესაც რუსეთის ჯარის ზურგში ქვეითებითა და ავარიელი ცხენოსნებით ნაიბი ჰაჯი მურატი გამოჩნდა. ნააწყდა თუ არა ზარბაზნებიდან გახსნილ ძლიერ ცეცხლს, ჰაჯი მურატმა უკან დაიხია.

შამილმა კუტეში დატოვა და მიურიდებით აულ გოცატალში გადავიდა. კუტეშისათვის ბრძოლაში რუსებს 28 ოფიცერი და ჯარისკაცი მოუკლეს, ხოლო 72 დაიჭრა. გენერალმა ვასილი ბებუთოვმა მიხაილ ვორონცოვისათვის გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნა, რომ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გენერალმა ილია ორბელიანმა, მაიორმა ბერხმანმა, მაიორმა რუტენგბერგმა და შტაბსკაპიტანმა დიაკონოვმა.

ვითარება დარგო-ვედენოს სამხედრო ექსპედიციის დასრულების შემდეგ. დარგოს ექსპედიციის შემდეგ შამილმა რამდენიმე სერიოზული დამარცხება იწვნია. 1846 წელს იმამი 20.000 მეზობლით რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად დაიძრა. აულ კუტიშთან (დაღესტანი) გენერალმა ვასილი ბებუთოვმა მთიელები დაამარცხა და გაფანტა. 1847 წელს გენერალმა მოვსეს არლუთინსკი-დოლოგორუკოვმა სალტინის ხიდთან (დაღესტანი) დაამარცხა შამილის ლაშქარი, რომელსაც კიბიტ მუჰამედი მეთაურობდა. 1847 წელსვე მიხაილ ვორონცოვი დიდი ჯარით აულ გერგებლისაკენ (დაღესტანი) დაიძრა, მაგრამ ლაშქრობა მალევე შეწყვიტა. გერგებელი 1848 წელს გენერალმა ასარლუთინსკიმ აიღო. განცდილი მარცხის შემდეგ შამილი აულ დარგო-ვედენოში (ჩეჩნეთი) გამაგრდა. 1847 წელს შამილმა ძალები ყაზიყუმუხის სახანოს (დაღესტანი) დასაკავებლად გაგზავნა, მაგრამ მთიელები სახანოს ტერიტორიაზე გენერალმა არლუთინსკიმ არ შეუშვა. 1848 წელს შამილმა აულ ახტის რუსულ გარნიზონს შეუტია. მართალია, მთიელებმა შეძლეს სიმაგრის ერთ-ერთი კოშკის აფეთქება, მაგრამ გარნიზონს დროულად მიეშველა გენერალი არლუთინსკი და შამილმა დარგოსაკენ დაიხია. 1849 წელს გენერალი მოვსეს არლუთინსკი-დოლოგორუკოვი აულ ჭოხისაკენ (დაღესტანი) დაიძრა, სადაც მთიელთა გარნიზონი იდგა. შამილმა გარნიზონისათვის დახმარების აღმოჩენა სცადა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. რუსებმა აული საფუძვლიანად დაანგრიეს და უკან დაბრუნდნენ. დარგოში დაბრუნდა შამილიც. 1849-1850 წლებში შამილმა ორგზის სცადა რუსების განდევნა აულ გამაშიდან (დაღესტანი), მაგრამ წარუმატებლად.

1846 წლიდან გარდატეხა იწყება შამილის წინააღმდეგ ბრ-

ძოლაში. რუსეთის ჯარიმა რამდენიმე მნიშვნელოვან გამარჯვება მოიპოვა. ეს გამარჯვებები კარგად გათვლილი სტრატეგიული გეგმის შედეგი იყო. გამაგრებული ხაზების მშენებლობამ, სტრატეგიულ პუნქტებში ძლიერი გარნიზონების ჩაყენებამ, ტყეების გაჩეხვამ შამილს მანევრირების საშუალება შეუზღუდა, ხოლო რუსებს ჯარების ერთი ადგილიდან მეორეზე გადასროლა და გადამწყვეტი ბრძოლისათვის ძალების თავმოყრა გაუადვილა.

თავი III. ივანე შავილის ლაშქრობა საქართველოში ყირიმის ომის წინ და ომის დროს

(1853-1854 წწ.)

§1. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა ყირიმის ომის წინ

1. ვითარება საერთაშორისო ასპარეზზე ყირიმის ომის წინ. ყირიმის ომმა (1853-1856 წწ.), რომელიც ისტორიაში აღმოსავლეთის ომის სახელითაცაა შესული, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებზე. ომის შედეგად ევროპაში ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური სისტემა, ომმა გავლენა მოახდინა ბალკანეთისა და სამხრეთ კავკასიის ხალხების ცხოვრებაზე. ყირიმის ომში მონაწილეობდნენ: რუსეთი, ოსმალეთი, ინგლისი, საფრანგეთი და სარდინიის სამეფო. ომის ინიციატორი იყო რუსეთის იმპერია. ნიკოლაი I-ს (1825-1855) რეალურად ეჩვენებოდა, რომ რუსეთს შეეძლო ოსმალეთის დამარცხება და მისი ტერიტორიის ყველაზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილების ხელში ჩაგდება. რუსეთის საიმპერატორო კარს ოსმალეთის ტერიტორიის გადანაწილების იმდენად დიდი მისწრაფება ჰქონდა, რომ გათვალისწინებული არ იქნა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი: ევროპა (ინგლისი, საფრანგეთი) არ დაუშვებდა, რომ რუსეთის იმპერია გაძლიერებულიყო და დამკვიდრებულიყო მახლობელ აღმოსავლეთში ოსმალეთის ტერიტორიის მიტაცების ხარჯზე. მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებისათვის კონფლიქტი დიდ სახელმწიფოებს შორის XX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულიდან და 50-იანი წლების დამდეგიდან გაძლიერდა. გამწვავდა ურთიერთობა, ერთი მხრივ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის და, მეორე მხრივ, რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის. რუსეთის წინააღმდეგ ინგლის-საფრანგეთის კავშირი 1849-1850 წლებში ყალიბდებოდა, თუმცა იგი ფორმალურად უკვე ყირიმის ომის მიმდინარეობის დროს, 1854 წლის მარტში, გაფორმდა. რუსეთის საიმპერატორო კარის და პირადად ნიკოლაი I-ის საბედისწერო შეცდომას წარმოადგენდა ის, რომ ობიექტურად ვერ შეაფასეს ინგლისისა და საფრანგეთის

მოსალოდნელი პოზიცია რუსეთ-ოსმალეთის მომავალ ომში. ამიტომ იყო, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ 1853 წელს დაწყებული ომი 1854 წელს კოალიციასთან (ოსმალეთი, საფრანგეთი, ინგლისი, სარდინიის სამეფო) ომში გადაიზარდა და რუსეთისათვის სამარცხვინო მარცხით დასრულდა. მახლობელ აღმოსავლეთში განვითარებულმა კონფლიქტმა 1853 წელს კულმინაციას მიაღწია. მანამდე კი, 1852 წლის მეორე ნახევარში, საფრანგეთის სამხედრო ხომალდი ბოსფორის სრუტეში შევიდა და ლუზა სულთნის სასახლის მოპირდაპირე მხარეს ჩაუშვა. ნიკოლაი I-მა ეს რუსეთის იმპერატორის უფლების შელახვად მიიჩნია და რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან განლაგებული მე-5 საარმიო კორპუსის ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა. იმავდროულად გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრ მენშიკოვის ხელმძღვანელობით დიპლომატიური მისია გაიგზავნა სტამბოლში ოსმალეთის სულთანზე გავლენის მოხდენის მიზნით. ნიკოლაი I-მა დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს დაავალა სულთნისათვის ულტიმატუმის ფორმით მოეთხოვა შემდეგი: 1. ოსმალეთის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებელი ტაძრებისათვის პრივილეგიის ბოძების შესახებ ფირმანის გამოქვეყნება; 2. ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მართლმადიდებელი ხალხების უფლების ცნობა; 3. ოსმალეთის ტერიტორიაზე არსებული მართლმადიდებლური ტაძრებისა და მართლმადიდებელი ხალხების მფარველად რუსეთის იმპერიის ცნობა. გარდა ამისა, ალექსანდრ მენშიკოვს სულთნისათვის საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების დადება უნდა შეეთავაზებინა. რუსეთის დიპლომატიური მისიის სტამბოლში გამგზავრების პარალელურად სულთნის კარზე აქტიური ანტირუსული საქმიანობა გააჩაღეს საფრანგეთისა და ინგლისის ელჩებმა. რუსეთის დიპლომატიურმა მისიამ სტამბოლში წარმატებას ვერ მიაღწია და 1853 წლის 2 ივნისს ალექსანდრ მენშიკოვმა პროტესტის ნიშნად სტამბოლი დატოვა. 1853 წლის ივლისში რუსეთის ჯარები გენერალ მიხაილ გორჩაკოვის სარდლობით დუნაისპირეთში შეიჭრა და ქალაქი ბუქარესტი დაიკავა. ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ჯარი (130.000 მეზრძოლი) ბალკანეთის ნახე-



ნიკოლაი I (1825-1855)

ვარკუნძულზე სხვადასხვა ციხესიმაგრესა და სტრატეგიულ პუნ-
ქტში იყო გამაგრებული. რუსეთის არმიის მიერ დუნაისპირეთის
დაკავების შემდეგ, 1853 წლის აგვისტოში, ინგლისმა, საფრანგეთ-
მა, ავსტრიამ და პრუსიამ ერთობლივ დემარშს მიმართეს, რაც **ვე-
ნის ნოტის** სახელით არის ცნობილი. ნოტის შინაარსის მიხედვით
თუ ვიმსჯელებთ, ევროპის ქვეყნები ოსმალეთს რუსეთთან მშვი-
დობიანი ურთიერთობის შენარჩუნებას ურჩევდნენ და რუსეთთან
დადებული ყველა ხელშეკრულების დაცვისაკენ მოუწოდებდნენ.
სინამდვილეში, ინგლისის ელჩი სტამბოლში ყველაფერს აკეთებ-
და იმისათვის, რომ ოსმალეთის სულთანს ვენის ნოტა არ მიეღო.
ოსმალეთმა ვენის ნოტა უარყო, ხოლო 1853 წლის ოქტომბერში
რუსეთს დუნაისპირეთიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვა. 1853 წლის
4 ოქტომბერს ოსმალეთის სულთანმა **აბდულ მეჯიდმა** ოფიციალუ-
რად გამოაცხადა, რომ ოსმალეთი რუსეთთან საომარ მდგომარეო-
ბაში თვლიდა თავს. ამის საპასუხოდ 20 ოქტომბერს რუსეთის იმ-
პერატორმა ნიკოლაი I-მა ომი გამოუცხადა ოსმალეთს.

ოსმალეთის ემისრები სისტემატურად მოგზაურობდნენ ჩრდი-
ლო კავკასიაში. რუსეთთან მოსალოდნელ ომში იმამი შამილი
სულთნის ბუნებრივი მოკავშირე იქნებოდა. ცხადია, შამილის ჯარ-
ების შემოჭრა სამხრეთ კავკასიაში რუსეთს აიძულებდა რეგიონში
სერიოზული სამხედრო ძალა დაეტოვებინა, რაც გარკვეულ შვებას
მოუტანდა ოსმალეთს ომის მთავარ ფრონტზე. ოსმალთა ემისრები
შამილს გარკვეულ ინფორმაციას აწვდიდნენ რუსეთ-ოსმალეთის
დაძაბული ურთიერთობის შესახებ და, ცხადია, იმასაც არ დაუმა-
ლავდნენ იმამს, რომ ახალი ომი მალე დაიწყებოდა. წინააღმდეგ
შემთხვევაში, შამილი ყირიმის ომის დანყებამდე, 1853 წლის აგვის-
ტო-სექტემბერში, ქარ-ბელაქანში ლაშქრობას არ დაგეგმავდა.

2. ვითარება საქართველოში ომის დანყების წინ. ყირიმის ომის
დანყებამდე რუსეთის სამხედრო სამინისტროსა და მთავარ შტაბ-
ში, ისევე, როგორც კავკასიის კორპუსის შტაბში, ეჭვი არ ეპარე-
ბოდათ, რომ ხელსაყრელ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში
ოსმალეთი სამხრეთ კავკასიაში წინა ომებში განცდილი მარცხ-
ისათვის რევანშის აღებას შეეცდებოდა. თითქმის ყველა თანხმდე-

ბოდა იმას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ოსმალეთი ქვეითი ჯარითა და კავალერიით ორი მიმართულებით განავითარებდა შეტევას: 1. ანატოლიიდან ახალციხის გავლით მტკვრის ხეობით თბილისზე; 2. ანატოლიიდან აჭარით გურია-იმერეთის გავლით ქუთაისზე. ომის დაწყებამდე არავინ იცოდა, რომ ინგლის-საფრანგეთი ოსმალეთის მოკავშირენი გახდებოდნენ და შავ ზღვაზე მათი ფლოტი გაბატონდებოდა. შავ ზღვაზე ინგლის-საფრანგეთ-ოსმალეთის ფლოტის გაბატონებამ საქართველოს სანაპიროზე ოსმალთა ჯარების დესანტის გადმოსხმისა სამეგრელო-იმერეთის გავლით ქუთაისზე შეტევის საფრთხე წარმოშვა. საქართველოს სხვა მხრივაც ემუქრებოდა განსაცდელი. XIX საუკუნის 40-იან წლებსა და 50-იანი წლების დამდეგს რუსეთი ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, იმამი შამილი დაემარცხებინა და ჩრდილო კავკასიის დაპყრობა დაესრულებინა. შამილი უკანასკნელ ძალებს იკრებდა და უზარმაზარი იმპერიის წინაშე კაპიტულაციას არ აპირებდა. რუსეთ-ოსმალეთის ომი გარკვეულ იმედებს აღუძრავდა შამილს. რუსეთთან მრავალწლიანი ბრძოლის გამოცდილება იმამს არჩევნის საშუალებას არ აძლევდა: ომში ოსმალეთს უნდა მიმხრობოდა! ყოველივე ამას კავკასიის კორპუსის შტაბშიც ხვდებოდნენ და შესაბამის ღონისძიებებსაც ატარებდნენ. უფრო ზუსტად, შამილის ჯარებისაგან კახეთის დაცვისათვის ყირიმის ომამდე გაცილებით ადრე იქნა მიღებული. ჯერ კიდევ 1830 წელს სამხრეთ კავკასიის, პირველ რიგში კახეთის, დაცვის მიზნით რუსებმა შექმნეს **ლეკეთის კორდონის ხაზი** (Лезгинская кордонная линия). 180 ვერსის სიგრძის ლეკეთის ხაზი, რომელიც თბილისის გუბერნიის თუშ-ფშავხევსურეთის ოკრუგიდან იწყებოდა და შემახიის გუბერნიის ნუხის მაზრამდე გრძელდებოდა, მარცხენა და მარჯვენა ფლანგებად იყოფოდა. მარცხენა ფლანგზე მთავარი სიმაგრეები იყო: ყარათუბანი, საცხენე, ყვარელი, საბუე და ნათლისმცემელი, მარჯვენა ფლანგზე – ბელაქანი და ზაქათალა. 1850 წელს ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსად დაინიშნა პოლკოვნიკი **ლევან მელიქიშვილი**. ლეკეთის ხაზის გამაგრებას, რომლის საერთო სიგრძე 110 ვერსი იყო, სათანადო ყურადღება არასდროს ექცეოდა. ხაზის

მშენებლობის პროექტის განხორციელებას 1850 წლიდან ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსი პოლკოვნიკი ლევან მელიქიშვილი ხელმძღვანელობდა, თუმცა სერიოზული სამუშაო წლების განმავლობაში არ შესრულებულა. ამის მიზეზი სათანადო სახსრების უქონლობა იყო.

§2. შამილის ჯარების შემოჭრა ჭარ-ბელაქანში ყირიმის ომის დანაყებამდე

(1853 წლის აგვისტო-სექტემბერი)

იმამი შამილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეეცდებოდა თავისი მიზნებისათვის გამოიყენებინა რუსეთსა და ოსმალეთს შორის დანაყებული ომი. ცხადია, შამილს არავის წინაშე, მათ შორის, არც სულთნის წინაშე, არანაირი ვალდებულების აღება არ სურდა (და არც აუღია), მაგრამ თუ სამხრეთ კავკასიაში რუსეთს საქმე ცუდად წაუვიდოდა, იმამი ამას აუცილებლად გამოიყენებდა. ჯერ კიდევ ყირიმის ომის დანაყებამდე, 1853 წლის აგვისტო-სექტემბერში, შამილმა დაზვერვითი ხასიათის ბრძოლები ჩაატარა და ლეკეთის ხაზის სიძლიერე მოსინჯა.

1853 წლის 24 ივნისს თბილისის გუბერნიის ჭარ-ბელაქნის ოკრუგისა და ლეკეთის ხაზის უფროსმა გენერალ-მაიორმა გრიგოლ ორბელიანმა პირველი ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ რამაზანის დღესასწაულის დასრულების შემდეგ შამილი დიდი ძალებით ლეკეთის ხაზს დაესხმოდა თავს. გენერალმა ორბელიანმა გავრცელებულ ხმებს სათანადო ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ ეს ხმები უსაფუძვლო არ იყო. აგვისტოს პირველ ნახევარში უკვე ეჭვიც აღარ არსებობდა იმის თაობაზე, რომ შამილი ლეკეთის ხაზის რომელიმე მონაკვეთს დაესხმოდა თავს. საბოლოოდ შამილმა ხაზის მარჯვენა ფლანგი, ჭარ-ბელაქანი, არჩია, რადგან ჩათვალა, რუსეთის წინააღმდეგ იქაური მცხოვრებლების ამხედრებას შეძლებდა. შამილი არც იმას გამორიცხავდა, რომ ჭარ-ბელაქნელი ქართველი მუსლიმები და იქ გვიან ჩასახლებული ლეკები მას არ მიემხრობოდნენ. ასეთ შემთხვევაში

იმამი მთლიანი კუთხის საფუძვლიან დარბევას და მოსახლეობის ჩრდილო კავკასიაში გადასახლებას აპირებდა. შამილს კარგად ორგანიზებული დაზვერვის ქსელი გააჩნდა, რომლის საშუალებითაც მან კარგად იცოდა, რომ ლეკეთის ხაზზე განლაგებული ისედაც მცირე რაოდენობის ჯარი ცალკეულ სიმაგრეში იყო გაფანტული. ამიტომ არ ეპარებოდა მას ეჭვი საკუთარ გამარჯვებაში. ჭარბელაქნის მოსახლეობის რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ იგი ყოფილ ირანულ სახანოებში გადასვლას და იქაური მოსახლეობის მიმხრობას აპირებდა.

1853 წლის 10 აგვისტოს შამილი დარგო-ვედენოდან ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგისაკენ დაიძრა. გზადაგზა მის ჯარს ახალი რაზმები უერთდებოდა, სულ მალე შამილის დაქვემდებარებაში 15.000 მეტრძოლი აღმოჩნდა. ამ დროისათვის რუსების აგენტურა ძალზე ცუდად მუშაობდა, რის გამოც გრიგოლ ორბელიანმა შამილის გამოლაშქრების ამბავი რამდენიმე დღის შემდეგლა შეიტყო. გენერალმა 14 აგვისტოს მზვერავეები გაგზავნა და მათ შამილის ლაშქრის მოძრაობის შესახებ ცნობების შეკრება დაავალა. სანამ მზვერავეები დაბრუნდებოდნენ, შამილი დიდი ჯარითა და 4 ზარბაზნით უკვე აულ კარატში შევიდა და ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგზე თავდასხმისათვის მოემზადა.

1853 წლის 15 აგვისტოსათვის ლეკეთის ხაზზე გენერალმაიორ გრიგოლ ორბელიანის დაქვემდებარებაში შემდეგი ჯარები იყო: გრენადერთა პოლკის 2 ბატალიონი, ერევნის კარაბინერთა პოლკის 1 ბატალიონი, თბილისის ეგერთა პოლკის 3 ბატალიონი, სამეგრელოს ეგერთა პოლკის 2 ბატალიონი, საქართველოს მეთერთმეტე და მეთორმეტე სახაზო ბატალიონები, დონის კაზაკთა 6 ასეული, კავკასიის მსროლელთა ბატალიონის 1 ოცეული, 100 მესანგრე, ქართული ქვეითი მილიციის 4 ასეული, ბელაქნელი მოხალისეების რაზმი, სილნალის მაზრის მოხალისეების რაზმი (325 კაცი), კახეთის მოხალისეების რაზმი (300 კაცი). ჯარს შეიარაღებაზე ჰქონდა 12 სხვადასხვა სახის ზარბაზანი, სულ ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგზე განლაგებული იყო 12 ბატალიონი, ცხენოსამთა 7 ასეული და 12 ზარბაზანი, მილიციელთა და მოხალი-

სეთა რაზმები. ეს ჯარები გაფანტული იყო ლეკეთის ხაზის გასწვრივ, 180 ვერსის სიგრძეზე. ჯარის ერთი სიმაგრეიდან მეორეში გადასროლა თავისთავად ასუსტებდა პირველ სიმაგრეს. რუსების დაბნევის მიზნით შამილს შეეძლო რამდენიმე რაზმი სხვადასხვა მიმართულებით გაეგზავნა, ხოლო თვითონ ერთ კონკრეტულ ადგილზე შეეცა ლეკეთის ხაზისათვის.

შამილის შემოტევის ძირითადი მიმართულების საბოლოოდ დადგენის შემდეგ გრიგოლ ორბელიანმა ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგის გაძლიერება დაიწყო: 1. ყვარლიდან ბელაქანში გადაიყვანეს თბილისის ეგერთა პოლკის 1 ბატალიონი 2 სამთო ზარბაზნით; 2. დედოფლისწყაროდან თბილისის ეგერთა პოლკის 1 ბატალიონი ზაქათალაში გადაიყვანეს; 3. ალაზნის ხაზზე განლაგებული დონის კაზაკთა პოლკის 2 ასეული ასევე ზაქათალაში იქნა გადაყვანილი; 4. ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგი გაძლიერდა ზარბაზნებით, მათი გადამტანი ცხენებით, შეიქმნა ყუმბარების მარაგი. ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგის გაძლიერებამ დაასუსტა ალაზნის ხაზი და, გარკვეულწილად მარცხენა ფლანგიც. ყვარელზე დიდოელების თავდასხმის შემთხვევაში მონინალმდეგეს დიდი უპირატესობა ექნებოდა, გაჭირდებოდა ლეკების შეჩერება ალაზანზე, სადაც მხოლოდ კაზაკთა მცირერიცხოვანი საგუშაგოები დარჩა.

შამილის ჯარების ჭარ-ბელაქანში შესვლის შემთხვევაში დიდი საფრთხე ექმნებოდა თბილისის გუბერნიის სიღნაღისა და თელავის მაზრებს და შემახიის გუბერნიის ნუხის მაზრას. ამიტომ აუცილებელი იყო, პირველ რიგში, ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგის და, საერთოდ, მთელი ლეკეთის ხაზის დაცვა, ანუ 180 ვერსის სიგრძის ხაზზე თავდაცვითი ბრძოლების წარმოება. აუცილებელი იყო ხსენებულ მაზრებში მილიციის მობილიზება, რომელსაც დახმარება უნდა აღმოეჩინა რეგულარული ჯარისათვის. პირველ რიგში, თელავისა და სიღნაღის მაზრების მილიციას უნდა დაიკავებინა ის თავდაცვითი ზღუდეები, რომლებიც გადაჯგუფების პროცესში ჯარებმა დატოვეს. თელავისა და სიღნაღის მაზრებიდან სულ მობილიზებული იქნა 700 მილიციელი. მილიციის რაზმებს პროვიან-



გრიგოლ ორბელიანი

ტის ერთი კვირის მარაგი გააჩნდათ, შემდეგ მილიცია პროვიანტით სახელმწიფო ხაზინას უნდა უზრუნველყო. სიღნაღის მაზრის მილიციის 250 მებრძოლი, მათ შორის 50 ცხენოსანი, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე განლაგეს, რომელთაც მალე თელავის მაზრის მილიციის 425 მებრძოლი შეუერთდა. ეს ძალები ალაზანზე ლეკთა ცხენოსანი ჯარის შესაჩერებლად არ კმაროდა, ამიტომ იყო, რომ კავკასიის მეფისნაცვალ მიხაილ ვორონცოვის ბრძანებით ცხენოსანი მილიციის რაზმები შეიქმნა ელიზავეტოპოლის მაზრასა და ბორჩალოს დისტანციაში. მიუხედავად იმისა, რომ ელიზავეტოპოლში ცხენოსანი მილიციის განვევის შესახებ ბრძანება 1853 წლის 29 აგვისტოს მიიტანეს, მაგრამ 1 სექტემბერს მაზრის უფროსის პოლკოვნიკ თავად ჯამბაკურ-ორბელიანის მეთაურობით ცხენოსანი მილიცია ზაქათალისაკენ დაიძრა. ბორჩალოს დისტანციის ცხენოსანმა მილიციამ ბრძანება მიიღო ბორჩალოშივე დარჩენილიყო და ბრძანებას დალოდებოდა. გრიგოლ ორბელიანმა სერიოზული ღონისძიებები გაატარა ნუხის მაზრის დასაცავად.

დარგო-ვედენოდან ლეკეთის ხაზისაკენ შამილის ჯარების დაცვრის შემდეგ 2 კვირის განმავლობაში მნიშვნელოვანი ბრძოლები არ მომხდარა. ლეკების რამდენიმე მცირერიცხოვანმა რაზმმა ძარცვის მიზნით ხაზი გადმოლახა და მალე უკანვე გაბრუნდა. 1853 წლის 24 აგვისტოს საღამოს 5 საათზე შამილის დიდი ცხენოსანი რაზმი ზაქათალასთან ახლოს, მალლობზე, განლაგდა. ამ რაზმში იმყოფებოდა თავად იმამი შამილი და მისი შვილები: ყაზი მუჰამედი და დანიელ ბეი, ასევე რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში სახელგანთქმული შამილის სხვა თანამებრძოლები. ზაქათალასთან განლაგებულ ლეკთა ცხენოსან ჯარს თანდათან ემატებოდა ახალი ძალები. ლეკეთის ხაზის უფროსმა გენერალ-მაიორმა გრიგოლ ორბელიანმა 24-25 აგვისტოს ღამით ზაქათალაში ბელაქნიდან და სხვა ადგილებიდან 3,5 ბატალიონი გადაიყვანა, რომელთაც შეიარაღებაზე გააჩნდათ 4 სამთო და 2 მსუბუქი ზარბაზანი. შამილს ღამით ზაქათალისათვის არ შეუტევია, როგორც ჩანს, კიდევ ელოდებოდა ახალი ძალების გამოჩენას. 25 აგვისტოს, ნაშუადღევს 2 საათზე, შამილის ცხენოსანი ჯარი მალლობიდან დაეშვა და ზაქა-

თალის ციხის ახლოს მცხოვრებთაგან მიტოვებული სოფელი ძველი ზაქათალა დაიკავა. ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგის ყველაზე საშიშ დაბრკოლებად გენერალ გრიგოლ ორბელიანს ზაქათალის სიმაგრესთან შამილის ჯარების თავმოყრა მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ მან 3,5 ბატალიონით, კავალერისტთა 5 ასეულით და 6 ზარბაზნით დაუყოვნებლივ შეუტია ძველ ზაქათალაში განლაგებულ შამილის ჯარს. სოფელში ამ დროს შამილის უამრავი ცხენოსანი იმყოფებოდა, გარშემო მთებზე კიდევ მოჩანდა ცხენოსანი რაზმები. რუსეთის ჯარი და ქართული მილიცია ძველ ზაქათალაში შეიჭრა და ხელჩართულ ბრძოლაში ნაბიჯ-ნაბიჯ მიინეცდა ნინ. შამილი სულ ახალ და ახალ ძალებს აბამდა ბრძოლაში, სოფლისათვის შეტაკება გვიან საღამომდე გაგრძელდა. 25 აგვისტოს ძველი ზაქათალის დაუფლებისას რუსებმა დაკარგეს: 1 შტაბის ოფიცერი, 2 უფროსი ოფიცერი, 47 ჯარისკაცი; დაიჭრა: 2 უფროსი ოფიცერი, 51 ჯარისკაცი. ქართული მილიციიდან დაიღუპა: 1 შტაბის ოფიცერი, 1 უფროსი ოფიცერი და 12 რიგითი მილიციელი; დაიჭრა: 1 უფროსი ოფიცერი და 21 რიგითი მილიციელი. მსხვერპლი ლეკების მხრიდან ზუსტად ვერ დადგინდა, ცნობილია მხოლოდ ის, რომ მათ სოფელში 90 მოკლული დატოვეს.

1853 წლის 26-27 აგვისტოს შამილი კვალავ ზაქათალის ციხის ახლოს იდგა, თუმცა რუსების პოზიციებისათვის აღარ შეუტევია. ამით ისარგებლა გენერალმა ორბელიანმა და ზაქათალაში თავი მოუყარა 6 ბატალიონს, მათ შორის საქართველოს მეთერთმეტე სახაზო ბატალიონს, რომელიც ზაქათალის ციხეში საგარნიზონო სამსახურს ეწეოდა. იმავდროულად, გრიგოლ ორბელიანმა ნუხის მაზრის მილიცია ელისუს სიმაგრესა და სოფელ კახს შორის ჩააყენა. მანამდე ამ პოზიციაზე გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი იდგა.

გენერალ-მაიორ გრიგოლ ორბელიანის სწრაფი და საზრიანი მოქმედებით ზაქათალის ციხე ხანგრძლივი თავდაცვისათვის მოემზადა. მიუხედავად ამისა, ქარ-ბელაქანში ვითარება შეიძლება და რუსეთისათვის მეტად სახიფათოდ განვითარებულიყო. შამილის შეჭრამ ქარ-ბელაქანში მუსლიმ მოსახლეობაში მღელვარება

გამოიწვია, აშკარა იყო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი შამილის ჯარების გამოჩენას სიხარულით შეხვდა. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც იმამ შამილს, ისე გენერალ-მაიორ გრიგოლ ორბელიანს ჭარ-ბელაქანის მოსახლეობის სრული მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ. მოვლენათა განვითარებამ აჩვენა, რომ ორივენი ცდებოდნენ. მართალია, რამდენიმე სოფლის მოსახლეობა დასჯის შიშითა თუ სხვა მოტივით შამილის ჯარს არ შეერთებია, მაგრამ სოფლების უმრავლესობამ, განსაკუთრებით ბელაქანის გარშემო მდებარე სოფლებმა, უარი განაცხადეს შამილის წინააღმდეგ ბრძოლაზე და, რუსების მხრიდან მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, შამილის ჯარები სოფლებში უბრძოლველად შეუშვეს.

ჭარ-ბელაქანში რუსეთის ჯარის დამარცხება იმას ნიშნავდა, რომ ლეკები ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდოდნენ და კახეთის სოფლების დარბევას შეუდგებოდნენ. ამიტომ იყო, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ზაქათალის ციხის დაცვას. ცუდად გამაგრებული ციხის შესანარჩუნებლად 3-4 ბატალიონი და ზარბაზნები იყო საჭირო. გარდა ამისა, 1 ან 2 ბატალიონი იმ სოფლების დასაცავად უნდა გაეგზავნათ, რომლებიც ჯერ კიდევ არ მიმხრობოდნენ შამილს. უშუალოდ ზაქათალის ციხისათვის საბრძოლველად გამიზნული იყო 3-4 ბატალიონი, ხოლო სოფლების დასაცავად – 1-2 ბატალიონი, თუმცა კიდევ საჭირო იყო 2-3 ბატალიონი და კავალერია, რომელიც შამილის ჯარებს ზაქათალის ციხესთან მისვლამდე უნდა შებრძოლებოდა და, წარუმატებლობის შემთხვევაში, ციხისაკენ ნელ-ნელა დაეხია. ამ რაოდენობით ჯარი კი გენერალ ორბელიანს არ ჰყავდა. 1853 წლის 25 აგვისტოსვე გრიგოლ ორბელიანმა შექმნილი ვითარების შესახებ შეტყობინება გაუგზავნა კასპიისპირეთში რუსეთის ჯარის მეთაურ გენერალ-ადიუტანტ თავად მოვსეს არლუთინსკი-დოლგორუკოვს. გენერალი ორბელიანი გენერალ არლუთინსკი-დოლგორუკოვს სთხოვდა დალესტანში, შამილის ჯარების ზურგში, საბრძოლო მოქმედებები დაენყო, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი იძულებული გახდებოდა ჭარ-ბელაქანი დაეტოვებინა. არლუთინსკი-დოლგორუკოვი ორბელიანს არ ერწმუნა და ვითარების საბოლოოდ გარკვევამდე საბრ-

ძოლო მოქმედებები არ დაიწყო. 27 აგვისტოს არლუთინსკი-დოლგორუკოვს ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებმა აცნობა, რომ შამილი 10.000 ცხენოსნით ქარში შეიჭრა. რადგან ეს ცნობა თვითმხილველმა მიანოდა, 28 აგვისტოს გენერალი არლუთინსკი-დოლგორუკოვი შამილის ცხენოსანი ჯარის ბანაკისაკენ დაიძრა. ამ დროისათვის გენერლის დაქვემდებარებაში იყო: ქვეითთა 5 ბატალიონი, დრაგუნთა 1 დივიზიონი, კაზაკთა 2 ასეული, მსროლელთა 1 ასეული, მესანგრეთა რაზმი, დაღესტნელ ცხენოსანთა 4 ასეული, მილიციის 4 ასეული და 8 სამთო ზარბაზანი. გზად ამ ძალებს უნდა მიმატებოდა ქვეითთა 2 ბატალიონი, ცხენოსანი მილიციის 4 ასეული, ქვეითი მილიციის 5 ასეული და 4 სამთო ზარბაზანი.

გენერალ მოვსეს არლუთინსკი-დოლგორუკოვის ჯარები თუ ბრძოლაში ჩაემბოდა, ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგის დაცვა და შამილის ჯარების მოგერიება შესაძლებელი იქნებოდა, თუმცა შამილი თავის განზრახვაზე ხელის აღებას არ აპირებდა. ლეკთა ცხენოსანი ჯარი კვლავ ქარის მალლობზე იდგა. მალლობისაკენ მიმავალი გზები შამილმა ყველგან საგულდაგულოდ ჩაახერგინა. იმავდროულად, იმამმა ქარის სოფლებში რაზმები გაგზავნა და მოსახლეობას რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. ერთ-ერთი ასეთი რაზმი სოფელ ქართან რუსების ჩასაფრებას წააწყდა. ჩასაფრებაში 2 მსუბუქი ზარბაზანით 6 ასეული იმყოფებოდა. მოულოდნელად გახსნილმა ცეცხლმა ლეკები მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, მათ რამდენიმე ათეული მებრძოლი დაკარგეს და სასწრაფოდ უკან დაიხიეს. 1853 წლის 30 აგვისტოს დანიელ ბეი ძლიერი ცხენოსანი ჯარით სოფელ კატეხიდან გავიდა და ბელაქანი დაიკავა. ლეკებმა ვერ აიღეს მხოლოდ ბელაქნის სიმაგრე. 31 აგვისტოს ყაზი მუჰამედი ზაქათალისაკენ დაიძრა. მალე დანიელ ბეისა და ყაზი მუჰამედის რაზმები ზაქათალის გარშემო განლაგდნენ, თუმცა შეტევისაგან ჯერჯერობით თავს იკავებდნენ.

გენერალმა გრიგოლ ორბელიანმა ბელაქნის გარშემო სოფლებში შამილის რაზმების მიერ განეული აგიტაციის ჩაშლის მიზნით 1853 წლის 31 აგვისტოს 4 ბატალიონი და 6 ზარბაზნი და მის განკარგულებაში მყოფი მთელი კავალერია ზაქათალიდან ბელაქნისაკ-

ენ დაძრა. პირველსავე შეჯახების შემდეგ დანიელ ბეიმ ბრძოლის ველი მიატოვა და ტყეს შეაფარა თავი. ბელაქანთან გამარჯვების შემდეგ გენერალი ორბელიანი იმავე დღეს სასწრაფოდ გაემართა ზაქათალისაკენ და 18 საათის განმავლობაში 70 ვერსი გაიარა. 1 სექტემბერს ორბელიანმა შეიტყო, რომ ბელაქანთან დამარცხებულ დანიელ ბეიმ ყაზი მუჰამედი შეუერთდა. იმავე დღეს გრიგოლ ორბელიანი უკან გაბრუნდა და ყაზი მუჰამედის ძალები გაანადგურა. დანიელ ბეიმ ალაზანზე მულანლოს ფონთან რუსეთის საფოსტო სადგური დაანგრია, რის შემდეგაც ელისუში დაბრუნდა.

გენერალ მოვსეს არლუთინსკი-დოლგორუკოვის ჯარის მოძრაობის შესახებ გრიგოლ ორბელიანს 1853 წლის 30 აგვისტოსაც კი არავითარი ცნობა არ ჰქონია. 3 სექტემბერს შამილმა თავისი პოზიციები დატოვა და ბელაქნის სოფლებისაკენ გაემართა. იმავე დღეს გრიგოლ ორბელიანი 5 ბატალიონითა და 9 ზარბაზნით სოფელ კატეხთან დაბანაკდა, რათა შამილისათვის ბელაქნისაკენ გაჭრის საშუალება მოესპო. მალე გაირკვა, რომ შამილმა ბელაქნის დაკავება გადაიფიქრა, რადგან გენერალ არლუთინსკი-დოლგორუკოვის ჯარის მიახლოება შეატყობინეს. 4 სექტემბერს გამთენიისას შამილმა თავდაცვისათვის დაიწყო მზადება და ხელსაყრელი პოზიციის შერჩევას შეუდგა. გრიგოლ ორბელიანმა მაშინვე შენიშნა, რომ შამილმა ადრე მოწყობილი ბანაკი დატოვა და სასწრაფოდ დაედევნა მას. მოწინააღმდეგეს ორბელიანი მდინარე კატეხზე დაენია და ზარბაზნებიდან ცეცხლი გაუხსნა. საღამოს რუსებმა მდინარე კატეხი გადალახეს თუ არა, შამილის მიერ მალლობზე კარგად გამაგრებული ბანაკის წინაშე აღმოჩნდნენ. მოწინააღმდეგის ბანაკის შეტევით დაკავება უიმედო იყო. გრიგოლ ორბელიანმა გადანყვიტა ჯარი შეეჩერებინა და გენერალ არლუთინსკი-დოლგორუკოვს დალოდებოდა. მართალია, არლუთინსკი-დოლგორუკოვს საკმაოდ დიდი ჯარი ჰყავდა, მაგრამ შამილი კარგად სარგებლობდა გეოგრაფიული მდებარეობით და გზაზე რუსებს ჩასაფრებებს უწყობდა. ამიტომ იყო, რომ არც თუ ისე დიდი მანძილის გავლას არლუთინსკი-დოლგორუკოვმა სამი დღე მოანდომა. ჯარი იმდენად დაიქანცა, რომ დიულეთ-დაღის უღელტეხილის გადალახვის შემ-

დეგ გენერალი იძულებული გახდა სოფელ ყუსურში ჯარი კიდევ ერთი დღით შეესვენებინა, რის შემდეგაც ჯარი გუდურ-დაღის უღელტეხილისაკენ დაიძრა. უღელტეხილისაკენ მიმავალ ვინრო გზაზე მთელი ჯარის ერთდროულად გაშლა არლუთინსკი-დოლგორუკოვმა შესაძლებლად არ მიიჩნია და იგი 2 ნაწილად გაყო. ჯარის პირველ ნაწილთან ერთად გენერალი უღელტეხილის გადასალახად დაიძრა, მეორე ნაწილი კი საგანგებო ბრძანების მიღებამდე ბანაკად უნდა მდგარიყო. 1853 წლის 4 სექტემბერს დილის 4 საათსა და 30 წუთზე არლუთინსკი-დოლგორუკოვი სოფელ ყუსურიდან დაიძრა და ნაშუადღევს 2 საათზე უბრძოლველად მიაღწია თოვლით დაფარულ უღელტეხილს. სამაგიეროდ, გუდურ-დაღის უღელტეხილიდან დაშვება წარმოუდგენლად ძნელი აღმოჩნდა. კლდეზე მიმავალი ვინრო ბილიკი, აღმართ-დაღმართი ძალზე მოუხერხებელი იყო როგორც ქვეითების, მით უფრო ცხენოსნების გადაადგილებისათვის. ალაგ-ალაგ ცხენებისათვის გზა საერთოდ არ იყო. თითქმის შეუძლებელი გახდა ზარბაზნების გადატანა და პროვიანტით დატვირთული ოთხთვალეებისა და ურმების ტარება. დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ ქვეითთა ერთმა ბატალიონმა და კავალერიამ 4 სექტემბერს საღამოს 9 საათზე სოფელ დინდს მიაღწია. დანარჩენი ჯარი დინდში მხოლოდ 4-5 სექტემბრის ღამით და მეორე დღეს, 5 სექტემბერს, მივიდა. 6 სექტემბერს დილით არლუთინსკი-დოლგორუკოვს შეატყობინეს, რომ შამილის ჯარები საფრთხეს უქმნიდნენ ზაქათალას. ამ ცნობის მიღებისთანავე გენერალი დინდიდან ზაქათალისაკენ დაიძრა, რათა გრიგოლ ორბელიანის ჯარებს შეერთებოდა. 7 სექტემბერს არლუთინსკი-დოლგორუკოვი მდინარე კატეხის ნაპირას მალლობზე შამილის კარგად გამაგრებულ ბანაკს მიუახლოვდა. ამ დროს მან გრიგოლ ორბელიანისგან სასიხარულო ცნობა მიიღო: ზაქათალაზე წარუმატებელი იერიშის შემდეგ შამილი არლუთინსკი-დოლგორუკოვისა და ორბელიანის ჯარების გაერთიანებას აღარ დალოდებია და 9 სექტემბერს ქარ-ბელაქნის ოკრუგის ტერიტორია დაუტოვებია.

§3. იმამ შამილის ჯარების შემოჭრა კახეთში ყირიმის ომის დროს

(1854 წლის ივლისი)

ყირიმის ომმა ძალზე დაძაბა ვითარება დასავლეთ საქართველოში: აფხაზეთში, გურიასა და სამეგრელოში, ასევე ქვემო იმერეთში. ვითარება დაიძაბა კახეთშიც, რომელიც უშუალოს ესაზღვრებოდა იმამატს.

1. ვითარება გურია-აჭარის სასაზღვრო რაიონში. 1854 წლის გაზაფხულისათვის ოსმალეთ-საქართველოს საზღვარზე რუსეთის ჯარი ასე იყო განლაგებული: გენერალ-ლეიტენანტ ივანე ანდრონიკაშვილის საერთო მეთაურობით მოქმედებდნენ: 1. გურიის რაზმი (ქვეითთა 18 ბატალიონი, კაზაკთა 19 ასეული, მილიციის 50 ასეული, 30 ქვემეხი). გურიის რაზმს გენერალ-მაიორი ალექსანდრ გაგარინი მეთაურობდა; 2. ახალციხის რაზმი (ქვეითთა 7,3 ბატალიონი, კაზაკთა 6 ასეული, მილიციის 10 ასეული, 16 ქვემეხი). რაზმის მეთაური გენერალ-მაიორი კოვალევსკი იყო. გარდა აღნიშნულისა, თბილისის რაიონში საერთო რეზერვში იდგა ქვეითთა 4 ბატალიონი და მილიციის რამდენიმე ასეული.

სამხრეთ კავკასიაში განლაგებული რუსეთის რეგულარული ჯარისა და მილიციის წინააღმდეგ მოქმედებისათვის გამიზნულ ოსმალეთის ანატოლიის არმიაში 60.000 მებრძოლი ირიცხებოდა, რომელსაც მუსტაფა ზარიფ ფაშა სარდლობდა.

1854 წლის გაზაფხულზე ოსმალეთის ანატოლიის არმია (60.000 მებრძოლი) მუსტაფა ზარიფ ფაშას სარდლობით ყარსიდან ალექსანდრეპოლის (გიუმრის) მიმართულებით დაიძრა. იმავდროულად ოსმალთა კორპუსი (36.000 მებრძოლი) სელიმ ფაშას სარდლობით ქობულეთის სანჯაყიდან გურიის საზღვრებისაკენ გამოემართა. სამხრეთ კავკასიაში კრიტიკული ვითარება შეიქმნა. რუსეთის წინააღმდეგ ომში საფრანგეთისა და ინგლისის ჩაბმამ ოსმალები გაამხნევა. 1854 წლის 11 აპრილს სელიმ ფაშამ გურია-აჭარის საზღვარი გადმოლახა და ოზურგეთი დაიკავა.

მიუხედავად ძალთა უთანასწორობისა, რუსეთის ჯარმა და ქართულმა მილიციამ 1854 წლის მაისის ბოლოს ლანჩხუთსა და ნიგოთთან სასტიკად დაამარცხეს ოსმალები. გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა კიდევ უფრო დიდი დამარცხება აწვინა ოსმალებს მდინარე ჩოლოქზე 1854 წლის ივნისის დამდეგს.

გურია-აჭარის საზღვარზე დროებით სიმშვიდე ჩამოვარდა, სამაგიეროდ, დაძაბულობა იგრძნობოდა კახეთში. ვრცელდებოდა ხმები, რომ იმამი შამილი კახეთზე სალაშქროდ ემზადებოდა.

2. შამილის ლაშქრობა კახეთში. რუსეთის საიმპერატორო კარს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სამხედრო სამინისტროსა და მთავარ შტაბს უტყუარი ცნობები ჰქონდათ იმის თაობაზე, რომ სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის ჯარის შემოჭრის შემდეგ მოსალოდნელი იყო იმამ შამილის ჯარების თავდასხმა საქართველოსა და, კერძოდ, კახეთზე. ცხადია, ყოველივე ამის თაობაზე ინფორმირებული იყო კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვი და კავკასიის კორპუსის სარდლობა. მხოლოდ ის უნდა დადგენილიყო, თუ საიდან განახორციელებდა შეტევას შამილის ჯარი: დაღესტნიდან (ყვარლის გავლით) თუ ქარ-ბელაქნიდან (ქიზიყის გავლით).

ლევან მელიქიშვილმა კარგად იცოდა ლეკეთის ხაზის ყველა სისუსტე. 1854 წლის 4 იანვარს მან თბილისში მოხსენება გაგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო: ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგი შამილის ჯარების კახეთზე თავდასხმის შემთხვევაში მონინალმდეგეს ვერ შეაჩერებს, ხოლო მარჯვენა ფლანგიდან (ზაქათალიდან) დახმარების მიღება შეუძლებელი იქნებაო. ლევან მელიქიშვილი ითხოვდა, რომ მარცხენა ფლანგზე განლაგებულ 2 ბატალიონსა და ქართული მილიციის რაზმებს დამატებოდათ ქვეითთა 2 ბატალიონი, კაზაკთა 4 ასეული და 4 სამთო ზარბაზანი. გარდა ამისა, აუცილებელი იყო, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებზე კახეთის ბარში ჩამომავალ ხეობებში საგუშაგოებზე მდგარ ქართულ მილიციას დამატებოდა 300 კაცი და იმავდროულად შექმნილიყო მილიციის რეზერვი 1.500 მეგრძოლით. პოლკოვნიკი მელიქიშვილი აუცილებლად თვლიდა ყვარლის ციხის ქვის გა-

ლავნის აღდგენას, როგორც ეს 1850 წლის პროექტით იყო გათვალისწინებული. ასევე გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნედა ყვარლის ციხეში თოფისნამლის, პურისა და წყლის მარაგის შექმნას, რათა ციხე ხანგრძლივი ალყისათვის მზად ყოფილიყო. ლევან მელიქიშვილის პროექტი თბილისში მოიწონეს, თუმცა მოხსენებაში დასმული საკითხები არ გადაუჭრიათ. 1854 წლის იანვარში ლევან მელიქიშვილი ზაქათალის ოკრუგის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად გადაიყვანეს და ლეკეთის ხაზიც ისევ სავალალო მდგომარეობაში დარჩა. 1854 წლის თებერვლის ბოლოს პოლკოვნიკი ლევან მელიქიშვილი მთელი ლეკეთის ხაზის უფროსად დანიშნეს და გენერალ-მაიორის წოდებაც მიანიჭეს. ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსად პოლკოვნიკი მიხაილ ფონ კულმანი დაინიშნა. ლევან მელიქიშვილმა თელავის მახრის უფროსთან ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროს პოლკოვნიკ ფონ კულმანთან და კახეთის თავადებთან ერთად ხაზის მარცხენა ფლანგის სიმაგრეები შემოიარა. სიმაგრეების უფროსად კახელი თავადები დაინიშნენ, ხოლო პოლკოვნიკმა ფონ კულმანმა ყვარლის ციხის ქვის გალავნის აღდგენისა და საცხენისის სიმაგრის მშენებლობის დასრულების ბრძანება მიიღო. მასვე დაევალა კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებიდან კახეთის ბარში ჩამომავალ ხეობებში არსებული საგუშაგოების საბრძოლო საჭურვლითა და სურსათით მომარაგება. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ლეკეთის მარცხენა ფლანგზე მუდმივად მდგომი თბილისის ეგერთა პოლკის 1 ბატალიონის გარდა, ლევან მელიქიშვილის დაყინებული მოთხოვნით, უნდა განლაგებულიყო: საქართველოს მეთორმეტე სახაზო ბატალიონი, სამეგრელოს ეგერთა პოლკის 1 ბატალიონი, კაზაკთა 4 ასეული, ქართული მილიციის 3 ასეული და 500 მილიციელი რეზერვიდან. ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის შემოვლის შემდეგ, 1854 წლის 7 მარტს, გენერალ-მაიორი ლევან მელიქიშვილი ხაზის მარჯვენა ფლანგის შემოსავლელად გაემართა და ზაქათალაში ჩავიდა. მარცხენა ფლანგის გაძლიერების მიზნით მელიქიშვილის მოთხოვნა მხოლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: რეგულარული ჯარის 2 ბატალიონის ნაცვლად ლეკეთის ხაზზე 1 ბატალიონი გაიგზავნა,

ხოლო ქართული მილიციის რეზერვიდან 1.500 მილიციელის ნაცვლად – 500 მილიციელი, კაზაკთა 4 ასეულის ნაცვლად – 3 ასეული, 4 სამთო ზარბაზნის ნაცვლად – 2 ზარბაზანი. სამაგიეროდ, პოლკოვნიკმა ფონ კულმანმა საბრძოლო საჭურველითა და სურსათით უხვად მოამარაგა მთის ხეობებში განლაგებული რეგულარული ჯარისა და ქართული მილიციის საგუშაგოები. მანვე თავისი აგენტების მეშვეობით საიდუმლო კავშირი დაამყარა ანწუხის ნაიბ ყარა იბრაჰიმთან, რომელიც იმამ შამილის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. ნაიბი შამილის ლალატს და რუსების მხარეს გადასვლას აპირებდა, ამიტომ იყო, რომ ფონ კულმანს კახეთის მიმართულებით შამილის ჯარების მოძრაობის შესახებ ცნობებს აწვდიდა. ლევან მელიქიშვილმა განეული სამსახურის სანაცვლოდ ყარა იბრაჰიმს დიდი ოდენობით ფული გაუგზავნა. ყარა იბრაჰიმის გარდა რუსები ცნობებს სხვა აგენტურული წყაროებიდანაც ლებულობდნენ.

1854 წლის ივნისის დამდეგს გენერალმა ლევან მელიქიშვილმა კვლავ შემოიარა ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგი და შესრულებული სამუშაოთი უკმაყოფილო დარჩა. 1854 წლის 18 ივნისს გენერალმა პოლკოვნიკ კულმანს საიდუმლო მინერილობა გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნული იყო:

1. ჩრდილო კავკასიაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ შამილი მიმდინარე წლის ზაფხულში აუცილებლად შემოიჭრება კახეთში. ამ შემოსევის მიზანი მხოლოდ სოფლებზე თავდასხმა, ძარცვა-გლეჯვა და მოსახლეობის დაშინება აღარ იქნება. უფრო სავარაუდოა, რომ შამილი ერთი მთავარი მიმართულებით შეუტევს, ჯარს იგი სხვა მიმართულებებითაც გაგზავნის, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ყურადღება გაფანტოს, რათა მთავარი დარტყმის მიმართულება ვერ ამოვიცნოთ;

2. შამილის ჩანაფიქრი, მთავარი დარტყმის მიმართულება არ ვიცით, რის გამოც გაუგებრობაში აღმოვჩნდით. ამის შედეგი ისაა, რომ მოწინააღმდეგის გამოჩენას ნებისმიერ ადგილას ველით, ძალები დაქსაქსულია, რაც შამილს გაუადვილებს წარმატებით განახორციელოს შეტევა მთავარი მიმართულებით. შამილი იმოქმედებს

უშუალოდ თავდასხმის მომენტში შექმნილი კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს წინასწარ შედგენილი გეგმა;

3. მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსი პოლკოვნიკი კულმანი მზად უნდა ყოფილიყო არა მარტო დაეცვა მარცხენა ფლანგი, არამედ სასწრაფო დახმარება აღმოეჩინა კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთებიდან კახეთის ბარში ჩამომავალ ხეობებში განლაგებული რეგულარული ჯარისა და მილიციის საგუშაგოებისათვის;

4. მთის ხეობებში განლაგებული რეგულარული ჯარისა და მილიციის საგუშაგოები დროულად უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი საბრძოლო საჭურვლით, სურსათითა და წყლის მარაგით; სოფლებში უნდა აღედგინათ ძველი დაზიანებული ციხე-სიმაგრეები; მოეხდინათ მოსახლეობის მობილიზება;

5. ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსის პოლკოვნიკ კულმანის დაქვემდებარებაში იქნებოდა ქვეითთა 2 ბატალიონი, კაზაკთა 3 ასეული, ქვეითი მილიციის 5 ასეული, თავადებისა და აზნაურების ცხენოსანი მილიციის 5 ასეული, 4 ზარბაზანი;

6. სოფლების სიახლოვეს შამილის ჯარების გამოჩენის შემთხვევაში მოსახლეობას ჯოგი სასწრაფოდ მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე უნდა გადაერეკა და თავი მახლობლად მდებარე აღდგენილი ციხე-სიმაგრეებისათვის უნდა შეეფარებინა. ქონება, რომლის შეტანა ციხე-სიმაგრეში ვერ მოხერხდებოდა მინაში უნდა ჩაეფლათ. ბრძოლის უნარიან მოსახლეობას იარაღი უნდა აესხა და ციხე-სიმაგრეები დაეცვა;

7. თუ შამილის ჯარების თავდასხმა რამდენიმე სოფელზე ერთად მოხდებოდა, სასწრაფოდ უნდა დადგენილიყო ამ სოფლებიდან ყველაზე დიდი ძალა რომელს უტევდა, რადგან ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფ სოფელს რეზერვიდან საჭირო დახმარება დროულად მიეღო;

8. ყველა ღონე უნდა ეხმარათ იმისათვის, რომ შამილის ჯარების მთავარი მიმართულება დროულად ამოეცნოთ, რათა მონინალმდევისათვის შეტევის წარმატებით განვითარების საშუალება

არ მიეცათ;

9. თუ უეჭველად დადასტურდებოდა, რომ შამილი ძირითადი ძალებით ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგს შეუტევდა, მაშინ ლეკეთის ხაზის უფროსი გენერალ-მაიორი ლევან მელიქიშვილი მარჯვენა ფლანგიდან ძალებს მარცხენა ფლანგზე გადაისროდა. გარდა ამისა, პოლკოვნიკ კულმანს დახმარებას აღმოუჩინდა თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის ოკრუგების უფროსი;

10. ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსი პოლკოვნიკი კულმანი მზად უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ შამილის ჯარები კახეთში შეიძლებოდა თუშეთიდან შემოჭრილიყვნენ.

ამრიგად, პოლკოვნიკმა კულმანმა ლევან მელიქიშვილისაგან საკმაოდ დანვრილებითი ინსტრუქცია მიიღო, თუმცა მისი მთლიანად განხორციელება სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

1854 წლის ივნისის მინურულისათვის ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგზე რუსეთის რეგულარული ჯარები, კახეთის თავადებისა და აზნაურების ცხენოსანი ასეულები და ქვეითი მილიციის ასეულები შემდეგნაირად იყვნენ განლაგებულნი:

1. ეს ძალები კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ჩამომავალ მთის ხეობებში იდგნენ და იცავდნენ კახეთის ბარისაკენ მომავალ გზას;

2. საქართველოს მეთორმეტე სახაზო ბატალიონი საცხენეში იდგა და დაკავებული იყო სიმაგრის მშენებლობით. საცხენისში იდგა კაზაკთა 1 ასეული. სახაზო ბატალიონი და კაზაკები იცავდნენ სოფლებს: ახალ გავაზს, ძველ გავაზს, ჭიკაანსა და სანავარდოს;

3. სამეგრელოს ეგერთა პოლკის მე-3 ბატალიონის 2 ასეული უშუალოდ ყვარლის ციხეში იდგა, ხოლო კიდევ 2 ასეული – სოფელში. ამ 4 ასეულს ყვარელი უნდა დაეცვა მდინარეების დოლის გუბისა და დურუჯის მხრიდან;

4. ქართული ქვეითი მილიციის 1 რაზმი (500 მებრძოლი) შუამთის ხეობაში სოფელ ხანდოში იდგა. ითვლებოდა, რომ შუამთის ხეობა შამილის ჯარებისათვის ყველაზე ძნელად მისადგომი ადგილი იყო, ხეობაში 2 კარგად გამაგრებული კოშკი იდგა.

5. თბილისის ეგერთა პოლკის მე-3 ბატალიონს 2 ზარბაზნით

სოფლები: საბუე, ენისელი და გრემი უნდა დაეცვა;

6. კაზაკთა 2 ასეული და ქართული ქვეითი მილიციის 3 ასეული სოფელ მატანსა და სოფელ ნაფარეულს შორის იდგა და ლოპოტის ხეობიდან თელავისაკენ მომავალ გზას აკონტროლებდა.

რეგულარული ჯარის, კახეთის თავადებისა და აზნაურების ცხენოსანი მილიციის ასეულების და ქართული ქვეითი მილიციის ასეულების ამგვარი განლაგება თითქოს იმის გარანტიას იძლეოდა, რომ თუ შამილის ჯარები დაღესტნიდან კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე ჩამომავალი ხეობებით ყვარელზე ან ლოპოტის ხეობით თელავზე გამოილაშქრებდნენ, კახეთის სოფლები დამხმარე ძალის მოსვლამდე მაინც დაცული უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ეს ვარაუდი არ გამართლდა.

1854 წლის 28 ივნისს ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსმა პოლკოვნიკმა მიხაილ ფონ კულმანმა აგენტურული წყაროებიდან მიიღო ცნობები, რომ შამილი ჩეჩნებისა და ლეკების დიდი ძალებით უკვე სოფელ კარატში შევიდა. შამილი დიდოელთა ჯართან ერთად თუშეთში გადმოსვლას და თელავზე გალაშქრებას აპირებდა. სხვა აგენტურული ცნობების მიხედვით, შამილის ჯარები თავს იყრიდნენ ანწუხში, საიდანაც საცხენის გავლით კახეთის ბარის სოფლებს შეესეოდნენ. პოლკოვნიკი კულმანი კიდევ უფრო დაიბნა, როდესაც აგენტებისაგან ასეთი ცნობა მიიღო: შამილის შვილი დანიელ ბეი ჯარით ყაზიყუმუხში ჩავიდა და იქიდან აპირებდა კახეთში შემოჭრას. ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობების მიღების შემდეგ პოლკოვნიკმა კულმანმა რეზერვში მყოფ თბილისის ეგერთა პოლკის მე-3 ბატალიონისა და სამეგრელოს ეგერთა პოლკის მე-3 ბატალიონის მეთაურებს, ასევე კაზაკთა ასეულების მეთაურებს უბრძანა მზად ყოფილიყვნენ ნებისმიერი მიმართულებით გადასასროლად. ამასთან ერთად, თელავის მაზრის ყვარელის უბნის მოსახლეობა გააფრთხილეს, ჯოგი მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გადაერეკათ, ქონება გადაემაღათ, ხოლო თავად ციხე-სიმაგრეებისათვის შეეფარებიანთ თავი. კულმანმა თუშეთზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ სასწრაფოდ ჩააყენა საქმის კურსში თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგის უფროსი პოლკოვნიკი

ჩოლოყაშვილი, მაგრამ გაფრთხილება ოკრუგის უფროსმა ყურად არ იღო. ჩოლოყაშვილმა მზვერავები არ გაგზავნა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შამილის ჯარებს იგი მხოლოდ მაშინ შეამჩნევდა, როცა ისინი სამხრეთ კალთებზე დაშვებას დაიწყებდნენ. კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან კახეთის ბარში გამოჭრისათვის მოწინააღმდეგეს სულ რამდენიმე საათი დაჭირდებოდა.

შამილის ჯარით სოფელ კარატს მისვლა ნაიბ ყარა იბრაჰიმისაგან დროულად შეიტყო გენერალ-მაიორმა ლევან მელიქიშვილმა. გენერალმა ისიც შეიტყო, რომ შამილი დიდოელებს ჯარით დახმარებას სთხოვდა, ხოლო ანწუხში მობილიზაცია გამოცხადდა. საყურადღებო იყო ისიც, რომ შამილის ვაჟი ჯარით ყაზიყუმუხში ჩავიდა. ამ ცნობების გაანალიზების შემდეგ ლევან მელიქიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შამილი არა თუშეთის ან ლოპოტის ხეობის გავლით, არამედ ჭარ-ბელაქანიდან შემოიჭრებოდა კახეთში. ეს იმას ნიშნავდა, რომ ძირითად დარტყმას მიიღებდა არა ლეკეთის მარცხენა, არამედ მარჯვენა ფლანგი. ამ მეტად დაძაბულ ვითარებაში შამილმა შეიტყო, რომ ანწუხის ნაიბი ყარა იბრაჰიმი და დიდოელთა ზოგიერთი მამასახლისი რუსებთან საიდუმლო კავშირში იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ შამილმა ანწუხის ნაიბსა და დიდოელთა მამასახლისებს ჯარით სოფელ კარატში გამოცხადება უბრძანა, ხოლო თვითონ მათ შესახვედრად დაიძრა. შეხვედრა სოფელ ანკატრლში უნდა შემდგარიყო. ანკატრლში შეხვედრის შემდეგ ანწუხისა და დიდოელი მამასახლისების ჯარი შამილმა უკანვე გააბრუნა და ანწუხში შესულმა სასწრაფოდ დააპატიმრა ნაიბი ყარა იბრაჰიმი და რუსებთან კავშირში შემჩნეული დიდოელთა 2 მამასახლისი. იმამის ბრძანებით, სამივეს თავი მოჰკვეთეს.

შამილის მიერ ამ სასტიკი სადამსჯელო ოპერაციის ჩატარების შემდეგ გენერალ მელიქიშვილისა და პოლკოვნიკ ფონ კულმანისათვის უცნობი იყო, რა ხდებოდა კავკასიის მთავარ ქედს გადაღმა, საიდან აპირებდა შამილი კახეთში შემოჭრას.

1854 წლის 2 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ნინიკასციხის მთაზე მდებარე ფოხალისთავის (ყვარლიდან ჩრდილოეთით, კავკასიო-

ნის სამხრეთ კალთაზე) კოშკის გუშაგებმა შენიშნეს, რომ მთავარი ქედი გადმოლახა და სამხრეთ კალთებზე დაეშვა შამილის ჯარი, ცხენოსნები და ქვეითები. გუშაგებმა მომხდარი სასწრაფოდ შეატყობინეს საგუშაგოს უფროსს ხორუნუ თავად ივანე ჭავჭავაძეს, რომელმაც 4 მილიციელი ამბის შესატყობინებლად სასწრაფოდ გაგზავნა ყვარელში კახეთის თავადებისა და აზნაურების ცხენოსანი მილიციის მეთაურ პოდპოლკოვნიკ თავად ქობულიშვილთან. ივანე ჭავჭავაძის მიერ გაგზავნილ ცნობაში აღნიშნული იყო, რომ მოწინააღმდეგე დიდი ძალებით უახლოვდებოდა ფოხალისთავის კოშკს. ჭავჭავაძემ შექმნილი ვითარების შესახებ მეორე შეტყობინება გაუგზავნა სოფელ შილდაში მყოფ კავკასიის მთავრასარდლის ადიუტანტს პოდპოლკოვნიკ თავად დავით ჭავჭავაძეს, რომლის დაქვემდებარებაში სოფელ ხანდოში განლაგებული მილიციის რეზერვის დიდი რაზმი (500 მილიციელი) იმყოფებოდა. ფოხალისთავის საგუშაგოდან გაგზავნილი 4 მილიციელი ყვარელში ღამის 11 საათზე მივიდა. მილიციელებმა ქობულიშვილს განუცხადეს, რომ უამრავი ქვეითი და ცხენოსანი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ორი გზით – შილდისა და ყვარლის ხეობებით – ეშვებოდა. თავადმა ქობულიშვილმა თავად ჭავჭავაძის შეტყობინება ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსსა და სამმართველოს კანცელარიის უფროსს თავად სულხან ბარათაშვილს გადასცა, რომელმაც დოკუმენტი დაუყონებლივ გაუგზავნა საცხენისის სიმაგრეში მყოფ პოლკოვნიკ კულმანს. იმავდროულად, ბარათაშვილმა შამილის ჯარების თავდასხმის შესახებ შეატყობინა ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის სიმაგრეების უფროსებს, თელავის მაზრის უფროსსა და ყვარელის უბნის უფროსს. პოდპოლკოვნიკმა ქობულიშვილმა ყვარლის ციხიდან ზარბაზნის სამი სასიგნალო გასროლით მახლობელი სოფლების მოსახლეობას საფრთხის მოახლოება ამცნო. იმავდროულად, ქობულიშვილმა მაიორ სოკოლოვს უბრძანა სასწრაფოდ დაემთავრებინა ყვარლის ციხის გალავნის აღდგენის დარჩენილი სამუშაო, გაეფრთხილებინა ყვარლის გარშემო არსებული ყველა საგუშაგო და თელავის თავადებისა და აზნაურების საკრებულოს წინამძღოლი. შილდაში მყოფმა პოდპოლკოვნიკმა

დავით ჭავჭავაძემ შამილის ჯარების შემოსევის შესახებ ცნობის მიღებისთანავე სოფლების მოსახლეობას ციხე-სიამგრეებში თავის შეფარებისაკენ მოუწოდა, თუმცა ყოველგვარი მონოდების მიუხედავად, შილდისა და ყვარელის მოსახლეობა სახლებში დარჩა.

ფოხალისთავის კომუიდან ხორუენ ივანე ჭავჭავაძის მიერ გამოგზავნილი შეტყობინება სულხან ბარათაშვილის მეშვეობით საცხენისის სიმაგრეში მყოფმა პოლკოვნიკმა მიხაილ ფონ კულმანმა 1854 წლის 2-3 ივლისის ღამით, უფრო ზუსტად, ნაშუალამევის 2 საათზე მიიღო. კულმანმა შეტყობინების მიღებისთანავე საგანგებო შიკრიკი გაგზავნა ზაქათალაში მყოფ გენერალ ლევან მელიქიშვილთან, ხოლო გავაზში მყოფ კაპიტან აფხაზს უბრძანა სოფლების გავაზის, ჭიკაანისა და სანავარდოს ჯოგი ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გადაერეკა. ამ სოფლების შეიარაღებულ მოსახლეობას კი სოფელ ჭიკაანში უნდა მოეყარა თავი, რათა საცხენის სიმაგრისაკენ დაძრულიყვნენ. კაპიტანი აფხაზი მეთორმეტე სახაზო ბატალიონის 2 ასეულითა და კაზაკთა 1 ასეულით 3 ივლისს შუადღის 12 საათზე ყვარლისაკენ დაიძრა. 2-3 ივლისის ღამეს დიდი სამუშაოები ჩატარდა ყვარლის ციხის თავდაცვისათვის მომზადების მიზნით, თუმცა შამილის ჯარების მოძრაობა ყვარლის მიმართულებით შემჩნეული არ ყოფილა.

1854 წლის 2 ივლისს, საღამოს 8 საათზე, ლეკებმა ნინიკას-ციხის მთაზე მდებარე ფოხალისთავის საგუშაგოს შეუტიეს, სადაც ხორუენ ივანე ჭავჭავაძის მეთაურობით 30-40 ქართველი მილიციელი იყო გამაგრებული. ლეკები ვარაუდობდნენ, რომ ყვარლისაკენ მიმავალი გზის გადამლობ ფოხალისთავის საგუშაგოს მალე დაიკავებდნენ. ისინი ფოხალისთავის კომუთან სულ ახლოს მოვიდნენ და გარნიზონს დანებება შესთავაზეს. ამის საპასუხოდ კომუიდან გარნიზონმა ძლიერი ცეცხლი გახსნა. შამილის ბრძანებით, ფოხალისთავის კომუკს ზარბაზნებიდან ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ უშედეგოდ.

შამილმა 10.000 ქვეითი და ცხენოსანი თავისი ვაჟიშვილის, ყაზი მუჰამედისა და ელისუს სულთნის დანიელ ბეის მეთაურობით შილდის მიმართულებით გაგზავნა, ხოლო 5.000 ქვეითითა და

ცხენოსნით ფოხალისთავის საგუშაგოსთან დადგა. 1854 წლის 3 ივლისს ლეკები ისევ შეფერხდნენ, ამჟამად – შუამთის საგუშაგოსთან, როემლიც ვერ დაიკავეს და სოფელ ხანდოსაკენ გაემართნენ. ხანდოში განლაგებულმა ქართულმა მილიციამ პოდპოლკოვნიკ დავით ჭავჭავაძის მეთაურობით სოფელი დატოვა და შილდაში გამაგრდა. ხანდოში საშინელი ტრაგედია დატრიალდა, ლეკებმა სოფელი გადაწვეს, მოსახლეობა დახოცეს ან ტყვედ აიყვანეს. ხანდოდან ლეკები შილდისაკენ გაემართნენ, მართალია, ციხე ვერ აიღეს, მაგრამ დილის 7 საათიდან 11 საათამდე სოფელი მთლიანად გაძარცვეს და გადაწვეს, ცოცხლად გადარჩენილები ტყვეებად აიყვანეს. 11 საათზე ლეკები სამად გაიყვნენ: პირველი ნაწილი ტყვეებითა და ნაძარცვით ხანდოში დაბრუნდა; მეორე ნაწილმა ბაღებსა და ვენახებში სამუშაოდ გასული ჭინჭრიანის, ტურისციხისა და ფაშაანის მოსახლეობა დაატყვევა; მესამე ნაწილი გრემს, ენისელს, ნაქალაქევსა და შაქრიანს დაესხა თავს, მაგრამ, როგორც კი ნაფარეულის მხრიდან თავად გიორგი ჯორჯაძის ცხენოსანი რაზმის მოძრაობა შენიშნა, უკუიქცა. 3 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ლეკების რაზმებმა თავი ისევ ხანდოში მოიყარეს.

1854 წლის 3-4 ივლისს ღამით ლეკები უტევდნენ შილდის ციხეს, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროისათვის ციხეში 3 ზარბაზნით ქვეითი ჯარის 6 ასეული და 500 მილიციელი იდგა. ნარუმატებელი იერიშების შემდეგ ყაზი მუჰამედმა და დანიელ ბეიმ 4 ივლისის დილის 6 საათზე ხანდოდან და შილდიდან ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გაგზავნეს მთელი კავალერია. პოდპოლკოვნიკი დავით ჭავჭავაძე თბილისის ეგერთა პოლკის 3 ასეულით, სამეგრელოს ეგერთა პოლკის 2 ასეულითა და 3 ზარბაზნით კახეთის თავადებისა და აზნაურების ცხენოსან რაზმსა და ქართული მილიციის 2 ასეულთან ერთად ლეკებს დაედევნა. ქვეითი ჯარის ასეულებმა და ქართულმა მილიციამ ცხენოსანი ლეკების დევნა ვერ შეძლეს და ალაზანში წყლის დონის მომატების გამო ვერც მეორე ნაპირზე გადავიდნენ. დავით ჭავჭავაძემ ჯარი შეაჩერა და ლეკების მოძრაობის თვალყურის დევნება განაგრძო. მალე ლეკებმა გადაწვეს სოფლები: კონდოლი, კისისხევი, წინანდალი, შალაური და სხვ.



დავით ჭავჭავაძე

ამის შემდეგ ისინი წერილ-წერილ რაზმებად დაიშალნენ და ალაზნის მარცხენა ნაპირს მოედვნენ. 4 ივლისს, შებინდებისას, ლეკების ერთმა რაზმმა ისევ სცადა გადმოსვლა ალაზნის მარჯვენა ნაპირზე. მიუხედავად იმისა, რომ დავით ჭავჭავაძის მიერ მოწყობილი ჩასაფრებიდან მათ ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს, თუმცა ლეკების ნაწილი მდინარემ წაიღო, მაგრამ ნაწილმა მარჯვენა ნაპირზე გამოსვლა მაინც მოახერხა. აქ ისინი კახეთის თავადებისა და აზნაურების მილიციის ერთმა რაზმმა, რომელსაც ესაული მარჯანიშვილი მეთაურობდა, მთლიანად გაანადგურა. ლეკებმა გადანყვიტეს მდინარე ალაზნის ნაპირზე დავით ჭავჭავაძის მიერ მოწყობილი ჩასაფრება მოეშალათ. ამ მიზნით მათ შილდის ციხეს კიდევ ერთხელ შეუტყეს და პოდპოლკოვნიკი ჭავჭავაძეც იძულებული გახდა ჯარი ჩასაფრებიდან შილდისაკენ წაეყვანა. ალაზნის მარჯვენა ნაპირზე ჭავჭავაძემ სამეგრელოს პოლკის 2 ასეულით კაპიტანი ხიტროვი დატოვა და უბრძანა, მთელი ღამე თვალყური ედევნებინა ლეკების მოძრაობისათვის. ხიტროვმა ბრძანება არ შეასრულა. მან 4 ივლისს, საღამოს 9 საათზე, საარტილერიო ცეცხლით ალაზნის მარცხენა ნაპირზე ლეკთა მცირე რაზმი გაფანტა და იმავე საღამოს შილდისაკენ გაემართა. ხიტროვის ასეთმა მოქმედებამ ლეკებს საშუალება მისცა 4-5 ივლისის ღამით მთელი ნაძარცვი ქონება ალაზნის მარჯვენა ნაპირიდან მარცხენაზე გადაეტანათ, გადაიყვანეს ტყვეებიც.

1854 წლის 4 ივლისს ორდღიანი ბრძოლების შემდეგ ლეკებმა ფოხალისთავისა და შუამთის საგუშაგოები დაიკავეს. ტყვეობაში აღმოჩნდნენ საგუშაგოს უფროსი ივანე ჭავჭავაძე და ცოცხლად გადარჩენილი ქართველი მილიციელები.

1854 წლის 3 ივლისს ყვარლის ციხეში პოდპოლკოვნიკ ქობულიშვილთან მყოფი თავადი სულხან ბარათაშვილი სამეგრელოს ეგერთა პოლკის კაპიტანმა ხანდამიროვმა გაიხმო და აცნობა, რომ, უტყუარი ცნობების მიხედვით, 3 ივლისს, დილით, შამილის ჯარებმა სოფელი შილდა დაიკავეს და გადანვეს. პოდპოლკოვნიკი ქობულიშვილი სამეგრელოს პოლკის 1 ასეულით სასწრაფოდ სოფელ შილდისაკენ გაემართა, ხოლო სულხან ბარათაშვილმა შეტყობინე-

ბა გაუგზავნა პოლკოვნიკ ფონ კულმანს. სოფელ ყვარელში მისულ სულხან ბარათაშვილს შამილის ჯარების მიერ სოფელ შილდის დაკავება და გადანვა დაუდასტურეს. ყვარლის ციხეში დაბრუნებულიმა ბარათაშვილმა შეიტყო, რომ შილდისაკენ მიმავალ პოდპოლკოვნიკ ქობულიშვილს შამილის ჯარის ძლიერი რაზმი (2.000 მეზობლი) შეხვედრია, 1 ასეულით ქობულიშვილს ბრძოლაში ჩამბა ვერ გაუბედავს და ყვარლის ციხეში დაბრუნებულა.

1854 წლის 3 ივლისს, დღის 2 საათზე, სულხან ბარათაშვილმა მიხაილ ფონ კულმანისაგან მიიღო ცნობა, რომ იგი საცხენიდან გამოვიდა და პოდპოლკოვნიკ ქობულიშვილს უბრძანებდა, რომ სოფელ ყვარელში განლაგებული სამეგრელოს ეგერთა პოლკის 2 ასეულითა და ყვარლის ციხის გარნიზონის 1 ზარბაზნით მასთან ერთად სოფელ შილდის დასახმარებლად დაძრულიყო. ქობულიშვილი მაშინვე გაემართა შილდისაკენ. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ სოფელ ყვარლიდან ყვარლის ციხეში შეატყობინეს, რომ შილდა-ყვარლის გზაზე შამილის ჯარის რაზმი გამოჩნდა. ბარათაშვილმა სასწრაფო შეტყობინება გაუგზავნა ქობულიშვილს, მაგრამ ამ დროისათვის შილდის მისადგომებთან ქობულიშვილს ძლიერი ცეცხლი გაუხსნა მოწინააღმდეგემ, რის შემდეგაც იგი ყვარლის ციხეში მიბრუნდა.

1854 წლის 3 ივლისს საღამოს 5 საათზე ყვარლის ახლოს, მთაზე, შამილის ჯარმა ბანაკი მოაწყო. ყვარლის ციხიდან შეუიარაღებელი თვალითაც კი კარგად მოჩანდა 60 კარავი. შილდაში დატრიალებული უბედურების შესახებ ყვარელში მხოლოდ 3 ივლისის გვიან ღამით შეიტყვეს. ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსი პოლკოვნიკი მიხაილ ფონ კულმანი პოდპოლკოვნიკ დავით ჭავჭავაძის იმ მოხსენებას გაეცნო, რომელიც ჭავჭავაძემ ქობულიშვილს გაუგზავნა. მოხსენება დავით ჭავჭავაძეს 1854 წლის 3 ივლისს 12 საათსა და 30 წუთზე დაუსრულებია. მასში აღნიშნული იყო:

1. 1854 წლის 3 ივლისს, დღის 7 საათზე, სოფელ შილდას შეუტიეს, ბრძოლა გრძელდებოდა 11 საათამდე. მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალის მხრივ დიდი უპირატესობა ჰქონდა. სოფელზე

თავდასხმისას ლეკებმა ტყვედ აიყვანეს რამდენიმე ქალი და ბავშვი;

2. 3 ივლისს, 12 საათზე, შამილის ჯარის ცხენოსნები სოფელ ენისელისაკენ დაიძრნენ, რის გამოც დავით ჭავჭავაძემ შილდიდან 150 მეტრძოლი ენისელში გაგზავნა;

3. თხოვნის მიუხედავად, შილდისა და ენისელის დასაცავად დამხმარე ძალა არ გამოჩენილა.

პოლკოვნიკმა ფონ კულმანმა დავით ჭავჭავაძეს შილდაში ტყვია-ნამალი გაუგზავნა, მაგრამ 1854 წლის 3 ივლისს გვიან ღამით ყვარულში დაბრუნებულმა კაზაკებმა გენერალ ლევან მელიქიშვილს აცნობეს, რომ სოფელი შილდა გადამწვარი, ხოლო შილდასა და ყვარულს შორის კავშირი განწყვეტილი იყო. კაზაკებმა ასევე მოიტანეს ამბავი, რომ სოფლები: ფაშაანი, ტურისციხე, საბუე, გრემი და ენისელი ასევე გადანვეს ლეკებმა. გენერალმა მელიქიშვილმა პოდპოლკოვნიკი ქობულიშვილი ქვეითთა 2 ასეულით და 1 ზარბაზნით პოდპოლკოვნიკ დავით ჭავჭავაძის დასახმარებლად გაგზავნა. იმავედროულად, მელიქიშვილმა თუშეთის ოკრუგის უფროს ჩოლოყაშვილს უბრძანა, რომ თიანეთიდან კახეთში სწრაფი მარშით გამოეგზავნა ნავაგინსკის ქვეითთა პოლკის მე-4 ბატალიონი, რომელიც ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის რეზერვს წარმოადგენდა. 4 ივლისს დილით გენერალმა მელიქიშვილმა შეტყობინება გაუგზავნა და სიღნაღის მაზრის უფროსს სთხოვა, მილიციის ძალებით დახმარებოდა, ხოლო ყარაღაჯში მდგარ ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის მეთაურს პოლკის 2 დივიზიონის ძალებით მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის გაყოფებით თელავში ჩასვლა უბრძანა.

1854 წლის 4 ივლისს პოლკოვნიკმა კულმანმა პოდპოდპოლკოვნიკ დავით ჭავჭავაძისაგან წერილი მიიღო, პოდპოლკოვნიკი წერდა:

1. 3 ივლისს ლეკებმა სოფელ შილდიდან ხანდოსაკენ დაიხიეს, დიდი რაოდენობის მათი ქვეითი ჯარი და ცხენოსნები კვლავაც სოფელში იმყოფება;

2. ჩემს განკარგულებაშია სამეგრელოს ეგერთა პოლკის 2 ასეული, თბილისის ეგერთა პოლკის 2 ბატალიონი და 400 მილ-

იციელი, რომელთაგან შილდიდან გასვლის შემთხვევაში, 100 მილიციელი აუცილებლად უნდა დარჩეს ციხის დასაცავად.

3. ჩემდამი დაქვემდებარებული ჯარი თუ არ გაძლიერდება, კახეთს უდიდესი ზიანი მიადგება, ამასთან ერთად, კავალერიის გარეშე მონინალმდეგესთან ბრძოლა შეუძლებელია, რადგან ლეკების მთავარ ძალას სწორედ კავალერია წარმოადგენს;

პოლკოვნიკ ფონ კულმანს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ 1854 წლის 4-5 ივლისს ღამით ლეკეთის ხაზის ჯარების დასახმარებლად მივიდოდა დრაგუნთა 2 დივიზიონი და ცხენოსანთა რაზმი სილნალიდან. ამიტომ იყო, რომ 4-5 ივლისსავე მან დავით ჭავჭავაძეს აცნობა, რომ მის დასახმარებლად მზად იყო თბილისის ეგერთა პოლკის 1 ბატალიონი, სამეგრელოს ეგერთა პოლკის 2 ასეული, კახეთის თავადებისა და აზნაურების ცხენოსანთა რაზმი და 400 მებრძოლი კახეთის მილიციის რეზერვიდან. ამასთან ერთად, ფონ კულმანი დანაწევით აღნიშნავდა, რომ ჭავჭავაძეს კავალერიით ვერ დაეხმარებოდა. ფონ კულმანი ასევე სთხოვდა, 4 ივლისის ღამით სწრაფი მარშით დაძრულიყო ყვარელსა და შილდას შორის მდინარე კუინყაროს ნაპირას არსებული საგუშაგოსაკენ. ჭავჭავაძეს შილდის ციხეში ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი რაზმის გარდა, უნდა დაეტოვებინა კიდევ 100 მილიციელი. ღამით კუინყაროს საგუშაგოზე დავით ჭავჭავაძის რაზმს კაზაკთა 1 ასეულითა და 1 ზარბაზნით ფონ კულმანი შეუერთდებოდა. გაერთიანების შემდეგ ჭავჭავაძესა და კულმანს შემდგომი მოქმედების გეგმა უნდა დაესახათ.

პოლკოვნიკმა მიხაილ კულმანმა დანაპირები დახმარება ვერ მიიღო: თუშ-ფშავ-ხევისურეთის ოკრუგის უფროსმა თავადმა ჩოლოყაშვილმა პოლკოვნიკს აცნობა, რომ პროვიანტის უქონლობის გამო ვერ უგზავნიდა თიანეთში განლაგებულ ნავაგინსკის პოლკის მე-4 ბატალიონს; სილნალის მაზრის უფროსი იტყობინებოდა, რომ მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე შამილის ჯარის გამოჩენის გამო კულმანს ვერ ეხმარებოდა ცხენოსანთა სარეზერვო რაზმით; დრაგუნთა 2 დივიზიონი ყვარელში ვერ მივიდა, რადგან ლეკებმა ზაქათალის ციხეს ალყა შემოარტყეს და დრაგუნებს იქი-

დან გამოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ცხადია, ყოველივე ამან ფონ კულმანი მიძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. ცხენოსანთა რაზმის გაგზავნის ნაცვლად სიღნაღის რაზმის უფროსი ფოლ კულმანს ატყობინებდა, რომ სიღნაღთან შამილის ჯარის ცხენოსნები და ქვეითები გამოჩენილიყვნენ და დახმარებას იქით ითხოვდა.

1854 წლის 4 ივლისის დილით პოლკოვნიკმა კულმანმა სულხან ბარათაშვილს უბრძანა, შეემონმებინა, მზად იყო თუ არა სოფელი ყვარელი თავდაცვისათვის. ადგილზე მისულ ბარათაშვილს ყვარლის უბნის მსაჯულმა მოახსენა, ლეკებმა ალაზნის მარჯვენა ნაპირის სოფლები გადაწვესო. ცხადი გახდა, რომ ლეკებმა შილდის გადაწვა არ იკმარეს და ალაზნის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლების დარბევა დაიწყეს. 4 ივლისს, ღამის 12 საათზე, ფონ კულმანმა შილდის ციხიდან პოდპოლკოვნიკ ქობულიშვილის წერილი მიიღო. ქობულიშვილი წერდა: 4 ივლისს, დილით 9 საათზე, თბილისის ეგერთა პოლკის 3 ასეულით, მილიციის 2 ასეულითა და 2 ზარბაზნით ალაზნის მარჯვენა ნაპირზე გადასულ ლეკების კავალერიას დავედევნე, მაგრამ მდინარე მოდიდებული იყო და მარჯვენა ნაპირზე გადასვლა ვერ მოვახერხეო; პოდპოლკოვნიკი დავით ჭავჭავაძე ასევე ვერ გადავიდა ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, მარცხენა ნაპირზე ჩასაფრდა და ლეკების უკან დაბრუნებას დაელოდა; ჭავჭავაძის ჯარისკაცებმა და მილიციელებმა უკან მობრუნებულ ლეკებს ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს და 40 მათგანი დახოცეს; ჭავჭავაძე და ქობულიშვილი სწრაფი მარშით გაემართნენ შილდისაკენ, ლეკები დაამარცხეს, თუმცა მათ ბაღებსა და ვენახებს შეაფარეს თავი და იქიდან განაგრძობდნენ სროლას. ქობულიშვილი ფონ კულმანს ატყობინებდა, რომ მას და ჭავჭავაძეს ტყვია-წამლის მარაგი გაუთავდათ.

ქობულიშვილის წერილის გაცნობის შემდეგ კულმანს კიდევ უკონდა იმედი, რომ იგი ლეკეთის ხაზის მარჯვენა ფლანგის ჯარებისაგან დახმარებას მიიღებდა. ნაცვლად ამისა, 1854 წლის 5 ივლისს, გამთენიისას, მან ზაქათალაში მყოფი ლეკეთის ხაზის უფროს გენერალ-მაიორ ლევან მელიქიშვილისაგან სრულიად მოულოდნელი ცნობა მიიღო. 4 ივლისს დაწერილ შეტყობინებაში გენ-

ერალი აღნიშნავდა, რომ მას ფონ კულმანისაგან კახეთზე შამილის ჯარების თავდასხმის შესახებ გაგზავნილი მოხსენება საერთოდ არ მიეღო. მელიქიშვილი წერდა, რომ მან აგენტურული წყაროებიდან მხოლოდ 4 ივლისს, სალამოს, შეიტყო, შამილი დიდი ჯარით ბარაბ-მაიდნის მთაზე (ყვარლიდან ჩრდილოეთით, ნინიკასციხის მთაზე მდებარე ფოხალისთავის საგუშაგოსთან ახლოს) იდგა და თუშეთის გავლით კახეთში აპირებდა შეჭრას. გენერალი აღნიშნავდა, რომ მას სარწმუნოდ არ მიაჩნდა თუშეთის მხრიდან კახეთში შამილის ჯარების შეჭრა, რადგან ლეკეთის ხაზის მარცხენა ფლანგის სიმაგრეების მიმართულებით შამილის ჯარების აქტიურობა არ შეინიშნებოდა, რაც მთავარია, ბარაბ-მაიდნის მთაზე შამილის ჯარების თავმოყრას არ ადასტურებდა ფოხალისთავის საგუშაგოს უფროსი.

შილდის ციხეში გამაგრებული რეგულარული ჯარი და ქართული მილიცია უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა, შველა არსაიდან ჩანდა. 1854 წლის 5 ივნისს ყვარელში მყოფ პოლკოვნიკ კულმანს აცნობეს, რომ დასახმარებლად პოდპოლკოვნიკ ბარკოვსკის მეთაურობით მოდიოდა გენერალ მელიქიშვილის მიერ ზაქათალიდან გამოგზავნილი ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკის 2 დივიზიონი და დონის კაზაკთა პოლკის 4 ასეული არტილერიით. 5 ივლისს, შუადღისას, პოდპოლკოვნიკი ბარკოვსკი უკვე მდინარე დურუჯის ნაპირას იდგა. ფონ კულმანმა ყვარლის ციხის გარნიზონიდან სამეგრელოს ეგერთა პოლკის 1 ასეული და ქართული მილიციის 1 ასეული გამოიყვანა და პოდპოლკოვნიკ ბარკოვსკის შესაერთებლად დაიძრა. გზაში მას შეუერთდნენ პრაპორშჩიკ დავით ჭავჭავაძისა და კაპიტან აფხაზის მიერ შეკრებილი ადგილობრივი მოსახლეობის რაზმები. ასე რომ, პოლკოვნიკ ფონ კულმანის, პოდპოლკოვნიკ ბარკოვსკის, პრაპორშჩიკ ჭავჭავაძისა და კაპიტან აფხაზის გაერთიანების შემდეგ ფონ კულმანის დაქვემდებარებაში აღმოჩნდა 2.000 მებრძოლი 4 ზარბაზნით. 5 ივლისს, ნაშუადღევს 3 საათსა და 30 წუთზე ფონ კულმანი შილდისაკენ დაიძრა. შილდის ციხის წინ მდებარე გორაკიდან ლეკებმა ცეცხლი გახსნეს, მაგრამ საპასუხო ცეცხლის შემდეგ სწრაფად გაიფანტნენ. სალამოს 7 საათისათვის შილდა განთავისუფლდა. შილდიდან ფონ კულ-

მანმა შენიშნა, რომ სოფელ ხანდოში დიდი მოძრაობა იყო. ლეკები გასაქცევად ემზადებოდნენ. შილდის გათავისუფლებით მოგვრილი სიხარული გააქარწყლა ცნობამ იმის შესახებ, რომ 3-4 ივლისს ღამით წინანდალში პოდპოლკოვნიკ დავით ჭავჭავაძის ოჯახი ლეკებს დაეტყვევებინათ: დავითის მეუღლე ანასთან ერთად ტყვედ აიყვანეს მათი შვილები: სალომე (6 წლის), მარიამი (5 წლის), თამარი (3 წლის), ალექსანდრე (1 წლის), ჩვილი ლილია გატაცებისას დაიღუპა. დავით ჭავჭავაძის ოჯახთან ერთად გაიტაცეს გენერალ ილია ორბელიანის ქვრივი ბარბარე და მისი 6 თვის ვაჟი გიორგი, მრავალრიცხოვანი სახლობა (სულ 22 ადამიანი).

1854 წლის 5 ივლისი ისე დაღამდა, რომ ლეკებს აქტიურობა არ გამოუჩენიათ, თუმცა შუალამისას კიდევ ერთხელ შეუტიეს შილდას. რეგულარულმა ჯარმა და ქართულმა მილიციამ ისინი ძლიერი ცეცხლით უკუაგდეს. 6 ივლისს, გამთენიისას, ჩატარებული დაზვერვით დადგინდა, რომ შამილის ჯარები არც შილდის და არც ხანდოს შემოგარენში აღარ იმყოფებოდნენ. ამავ დღეს ლეკებმა ფოხალისთავის საგუშაგოც დატოვეს, თუმცა კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე არ გადასულან. როგორც ჩანს, შამილი ყვარლის ციხეზე თავდასხმას გეგმავდა. 6 ივლისს, საღამოს, ყვარელთან ახლოს ბანაკი დასცა რეგულარული ჯარის 4,5 ბატალიონმა, რომელსაც გენერალ-მაიორ ლევან მელიქიშვილი მეთაურობდა. შამილს, როგორც ჩანს, ყვარელთან ახალი ჯარის გამოჩენა არ გამოჰპარვია. იგი ფოხალისთავის საგუშაგოსთან ჩრდილოეთით კიდევ 4 დღე იდგა. გენერალმა მელიქიშვილმა ზედმეტი მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად შამილს არ შეუტია. 1854 წლის 10 ივლისს შამილმა საქართველოს ტერიტორია უბრძოლველად დატოვა.

შამილის ჯარების შემოჭრას კახეთში მოუმზადებელი დახვდა როგორც ლეკეთის ხაზი, ისე მისი მარცხენა ფლანგი. ხაზზე არსებული საგუშაგოებისა და სიმაგრეების ნაწილიც ასევე მოუმზადებელი იყო თავდაცვისათვის, არასაკმარისი იყო რეგულარული ჯარები, რის გამოც მთელ იმედს ქართულ მილიციაზე ამყარებდნენ. შამილის ჯარების შემოსევიდან მალევე ვერ მოხერხდა დამატებითი ძალების

გადასროლა კახეთში, სოფლების აბსოლუტური უმრავლესობა სრულიად დაუცველი აღმოჩნდა. ყოველივე ამით იყო განპირობებული ის, რომ ლეკებმა უამრავი სოფელი ჯერ გაძარცვეს, შემდეგ გადაწვეს, ხოლო ცოცხლად გადარჩენილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყვედ წაიყვანეს.

თავი IV. შამილის ქართული ტყვეები

რუსეთის წინააღმდეგ იმამ შამილის ბრძოლის პერიოდში(1834-1859 წწ.) მრავალი ქართველი აღმოჩნდა მის ტყვეობაში. მათი ნაწილი რუსეთის იმპერიის რეგულარულ ჯარსა და ქართულ მილიციაში მოსამსახურე ოფიცრები და რიგითები იყვნენ. უფრო დიდი ნაწილი მთიელებმა სხვადასხვა დროს კახეთიდან და ქარბელაქნიდან(საინგილოდან) გაიტაცეს. ზოგიერთი მათგანი სამშობლოში დაბრუნდა, ზოგი კი ტყვეობაშივე გარდაიცვალა.

§1. გენერალ-მაიორი ილია ორბელიანი ტყვეობაში

შამილის ერთ-ერთი საპატიო ტყვე იყო რუსეთის რეგულარული ჯარის აფშერონის პოლკის მეთაური, გენერალ-მაიორი ილია (ილიკო) ორბელიანი (1815-1853). გენერალი ილია ორბელიანი გრიგოლ ორბელიანის უმცროსი ძმა იყო. მას ცოლად ჰყავდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილის, ილიას, ქალიშვილი, ბარბარე ბაგრატიონი. 1832 წლიდან იგი ჩრდილოეთ კავკასიაში ყაზი მოლას, ჰამზათ ბეისა და შამილის წინააღმდეგ იბრძოდა. 1842 წლის მარტში ყაზიყუმუხის სახანოში(დაღესტანი) შამილის ლაშქრობის დროს იგი ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაში დარჩა იმავე წლის ნოემბრამდე.

გენერალი ილია ორბელიანი შეიპყრეს აფშერონის პოლკის პოდპოლკოვნიკთან და პრაპორშჩიკთან ერთად, რომელთა გვარები დოკუმენტებში არ იხსენიება. დაატყვევეს ასევე 6 კაზაკი, 1 ქართველი მილიციელი, 21 რიგითი ჯარისკაცი და 2 დენშჩიკი. 1842 წლის 22 მარტს ილია ორბელიანი პოდპოლკოვნიკსა და პრაპორშჩიკთან ერთად შამილის რეზიდენციაში წაიყვანეს (შამილს რამდენიმე რეზიდენცია ჰქონდა, კონკრეტულად რომელ რეზიდენციაში შედგა შეხვედრა, დოკუმენტში მითითებული არ არის. სავარაუდოა, რომ შეხვედრა ყაზიყუმუხის სახანოს ცენტრ ყუმუხში შედგებოდა). ტყვეები რეზიდენციის წინ შეაჩერეს, სადაც უამრავი ხალხი იყო შეკრებილი. „მოჰყავთ ქრისტიანი ღორები!“ – გაისმა ბრბოში. ამას მოჰყვა სხვა შეურაცხყოფელი სიტყვები. შამილს



ილია ორბელიანი

ტყვეების შესახებ მოახსენეს და მალე ისინი წარუდგინეს კიდევ იმამს. იმამი დიდ ოთახში მიურიდებით გარშემორტყმული იჯდა. მარჯვნივ და მარცხნივ იდგნენ მისი ცნობილი თანამებრძოლები: კიბიტ მუჰამედი, აბდურრაჰმან დიბირი და ჰაჯი მურატის ძმა. სულ სამ ოთახში დაახლოებით 150 მიურიდი იმყოფებოდა. ილია ორბელიანს შამილი ასეთი დაამახსოვრდა: „მშვენიერი, ცოცხალი, ყვავილით ოდნავ შესამჩნევად დაკენკილი თეთრი სახე, ცისფერი თუ მუქციცისფერი თვალები, გამჭრიახი და დიდი სულიერი სიძლიერის გამომხატველი გამოხედვა, სახეზე მუდამ ღიმილი უთამაშებდა, გაღიმებისას მოუჩანდა თეთრი, ჯანსაღი კბილები, მის მზერაში ცბიერ გამოხედვასთან ერთად სიკეთეც გამოსჭვიადა, ინით შეღებილი წვერი მის სახეს კიდევ უფრო მეტ სილამაზეს ანიჭებდა. შამილი საშუალოზე ოდნავ მაღალი, ლამაზი აღნაგობისა იყო. ჩანდა, რომ 35 წელზე მეტის არ იქნებოდა, თუმცა უფრო ხნიერად გამოიყურებოდა.“

შამილმა ტყვეები მომღიმარი სახით მიიღო, თუმცა არაფერი უთქვამს. სიჩუმე ილია ორბელიანმა დაარღვია და იმამს ასე მიმართა: „შამილ! ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვასრულებდით და ტყვედ ჩავცვივდით და აი, თქვენთან მოგვიყვანეს, ახლა ჩვენ თქვენს ხელში ვართ. რა გსურთ თქვენ? რას გვიპირებთ ჩვენ? სწრაფად გადაწყვიტეთ ჩვენი ბედი, გამოგვიცხადეთ, რა გველის: სიკვდილი, ტყვეობა თუ თავისუფლება?“ იმამმა აუღელვებლად უპასუხა გენერალს: „თქვენ ჩემს გადაწყვეტილებას თავის დროზე შეიტყობთ, ახლა მე დაკავებული ვარ.“ ამ სიტყვებთან ერთად მიურიდებს ანიშნა ტყვეების გაყვანა. იმ დროს შამილთან რამდენიმე აულის დეპუტაცია იმყოფებოდა, იმამს მათგან მძევლები უნდა მიეღო და გაეცა სხვა საჭირო განკარგულებანი, რომლებიც ყაზიყუმუხის სახანოში შარიათის დამკვიდრებას ეხებოდა.

ილია ორბელიანი და მისი თანმხლები 2 ტყვე ერთ-ერთ სახლში შეიყვანეს, სადაც ოთახი გამოუყვეს. მალე იმავე ოთახში შეიყვანეს ნ კაზაკი და ქართველი მილიციელი, ცოტა მოგვიანებით – ტყვედ ჩავარდნილი პოდპოლკოვნიკის თანმხლები რიგითი ზაგორსკი და 2 დენშჩიკი. დატყვევების შემდეგ მიურიდებს მიუთვისებიათ ილია

ორბელიანის პირადი ნივთები: ჩოხა, ოქროს საათი, ორლულიანი თოფი, 2 დამბაჩა, მოვერცხლილ-ქარქაშიანი ხმალი, მცირე ზომის ხალიჩა, სპარსული შალი, 340 ვერცხლის მანეთი და 4 ცხენი. მიურიდებმა ასევე დაისაკუთრეს სხვა ტყვეების ნივთებიც. ტყვეებს მიუჩინეს დარაჯები, რომელთა მეშვეობით შეეცადა ილია შეეტყო, თუ რა ბედი ენია მასთან ერთად ტყვედ ჩავარდნილ 20 ჯარისკაცს, რომლებიც გენერალს მაშინვე ჩამოაშორეს. მიურიდი ამბის გასაგებად შამილთან წავიდა, მაგრამ დიდხანს დააგვიანდა. მოულოდნელად ილია ორბელიანმა ოთხი გასროლა გაიგონა მალე შეიტყო, რომ მისი 20 ჯარისკაციდან ზოგი ტყვიით დაეხოცათ, ზოგიც ხმლით აეჩეხათ. დროდადრო ოთახში მიურიდები შემოიჭრებოდნენ, ტყვეებს აფურთხებდნენ და აგინებდნენ და უკანვე გადიოდნენ. სალამოს ტყვეები ისევ შამილს მიჰგვარეს, მაგრამ იმ დღეს იმამთან შეხვედრა არ შედგა. ტყვეებმა ღამე პატარა ოთახში გაათიეს.

23 მარტს ილია ორბელიანს ეწვია შამილთან დაახლოებული ორი მიურიდი, ჰაჯი მუსა და მაჰმუდი. ჰაჯი მუსამ გენერალზე მიანიშნა და იქ შეკრებილთ უთხრა: „აი, ეს დიდი ურჯულო ძალღია! მან წაგვართვა ჩვენ ანდიის სამი ათასამდე კომლი და რუსეთის ერთგულებაზე დააფიცა ისინი. მე შამილს ვთხოვე, ჩემთვის გადმოეცა იგი, რათა საკუთარი ხელით მოგვლა და ამით სამოთხე მოვიპოვო. მე დიდხანს ვიყავი მექაში, მაგრამ დღემდე შემთხვევა არ მომეცა, რომ გიაურის სისხლი დამელვარა“.

23 მარტს, შუადღით, შამილმა მრავალი ცნობილი ადამიანის თანდასწრებით ილოცა, ლოცვის შემდეგ იგი ტყვეებთან მივიდა. ამჯერად ძალზე ცუდად, ჭუჭყიანი ტანსაცმლით იყო შემოსილი. იმამმა მკაცრი ტონით მიმართა ილია ორბელიანს: „თუ რუსები მე დამიბრუნებენ შეილს, თქვენ თბილისში გაგიშვებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველას აგჩეხავთ და ჯოჯოჯხეთში გაგიშვებთ!“ ილია ორბელიანი არ შეშინდა და იმამს ასე მიმართა: „შამილ, ტყვეები სამჯერ მეტნიც რომ ვეყოთ, რუსეთის მთავრობა თქვენს წინადადებას არ დასთანხმდება. ხელმწიფე აფასებს ჩვენს სიცოცხლეს, მაგრამ ყოველი ჩვენგანის შემცვლელად მას ასი ჩვენი სთანა ჰყავს. სახელმწიფოს კეთილდღეობა ჩვენს სიცოცხლეზე

ძვირად ფასობს, ამიტომ ნუ ფიქრობ, რომ ჩვენ თქვენს შვილში გაგვეცვლიან... უმჯობესია, მოითხოვოთ ის, რისი გაკეთებაც ჩვენ და ჩვენს უფროსებს შეგვიძლია. გენერალმა ფეხიმ უნცუყულში ორასამდე ტყვე აიყვანა, რომელთაგან ჩვენი განთავისუფლებისათვის რამდენიმეს დაიბრუნებთ. რაც გასურთ, ის მოიმოქმედეთ, გინდ დაგვხოცეთ, გინდ ცოცხალი დაგვტოვეთ, მაგრამ ნუ გექნებათ იმედი, რომ შვილს დაიბრუნებთ!" თვით ილია ორბელიანისთვისაც კი მოულოდნელად შამილმა გაიღიმა და თქვა: „კარგი, მე თქვენ არ მოგკლავთ, ნადით დარგოში, ჩვენ იქ კიდევ მოვილაპარაკებთ!“ იმამის კეთილგანწყობით გენერალმა ისარგებლა და შამილს შეჰბედა: ჩვენ მიურიდებმა ცხენები ჩამოგვართვეს, მთებში ცხენების გარეშე ვერ ვივლით, უბრძანეთ, დარგომდე მაინც დაგვიბრუნონ ცხენები. იმამი შეჰპირდა თხოვნის ასრულებას. მიუხედავად ამისა, მიურიდებმა ცხენები არ დააბრუნეს და 23 მარტსვე ტყვეები(30 კაცი) დარგოსაკენ გზას ფეხით გაუდგნენ.

31 მარტს ილია ორბელიანი და სხვა ტყვეები დარგოში მიიყვანეს. თითქმის მთელი აული, მამაკაცები, ქალები და ბავშვები, ტყვეების შესახვედრად გამოვიდნენ. ტყვეები შამილის რეზიდენციაში შეიყვანეს. შამილის უფროსმა ცოლმა, ფატიშატმა, მაშინვე ცხვარი დააკვლევინა და ტყვეებს ცხვრის ხორცითა და პურით გაუმასპინძლდა. ასეთი მიღების შემდეგ სრულიად მოულოდნელად, 1 აპრილს, ტყვეები დარგო განაპირას, ერთ ბნელ და მყრალ ორმოში ჩაყარეს, რომელშიც ორი ტყვე, ყიზლარელი სომეხი და მოზდოკელი რუსი, უკვე იმყოფებოდა. სამი დღის შემდეგ ტყვეებთან დარგოელი ყადი ნურ მეჰმედი მივიდა, ტყვეები ორმოდან ამოაყვანიდა და საცვლების გარდა, ყველაფერი გაახდევინა. ყადმა გენერლის მკერდზე წმინდა გიორგის გულსაკიდი ხატი შენიშნა. ხატი ჩამოგლიჯა, ვერცხლის პერანგი მოაცილა, ჯიბეში ჩაიდო, ხატი კი ცეცხლში ჩააგდო. ილია ორბელიანსა და პოდპოლკოვნიკს ბორკილები დაადეს და ისევ ორმოში ჩააგდეს. ტყვეებს რამდენიმე დღე ძალზე ცუდად კვებავდნენ. დარგოში დაბრუნების შემდეგ შამილმა გენერალს ქაღალდი, სანერკალამი და მელანი გაუგზავნა და რუსეთის მთავრობასთან წერილის გაგზავნა უბრძანა. შამილი

ითხოვდა რუს პოდპოლკოვნიკში თავისი შვილის, ილია ორბელიან-ში თავისი ნათესავის, ხოლო პრაპორშჩიკში აპულგოელი ალი ბეის შვილის გაცვლას. ილია ორბელიანს ნერილის დანერა არ სურდა, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა. ასე გაატარეს ტყვეებმა ბნელ ორ-მოში საკმაოდ დიდი დრო, მზისა და მთვარის შუქის გარეშე.

1842 წლის მაისის დამდეგს რუსებმა ნაიბი აბდურრაჰმან დი-ბირი დაამარცხეს. შამილმა სასწრაფოდ 500 ცხენოსნის შეკრების ბრძანება გასცა და ნაიბები დარგოში დაიბარა. შამილთან შეიკრიბ-ნენ ჩეჩნეთის ნაიბები: აბდურრაჰმან დიბირი, შუემბი, ულუ ბეი, ახ-ვერდი მუჰამედი, ვერ გამოცხადდა მხოლოდ ჯავად ხანი, რომელიც ყრილობებს იშუშებდა. ილია ორბელიანი შამილის ნაიბებს ასე ახა-სიათებს:

„ახვერდი მუჰამედი საშუალო ტანის, დაახლოებით ორმოცი წლის, გამომეტყველება კეთილი და თანაც ცივი, აღნაგობა ჩაფ-სკვნილი, რაც მის ფიზიკურ სიძლიერეს წარმოაჩენდა. იგი ჩეჩნე-თის სხვა ნაიბებზე უკეთ იყო ჩაცმული. ახვერდი მუჰამედი მთელს ჩეჩნეთში განთქმული იყო ვაჟკაცობითა და სიმამაცით, მუდმივად ბრძოლებში იყო და წარმატებით აწყობდა რუსებზე თავდასხმებს.“

„შუემბი პატარა ტანისაა, ჩოფურა და ყვავილით დაკენკი-ლი სახე აქვს, მოქნილია, ეს განსაკუთრებით ცხენზე ჯდომისას ვლინდება; ძალზე სხარტი ჭკუა აქვს და ეშმაკია, კარგი ცხენოსანი, ხმლით მებრძოლი და დახელოვნებული მეთაურია.“

„ულუ ბეი ახალგაზრდა კაცია, არაუმეტეს ოცდახუთი-ოცდაათი წლისა, სასიამოვნო გამომეტყველება აქვს, რუსებზე მოწყობილმა თავდასხმებმა და ბრძოლების დროს გამოჩენილმა სიმამაცემ იგი სხვა ნაიბების გვერდით დააყენა, თვლის, რომ ნაიბ შუემბზე ბევ-რად მაღლა დგას, რომელიც მას აშკარად არ წყალობს.“

შუემბი და ულუ ბეი ილია ორბელიანისა და სხვა ტყვეების თანდასწრებით საშინლად ლანძღავდნენ რუსებს. ტყვეებისათვის ერთ-ერთ მათგანს ასე მიუმართავს: „შამილმა თქვენ ტყვედ ჩაგიგ-დოთ, მალე მივა კლიუგენაუმდე და გრაბემდე (რუსეთის ჯარის გენერლები – ვ.გ.) და შემდეგ, თუ ალაჰი შეენევა, თბილისსაც აიღებს და სარდალს (კავკასიის კორპუსის მთავარსარდალს ევ-

გენი გოლოვინს – ვ.გ.) დაატყვევებს, გაჟღერებს რუსეთის ჯარს და მდიდარ სომხებს, ქართველებსა და რუსებს შეიპყრობს და ორმოში ჩაყრილებს დაელაპარაკება მათ." ამ სიტყვების გაგონებაზე მიუზრიდები ახარხარდნენ. საუბარში არ ჩარეულა ახვერდი მუჰამედი, იგი გენერალ ილია ორბელიანსა და რუს პრაპორშჩიკს მიუახლოვდა, ჩამოჯდა და მათაც ანიშნა დამსხდარიყვნენ. ნაიბმა ტყვეებს ასე მიმართა: „მეგობრებო, შამილი თქვენში თავისი საყვარელი შვილის გაცვლას ითხოვს, მას იმედი აქვს, რომ ეს გაცვლა შედგება. ასეთ პირობებში იმიტომ გამყოფებით, რომ ეშინია, არ გაიქცეთ, თქვენ რომ თქვენს უფროსებს თქვენი სავალალო მდგომარეობის შესახებ აცნობოთ, ისინი უფრო ადვილად დასთანხმდებიან შამილის მოთხოვნას. მართალია, ცუდად გკვებავენ, მაგრამ სულით არ უნდა დაეცეთ, მოთმინება და ვაჟკაცობა იქონიეთ! თქვენ ღმერთის ნებით დაისაჯენით, თუ ღმერთის ნება იქნება, გადარჩებით, ამიტომ ნუ დამწუხრდებით და სულის სიმხნევე შეინარჩუნეთ, შეგვხედეთ მე და შამილს, რამდენი უბედურება გადავიტანეთ, რამდენი ჭრილობაა ჩვენს სხეულზე, რამდენჯერ ვიყავით სიკვდილის ბრწყალებში გიმრში, ტილიტლსა და აჰულგოში!... აჰულგოში ვხედავდით, რომ რუსებს ვერ გადავურჩებოდით, მიუხედავად ამისა, შევეკრიბეთ ას ორმოცდაათი ერთგული მიურიდი, თავი მოვუყარეთ შამილის ოჯახს, ორ ცოლსა და ორ ვაჟს, რომელთაგან ერთი დაჭრილი იყო (მესამე შვილი, ჯემალ ედ დინი, უკვე გენერალ გრაბეს ჰყავდა მძევლად) მდინარე ყოისუს ნაპირამდე თოკებით ჩამოვუშვით ერთმანეთი ციცაბო კლდეზე, ხმალამოლებულები ვეკვეთეთ ალყაზე მდგარ რუსებს. სასტიკ ბრძოლაში შამილის ერთი ცოლი მოკლეს, რომელიც იქვე დავტოვეთ, ხოლო შვილი დაიჭრა, შამილის ორივე დაჭრილი შვილი ზურგზე მოვიკიდეთ და ალყა ისე გავარღვიეთ. ბრძოლაში ოთხმოცდათხუთმეტი მიურიდი დაგვიხოცეს. სიმნარე მარტო რუსებისაგან არ გვიგემნია, წინააღმდეგობას გვიწევდნენ ის მუსლიმები, რომელთაც შარიათის მიღება არ უნდოდათ! მიუხედავად ამისა, ვაჟკაცურად დავძლიეთ ყველა უბედურება და, როგორც ხედავთ, ახლა საუკეთესო მდგომარეობაში ვართ. დიდია ალაჰი! მისი ნების გარეშე არაფერი აღსრულდება.

თქვენ უბედურება გენვიათ, მაგრამ ღმერთი ინებებს და ბედნიერებით დაგატკობთ! ილია ორბელიანმა ნაიბის კეთილგანწყობით ისარგებლა და ასე მიმართა: „თუ შამილი ასე ცუდად იმიტომ გვეპყრობოდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაგვერწმუნებინა ჩვენი უფროსები მისი შეილის დაბრუნებაში, მაშინ რატომ გვეპყრობა ისევ ცუდად და რატომ არ გვიმსუბუქებს მდგომარეობას, როცა წერილი უკვე გავაგზავნე? თუ ჩვენი გაქცევის ეშინია და ორმოდან იმიტომ არ ამოვყავართ, მაშინ შიმშილით მაინც ნუ დაგვბოცავს. ჩვენ არ ვითხოვთ საუკეთესო საკვებს, ვითხოვთ მხოლოდ ულუფის ცოტათი გაზრდას. ნუთუ რუსები ასე კვებავენ დაჭერილ თქვენიანებს? რუსები ტყვეების კვებისას იმასაც ითვალისწინებენ, თუ რა წოდებისა და ღირსების ადამიანია, ტყვეებს საკვები საკმარისი აქვთ და ამ მხრივ გაჭირვებას არ განიცდიან.“ ახვერდი მუჰამედი დახმარებას დაჰპირდა, მაგრამ პყრობილთა ულუფა მაინც არ გაუზრდიათ. მომდევნო ხანებში ილია ორბელიანისა და სხვა ტყვეების სანახავად მოვიდნენ შამილის ნაიბები: აბაკარ ღიბირი, ჰაჯი მურატი, სუჰრაი, კიბიტ მუჰამედი და სხვები.

1842 წლის მაისის შუა რიცხვებში ნაიბები ყაზიყუმუხზე სალაშქროდ დაიძრნენ, მალე დარგო დატოვა შამილმაც. დარგოში მხოლოდ შუემბი და ულუ ბეი დარჩნენ. 1842 წლის 1 ივნისს ჰაველ გრაბე იჩქერიის ტყეების გავლით აულ დარგოსაკენ დაიძრა. მალე ორმოში მყოფებმაც კი გაიგონეს სროლის ხმა. შეპყრობილებთან ერთად ორმოში იმყოფებოდა ჩეჩენი, რომელსაც კაცი მოეკლა. მასთან დღეში სამჯერ საკვები მიჰქონდა მის დას, რომელიც მიმდინარე ბრძოლების ამბებსაც ატყობინებდა ორმოში მყოფთ. ერთხელ ჩეჩენმა ტყვეებს უთხრა: იჩქერიის გაუვალ ტყეებში რუსები წყალს ვერ იპოვიან და შიმშილითა და წყურვილით დაიხოცებიანო. ჩეჩენმა ისიც დაამატა, რომ იგი იმიტომ ვერ გარბოდა, ეშინოდა, შამილი მის ოჯახს ამონყვეტდა.

ნაიბები შუემბი და ულუ ბეი დარგოს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაცვას აპირებდნენ. ყოველი შემთხვევისათვის ნაიბებმა შამილის ოჯახი დარგოდან გახიზნეს. ამის შემდეგ მათ თათბირი დაიწყეს, როგორ მოქცეოდნენ ტყვეებს. თათბირზე შამილის ბიძაშ-

ვილმა იბრაჰიმმა წამოიძახა: „რუსები ხოცავენ მუსლიმებს, ჩვენც დავხოცოთ მათი ერთმორწმუნე ტყვეები, ამით შურს ვიძიებთ ჩვენი ძმებისათვის, ალაჰისათვის სათნო საქმეს გავაკეთებთ და ჩვენს სულებსაც გადავირჩინოთ“. ნაიბები და მიურიდები ორმოდან სულ ახლოს თათბირობდნენ, ასე რომ, ტყვეებს ყველაფერი ესმოდათ. მოულოდნელად მიურიდებს მიუახლოვდა ყაზიყუმუხელი მებრძოლი და განაცხადა: ტყვეებს ნუ დავხოცავთ და ისინი აულ ანდიაში წავიყვანოთო. მართლაც, ტყვეები ორმოდან ამოიყვანეს და ანდიისაკენ წავიყვანეს. გენერალ გრაბეს დამარცხებისა და უკან დახევის შემდეგ ილია ორბელიანი და სხვა ტყვეები ისევ დარგოში დააბრუნეს და იმავე ორმოში ჩაყარეს. მალე დარგოში შამილიც დაბრუნდა. ტყვეებს იმედი გადაეწურათ, თუმცა გათავისუფლებაზე ფიქრი არ შეუწყვეტიათ. მათ გადანყვიტეს, როგორმე ორმოდან ამოსულიყვნენ და გაქცევა ეცადათ.

1842 წლის 22 ივნისის წვიმიან და ნისლიან ღამეს ტყვეებმა გაქცევა მოახერხეს. გზა ტყეზე გადიოდა. ოთხ საათში ერთხელ ისვენებდნენ. წვიმა გაძლიერდა, წამოვიდა სეტყვა და საშინლად აცივდა. გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. 23 ივნისს გაქცეულებმა გზა ანდიის ქედის მიმართულებით გააგრძელეს, საკვებს, პრაქტიკულად, აღარ იღებდნენ, დროდადრო ბალახით იბრუნებდნენ სულს. ყველას ყელის ანთება დაეწყო, თანაც იმდენად ძლიერი, რომ წყალსაც ვეღარ ყლაპავდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, გავიდნენ აულ ანდიისაკენ მიმავალ გზაზე. უცებ ტყვეებს ორი ჩეჩენი დაესხა თავს. ილია ორბელიანმა თავდამსხმელები მოიგერია, სამაგიეროდ, მათ ადვილად დაიმორჩილეს შიმშილისაგან დასუსტებული ტყვეები და ისინი კვლავ დარგოს გზას გაუყენეს. გენერალმა ცოტა ხანს შეისვენა და კვლავ გზას დაადგა: ამჯერად ილია ლეკ მწყემსებს გადაეყარა, მათგან თავის დახსნის მიზნით იგი ღრმა ხევში გადახტა, რის გამოც ფეხი და ხელი დაიზიანა. ამის შემდეგ მწყემსებს გენერლის შეპყრობა აღარ გასჭირვებიათ. გაქცევა მხოლოდ რუსმა პოდპოლკოვნიკმა მოახერხა. მალე გაირკვა მწყემსების თავგამოდების მიზეზიც: შამილმა ივარაუდა, რომ ტყვეები გროზნაიას სიმაგრის მიმართულებით წავიდოდნენ,

ამიტომ ტყვეების გაქცევის ამბავი იჩქერიისა და დიდი ჩეჩნეთის აულებს აცნობა და ჯილდოდ მათი შეპყრობისათვის ასი მანეთი დაანესა. ილია ორბელიანი და სხვა ტყვეები ჯაჭვით ერთმანეთზე გადააბეს და კვლავ დარგოში დააბრუნეს.

1842 წლის ივლისის ბოლოს გენერალ ილია ორბელიანის გაცვლის თაობაზე შამილსა და რუსებს შორის მოლაპარაკება დაიწყო. შამილს ტყვეების გაცვლის გაგონებაც კი არ სურდა. საქმე წარმატებით მხოლოდ იმის გამო დასრულდა, რომ თბილისში ტყვედ იმყოფებოდა ორი ცნობილი მიურიდი: **ჰაჯი შაჰმანდარი** და **ჰაჯი აბდურრაჰმანი**. შამილმა ილია ორბელიანის სანაცვლოდ **ჰაჯი შაჰმანდარი**, **ჰაჯი აბდურრაჰმანი** და კიდევ თერთმეტი ტყვე მოითხოვა, ხოლო ყველა დანარჩენ ტყვეში – თორმეტი მთიელი. რუსეთის ხელისუფლებამ ასეთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. რუსებმა შამილს ილია ორბელიანისა და სხვა ტყვეების თბილისის საპყრობილეში მყოფ თორმეტ მიურიდში გაცვლა შესთავაზეს. შამილი უკან არ იხევდა, ვითარება დაიძაბა. ამ კრიტიკულ მომენტში შამილთან დაახლოებულმა მოხუცმა **ჯემალ ედ დინმა** იმამს რუსების პირობების დაკმაყოფილება სთხოვა: შარიათის მიხედვით, ტყვე მოლაში ასი ურნმუნო უნდა გაიცვალოს, შენ კი ორ მოლაში რამდენიმე ტყვეს გთხოვენო. **ჯემალ ედ დინმა** დარგო-ვედენოში რამდენჯერმე მოინახულა ტყვეები და მათ აიძვებდა, რომ შამილს დაითანხმებდა. იმავდროულად, **ჰაჯი შაჰმანდარისა** და **ჰაჯი აბდურრაჰმანის** ნათესავებმა თხოვნით მიმართეს შამილს და დაარწმუნეს, რომ თბილისში ორივეს წამებით სიკვდილი ელოდა. საბოლოოდ, შამილი დასთანხმდა და გენერალმა ილია ორბელიანმა 1842 წლის 28 ნოემბერს ტყვეობას თავი დააღწია.

§2. დავით ქავეჭავაძისა და ილია ორბელიანის ოჯახები ტყვეობაში

1. დატყვევება. 1854 წლის 3-4 ივლისს ღამით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შამილის მოლაშქრეებმა, ლეკებისა და ჩეჩნების რაზმმა, წინანდლიდან გაიტაცეს პოდპოლკოვნიკ დავით ალექსან-

დრეს ძე ჭავჭავაძისა და გენერალ ილია დიმიტრის ძე ორბელიანის ოჯახის წევრები. მათ გარდა, კიდევ გატაცებული იქნა რამდენიმე ადამიანი, სულ 22 მამაკაცი, ქალი და ბავშვი:

1. ანა ილიას ასული ჭავჭავაძე-ბაგრატიონი, დავით ჭავჭავაძის მეუღლე, 28 წლის;

2. თინათინ (თინია) ორბელიანი, გიორგი ორბელიანის ქვრივი, ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძის ბიძაშვილი, 74 წლის;

3. დავითისა და ანას შვილები: სალომე(6 წლის), მარიამი(5 წლის), თამარი (3 წლის), ალექსანდრე(1 წლის), ლიდია (ჩვილი). დავითისა და ანას კიდევ ერთი შვილი ელენე(4 წლის) მამიდასთან, სამეგრელოს დედოფალ ეკატერინესთან, ჰყავდა ნაყვანილი მეორე მამიდას, ნინოს.

4. ბარბარე ილიას ასული ორბელიანი-ბაგრატიონი, გენერალ ილია ორბელიანის ქვრივი, დავით ჭავჭავაძის მეუღლის, ანას, უმცროსი და, 27 წლის;

5. გიორგი ორბელიანი, ილია ორბელიანისა და ბარბარე ორბელიანი-ბაგრატიონის ვაჟი, 6 თვის;

6. ნინო ბარათაშვილი, ილია ორბელიანის ნათესავი, 18 წლის;

7. დრანსე, დავით ჭავჭავაძის შვილების აღმზრდელი ფრანგი ქალი, 31 წლის;

8. დარეჯან გამყრელიძე, დავით ჭავჭავაძის კახეთის მამულების მოურავ პრაპორშჩიკ მერაბ გამყრელიძის მეუღლე;

9. ახვერდოვი, გადამდგარი შტაბს-კაპიტანი, 50 წლის;

10. მარინე, ჭავჭავაძეთა 3 თაობის ძიძა, 97 წლის;

11. 12 შინამოსამსახურე და კიდევ 1 ბიჭი.

ლექებისა და ჩიწნების რაზმისათვის უცნობი იყო, იცავდა თუ არა სოფელ წინანდალს რუსეთის რეგულარული ჯარი ან ქართული მილიცია. წინანდალი რომ დაუცველი იყო, ამის შესახებ მათ წინა დღეს ორმა სომეხმა მედუქნემ აცნობა.

კახეთზე შამილის ლაშქრის თავდასხმის დროისათვის პოდპოლკოვნიკი დავით ჭავჭავაძე კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტი იყო და თბილისიდან კახეთში ოჯახის მოსანახულებლად ჩასულიყო. შეიტყო თუ არა მთიელთა თავდასხმის ამბავი, დავით

ჭავჭავაძემ მაშინვე დატოვა წინანდალი და ლეკეთის ხაზზე განლაგებულ რუსეთის ჯარს შეუერთდა. იგი მონაწილეობას იღებდა შილდის ციხის დაცვასა და სხვა ბრძოლებში.

1854 წლის 8 ივლისს დავით ჭავჭავაძე ყვარელში შეხვდა ლეკეთის ხაზის უფროსს გენერალ ლევან მილიჩიშვილს, განეული ბრძოლის შესახებ ანგარიში ჩააბარა და 10 ივლისს თბილისისაკენ გამოემართა. თელავში დავითს დახვდნენ სიძე (დის ქმარი), ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი ბარონი ალექსანდრ ნიკოლაი და თბილისის ვიცე-გუბერნატორი პოლკოვნიკი მიხაილ კოლოუბაკინი. თავსდატეხილი ტრაგედიის პირველ დღეებში დავით ჭავჭავაძეს მხარში ამოუდგნენ შორეული ნათესავი გულბაათ ჭავჭავაძე და მოურავი მერაბ გამყრელიძე.

2. წინანდლიდან ფოხალისთავის კოშკამდე. წინანდლიდან ლეკებისა და ჩეჩნების რაზმი ტყვეებთან ერთად ფოხალისთავის კოშკისაკენ გაემართა, რომელიც ყვარლის ჩრდილოეთით, წინიასციხის მთაზე მდებარეობდა. 1854 წლის 4 ივლისს, საღამოს 9 საათზე, კაპიტანმა ხიტროვომ დავით ჭავჭავაძეს აცნობა: წინანდალში მოტაცებულებს ლეკებმა კიდევ სხვა ტყვეებიც შეუერთეს და ფოხალისთავის კოშკის მიმართულებით დაიძრნენ. ხიტროვო გზაში, კონცხის მთის ძირას, ჩაუსაფრდა ლეკებს და თოფებიდან და ზარბაზნებიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად რამდენიმე გამტაცებელი დახოცა, გაათავისუფლა რამდენიმე ტყვე, მათ შორის დავით ჭავჭავაძისა და ილია ორბელიანის ოჯახის წევრები არ ყოფილან. 5 ივლისს დავით ჭავჭავაძემ ბრძოლის ადგილას რუსეთის ჯარის რაზმი გაგზავნა, რომელსაც თან გააყოლა რამდენიმე თავისი ახლობელი. დახოცილებს შორის იპოვეს დავით ჭავჭავაძის ქალიშვილი ლიდია. ჩვილს ჭრილობა არ ჰქონდა მიყენებული, ჩალურჯებული ჰქონდა მხოლოდ ერთი ადგილი მარცხენა წარბთან. ლიდია შემდეგ ვითარებაში დაილუპა: მდინარე კისისხევის გადალახვისას ჩვილი ლიდია დედას ხელში ეჭირა, მდინარე საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა და ანა წყალმა გაიტაცა. ერთმა ჩეჩენმა დედას შვილი ხელიდან გამოსტაცა, წყლიდან ამოიყვანეს ანაც და გულწასული ერთ-ერთმა გამტაცებელმა ცხენზე შემოისვა. ანა იმდენად იყო და-

სუსტებული, რომ ცხენზე თავს ვერ იმაგრებდა, ამიტომ ჩეჩენმა მარჯვენა ხელზე თოკი მოაბა და თოკი ქამარზე მიიმაგრა. ცხენზე მჯდომ ანას ლიდია მარცხენა ხელით ეჭირა. ჩეჩენი ცხენს დაუზოგავად მიაჭენებდა. დედას შვილის ხელში ჭერა აღარ შეეძლო, მაგრამ მის ვედრებას მხედარმა ყური არ ათხოვა, ანას შვილი ხელიდან გაუვარდა და მიწას დაენარცხა. სწორედ ამ დროს დაუზიანდა მან მარცხენა საფეთქელი, რამაც სიკვდილი გამოიწვია. ახლობლებმა დავით ჭავჭავაძესთან შეუთანხმებლად ჩვილის გვამი წინანდალში გადაასვენეს და წმ.გიორგის ეკლესიაში დაკრძალეს. ბრძოლის ადგილზე ასევე იპოვეს პრაპორშჩიკ მერაბ გამყრელიძის მეუღლის, დარეჯანის გვამი, გვამს თავის არეში ორი ნატყვიარი და მხარზე ხმლით მიყენებული ჭრილობა აჩნდა.

მდინარე კისისხევის გადალახვის შემდეგ გამტაცებლები კიდევ უფრო აჩქარდნენ, რადგან მდევრისა ეშინოდათ. ამ დროისათვის წინანდლიდან გატაცებულებს მათ კიდევ ასიოდე ტყვე შეუერთეს, ტყვეთა რიცხვის გაზრდის გამო რამდენიმე ჯგუფად დაყოფილნი მოძრაობდნენ. ტყვეების ნაწილი ლეკებსა და ჩეჩენებს ცხენებზე ჰყავდათ შემოსმული, ნაწილი კი ფეხით მიდიოდა. მალე ტყეში შევიდნენ, რის გამოც მოძრაობა კიდევ უფრო გართულდა, დაღამდა კიდევ. 5 ივლისს, განთიადისას, ტყეში, მდინარის ნაპირას, ტყვეები შეასვენეს. შესვენების შემდეგ ტყვეებმა გზა განაგრძეს და ყვარლის ჩრდილოეთით, კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე, ნინიკასციხის მთაზე მდებარე ფოხალისთავის კოშკს მიუახლოვდნენ.

გზაში ტყვეებს მრავალი გაჭირება გადახდათ თავს. შვილის დალუპვით სასონარკვეთილი და დასუსტებული ანა ჭავჭავაძე ცხენიდან გადმოვარდა, უკან მომავალმა ჩეჩენმა იგი თავის ცხენზე შემოისვა და ასე ნახევრად გულწასულმა გააგრძელა გზა. ღამით ბარბარე ორბელიანს მხედველობიდან დაეკარგა თავისი შვილის ძიძა, პატარა გიორგის მშვიერ უხდებოდა მგზავრობა. ძიძა მხოლოდ ფოხალისთავში მისულებმა იპოვეს. ერთ-ერთი შესვენებისას, სანამ მდინარე ალაზანს გადალახავდნენ, ჩეჩენი მიურიდი ანა ჭავჭავაძეს მიუახლოვდა და ვინაობა ჰკითხა. პასუხის მიღების შემდეგ მიურიდმა ანას უთხრა: „თქვენ ყველანი უვნებლად იქნებით, შამილმა

ბრძანა, რომ ტყვეები არ დაამცირონ. თუ ვინმე რომელიმე თქვენგანს შეურაცხყოფას მიაყენებს და ამის შესახებ განაცხადებთ, მას თავს გააგდებინებენ." მიურიდის შემდეგ ანა ჭავჭავაძესთან მივიდა ერთი სომეხი, რომლის ჩაცმულობა არაფრით განსხვავდებოდა მიურიდების ჩაცმულობისაგან და ტყვეს გამოელაპარაკა:

სომეხი: თქვენთვის ალბათ კარგადაა ცნობილი, როგორაა გამაგრებული თელავი, როგორ ფიქრობთ, წარმატებული იქნება ჩვენი თავდასხმა ქალაქზე?

ანა ჭავჭავაძე: მე გირჩევთ, რომ ნახვიდეთ თელავში, დარწმუნებული ვარ, იქიდან ცოცხალი ვერ დაბრუნდებით! (ამას რომ ამბობდა, ანამ კარგად იცოდა, რომ თელავი სრულიად დაუცველი იყო).

სომეხი: რა რაოდენობის ჯარი შეიძლება იყოს ამჟამად თელავში?

ანა ჭავჭავაძე: იქ უნდა იყოს კაზაკთა პოლკი, ქვეითთა ოთხი ასეული და ციხის გარნიზონი. კარგი იქნებოდა, თუ თქვენ ნახვიდოდით თელავში.

სომეხი: ნავალთ კიდევ!

ფოხალისთავის კოშკში მისვლამდე სომეხი კიდევ ერთხელ გამოელაპარაკა ანა ჭავჭავაძეს. აშკარა იყო, რომ სომეხს ამჟამად ანას გამწარება სურდა.

სომეხი: თავადის ქალო, ამბობენ, რომ თქვენ ბავშვი დაკარგეთ?

ანა ჭავჭავაძე: დიას.

სომეხი: რატომ გადააგდეთ ბავშვი ცხენიდან? მთიელები ამბობენ, რომ ბავშვი თქვენ თვითონ გადააგდეთ!

ანა ჭავჭავაძე: როგორ არ გრცხვენიათ ამის თქმა!

სომეხი: იცით თუ არა, რომ თქვენი ქმარიც ტყვედაა?

ანა ჭავჭავაძე: ეს შეუძლებელია!

სომეხი: რატომ არის შეუძლებელი?

ანა ჭავჭავაძე: იმიტომ, რომ ჩემი ქმარი მტერს ცოცხალი არასდროს დანებდება!

ფოხალისთავის კოშკს რომ მიუახლოვდნენ, ტყვეებს სროლის

ხმა შემოესმათ. ერთმა მიურიდმა მათ აუხსნა, რომ სროლით კახეთზე ლაშქრობის წარმატებით დასრულებას აღნიშნავდნენ.

1854 წლის 5 ივლისს ტყვეები ფოხალისთავის კოშკისაკენ მიმავალი გზის დაძლევის მოუხდნენ და კოშკს მხოლოდ 6 ივლისის შუადღისას მიაღწიეს. კოშკში მათ დახვდათ ლეკების მიერ ტყვედ აყვანილი ფოხალისთავის საგუშაგოს უფროსი, დავით ჭავჭავაძის შორეული ნათესავი ხორუყნი თავადი ივანე ჭავჭავაძე, ასევე ტყვედ ჩავარდნილ 30 ქართველ მილიციელთან ერთად. ივანე ჭავჭავაძე ტყვეების ხილვამ დააბნია და ძლივს წარმოთქვა: „ეს თქვენ ხართ?... ეს თქვენ ხართ, თავადის ქალო?.. ვაიმე, ეს რა უბედურებაა! მობრძანდით კოშკში, დანყნარდით!“ ფოხალისთავის კოშკში ანა ჭავჭავაძემ წინანდლიდან წამოსვლის შემდეგ ერთად პირველად ნახა თავისი შვილები: მარიამი, სალომე, თამარი და ალექსანდრე. ვაჟი მიუყვანეს ბარბარესაც. აღმოჩნდა, რომ გიორგი ორბელიანის ძიძის, ალექსანდრასთვის, კონცხის მთის ძირას გამართული ბრძოლის დროს ლეკებს ხმლით სამი ჭრილობა მიეყენებინათ. ფოხალისთავის კოშკში ანა ჭავჭავაძესთან მივიდა გოგონა, რომელმაც სთხოვა, მისი ჩვილი დისთვის ძუძუ ეჭმია. გოგონა მღვდლის შვილი აღმოჩნდა, რომლის დედაც გატაცებისას ლეკებს მოეკლათ. შვილმკვდარი ანა რამდენიმე დღე კვებავდა ჩვილს, რითაც მისი სიცოცხლე იხსნა.

1854 წლის 6 ივლისს ივანე ჭავჭავაძე თავის მსახურ სიმონთან და ურიადნიკ პოტაპოვთან ერთად ანა ჭავჭავაძესთან გამოცხადდა და მოახსენა, რომ მან შამილისაგან ნებართვა აიღო, ტყვეები ფოხალისთავის კოშკიდან აულ დარგომდე გაეცილებინა. ივანე ჭავჭავაძესთან ერთად მგზავრობის ამბავმა ტყვეები ძალზე გაახარა. ამ სასიამოვნო ამბის გაგების შემდეგ სწრაფადვე გაიღო ოთახის კარი და ტყვეებთან შამილის შვილი ყაზი მუჰამედი და რამდენიმე ნაიბი შევიდნენ. ზოგიერთი მათგანი რუსულად კარგად ლაპარაკობდა. ყაზი მუჰამედმა იკითხა, სად არის თავადის ქალი ჭავჭავაძეო. ტყვეებმა იატაკზე მჯდარ ანაზე მიანიშნეს, ერთი ნაიბი მივიდა მასთან და მისი ჯანმრთელობის ამბავი მოიკითხა. ნაიბმა საუბრის დროს სხვათა შორის აღნიშნა, ყოველ ცუდ საქმეს

რალაც კარგიც ახლავსო. ანა ჭავჭავაძემ ნაიბს მიუგო: ტყუილად მამშვიდებთ, მე ყველაზე დიდი უბედურება უკვე გადავიტანე და ალბათ, სხვა უბედურებასაც გადავიტანო. მან იმედი გამოთქვა, რომ იმამი შამილი ტყვეებს დაიცავდა. ამის შემდეგ ნაიბები შეეცადნენ მისთვის აეხსნათ, თუ რატომ დაესხნენ ისინი თავს წინანდალს: შამილის მიზანი იყო არა ძარცვა-გლეჯა, არამედ კახეთის თავადებისა და მოსახლეობის მიმხრობაო. აქვე თითქოს ისევ სხვათა შორის ნაიბებმა აღნიშნეს, რომ კახეთის თავადების დიდმა ნაწილმა მორჩილების წერილი გაუგზავნა შამილსო. ანა ჭავჭავაძემ ნაიბებს აღშფოთებულმა მიახალა, რომ კახელი თავადების ღალატი არ სჯეროდა. ნაიბებმა უკან არ დაიხიეს და ნათქვამის დასამტკიცებლად ქართულ ენაზე დანერილი რამდენიმე წერილი აჩვენეს. ანამ წერილებს დახედა და მაშინვე მიხვდა, რომ ეს კახელ თავადთა მოურავების საბუღალტრო წიგნებიდან ამოხეული ფურცლები იყო. გაბრაზებულმა ქალმა ნაიბებს ხმამაღლა მიმართა: „ეს წერილები არ არის, ეს სამეურნეო ანგარიშებია!“ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ნაიბებმა ოთახი დატოვეს და ამ საუბრის შესახებ შამილს მოახსენეს. იმამმა ბრძანება გასცა, ტყვეები აღარ შეენუხებინათ. მალე ანა ჭავჭავაძესთან გამოცხადდა შამილის მიურიდი და განუცხადა, თბილისში წერილი გააგზავნეთ, ადრესატი კი თვითონ აარჩიეთო. მელანი და სანერკალამი მიურიდმა თვითონ მოიტანა. ანას ცხენზე ჯდომისას მიურიდის ქამარზე თოკით მიკრული ხელი დაუზიანდა, რის გამოც წერა არ შეეძლო. წერილი ბარბარე ორბელიანმა დანერა. იგი მიმართული იყო კავკასიის მეფისნაცვლისა და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის მოვალეობის შემსრულებლის გენერალ ნიკოლაი რეალისადმი. წერილი ასეთი შინაარსისა იყო: „გენერალო! ჩვენ და ყველანი სხვები ტყვედ აგვიყვანეს, ჩვენ ცოცხლები ვართ, მაგრამ გაჭირვებას განვიცდით, დაგვეხმარეთ, ჩვენი ამბავი შეატყობინეთ ყველა ნათესავს. ჩვენი მისამართია: დარგო-ვედენო, შამილის სახლი“. წერილს ანა ჭავჭავაძის ხელმონერა ჰქონდა. ანა ჭავჭავაძეს მეუღლისათვის წერილის მიწერისაგან თავს იკავებდა, რადგან ეშინოდა, რომელიმე მიურიდს არ ეთქვა: „ვის წერთ თქვენ? იგი ხომ უკვე ცოცხალი აღარ არის...“

შამილის გამოგზავნილებმა ბარბარე ორბელიანის დაწერილი წერილი წაიღეს და წავიდნენ.

ნ ივლისს ტყვეები ნორმალურად ასადილეს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბარბარე ორბელიანმა პირი არაფერს დააკარა. პირველად მიიღეს საკვები ანა ჭავჭავაძემ და სხვა ტყვეებმა. სადილი დამთავრებულიც არ იყო, რომ ოთახში შემოვიდა თეთრჩაღმიანი, ლამაზი გარეგნობის, კარგად ჩაცმული მამაკაცი. ტყვეებმა მასში ის მიურიდი შეიცნეს, რომელმაც წინანდლიდან ფრანგი აღმზრდელი დრანსე წამოიყვანა. მიურიდმა ანა ჭავჭავაძეს სთხოვა შამილთან გაჰყოლოდა. ანამ მიურიდს განუცხადა: მე მეგონა შამილი სასაუბროდ მიმიწვევდა, მაგრამ მან ჩემთან შეილი და ნაიბები გამოგზავნა, რა აზრი აქვს ახლა შამილთან ჩემს საუბარსო? მიურიდმა ანა დაამშვიდა: თუ გეშინიათ, თქვენი დაც წამოვიდესო. ანა მაინც უარზე იყო: – მე უკვე ვთქვი, ამ ტანსაცმლით ვერსად წამოვალ და არც ჩემს დას მივცემ უფლებას წამოვიდესო(მდინარეში ცხენიდან გადავარდნისა და წყლიდან ამოყვანის დროს ანას მთელი ტანსაცმელი შემოეხა, დაგლეჯილი და სველი ტანსაცმლით მივიდა იგი ფოხალისთავის კოშკში). ანასაგან ცივი უარის მიღების შემდეგ მიურიდმა თავი უხერხულად იგრძნო და ოთახი დატოვა. ქალის ასეთი გამბედაობა მიურიდებში ყოველთვის მოწონებას იმსახურებდა, ასე მოხდა ამჯერადაც. მიურიდის წასვლის შემდეგ ოთახში შემოვიდა შამილთან დაახლოებული სხვა მიურიდი და ტყვეებს მიმართა: შეარჩიეთ ერთი თქვენგანი, რომელიც შამილის კარავში გამომყვება და ნაძარცვი ნივთებიდან სამოსს მოგიტანთო. ტყვეებმა ჭავჭავაძეების ოჯახის მრეცხავი პოლონელი ვარვარა შეარჩიეს, რომელიც უშიშრად გაჰყვა მიურიდს. შემდეგ ვარვარამ ტყვეებს უამბო: პირდაპირ შამილის კარავში შემოიყვანეს, ვნახე შამილი, რომლის ახლოს ორი შეიარაღებული მცველი იდგა, ხოლო მოშორებით მთელ კარავში მიმოხეული იყო ფუთებად შეკრული ნაძარცვი ნივთებიო. შამილს უბრძანებია, ვარვარასთვის გადაეცათ ერთი ფუთა, რომელსაც ის ისურვებდა. მასაც ყველაზე დიდი ფუთა აუღია და კარავში დაბრუნებულა. გახარებულმა ტყვეებმა ფუთა გახსნეს, რომელშიც აღმოჩნდა: მუქი ფერის შალის ხალათი,

ქათიბი, ერთი ზომის რამდენიმე წინდა და ფეხსაცმელი. ფუთაში არ აღმოჩნდა ბავშვის არანაირი ტანსაცმელი, არადა, ანა ჭავჭავაძის შვილი, მარიამი, თითქმის შიშველი იყო.

3. ფოხალისთავის კოშკიდან აულ დარგო-ვედენომდე. 1854 წლის 6 ივლისს ტყვეებმა ივანე ჭავჭავაძესთან ერთად ფოხალისთავის კოშკი დატოვეს და აულ დიდოსაკენ (დალესტანი) აიღეს გეზი. ტყვეებს, ისევე, როგორც წინანდლიდან ფოხალისთავის კოშკამდე, ამჯერადაც ლეკთა და ჩეჩენთა რაზმი მიაცილებდა. ერთ-ერთი გამცილებელი ლეკი რალაცის გამო ბარბარე ორბელიანის შვილის, გიორგის, ძიძას გაუბრაზდა და რატომღაც ჩვილის მოკვლა გადაწყვიტა. ივანე ჭავჭავაძემ ლეკს ბავშვი ხელიდან გამოგლიჯა და ასე იხსნა მისი სიცოცხლე. ამის შემდეგ ლეკმა ივანე ჭავჭავაძეს ხელები შეუკრა. მალე ტყვეები ორ მთას შორის გამავალ ღრმა ხეობაში შევიდნენ. როცა აღმართი დაიწყო, გამცილებლებმა, ანა ჭავჭავაძის გარდა, ყველანი ცხენებიდან ჩამოსვეს და ფეხით სვლა უბრძანეს. ანა უნაგირზე ძლივს იჭერდა თავს. ჩვილი ალექსანდრე და სამი წლის თამარი ძიძას ეჭირა, რომელიც ფეხებს ძლივს მიათრევდა. საბედნიეროდ, ძიძასა და სხვა ტყვეებს მიუშველნენ ფოხალისთავიდან წამოყვანილი ქართველი ტყვე-მილიციელები. აღმართი, როგორც იქნა, დაძლიეს, მაგრამ კიდევ უფრო ძნელი იყო დაღმართზე ჩასვლა, რომელიც თოვლით აღმოჩნდა დაფარული(ხშირად კავკასიონის მთების სამხრეთ ფერდობზე ზაფხულის კლიმატია, ხოლო ჩრდილოეთ ფერდობზე თოვლი დევს). დასვებისას ანა ჭავჭავაძე ცხენიდან ჩამოსვეს და ორ მამაკაცს ხელით მიჰყავდა. ძიძა ალექსანდრესა და თამარს ველარ იჭერდა ხელში, ლეკმა ალექსანდრე ძიძას ხელიდან გამოსტაცა და ივანე ჭავჭავაძეს გადასცა. ივანეს ბავშვის ტარება ძალიან უჭირდა, რადგან შეკრული ხელებით ძლივს იმაგრებდა პატარას. ფერდობიდან მდინარის ნაპირზე დაეშვნენ და გზა გაივაკეს. მოულოდნელად ცხენზე მჯდარი ძიძა უნაგირიდან გადმოვარდა, მინაზე დაეცა და ქვეშ მოიყოლა სამი წლის თამარი. საბედნიეროდ, ბავშვი არ დაშავებულა. მალე ისევ აღმართი დაიწყო, სპირალისებური გზის გავლას დაახლოებით ხუთი საათი მოანდომეს. ყველაზე

წინ მიმავალი ანა ჭავჭავაძე მის უკან მომავალთ ვერ ხედავდა, სანამ მთის წვერზე არ ავიდა და გამცილებლებმა შესვენება არ გამოაცხადეს. გზა გააგრძელეს. წინ ამჯერადაც ანა ჭავჭავაძის ცხენი მიდიოდა. მალე მას ივანე ჭავჭავაძე დაენია, რომელიც მკერდზე ძლივს იმაგრებდა ჩვილ ალექსანდრეს. დედამ შენიშნა, რომ ბავშვს ტურჩებს შორის ჯერ კიდევ შერჩენოდა გაუმდნარი თოვლი. ივანემ შეშფოთებულ დედას უთხრა: მთელი დღეა, ბავშვი მომყავს, ძიძა კი ვერსად ვიპოვე, ეტყობა, სადღაც უკან მოდის. იძულებული გავხდი, ბავშვისათვის თოვლი მიმეცა, ვიფიქრე, ცოტა მაინც დამშვიდდება, ნუ შემრისხავთ, თავადის ქალო, თუ ბავშვი ხელიდან გამივარდებაო! ანა ჭავჭავაძემ გამცილებელ ლეკს სთხოვა ბავშვი გამოერთმია ივანესათვის. ლეკმა უარი უთხრა: ტყვეები რომ აღვრიცხეთ, თქვენ მარტო იყავით და არა ბავშვთან ერთადო. საბედნიეროდ, მალე გამოჩნდა რამდენიმე ქალი, მათ შორის ძიძაც, რომელსაც ხელში თამარი ეჭირა. გამოჩნდა პოლონელი მრეცხავი ქალი ვარვარაც. ანამ ძიძას ალექსანდრეს მოვლა დაავალა, თამარი კი ვარვარას გადასცა.

6 ივლისს, საღამოს, გამცილებლებმა ტყვეები შეასვენეს. ამ დროს ანა ჭავჭავაძესთან მივიდა კახეთიდან გატაცებული ახალგაზრდა ლამაზი ქალი. ანამ ტყვეს მიმართა: „მე ვგრძნობ, რომ დანიშნულების ადგილამდე ვერ მივალწევ, თუ მოვკვდები, გაუფრთხილდი ჩემს შვილებს, შეუმსუბუქე მათ გასაჭირი!“ უცნობმა ქალმა ანა დააიბედა: „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მათთვის ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი ჩემზე იქნება დამოკიდებული“. გამცილებლებს სურდათ უახლოეს აუღამდე მისულიყვნენ. ამიტომ ღამით მგზავრობა გადაწყვიტეს. აულის სახელი, რომელშიც შევიდნენ, ტყვეებს აღარ ახსოვდათ. აულის თითქმის ყველა სახლიდან ქართული გადაძახილები ისმოდა, ეს ხმები თურმე წინა დღეებში მიყვანილ ქართველ ტყვეებს ეკუთვნოდათ. ახალმისულებს რამდენჯერმე ჰკითხეს, თუ საიდან მოჰყავდათ ისინი. ანა ჭავჭავაძე და სხვა ტყვეები ისეთ სახლში მოათავსეს, სადაც საშინელი სივიწროვე იყო.

7 ივლისს განთიადისას ტყვეები დარგო-ვედენოს გზას გაუყ-

ენეს. იმავე დღის საღამოს მათ აულ დიდოს მიაღწიეს. აულში ქართველი ტყვეები ძალზე ცუდად მიიღეს. დიდოელებმა მათ ქვები და ჯოხები დაუშინეს. სახლის პატრონებმა ტყვეების დაბინავებაზე თითქმის ერთხმად განაცხადეს უარი. 8 ივლისს აულ დიდოში ტყვეებს შეუერთდა კახეთიდან გატაცებული თავადი ვაჩნაძე. დიდოშივე ლეკებმა თხოვნა გაითვალისწინეს და ივანე ვაჩნაძეს ხელები გაუხსნეს. 8 ივლისს საღამოს ტყვეები მცირე ხნით ერთ-ერთ აულში შეასვენეს, რის შემდეგაც უკვე სიბნელეში გააგრძელეს გზა. მალე გაირკვა, რომ დარგომდე კიდევ ერთი უღელტეხილი უნდა გადაელახათ. გზის ამ მონაკვეთის დაძლევა კიდევ უფრო რთული გამოდგა, დაქანცულმა ტყვეებმა, როგორ იქნა, ერთ დიდ აულს მიაღწიეს, სადაც 1854 წლის 9 ივლისიდან 16 ივლისამდე მოუხდათ გაჩერება. აულში ტყვეები უმძიმეს პირობებში ცხოვრობდნენ. ერთ ოთახში კახეთიდან მოტაცებული 80 ადამიანი ათევედა ლამეს. ანა ჭავჭავაძესა და სხვა ტყვეებს დიდი დახმარება აღმოუჩინა ივანე ჭავჭავაძემ, რომელსაც მცირე თანხა ჯერ კიდევ შემორჩენოდა და აუცილებელ პროდუქტს ყიდულობდა. თუ რა მძიმე მდგომარეობაში უხდებოდათ ტყვეებს ცხოვრება, ჩანს ერთი შემთხვევიდან: ერთ დილით ოჯახის პატრონმა ანა ჭავჭავაძესა და ბარბარე ორბელიანს სთხოვა ეზოში გაყოლა. ჭიშკართან იდგა უცნობი მამაკაცი, რომელიც ქალებთან შეხვედრას ითხოვდა. ანასა და ბარბარეს უცნობმა თავი თავად ჩოლოყაშვილის ყმად გააცნო და თანაც აღნიშნა, რომ უკვე დიდი ხანია, ტყვედ იყო, ცხოვრობდა ერთ თათარ ვაჭართან, როგორც მისი მსახური. ანა ჭავჭავაძემ უცნობს ჰკითხა, თუ რა სურდა მათგან, რაზეც პასუხად მიიღო: გავიგე, რომ თქვენ ტყვეები ბრძანდებით, ალბათ, გჭირდებათ ფული, თუ გსურთ, მე მოგცემთ 20 ან 30 მანეთს და დამიბრუნეთ, როცა შეძლებთო. ანა და ბარბარე შეთავაზებამ გაახარა, მაგრამ სანამ დასთანხმდებოდნენ, ჰკითხეს, თუ სად და როგორ უნდა დაებრუნებინათ ვალი. უცნობმა უპასუხა: თქვენ ხელწერილი მომეცით და მე ყველგან გიპოვითო. ასეთმა პასუხმა ქალები დააეჭვა უცნობის კეთილსინდისიერებაში. ეჭვი კიდევ უფრო გაძლიერდა, რაც უცნობმა თათრულ ენაზე შედგენილი ხელწერილის დადას-

ტურება მოითხოვა. გამოდის, რომ მათ ხელწერილი ისე უნდა დაედგინებინათ, რომ მისი შინაარსი არ სცოდნოდათ. საბოლოოდ, უცნობის შეთავაზება ტყვეებმა არ მიიღეს. იმავე დღეს ტყვეებმა დარგოსაკენ გზა გააგრძელეს.

19 ივლისის საღამოს ტყვეებმა კიდევ ერთ აულს მიაღწიეს, სადაც გამცილებლებმა აცნობეს, რომ შემდეგი აული დარგო იქნებოდა. მიუხედავად ამისა, დარგოში ტყვეები მხოლოდ 30 ივლისს შევიდნენ. აული დარგო იმხანად შამილის რეზიდენცია იყო. ქართველებს იმედი მიეცათ, რომ შამილთან შეხვედრა რაღაც სიახლეს შეიტანდა მათ მძიმე ყოფაში.

4. აულ დარგო-ვედენოში. შამილის სასახლის ეზოში ტყვეებს უამრავი ადამიანი დახვდა. ანა ჭავჭავაძემ მათ შორის აივანზე მდგომი თეთრჩოხიანი მამაკაცი შენიშნა. ეს იყო იმამი შამილი. თავდაპირველად შამილის სასახლეში ანა ჭავჭავაძე და ბარბარე ორბელიანი შეიყვანეს. აშკარა იყო, რომ ეზოში მყოფთაგან ბევრი მოსამსახურე იყო. დაბინავდნენ თუ არა ტყვეები, მათ სანახავად მოვიდა შამილის ქალიშვილი ნაფისეთი, რომელიც ძალზე ჰგავდა მამას, განსაკუთრებით თვალებით (აღსანიშნავია, რომ ყველა შვილი, ვაჟებიც და ქალებიც, შამილს თვალებით ჰგავდა). ცოტა ხნის შემდეგ ტყვეები შამილის ორმა უფროსმა ცოლმა, ზაიდეთმა და შუანეთმა, მოინახულა. შამილის ცოლებმა მაშინვე მოიპოვეს ტყვეების ნდობა. ანამ და ბარბარემ თარჯიმნის მეშვეობით შამილის ცოლებს ჰკითხეს, მიიყვანდნენ თუ არა რეზიდენციაში მათ შვილებსა და სხვა ტყვეებს. შუანეთმა უპასუხა, რომ მალე ყველას მიიყვანდნენ რეზიდენციაში. ქალმა განმარტა, რომ იმამმა ანა და ბარბარე იმისთვის შეიყვანა სასახლეში, რათა მომავალი სამყოფელი დაეთვალთქონებინათ და თავად გადაენწყვიტათ, ტყვეებიდან ვინ და სად დაებინავენინათ. მალე შამილის სასახლეში ანას და ბარბარეს ძიძამ მიუყვანა შვილები, ალექსანდრე და გიორგი. ცოტა ხნის შემდეგ სასახლეში მივიდნენ ვასილისა და დრანსე ანას ქალიშვილ მარიამთან ერთად. მალე შამილის ორივე უფროსი ცოლი ისევ დაბრუნდა ტყვეებთან, თან მოიტანეს ჩაი, თაფლი, ყველი, პური და ძვირფასი კანფეტები, რომლის შეძენა მთელ კავკასიაში

მხოლოდ თბილისში, ფრანგულ მაღაზიაში, შეიძლება. საჩუქრებით განსაკუთრებით გაიხარეს ბავშვებმა. სამი წლის თამარი ისე გამხიარულდა, რომ დიდხანს ცეკვავდა. მალე ანამ და ბარბარემ გაარკვიეს, რომ შამილის პირველი ორი ცოლიდან ასაკით უფროსი შუანეთი იყო, მიუხედავად ამისა, სასახლეში უფრო დიდი უფლებით ზაიდეთი სარგებლობდა.

ანამ და ბარბარემ ბავშვები დააძინეს და თავადაც დასაწოლად ემზადებოდნენ, როცა მოულოდნელად ოთახში შამილის ცოლი ზაიდეთი შემოვიდა, რომელსაც თან მოჰყვა იმამის ხაზინადარი. მას მოჰქონდა შაქარი და რაღაც შეკვრა, რომელშიც აღმოჩნდა ჩაი და ჭიქები. ხაზინადარმა ტყვეებს განუმარტა, რომ ეს საჩუქარი მათ გენერალ ლევან მელიქიშვილის დამ, ნინო ერისთავმა, გამოუგზავნა ზაქათალიდან. საჩუქარს თან ახლდა წერილი, რომელშიც ასეთი სიტყვები იყო: მე ძალიან მიხარია, რომ დარგოში ხართ. ნინო ერისთავი გულისხმობდა იმას, რომ ტყვეები დარგო-ვედენოს ნაცვლად შეიძლება რომელიმე მიუვალ და მიყრუებულ აულში მოხვედრილიყვნენ. ხაზინადარმა წასვლისას ანას და ბარბარეს განუმარტა, რომ შამილმა მათ ნება დართო თავდაპირველად წერილები ქართულ ენაზე მიეღოთ, მაგრამ შემდეგ მიმონერა მხოლოდ რუსულად უნდა ყოფილიყო, აღმოჩნდა, რომ შამილს ქართულიდან მთარგმნელი არ ჰყავდა.

31 ივლისს დილით ტყვეებს საუზმე მიუტანეს: ცხვრის ყველი, კარაქი, ხახვი, ცხვრის ხორცი, პური. დილითვე შამილის სასახლეში დანარჩენი ტყვეებიც მიიყვანეს, მათ შორის, მღვდლის ქალიშვილი და მისი ჩვილი და, რომელსაც ანა ჭაჭაჭაძე გზაში კვებავდა. სასახლეში ანას ჩვილის კვების უფლება აღარ მისცეს, რადგან ბავშვი მისი ღვიძლი შვილი არ იყო. ანას დახმარება აღმოუჩინა შამილის მზარეულმა ქალმა, რომელმაც შამილის ცოლების მეშვეობით ბავშვს ძიძა უშოვა.

31 ივლისის საღამოს იმამის ხაზინადარი ისევ მივიდა ტყვეებთან და გამოუცხადა, რომ მალე შამილი ინახულებდა მათ. მართლაც, იმამი მალე მოვიდა, მაგრამ ოთახის ზღურბლს არ გადააბიჯა და წინა ოთახში ღია კარის წინ დაჯდა. შამილის უკან იდგნენ

ხაზინადარი და რუსი მთარგმნელი, სახელად ანდრეი. შამილი მთარგმნელის დახმარებით საუბრობდა. იმამმა ანასა და ბარბარეს ჯანმრთელობა მოიკითხა და დადებითი პასუხის შემდეგ მათ ვრცელი სიტყვით მიმართა: „მე თვითონ მიკვირს, აქამდე მშვიდობით როგორ მოაღწიეთ. ეს იმის დადასტურებაა, რომ ალაჰს ჩემი დიდი ხნის ჩანაფიქრის განხორციელება ნებაგვს: გადავარჩინო რუსების ტყვეობაში მყოფი შვილი. მე იმიტომ მოვედი, რომ გითხრათ, მშვიდად იყავით, თქვენ აქ შეურაცხყოფას ვერავინ მოგაყენებთ, თქვენ ისე მოგეპყრობიან, როგორც ჩემი ოჯახის წევრებს, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, ყველა ჩემი მოთხოვნა ზუსტად შეასრულოთ: ჩემი ნებართვის გარეშე ვინმეს წერილი არ მისწეროთ და საერთოდ, არაფერი მოიმოქმედოთ. თუ თქვენ საიდუმლო კავშირს დაამყარებთ თქვენიანებთან და თქვენები რაიმე არასასურველს მოგწერენ, მე თქვენ არ შეგიბრალებთ, არ დავინდობ თქვენს ბავშვებსაც კი, დაგხოცავთ ისე, როგორც დავხოცე ათი რუსი ტყვე ოფიცერი იმისათვის, რომ მიიღეს წერილი, რომელიც პურში იყო ჩადებული. ეს ეშმაკობა გამჟღავნდა და მე ვბრძანე, რომ ყველა მათგანისათვის თავი მოეკვეთათ. შეიძლება თქვენთვის კარგი მაგალითი იყოს ახალგაზრდა გრაფის ქალი, რომელიც სტავროპოლში უნდა გათხოვილიყო, მაგრამ ჩემმა ხალხმა ტყვედ ჩაიგდო. ეს ქალი დიდი ხნის გამოსყიდული უნდა იყოს, მაგრამ, მისი მშობლების მხრიდან რამდენიმე შემოთავაზების მიუხედავად, მე მას მაინც ტყვეობაში ვტოვებ, იმიტომ, რომ უკმაყოფილოა, ჭირვეული და ურჩი. შეიძლება ასეთი რამ თქვენც შეგემთხვეთ. ფრთხილად იყავით...“ (დადგენილია, რომ სტავროპოლიდან გრაფის ქალი შამილის მებრძოლებს არ გაუტაციათ, ეს ამბავი თვითონ იმამმა შეთხზა, რათა ქართველ ტყვეებში მორჩილება აღედრათ). სიტყვა დააასრულა თუ არა, შამილი ადგა და წასვლა დააპირა. ანა ჭავჭავაძეს პასუხის გაცემა არ სურდა, ამიტომ დას სთხოვა ეპასუხა იმამისათვის. ბარბარემ შამილს მიმართა: „ჩვენ დაშინება არ გვჭირდება, დაშინების გარეშეც შამილისათვის Aარასასურველს არაფერს ჩავიდნთ, ჩვენი წოდება და აღზრდა ტყუილის თქმის უფლებას არ გვაძლევს. თქვენ შეგიძლიათ სავსებით ენდოთ ჩვენს პატიოსან

სიტყვას. რაც შეეხება წერილებს, რომლებსაც ჩვენ გამოგვიგზავნიან, მის შინაარსზე ჩვენ პასუხს ვერ ვაგებთ". იმამს ბარბარეს პასუხი მოეწონა და წასვლისას ანას და ბარბარეს ასე მიმართა: „ძალიან კარგი, მაგრამ არ დაივიწყოთ, რომ შამილის ტყვეები ხართ!“ შამილის წასვლის შემდეგ, ანასა და ბარბარეს გარდა, ოთახიდან ყველა ტყვე გაიყვანეს. მოგვიანებით შამილის ცოლები მოვიდნენ და ქალები დაამშვიდეს: იმამს ვთხოვთ და თქვენი მოსამსახურეებიც აქვე იცხოვრებნო. პირველ აგვისტოს, დილით, საუზმის შემდეგ, ანა ჭავჭავაძე და ბარბარე ორბელიანი შამილის ქალიშვილებმა, ნაფისეთმა და ფატიმათმა, მოინახულეს. (ისინი შამილის ვაჟების, ჯემალ ედ დინის, ყაზი მუჰამედისა და მუჰამედ შაბის, ღვიძლი დები იყვნენ. ხუთივენი შამილს პირველი ცოლიდან ჰყავდა. ტყვეებთან ასევე მოვიდა შამილის ექვსი წლის ქალიშვილი ნაჟაბათი, რომელიც იმამს უფროსი ცოლის, ზაიდეთისგან, ჰყავდა. ანა ჭავჭავაძის ბავშვები ნაჟაბათს მალე დაუხლოვდნენ. მომდევნო დღეებში ქართველმა ტყვეებმა შამილის სასახლის კიდევ ბევრი ბინადარი გაიცნეს. მამაკაცებიდან ყველაზე მეტად დაუახლოვდნენ შამილის 14 წლის ვაჟ მუჰამედ შაბის, ერთ დროს ალაზნის ნაპირებიდან გატაცებულ და იმჟამად შამილის ერთ-ერთ მცველს, სალიმს. შამილის საველე მზარეულს ლობაზანსა და მირზა ბეის.

1854 წლის შემოდგომაზე დარგო-ვედენოში ძალზე აცივდა. შამილმა ბრძანება გასცა, ტყვეების ოთახში ფანჯრები ჩაესვათ. მანამდე იმამის ბრძანებით, ოთახები გადააკეთეს და ავეჯი დაუმატეს. ერთ დღეს სასახლის ეზოში ჩოჩქოლი ატყდა, ხალხი კარიბჭისაკენ გაემართა, კარიბჭისაკენ წავიდა შამილიც. აღმოჩნდა, რომ დარგოში ჩავიდა ოსმალეთის სულთნის წარმომადგენელი და შამილს რუსებთან ბრძოლებში ოსმალების მიერ მოპოვებული გამარჯვება მიულოცა (როგორც ჩანს, იგულისხმება 1854 წლის ზაფხულში ოსმალეთის, ინგლისისა და საფრანგეთის არმიების გამარჯვება რუსეთის არმიაზე ყირიმის ნახევარკუნძულზე და შემოდგომაზე სევასტოპოლის ალყაში მოქცევა). გამარჯვების აღსანიშნავად სულთანს შამილისათვის გურჯისტანის ვალის ტიტული უბოძებია. მალე შამილმა კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი შეიტყო: რუსეთში

მძევლად მყოფ მის ვაჟს, ჯემალ ედ დინს, სამშობლოში დაბრუნება გადაუწყვეტია და გამომგზავრებული კიდეც პეტერბურგიდან. შამილმა ამბის მომტანი უხვად დაასაჩუქრა. შემდეგ ხანებში შამილს რამდენჯერმე მოუტანეს ამბავი, რომ ჯემალ ედ დინი მალე ჩავიდოდა სამშობლოში. ერთხელ ისიც კი აცნობეს, რომ მისი შვილი უკვე სტავროპოლში იმყოფებოდა. ანა ჭავჭავაძესა და ბარბარე ორბელიანს არ სჯეროდათ, რომ რუსებმა მძევალი მართლაც გამოუშვეს სამშობლოში.

1855 წლის დამდეგს დარგო-ვედენოში ჩავიდა ჭავჭავაძეთა და ორბელიანთა ოჯახების რწმუნებული ისააკ გრამოვი, რომელსაც ტყვეების გაცვლაზე მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა შამილთან. გრამოვს წარუდგინეს ალექსანდრე ჭავჭავაძე და გიორგი ორბელიანი. ბავშვების დედებს, ანასა და ბარბარეს, გრამოვი არ უნახავთ. შამილმა ისააკ გრამოვს განუცხადა, რომ ამიერიდან ტყვეების განთავისუფლების თაობაზე მასთან მანამ ვერავინ მივიდოდა, სანამ მისი შვილი ჯემალ ედ დინი ხასავე-იურთში (დაღესტანი) არ ჩავიდოდა. ისააკ გრამოვი თბილისში დაბრუნდა და დარგოში ტყვეების ცხოვრებაც ჩვეულ კალაპოტში წარიმართა. შამილი ნერვიულობდა, რადგან ჯემალ ედ დინი არ ჩანდა. შამილმა ანა ჭავჭავაძეს უთხრა: ავადმყოფი ალექსანდრესათვის წამალია საჭირო, გააგზავნე ვინმე ხასავე-იურტში და თან თქვენებთან წერილი გაატანე. ანამ ხასავე-იურთში კაცი მართლაც გაგზავნა, რომელმაც მოიტანა ამბავი: ჯემალ ედ დინი პეტერბურგიდან კავკასიისაკენ მართლაც გამოემგზავრა, მაგრამ როდის ჩავიდოდა ხასავე-იურტში, არავინ იცოდა. 1855 წლის თებერვლის დამდეგს გავრცელდა ხმა, რომ ჯემალ ედ დინი უკვე ვლადიკავკაზში იყო. შამილმა ანა ჭავჭავაძეს უბრძანა, ქმართან წერილი გაეგზავნა და ეთხოვა, ამ უკანასკნელს მისი ვაჟის ხასავე-იურთში ჩასვლა დაეჩქარებინა. ანამ ქმარს წერილი 4 თებერვალს გაუგზავნა, ხასავე-იურთიდან 17 თებერვალს გამოგზავნილი პასუხი მან 20 თებერვალს მიიღო. წერილიდან ცნობილი გახდა, რომ ჯემალ ედ დინი ვლადიკავკასში 15, ხოლო ხასავე-იურთში 317 თებერვალს ჩასულა. შამილი ამ ცნობამ ძალზე გაახარა. წერილის მიღების დღეს, 20 თებერვალს, საღამოს, შამილმა ანა ჭავჭავაძეს

კვლავ უბრძანა ქმართან ნერილის გაგზავნა. ხასავ-იურთში შამილი შვილის სანახავად თავის თანამებრძოლებს: იუნუსს, ხაზინადარ ჰაჯის და მთარგმნელ შაჰ აბასს აგზავნიდა(ეს ის იუნუსია, რომელმაც 1839 წელს აპულგოსთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ მცირეწლოვანი ჯემალ ედ დინი გენერალ პაველ გრაბეს გადასცა მძევლად). ხასავ-იურთში მიმავალთ ნაილეს ანა ჭავჭავაძის წერილი ქმრისადმი. სხვა ამბებთან ერთად ანა ქმარს სწერდა, რომ მას სურდა წინანდლიდან გატაცებულთა გარდა, გამოეყვიდა კახეთში მოტაცებული მღვდლის ბავშვი ნინო, რომელსაც ლეკებმა დედა მოუკლეს და ამიტომ ანა კვებავდა ძუძუთი, აგრეთვე 5 წლის გოგონა თეკლე. ხასავ-იურთში გაგზავნილები მალე დაბრუნდნენ და შამილს შვილის წერილი მოუტანეს. მათ იმამს ისიც აცნობეს, რომ გასული წლების განმავლობაში ჯემალ ედ დინი ძალზე გამოცვლილიყო. ხასავ-იურთში მყოფ შამილის შვილს ახლო ურთიერთობა დაუმყარებია დავით ჭავჭავაძესთან, იმდენად ახლო, რომ მათ თურმე ერთ ოთახში ეძინათ. შამილის წარგზავნილები ალტაცებული იყვნენ იმით, რომ ჯემალ ედ დინი ძალიან კეთილ ადამიანად ჩამოყალიბებულა, არ მოსწონებიათ მხოლოდ ის, რომ იმამის შვილი საღამოს ოფიცერთა წვეულებებზე დადიოდა და ოფიცერთა ცოლებთან ცეკვავდა.

1855 წლის თებერვალშივე იუნუსი, ჰაჯი და შაჰ აბასი მეორედ გაემგზავრნენ ხასავ-იურთში და თვის ბოლოს დარგო-ვედენოში დაბრუნდნენ. მათ ჩამოიტანეს დავით ჭავჭავაძის წერილი შამილისადმი. შამილმა წერილის შინაარსი ანა ჭავჭავაძეს არ გაუმხილა. დავით ჭავჭავაძის წერილმა შამილი აღაშფოთა, ხოლო ტყვეები სხვადასხვა აულებში გაგზავნა ნაიბების საჩუქრად. ანა ჭავჭავაძესა და ბარბარე ორბელიანსაც მგზავრობისათვის მომზადება უბრძანეს. გამგზავრების წინ ანა და ბარბარე შამილის ვაჟს, ყაზი მუჰამედს, შეხვდნენ. ტყვეებსა და შამილის ვაჟს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

ყაზი მუჰამედი: შამილი შეურაცხყოფილია თავად ჭავჭავაძის წერილით და გადანყვიტა, თქვენ თავის ნაიბებს მიგცეთ. მე მივალნიე იმას, რომ იმამი დავითანხმე კიდევ ერთხელ გაგზავნოს თავისი

წარმომადგენლები თქვენს ნათესაებთან, რათა კიდევ ერთხელ და საბოლოოდ დაითანხმონ ისინი ჩვენს მოთხოვნებზე.

ბარბარე ორბელიანი: დიდი მადლობა, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რომ დავით ჭავჭავაძე შამილისათვის რაიმე არასიამოვნოს უმიზეზოდ დაწერდა. ჩვენ გვსურს თავად დავითის წერილი ვნახოთ!

(ყაზი მუჰამედმა ხაზინადარ ჰაჯის დავით ჭავჭავაძის წერილი გამოართვა და ტყვეებს გადასცა).

ბარბარე ორბელიანი: აქ ისეთი არაფერია, რაც იმამს შეურაცხყოფდეს. გთხოვთ, შაჰ აბასმა წერილი, რაც შეიძლება, ზუსტად თარგმნოს.

ყაზი მუჰამედი: საქმე შეურაცხყოფა როდია. წერილიდან თქვენ შეიტყვეთ, თუ რა შეზღუდულ პირობებს აყენებს თავადი ჭავჭავაძე. ჩვენ გვაქვს სანდო ცნობა იმის შესახებ, რომ მან უფრო მეტი ფული მიიღო, ვიდრე თქვენი გათავისუფლებისათვის გეთავაზობს.

ანა ჭავჭავაძე (აღშფოთებული ყაზი მუჰამედს): ტყუილია! მე დარწმუნებული ვარ, ჩემი ქმარი ჩვენი განთავისუფლებისათვის ფულს არ დაიშურებს და ერთ შაურსაც არ დამალავს, ჩვენს გათავისუფლებას შესწირავს ყველაფერს, რაც გააჩნია! ის გთავაზობთ მთელ ფულს, რაც თავისი მამულის დაგირავებით მიიღო.

ანა ჭავჭავაძე (შაჰ აბასს): თუ მათ ყოველივე ეს არ ესმით, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ფულს გირაოს გარეშე არ გვაძლევენ. ჩემს ქმარს კი მამულის გარდა, არაფერი აქვს!

ყაზი მუჰამედი: რატომ ლაპარაკობთ ასე დაბეჯითებით? მერე რაღას იტყვით, რომ თქვენმა ქმარმა მეტი ფულის გადახდა გადანიჭოს?

ანა ჭავჭავაძე: დარწმუნებული ვარ, ერთ კაპიკსაც ვერ გადაიხდის!

ყაზი მუჰამედი: თუ მთავრობა დაეხმარება?

ანა ჭავჭავაძე: ეს შეუძლებელია, შესაძლებელიც რომ იყოს, ჩემი ქმარი იმდენს შემოგთავაზებთ, რამდენის საშუალებაც აქვს.

ყაზი მუჰამედი: დასდებთ თავს იმაზე, რომ თქვენს ქმარს იმაზე

მეტის გადახდა არ შეუძლია, რასაც გვთავაზობს?

ანა ჭავჭავაძე: დავდებ!

ყაზი მუჰამედი: კარგი, ჩვენ გეჯერა, რომ თქვენი ქმარი აკოტრებულია. მაგრამ რატომ აარიდა თავი მოლაპარაკებას და რატომ დატოვა თემირ-ხან-შური თავადმა გრიგოლ ორბელიანმა? (გრიგოლი იყო ბარბარე ორბელიანის მაზლი - ვ.გ.)

ბარბარე ორბელიანი: სავარაუდოა, რომ თავადი გრიგოლ ორბელიანი თემირ-ხან-შურიდან თავისი ნებით კი არა, უფროსების ბრძანებით წავიდა. ხოლო მოლაპარაკებაზე უარი არ უთქვამს. დარწმუნებული ვარ, ჩვენს გამოსასყიდ თანხაში (იგულისხმება ბარბარეს, მისი ვაჟის გიორგის, ილია ორბელიანის ნათესავ ნინო ბარათაშვილის გამოსასყიდი თანხა) მისი ფულიცაა.

ყაზი მუჰამედი: თავად გრიგოლ ორბელიანს შეეძლო მოლაპარაკება ენარმოებინა თქვენი, თქვენი შვილისა და თქვენი ნათესავის, თავადის ქალ ბარათაშვილის გამოსყიდვის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ გავათავისუფლებთ თავადის ქალ ჭავჭავაძესა და მის შვილებს, ხოლო თქვენ, თქვენს შვილს და ნათესავ ქალს ტყვეობაში დავტოვებთ.

ანა ჭავჭავაძე: როგორ არ გრცხვენიათ ამის თქმა! როგორ არ გრცხვენიათ თქვენ, ყაზი მუჰამედს, რომელმაც კახეთზე თავდასხმებით ხალხში დიდება მოიპოვეთ! ორი ათასი ჩეჩენით თავს დაესხით უძლურ ქალებსა და ბავშვებს და დაატყვევეთ ისინი. ჩვენ თქვენ არაფრად გიღირვართ, სხვათა შორის, ჩვენით მოიპოვეთ უფროსი ძმის (ჯემალ ედ დინის - ვ.გ.) ხილვის ბედნიერება! გარდა ამისა, თქვენ გაძლევენ იმდენ ფულს, რამდენის შესაძლებლობაც გვაქვს. კიდევ რას ითხოვთ ჩვენგან? რისთვის გვაწინრობთ? იცოდეთ, რომ თუ თქვენ შეუძლებელს მოითხოვთ, ჩვენი ნათესავები გაგვწირავენ ჩვენ და ჯემალ ედ დინს უკან დააბრუნებენ რუსეთში! რით მოინმენდთ ამ სირცხვილს?

განრისხებული ანა ჭავჭავაძის სიტყვები რომ უთარგმნეს, ბუნებით კეთილი და პატიოსანი ყაზი მუჰამედი წამოწითლდა, შეწუხდა, თავი დახარა, როგორც დარცხვენილმა ბავშვმა. შემდეგ მან საუბარი გააგრძელა: შამილმა თქვენ ნება დაგროთო, კიდევ

ერთი კვირა დარჩეთ დარგოში და კარგი ნერილები გაუგზავნოთ თქვენს ნათესაებს. გასვლისას შაჰ აბასმა ტყვეებს წასჩურჩულა: არ შეშინდეთ, ეს ქრისტიანების დაშინების ჩვეულებაა, მე დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად დამთავრდება.

ყაზი მუჰამედთან საუბრის შემდეგ, 1855 წლის თებერვალში, ანა ჭავჭავაძემ და ბარბარე ორბელიანმა ხასაჯ-იურთში მყოფ დავით ჭავჭავაძეს იმამის წარმომადგენლების ხელით ნერილები გაუგზავნეს. რამდენიმე დღის შემდეგ წარმომადგენლები დაბრუნდნენ და ამჯერად ცუდი ამბავი არ ჩამოუტანიათ. ხაზინადარმა ჰაჯიმ ანასა და ბარბარეს აცნობა, რომ შამილმა დავით ჭავჭავაძისაგან საკმაოდ კატეგორიული პასუხი მიიღო. საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ შამილი მამაც და პირშიმთქმელ ადამიანებს ძალზე აფასებდა, ამიტომ იყო, რომ დავით ჭავჭავაძის პასუხს მისი აღშფოთება არ გამოუწვევია. ანასა და ბარბარეს ხაზინადარი ეწვია და დაარწმუნა, რომ მალე მათი საქმე კეთილად დასრულდებოდა, რადგან იმამთან დაახლოებული მოხუცი ჯემალ ედ დინი თავგამოდებით იცავდა ტყვეებს. გავიდა თუ არა ხაზინადარი, ტყვეებს თვით ჯემალ ედ დინი ეწვია. მოხუცს მხოლოდ ბარბარე შეხვდა, ანა თავს შეუძლოდ გრძნობდა. ჯემალ ედ დინი მალალი, გამხდარი, მთლად გათეთრებული მოხუცი იყო, სახის ბრძნული გამომეტყველებით. ბარბარესა და მოსულს შორის თარჯიმნის მეშვეობით ხანმოკლე საუბარი შედგა.

ჯემალ ედ დინი: როგორ გრძნობთ ორივენი თავს?

ბარბარე ორბელიანი: და ავად არის.

ჯემალ ედ დინი: ეს უკვე კარგა ხნის წინ მითხრეს, შენც გამხდარხარ. ორივენი მეცოდებით, მაგრამ თქვენ თვითონ ვნებთ თქვენს თავს. მე არ მესმის, რატომ ჩავარდით სასონარკვეთილებაში, თქვენ ხომ თავიდანვე გითხრეს, რომ ცუდი არაფერი შეგემთხვეოდათ!

ბარბარე ორბელიანი: ეს მართალია, მაგრამ ჩვენ შამილის ტყვეები ვართ და მშვიდად ვერ ვიქნებით, რადგან ვიცით, რომ დღეს თუ არა ხვალ ერთმანეთს დაგვაშორებენ და აულებში გაგვგზავნიან, ნაიბებს მიგვცემენ!

ჯემალ ედ დინი: თუ ეს ასეა, ამის შესახებ რატომ არაფერი მისწერეთ თქვენი ქმრის ძმას თავად გრიგოლ ორბელიანს, რათა იგი იძულებული გამხდარიყო, გამოესყიდეთ?

ბარბარე ორბელიანი: იმიტომ, რომ მე კარგად ვიცოდი, იგი ამის გარეშეც ყველაფერს აკეთებდა და მეტი კი არ შეეძლო.

ჯემალ ედ დინი: შენ, რომელიც დაზე ძლიერი ხარ, რატომ არ გასურს დარჩე აქ და ამის ფასად გაათავისუფლო და და ბავშვები?

ბარბარე ორბელიანი: მე ამის თანახმა ვიყავი ჯერ კიდევ ტყვეობის დასაწყისში, ახლა უკვე გვიანაა, რადგან ჩვენები ამას არ ინდომებენ.

ჯემალ ედ დინი: ვფიცავ, თქვენთვის ყველაფერი კეთილად დასრულდება. შამილი, მართალია, გაბედული ადამიანია, მაგრამ მაინც ჩემი შვილია! (იგულისხმება სულიერი შვილობა).

ბარბარე ორბელიანი: თუ შამილს არ ეყოფა ძალა, რომ თავისიანები დაიყოლიოს დათმობაზე, რა მოხდება მაშინ? ჩვენ გვითხრეს, რომ ფულს შამილზე მეტად იმამის გარემოცვა ითხოვს.

ჯემალ ედ დინი: ჩვენ გვაქვს იმის საშუალება, რომ ხალხი დავიყოლიოთ. კონკრეტულად როგორ, ამის შესახებ არ შემიძლია გითხრათ, მოვა დრო და ყველაფერს გაიგებთ.

ამ სიტყვების შემდეგ ჯემალ ედ დინი ტყვეებს დაემშვიდობა. ქალებმა მალე მართლაც გაიგეს, რომ შამილმა თავისიანები დაიყოლია იმაზე, რომ ერთი მილიონი მანეთის ნაცვლად ტყვეების ნათესავებისაგან ის ფული მიეღოთ, რასაც ისინი სთავაზობდნენ.

ტყვეობის დასასრული. 1855 წლის 8 მარტს სალამოს, კურინსკის სიმაგრიდან დარგოში ჩავიდა ისააკ გრამოვი და მთელი ღამე შამილთან მოლაპარაკებაში გაატარა. გამთენიისას გრამოვმა ანა ჭავჭავაძე და ბარბარე ორბელიანი მოინახულა და უთხრა, სასწრაფოდ გასამგზავრებლად მომზადებულიყვნენ. ანამ გრამოვს ჰკითხა, თუ რისთვის გამოიძახა იგი შამილმა, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: უნდა შეგვეთანხმებინა ზოგიერთი წერილმანი. შამილი ითხოვს, თქვენს შესახებედრად დიდი ჯარი არ გამოგზავნონ.

1855 წლის 9 მარტი ბედნიერი დღე აღმოჩნდა ტყვეებისათვის, შამილის სასახლის ეზოში სამგზავროდ გამზადებული ეკიპა-

ჟი იდგა, რომელთანაც ხაზინადარი ჰაჯი ფუსფუსებდა. ურმებში ხარების ნაცვლად ცხენები იყო შებმული, მათში ხალიჩები ჩააფინეს, ნყლისთვის სპილენძის თუნგები ჩადგეს, ხილი და პური ჩაანყვეს. ტყვეებთან გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ შამილის ცოლები და ქალიშვილები, სხვა ნათესავები. ტყვეები და მასპინძლები გულთბილად გამოეთხოვნენ ერთმანეთს. პირველ ურემზე მოთავსდნენ ანა ბავშვებით და კახელი მღვდლის შვილები, მეორე ურემზე – ბარბარე შვილთან, ნინო ბარათაშვილსა და ფრანგ აღმზრდელ დრანსესთან ერთად. მესამე და მეოთხე ურემებზე დასხდნენ შინამოსამსახურეები. წინანდლიდან დარგოში 22 ტყვე ჩაიყვანეს, დარგოდან ყველანი უკლებლივ გამოემგზავრნენ.

აულ დარგო-ვედენოდან ურმები ჯერ გასულიც არ იყო, რომ ანამ და ბარბარემ ცხენზე მჯდომი ივანე ჭავჭავაძე შენიშნეს. ივანე ჭავჭავაძემ საუბარში აღნიშნა, რომ არც კი იცოდა, ვის უნდა უმადლოდეს ტყვეობიდან გათავისუფლებას და თანაც დასძინა, რომ, სამწუხაროდ, თავადი ვაჩნაძე ტყვეობაში რჩებოდა.

ურმებმა დარგო-ვედენო დატოვეს და საკმაოდ სწრაფად განაგრძეს გზა. მალე ურმების უკან შამილი გამოჩნდა მიურიდების რაზმით. იმამს გვერდით ედგა ერთი მიურიდი და ვილაც რუსულ შინელში გამოწყობილი. გაირკვა, რომ იგი დანიელ ბეი(დანიელ სულთან) იყო. მეურმეებმა მდინარის ნაპირას ურმები შეაჩერეს, რამდენიმე ნუთის შემდეგ ურმებთან მივიდნენ ბარონ ალექსანდრ ნიკოლაის მიერ მიერ გამოგზავნილი გლეხები, ნიკო და გიგო. შამილს ახლდა ხაზინადარი ჰაჯი, რომელსაც იმამის ბრძანებით, მისი შვილის, ჯემალ ედ დინისათვის, ეროვნული სამოსი წამოედო. მალე ურმები რუსეთის ჯარის რაზმისაკენ დაიძრნენ, ურმების წინ მიდიოდნენ შამილის შვილები ყაზი მუჰამედი და მუჰამედ შაბი 30 მიურიდით. დიდოელ მოლას მიჰყავდა პატარა ალექსანდრე, რომელიც რუსეთის ჯარის რაზმთან ერთად მოსული დავით ჭავჭავაძისათვის უნდა გადაეცა. რუსი ოფიცრის მუნდირში ჩაცმული შამილის ვაჟი ჯემალ ედ დინი ანა ჭავჭავაძესთან მივიდა და მოსკოვიდან ნათესავების მიერ გამოგზავნილი წერილი გადასცა და სიტყვიერადაც დასძინა, რომ ნათესავები ყველანი კარგად

გრძნობდნენ თავს. ჯემალ ედ დინის კეთილი საქციელით აღფრთოვანებულმა ანამ მადლობის თქმაც კი ვერ შეძლო. ამის შემდეგ ურმებს ალყა შემოარტყეს მიურიდებმა და ყაზი მუჰამედმა ანას და ბარბარეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „იმამმა მე დამავალა თავადის ქალებს გადმოგცეთ, რომ, რაც კი ცუდი შეგემთხვათ, ყველაფერი დაივინყო. თუ ჩვენს ოჯახში რაიმე უსიამოვნება განიცადეთ, ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ თქვენთვის ტკივილის მოყენება გვსურდა, არამედ იმიტომ, რომ არ ვიცოდით, როგორ მოგვევლო თქვენთვის.“

იმ ნუთში ანა ჭავჭავაძე და ბარბარე ორბელიანი მადლიერები ფიქრობდნენ, რომ ცუდის დავინყებას შეძლებდნენ, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა...

(1857-1859)


ყირიმის ომის (1853-1856) დასრულების შემდეგ რუსეთის იმპერიას შეეძლო გაცილებით დიდი ძალები გადაესროლა ჩრდილო კავკასიაში, ვიდრე ეს იყო წინა ათწლეულში.

1. *ალექსანდრ ბარიატინსკის დანიშვნა კავკასიის მეფისნაცვლად.* 1856 წლის 22 ივლისს ნიკოლაი მურავიოვის ნაცვლად კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად და კავკასიის მეფისნაცვლად დაინიშნა ალექსანდრ ბარიატინსკი. იმპერატორი ალექსანდრ II შემთხვევით არ შეჩერებულა ალექსანდრ ბარიატინსკის კანდიდატურაზე. ეს უკანასკნელი დიდი ხნის განმავლობაში მსახურობდა კავკასიაში და კარგად იცნობდა რეგიონში შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას, კავკასიის კორპუსის გენერლებსა და ოფიცრებს. 1856 წლის ოქტომბერში ალექსანდრ ბარიატინსკი დალესტანში, თემირ-ხან-შურში ჩავიდა, სადაც მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაურმა და კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგის უფროსმა გენერალმა ნიკოლაი ვედოკიმოვმა 1856 წლის შემოდგომასა და ზამთარში დაგეგმილი საბრძოლო მოქმედებების გეგმა გააცნო. ბარიატინსკიმ ვედოკიმოვს მითითება მისცა, რომ ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედებების წარმატებისათვის უმჯობესი იქნებოდა დალესტანის გამოყოფა კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგისაგან. თბილისში მიმავალმა ბარიატინსკიმ შეამონმა გროზნაისა და კურინსკის სიმაგრეების საბრძოლო მზადყოფნა, საგანგებოდ შექმნილი რაზმებით დაზვერა დიდი ჩეჩნეთში, იჩქერიასა და აუხში განლაგებული შამილის ძალები.

2. *1857 წლის სამხედრო ექსპედიცია.* 1857 წლის გაზაფხულზე ალექსანდრ ბარიატინსკიმ მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაურ გენერალ ნიკოლაი ვედოკიმოვისა და კასპიისპირეთში მოქმედი რუსეთის ჯარების მეთაურ გენერალ გრიგოლ ორბელიანის მონაწილეობით თათბირი ჩაატარა. თათბირზე გადაწყდა, დაეკავებინათ დალესტანის მთისწინეთში, მდინარე სულაკის მარცხენა ნაპირზე მდებარე რეგიონი სალათავია (ნაჰაბაკი) და იქ აულ ბურტუნაის ახლოს გადაე-

ტანათ დალესტინის ქვეითი პოლკის შტაბ-ბინა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მიღებული იქნა გენერალ გრიგოლ ორბელიანის წინადადება, რომელიც დალესტანზე კასპიის ზღვის სანაპიროდან შეტევას ითვალისწინებდა. გენერალი ორბელიანი მიიჩნევდა, რომ საბრძოლო მოქმედებები კასპიისპირეთში განლაგებულ რუსეთის ჯარებსა და გენერალ ევდოკიმოვის მე-20 ქვეით დივიზიას ერთდროულად უნდა დაენყოთ 1857 წლის ზაფხულში. საჭიროების შემთხვევაში, ევდოკიმოვი ორბელიანს უნდა დახმარებოდა სალათავიის პროვინციის დაკავებაში. იმავედროულად კავკასიის ხაზის მარცხენა ფლანგიდან გრიგოლ ორბელიანის დაქვემდებარებაში უნდა გაეგზავნათ ყაბარდოს ქვეითთა პოლკის 1 ბატალიონი და ნიჟნი ნოვგოროდის დრაგუნთა 1 დივიზიონი.

1857 წლის 15 ივნისისათვის გენერალ გრიგოლ ორბელიანს ევგენიევსკში (მდინარე სულაკის მარჯვენა ნაპირზე) საბრძოლო მზადყოფნაში ჰყავდა ქვეითთა 10,5 ბატალიონი, დრაგუნთა 4 ესკადრონი, კაზაკთა 14 ასეული და 4 ზარბაზანი. შამილის ლაშქრის საგუშაგოები მდინარე სულაკის მარცხენა ნაპირზე იყო განლაგებული. იმამმა სალათავიის მოსახლეობა რუსების შეჭრის შესახებ ადრევე გააფრთხილა, ტყეებში გახიზვნა და ქონების გადამალვა ურჩია. სალათავიელთა დასახმარებლად 4 ნაიბი გაიგზავნა ჯარით. გრიგოლ ორბელიანმა შენიშნა, რომ სულაკის მარცხენა ნაპირზე შამილის ლაშქარი სულ უფრო იზრდებოდა. ახალ ბურტუნაისთან იმამს 6.000 ქვეითი და ცხენოსანი ჰყავდა, რომელთაც შეიარაღებაზე 4 ზარბაზანი ჰქონდათ. 22 ივნისს ახალ ბურტუნაიში მივიდა შამილი და 24 ივნისს გრიგოლ ორბელიანის ჯარების წინააღმდეგ შეტევის დაწყება ბრძანა. იმამის ხილვამ მეზობლები ალაფრთოვანა, ეჭვიც აღარ ეპარებოდათ, რომ რუსებს დაამარცხებდნენ. მთიელთა საბრძოლო განწყობილების შეცვლა არ გამოჰპარვია გრიგოლ ორბელიანის დაზვერვას. გენერალმა ჯარების ავანგარდი სამურისა და აფშერონის ქვეითი პოლკების ბატალიონებით გააძლიერა, მალე ავანგარდში გადაიყვანა საქართველოს მე-13 სახაზო ბატალიონი და ქართული მილიცია. რუსების შეტევამ შამილის მიერ 24 ივნისისათვის დაგეგმილი შეტევა გადადო. 27 ივნისს შამი-



ალექსანდრ ბარიატინსკი (1856-1862)

ლის ცხენოსნებმა ძლიერი დარტყმა მიაყენეს რუსეთის მხარეზე პოლკოვნიკ ბაგრატიონის მეთაურობით მეზრძოლ დალესტინის ცხენოსანთა რაზმს. დალესტინელები სრული განადგურებისაგან სვეერსკის დრაგუნთა ესკადრონმა იხსნა. შამილი მიხვდა, რომ რუსეთის ჯარის სალათავიაში შეჭრას წინ ვერ აღუდგებოდა, ამიტომ მოსახლეობას გადაჭრით მოუწოდა, დალესტინის მთიან აულებში გადასახლებულიყვნენ, მაგრამ უშედეგოდ.

1857 წლის 7 ივლისს გრიგოლ ორბელიანმა ძირითადი ძალებით ძველი ბურტუჩანი დაიკავა. იმავე დროს პოლკოვნიკმა ბაგრატიონმა შამილის ცხენოსანი რაზმი დაამარცხა. შამილმა სალათავიის პროვინცია დატოვა. 1857 წლის 14 ივლისს საზეიმოდ საფუძველი ჩაეყარა დალესტინის ქვეითთა პოლკის შტაბ-ბინას. გრიგოლ ორბელიანის ბრძანებით, გამარჯვების აღსანიშნავად 101-ჯერ გაისროლეს ზარბაზნებიდან.

1857 წლის 1 აგვისტოს შამილმა მოულოდნელად სცადა სალათავიის დაბრუნება და იქიდან რუსეთის ჯარის გარეკვა, მაგრამ სვეერსკის დრაგუნთა ესკადრონებმა მთიელთა ცხენოსანი რაზმები ისევ დაამარცხეს. აგვისტოს მეორე ნახევარში შამილი დალესტინის აულ დარგოში გადავიდა, სადაც გამოზამთრებას აპირებდა.

იმამი ვერ ურიგდებოდა სალათავიის დაკარგვას. მან თავის ვაჟ ყაზი მუჰამედს დალესტანსა და ჩეჩნეთში ჯარების შეკრება უბრძანა. გრიგოლ ორბელიანმა მონინაალმდეგის ჩანაფიქრი ამოიცირო. მან კარგად გაამაგრა ძველი და ახალი ბურტუჩანი, სწრაფი ტემპით გააგრძელა ტყის ზოლის გაჩეხა, ამიტომ იყო, რომ ყაზი მუჰამედის შეტევა ადვილად იქნა მოგერიებული. ბოლო ბრძოლებს ჩეჩნთა რაზმით შამილმაც მოუსწრო, მაგრამ რუსებმა ძველი და ახალი ბურტუჩანი არ დათმეს და მონინაალმდეგე უკუაქციეს.

სალათავიის დაკავებამ თბილისსა და პეტერბურგში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ალექსანდრ ბარიატინსკის სახელით გენერალს გამარჯვება მიულოცა კავკასიის პორპუტის შტაბის უფროსმა. ბარიატინსკიმ გრიგოლ ორბელიანს ოფიცრებისა და ჯარისკაცების დასაჯილდოებლად 55 გიორგის ჯვარი გაუგზავნა.

1857 წლის 6 ნოემბერს გრიგოლ ორბელიანმა ჯარის უდიდესი

ნაწილი ევგენიევსკი დააბრუნა. სალათავიაში, კერძოდ, ბურტუნაის სიმაგრეში, დალესტნის ქვეითთა პოლკის 4 ბატალიონი დარჩა.

გრიგოლ ორბელიანის მიერ მოპოვებულმა გამარჯვებამ ხელფეხი გაუხსნა კავკასიის მარცხენა ფლანგის უფროსსა და მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაურ ნიკოლაი ევდოკიმოვს. მან სალათავიისათვის მიმდინარე ბრძოლებში რამდენიმე სიმაგრის აგება მოასწრო, რაც რუსებს საშუალებას აძლევდა კონტროლი დაემყარებინათ დიდ ჩეჩნეთზე და ჩეჩნეთიდან დალესტნისაკენ მიმავალი გზის მნიშვნელოვან მონაკვეთზე.

3. 1858 წლის სამხედრო ექსპედიცია. 1858 წლის დამდეგს მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაურმა გენერალმა ნიკოლაი ევდოკიმოვმა სამხედრო მოქმედებები დაიწყო მდინარე არლუნის ხეობაში. დიდი დანაკარგის გარეშე რუსებმა არლუნის ხეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს და ევდოკიმოვმა ხეობის შესასვლელში კურინსკის ქვეითი პოლკის შტაბ-ბინა ააგო. მთიელთა თავდასხმების უკეთ მოგერიების მიზნით რუსებმა არლუნის სიმაგრე ააგეს და დარგინ-დუკის მალლობებსა და მდინარე შარო-არლუნის ხეობაში ტყეები გაჩეხეს. შამილი, ცხადია, მიხვდა, თუ რისთვის ემზადებოდა გენერალი ევდოკიმოვი. 1858 წლის გაზაფხულზე რუსეთის ჯარი მცირე ჩეჩნეთში შეიჭრა, რამდენიმე აულმა ევდოკიმოვს უბრძოლველად გამოუცხადა მორჩილება. ბრძოლას განაგრძობდა მთიანი ჩეჩნეთი, სადაც მდინარე არლუნის ხეობით რუსები 1858 წლის ივლისში შეიჭრნენ და აული შატიო და შატიოს ველი დაიკავეს. შატიოს ველის ცენტრში გენერალმა ევდოკიმოვმა ნავაგინსკის პოლკის შტაბ-ბინისა და ხის სიმაგრის აგება ბრძანა. 1858 წლის ბოლოს, როდესაც გენერალი დიმიტრი სვიატოპოლკ-მირსკი ყუმუხეთში (დალესტანი) ებრძოდა შამილის ლაშქარს, გენერალი ევდოკიმოვი მე-20 ქვეითი დივიზიის მთავარი ძალებით მდინარე ბასის ხეობაში შევიდა, რომელზადაც გადიოდა გზა ჩეჩნეთის პროვინცია იჩქერიისა და აულ დარგო-ვედენოსაკენ, სადაც იმამ შამილის რეზიდენცია იყო.

4. 1859 წლის სამხედრო ექსპედიცია. 1859 წლის დამდეგს გენერალი ნიკოლაი ევდოკიმოვმა ბრძოლით დაიკავა მთიელების

მიერ აულ ტაუზენტან კარგად გამაგრებული პოზიცია და მდინარე ჰულხუალაუს ხეობაში შევიდა. გენერალმა ჯარი დარგო-ვედენოდან 10 ვერსის მოშორებით შეაჩერა. ევდოკიმოვი აულ დარგო-ვედენოსათვის ალყის შემორტყმას გეგმავდა და ამისთვის აუცილებელი საფორტიფიკაციო სამუშაოების შესრულებას შეუდგა. 1859 წლის 1 აპრილს რუსებმა დარგო-ვედენო ძლიერად დაბომბეს. ასე დაიწყო სისხლისმღვრელი მბრძოლები შამილის რეზიდენციის დაუფლებისათვის. პირველი შეტევაზე დაიძრა ყაბარდოს ქვეითი პოლკის კოლონა პოლკოვნიკ ბაჟენოვის მეთაურობით, მას მიჰყვნენ თენგინისა და სხვა პოლკები. მთიელები წარმოუდგენელი სიმამაცით იცავდნენ აულს. მალე სავსებით ცხადი გახდა, რომ რუსები დიდ მსხვერპლს არ მოერიდებოდნენ და აულ დარგო-ვედენოს მაინც დაიკავებდნენ. ჯერ შამილის ვაჟმა ყაზი მუჰამედმა და შემდეგ თვით იმამმაც აული დატოვეს.

შამილის ლაშქრის მიერ დარგო-ვედენოს დატოვებამ მთელი ჩეჩნეთის ბედი გადაწყვიტა. შამილი კარგად ხვდებოდა, რომ 1859 წლის ზაფხულში რუსები ჩეჩნების დაუმორჩილებელ აულებს მიწასთან გაასწორებდნენ. კავკასიის კორპუსის შტაბის უფროს გენერალ-ადიუტანტ დიმიტრი მილიუტინის მიერ შემუშავებული გეგმის თანახმად, მე-20 ქვეითი დივიზიის ძირითადი ძალები ჩეჩნეთიდან ანდიის პროვინციის გავლით დალესტანში უნდა შეჭრილიყვნენ და შამილის ლაშქარი საბოლოოდ გაენადგურებინათ. უნდა აღინიშნოს, რომ შამილის დამარცხება ბევრად განაპირობა გამოცდილი სპეციალისტის გენერალ დიმიტრი მილიუტინის მიერ კარგად შედგენილმა საბრძოლო მოქმედებების გეგმამ, რომელშიც ყველა დეტალი ზუსტად იყო გათვლილი. გენერალ მილიუტინის მიერ შედგენილი გეგმა კავკასიის მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ დაამტკიცა, რომლის მიხედვით, რუსეთის ჯარის 3 რაზმი მდინარე ანდიის ყოისუს (დალესტანი) ხეობაში სამი მიმართულებიდან უნდა შეჭრილიყო: ჩეჩნეთის რაზმი(მეთაური გენერალი ნიკოლაი ევდოკიმოვი) აულ დარგო-ვედენოდან უნდა დაძრულიყო და ანდია და ტეხნუცალი დაეკავებინა; დალესტნის რაზმი (მეთაური გენერალი ალექსანდრ ვრანგელი)სალათავიიდან აულ გუმბეთისათვის უნდა

შეეცა; ლეკეთის რაზმი (მეთაური გენერალი ლევან მელიქიშვილი) კახეთიდან უნდა დაძრულიყო, კავკასიონის მთავარი ქედი გადაე-
ლახა და შემდეგ შექმნილი ვითარების მიხედვით ემოქმედა. გენ-
ერალ მილიუტინის მიერ შემუშავებული გეგმის არსი იმაში მდგო-
მარეობდა, რომ შამილი სამი ძლიერი რაზმის ერთდროულ შეტევას
ვერ გაუძლებდა.

1859 წლის 4 ივლისს ჩეჩნეთის რაზმში, კონკრეტულად, გრო-
ზნაიას სიმაგრეში, კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარი-
ატინსკი მივიდა. გროზნაიას სიმაგრეში კავკასიის მეფისნაცვალს
წარუდგინეს იმამ შამილის ყოფილი ნაიბები, რომელთაც მორ-
ჩილება გამოუცხადეს რუსებს: ედილი(აულ დარგო-ვედენოდან),
თაგიკი(დიდი ჩეჩნეთიდან), დუბა (მცირე ჩეჩნეთიდან), უმალათი(
იჩქერიიდან) და ესკი (აულ მიჩიგიდან). ბარიატინსკიმ შამილის
ძველი თანამებრძოლები დიდი პატივისცემით მიიღო, ისე, რომ
თითქოს არც კი ახსოვდა, რომ ისინი სულ ცოტა ხნის წინ რუსთა
მოსისხლე მტრები იყვნენ. ცხადია, ეს პოლიტიკური მოსაზრებით
იყო განპირობებული.

1859 წლის 15 ივლისს ჩეჩნეთის რაზმი შეტევაზე გადავი-
და. მდინარე ანდიის ყოისუს ველზე თავად დადიანის საგანგებო
კოლონამ დაზვერვითი ხასიათის სამუშაო ჩაატარა და აულ თან-
დოში შეჩერდა. მახლობელი აულების დეპუტაცია თანდოში მივიდა
და რუსეთის ჯარის მეთაურს მორჩილება გამოუცხადა.

1859 წლის 16-18 ივლისს დაღესტნის რაზმმა მდინარე ანდიის
ყოისუს მარჯვენა ნაპირზე გადავიდა და ავარიის ტერიტორიაზე
შევიდა. დაღესტნის რაზმის მეთაურმა გენერალმა ალექსანდრ
ვრანგელმა პოლკოვნიკ დავით ჭავჭავაძეს ჩეჩნეთის რაზმთან კა-
ვშირის დამყარება დაავალა. 1859 წლის 25 ივლისს პოლკოვნიკ-
მა ჭავჭავაძემ ცხენოსანთა 6 ასეულით მთელი ავარია გაიარა.
აულების მოსახლეობა რუსეთს მორჩილებას უცხადებდა. მალე
დავით ჭავჭავაძის რაზმს იბრაჰიმ ხანის მეთაურობით ავარიის ცხ-
ენოსანი მილიცია შეუერთდა. სწორედ ამ დროს შამილი ავარიის
აულ კარატში ჩავიდა, იმამისათვის ცხადი გახდა, რომ რუსების
წინააღმდეგ ბრძოლაში ავარიელები მას მხარს აღარ დაუჭერდნენ.

შამილი ავარიაში აღარ გაჩერებულა და აულ ლუნიბისაკენ გაემართა.

აულ კარატში შამილის ვაჟის, ყაზი მუჰამედის, რეზიდენცია იყო. დავით ჭავჭავაძემ აულთან მიახლოებისას შენიშნა, რომ ერთ-ერთი შენობა იწვოდა. აღმოჩნდა, რომ ყაზი მუჰამედს ბრძანება გაეცა, რომ მისი რეზიდენცია გადაენვათ. აულ კარატიდან დავით ჭავჭავაძე ანდიის მალლობებისაკენ გაემართა და ჩეჩნეთის რაზმს შეუერთდა. მალე ჩეჩნეთის რაზმს მთლიანად შეუერთდა დალესტინის რაზმიც. 1859 წლის 29 ივლისიდან დავით ჭავჭავაძე თავისი ცხენოსნებით დალესტინის რაზმში ირიცხებოდა.

აულ კარატიდან ლუნიბში გადასვლით იმამი შამილი თავისთავად აღმოჩნდა უმძიმეს მდგომარეობაში. ლუნიბში მასთან მხოლოდ 400 მიურინდი იყო. მიუხედავად ამისა, იმამი სულით არ დაცემულა, იგი დანებებაზე არ ფიქრობდა, მეტიც, მომავალი ბრძოლებისათვის ემზადებოდა. შამილი ვარაუდობდა, ლუნიბის მახლობელი აულები, ჭოხი, სოგრატლი და ტილიტლი, გაემაგრებინა, მაგრამ ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა. ჯერ კიდევ იმამის ლუნიბში ჩასვლამდე აული ჭოხი რუსებს დამორჩილდა. კიდევ უფრო მტკივნეული იყო შამილისათვის ის, რომ ნაიბი კიბიტ მუჰამედი აულ ტილიტლთან ერთად რუსებს დანებდა. კიბიტ მუჰამედს შამილი ყოველთვის გამოარჩევდა ნაიბებს შორის და მას თავის პირველ თანაშემწედ თვლიდა. მალე აულ ტილიტლს აულმა რუგუჯამ და კარატის, ჰიდატლის და ირიბის თემებმა მიბაძეს. სულ რამდენიმე დღეში შამილი ბევრმა ძველმა თანამებრძოლმა მიატოვა... იმამი ძალზე განიცდიდა იმას, რომ მთიელებმა მის მიმართ შიში დაკარგეს, კიდევ უფრო მეტად განიცდიდა იმას, რომ მას პატივის აღარ სცემდნენ. ლუნიბისაკენ მიმავალ გზაზე შამილს აულ კუიადთან წინ გადაუდგა მთიელთა შეიარაღებული რაზმი. კუიადელებმა იმამს ვერცხლის ფული და 32 ცხენი წაართვეს.

1859 წლის 29 ივლისს შამილი აულ ლუნიბში შევიდა, სადაც უკვე იმყოფებოდა მისი ვაჟი მუჰამედ შეფი. იმამის აულში შესვლა მოსახლეობამ სალუტით აღნიშნა.

იმამ შამილის დატყვევება. 1859 წლის 18 ივლისს ლეკეთის

რაზმმა გენერალ ლევან მელიქიშვილის მეთაურობით დიდოეთის ჯერ კიდევ შამილის ერთგული აულების დამორჩილების შემდეგ დალესტნისა და ჩეჩნეთის რაზმთან დაამყარა კავშირი. ამის შემდეგ უკვე შესაძლებელი გახდა, რომ გენერლებს ნიკოლაი ევდოკიმოვს, ალექსანდრ ვრანგელს და ლევან მელიქიშვილს ლუნიბზე ერთობლივი შეტევა დაეგეგმათ. ამ დროისათვის კავკასიის მეფისნაცვალმა ალექსანდრ ბარიატინსკიმ აულ თანდოში იმყოფებოდა. თანდოში სხვადასხვა აულიდან დეპუტაციები ჩადიოდა და რუსეთის ხელისუფლებას მორჩილებას უცხადებდა.

ალექსანდრ ბარიატინსკი დარწმუნებული არ იყო, რომ შამილი ნამდვილად ლუნიბში აპირებდა გამაგრებას. როცა მან იმამის ლუნიბში ჩასვლის ამბავი შეიტყო, სასწრაფოდ თავისთან გამოიძახა დალესნის რაზმის მეთაური

ალექსანდრ ვრანგელი და ლეკეთის რაზმის მეთაური ლევან მელიქიშვილი. კავკასიის მეფისნაცვალმა გენერლები შეაქო იმის გამო, რომ ახლად დაპყრობილი ტერიტორია მცველთა მცირერიცხოვანი რაზმებით გაიარეს და მას ისე ეახლნენ. ლევან მელიქიშვილმა ალექსანდრ ბარიატინსკისთან მიიყვანა შამილის სამი ნაიბი, რომელთაც მორჩილება გამოუცხადეს რუსეთის ხელისუფლებას. ბარიატინსკიმ, ვრანგელმა და მელიქიშვილმა მომავალი საბრძოლო მოქმედებების გეგმა შეიმუშავეს. 1859 წლის 6 აგვისტოს მდინარე ანდიის ყოისუს ველზე რუსებმა პრეობრაჟენსკოეს სიმაგრე დააარსეს და მასში გარნიზონიც ჩააყენეს.

1859 წლის 7 აგვისტოს ბარიატინსკისთან გამოცხადდა ელისუს ყოფილი სულთანი დანიელ ბეი (დანიელ სულთანი), რომელმაც ამჯერად შამილს უღალატა და ისევ რუსებს მიემხრო. კავკასიის მეფისნაცვალმა იმპერატორის სახელით დანიელ ბეი შეინყნარა.

1859 წლის აგვისტოს შუა რიცხვებისათვის რუსეთის ჯარმა, ქართულმა ქვეითმა და ცხენოსანმა მილიციამ და რუსეთის მხარეზე მებრძოლმა დალესტნელ ცხენოსანთა რაზმმა აული ლუნიბი ალყაში მოაქცია. ალექსანდრ ბარიატინსკიმ კარგად იცოდა, რომ რუსეთის ჯარს აულ ლუნიბისა და ლუნიბის ციხის აღება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მიურიდები ბევრ რუს ოფიცერსა და ჯა-



ლევან მელიქიძე

რისკაცს დახოცავდნენ. ამიტომ იყო, რომ კავკასიის მეფისნაცვალ-
მა შამილთან მოსალაპარაკებლად პოლკოვნიკი **ლაზარევი** გაგზავ-
ნა. შამილმა მოითხოვა, რომ მოლაპარაკებებში მოლალატი დანიელ
ბეისაც მიელო მონაწილეობა. 1859 წლის 20 აგვისტოს ალექსანდრ
ბარიატინსკიმ ულტიმატუმი წაუყენა იმამ შამილს: 1. შამილს და
მის მიუზღებებს იარაღი უნდა დაეყარათ; 2. იარაღის დაყრის შემ-
თხვევაში შამილი და მისი მებრძოლები შეწყალებული იქნებოდ-
ნენ; 3. შამილსა და მისი ოჯახის წევრებს უფლება მიეცემოდათ
მექაში გამგზავრებულიყვნენ; 4. შამილსა და მის შვილებს წერი-
ლობით უნდა დაედასტურებინათ, რომ საცხოვრებლად მუდმივად
დარჩებოდნენ მექაში. 22 აგვისტოს კავკასიის კორპუსის შტაბის
უფროსმა შამილს წერილი გაუგზავნა და ალექსანდრ ბარიატინსკის
ულტიმატუმზე პასუხის დაუყოვნებლად გაგზავნა მოსთხოვა. შამი-
ლის წარმომადგენლები **ალი ხანი** და **მუჰამედ ფერჰტენი** რუსების
ბანაკში მივიდნენ და იმამის სახელით ამაყად განაცხადეს: „ჩვენ
თქვენგან მშვიდობას არ ვითხოვთ და არასდროს არ დაგიზავდებ-
ით! ჩვენ თქვენგან უკვე ცნობილი პირობებით ვითხოვეთ გზის
მოცემა და თავისუფლად გატარება, თუ ეს პირობა შესრულდება,
ძალიან კარგი, თუ პირობა არ შესრულდება, ჩვენ ვრჩებით ალაჰის
იმედად, რომელიც ყველაზე მაღლა დგას და ყველაზე ძლიერია!
ხელი და ხმალი ბრძოლისათვის მზადაა!“

შამილისაგან ასეთი პასუხის მიღების შემდეგ ალექსანდრ ბარ-
იატინსკიმ საინჟინრო სამსახურის უფროსს გენერალ კესლერს და
გენერალ ალექსანდრ ვრანგელს უბრძანა დაუყოვნებლივ დაენყოთ
აულ ლუნიბისა და ლუნიბის ციხის გარშემო ალყის შეკერა. მაღ-
ლობი, რომელზედაც აული ლუნიბი და ლუნიბის ციხე იყო გაშენებ-
ული, მდინარე **ყარა ყოისუს** მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა და
სამი მხრიდან ციცაბო კლდეებით იყო შემოსაზღვრული. აღმოსავ-
ლეთის მხრიდან ლუნიბისაკენ მაღალ კლდეებს შორის ვიწრო გზა
მიიკლაკნებოდა. ლუნიბი დიდი აული არ იყო, არც ლუნიბის ციხე
წარმოადგენდა რაიმე საფორტიფიკაციო ნაგებობას. ლუნიბზე საი-
ერიშოდ გამზადებული ჯარები ასე იყო განლაგებული: **აღმოსავ-
ლეთის მხრიდან** პოლკოვნიკ **კანონოვიჩის** მეთაურობით იდგა შირ-

ვანის პოლკის 2 ბატალიონი 4 საველე ზარბაზნით; ჩრდილოეთის მხრიდან – გენერალ თარხან-მოურავის მეთაურობით ქართველ გრენადერთა პოლკის 1 ბატალიონი, სამურის ქვეითთა პოლკის 1 ბატალიონი, დალესტნის ცხენოსანი ჯარის 5 ასეული და დარგოს ცხენოსანი მილიციის 2 ასეული; სამხრეთის მხრიდან – პოლკოვნიკ ტერ-ბუკასოვის მეთაურობით – აფშერონის პოლკის 2 ბატალიონი, სამურის პოლკის 2 ბატალიონი და მსროლელთა 21-ე ბატალიონი; დასავლეთის მხრიდან – პოლკოვნიკ რადეცკის მეთაურობით – დალესტნის ქვეითი პოლკის 2 ბატალიონი. საერთო რეზერვში იმყოფებოდა: ერევნის ქვეითთა პოლკის 2 ბატალიონი, სევერსკის დრაგუნთა პოლკის დივიზიონი, კავკასიის მესანგრეთა 1 ბატალიონი, აკუშინსკის ცხენოსანი მილიციის 1 ასეული და 14 მსუბუქი ზარბაზანი.

1859 წლის 23 აგვისტოს გენერალმა ედუარდ კესლერმა ლუნიბს გარს შემოუარა და დაადგინა: შეტევის დაწყება უმჯობესი აღმოსავლეთის მხრიდან იქნებოდა, თუმცა აულისაკენ მიმავალი გზა ძალზე ვიწრო იყო, იგი, როგორც ბუნებრივად, ისე სახელდახელოდ აგებული ხერგილებით კარგად იყო დაცული. გარდა ამისა, გენერლის აზრით, ამ მიმართულებას მრავალრიცხოვანი რაზმი დაიცავდა. ყოველივე ამის გამო გადაწყდა, რომ აღმოსავლეთიდან შეტევა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დაენწყოთ. მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით პოლკოვნიკ კანანოვიჩს ებრძანა, დროდადრო შეტევის იმიტაცია მოეხდინა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ხერგილებთან ახლოს მისულიყო. 24 აგვისტოს ღამით შირვანის პოლკის 2 ბატალიონი შეტევაზე დაიძრა, მაგრამ მთიელთა ძლიერ ცეცხლს წააწყდა. 25 აგვისტოს, ღამით, ლუნიბიდან სამხრეთით მდგარ აფშერონის პოლკის ბანაკში საგანგებო რაზმი ჩამოყალიბდა, რომელშიც 130 მოხალისე შევიდა. რაზმს სათავეში კაპიტანი სკვორცოვი და პრაპორშჩიკი კუშნირი ჩაუდგნენ. რაზმს კიბეებისა და თოკების გამოყენებით ციცაბო კლდე უნდა დაეძლია და იმ მალლობზე ასულიყო, რომელზეც ლუნიბი იყო გამაგრებული. მოიერიშეებს წინ მიუძღოდათ კაპიტანი სკვორცოვი, იუნკერი სრესელი და პოდპორუჩიკი ტერაშვილი. მალე მათ შენიშნეს, რომ

ერთ-ერთ ტერასაზე გუშაგთა რაზმი იდგა. სრესელი და ტერაშვილი პირველი ავიდნენ მალლობზე, კიბეები დაამაგრეს და მთელი რაზმი აიყვანეს. 25 აგვისტოს, დილის 6 საათზე, აფშერონის მთელი პოლკი უკვე გუნბის მალლობზე იყო. მიურიდეები შეტევაზე გადმოვიდნენ, მაგრამ მალე უკან დაიხიეს და ლუნიბის ციხეს შეაფარეს თავი. იმავდროულად ჩრდილოეთის მხრიდან ციცაბო კლდის დაძლევის შემდეგ ლუნიბის მალლობზე შეიჭრა გენერალ იოსებ თარხან-მოურავის რაზმი. რაზმის არიერგარდში პოდპორუჩიკ მიქელაძის მეთაურობით ქართველ გრენადერთა პოლკის ასეული იბრძოდა. ცოტა მოგვიანებით ჩრდილოეთის მალლობზე აიჭრა დალესტნის ცხენოსანთა ჯარის ასეული ესაულ ჯაფარ აღას მეთაურობით და მოხალისეთა ასეული კვინიტაძის მეთაურობით. მალე საერთო შეტევა დაიწყო და გუნბის მალლობი სამხრეთიდან დაიკავა ქართველ გრენადერთა პოლკმა პოდპოლკოვნიკ გაბაშვილის მეთაურობით, რომელმაც მალე შამილის კარავს ზურგიდან შემოუარა. იმამი მიხვდა, რომ ლუნიბის ციხის დაცვას აზრი აღარ ჰქონდა და მალე აულ ლუნიბში გადავიდა, რათა დარჩენილი მიურიდეებითა და სხვა მებრძოლებით იქ გამაგრებულიყო. რუსებიც ციხიდან აულის მიმართულებით დაიძრნენ, თან თოფებიდან და ზარბაზნებით უკანდახეულ შამილის მებრძოლებს ცეცხლს უშენდნენ. მიურიდეების ნაწილი, დაახლოებით 100 მებრძოლი, ციხიდან აულისაკენ გადარბენისას ძირითად ძალებს მონყდა და აულისაკენ მიმავალ გზაზე, ტყით დაფარული ბორცვების უკან გამაგრდა. ერთხანს მიურიდეები რუსების მოგერიებას ძლიერი ცეცხლით ცდილობდნენ, შემდეგ ხმლებითა და ხანჯლებით ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდნენ და უთანასწორო ბრძოლაში დაილუპნენ.

გენერალ ედუარდ კესლერს ალექსანდრ ბარიატინსკისაგან შამილის ცოცხლად ხელში ჩაგდების ბრძანება ჰქონდა მიღებული. ამიტომ იყო, რომ მისი თხოვნით გენერლებმა აულ ლუნიბს მიახლოებული მოიერიშე პოლკები შეაჩერეს. აულზე შეტევის შეჩერების შემდეგ საბრძოლო მოქმედების რაიონში გენერალ ალექსანდრ ვრანგელის თანხლებით მივიდა ალექსანდრ ბარიატინსკი. ამ დროისათვის სროლა ორივე მხრიდან შეწყვეტილიყო. ბარიატინ-

სკიმ შამილს წინადადება მისცა დანებებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში დაინყებოდა ზარბაზნებიდან აულის დაბომბვა, რასაც, მებრძოლების გარდა, ბავშვების, ქალებისა და მოხუცების მსხვერპლიც მოჰყვებოდა. ყოველივე ეს იმამმაც კარგად უწყოდა. შამილი მძიმე მდგომარეობაში აქამდეც ბევრჯერ ყოფილა. მაგრამ ამჯერად იგი მიხვდა, რომ ალყას თავს ვეღარ დააღწევდა. იმამმა მიურიდები შეკრიბა, სურდა რამდენიმე მათგანის თვალებში მაინც ამოეკითხა ბრძოლის გაგრძელების ჟინი. მიურიდებმა თავები დახარეს, იმამს თვალი ვერ გაუსწორეს. შამილი დარწმუნებული იყო, რომ ყოველი მიურიდი მისთვის სიცოცხლეს განირაგდა, მაგრამ ეს იმამს ვეღარ იხსნიდა! მიუხედავად ამისა, შამილი დიდხანს აჭიანურებდა გადანყვეტილების მიღებას. მან თავისი ერთგული თანამებრძოლი იუნუსი რამდენჯერმე გაგზავნა ბარიატინსკისთან, რათა ულტიმატუმის პირობების შემსუბუქებისათვის მიეღწია. კავკასიის მეფისნაცვალს უკან არ იხევდა და უსიტყვო კაპიტულაციას მოითხოვდა. ამავე დროს, იგი შამილს მტკიცე პირობას აძლევდა, რომ მისი და მისი ოჯახის უსაფრთხოება და ღირსება დაცული იქნებოდა.

1859 წლის 25 აგვისტოს, შუადღისას, შამილმა ორი თავისი უერთგულესი მიურიდი, იანუსი და ჰაჯი ალი, კიდევ ერთხელ გაგზავნა ალექსანდრ ბარიატინსკისთან. შეკითხვაზე, როგორი იქნებოდა დანებების პირობები, ბარიატინსკიმ უპასუხა: არავითარი პირობები არ იქნება, შამილი უპირობოდ უნდა დაგვნებდეს, რითაც გადაარჩენს თავის თავსა და ოჯახს! იანუსი იმამთან დაბრუნდა, ჰაჯი ალი კი რუსების მხარეზე გადავიდა და იქვე დარჩა. იმამმა იანუსის პასუხი მოისმინა, მაგრამ გადანყვეტილების მიღებას კვლავ არ ჩქარობდა. მოსალამოვდა. რუსებს შამილის დანებების იმედი გადაეწურათ. გენერალმა ალექსანდრ ვრანგელმა ჯარი იერიშისათვის მოამზადა და ოფიცრებს უთხრა, რომ სულ მალე საერთო შეტევის დაწყების სიგნალს მისცემდა. შეტევის დაწყების სიგნალამდე სულ რამდენიმე წუთი რჩებოდა, რომ ლუნიბიდან იანუსი გამოვიდა და ხმამაღლა დაიძახა: – შამილი მზად არის პოლკოვნიკ ლაზარევის თანხლებით მთავარსარდალს (ალექსანდრ ბარიატინსკის – ვ.გ.) შეხვდეს. იმამი ითხოვდა ლაზარევის აულში

მისვლას. შამილის წინადადება გენერალმა ვრანგელმა მიიღო და პოლკოვნიკი ლაზარევი ლუნიბში შევიდა. რუს პოლკოვნიკს აულის ცენტრში კბილებამდე შეიარაღებული მიურიდების რაზმი შეხვდა. მიურიდების რაზმის უკან შეკაზმული ცხენი იდგა. შამილი ზურგით სახლის კედელს მიყრდნობოდა და ლაზარევს ელოდა. ლაზარევი მიურიდებს მიესალმა და, მიუხედავად იმისა, რომ შამილი პირველი დანახვისთანავე იცნო, იკითხა: რომელია თქვენ შორის შამილი? ყველამ კედელს მიყრდნობილ მალალ და წარმოსადეგი გარეგნობის მამაკაცზე მიანიშნა, ერთ-ერთმა მათგანმა წარმოთქვა: – ესაა იმამი.

პოლკოვნიკი ლაზარევი შამილს მიესალმა და მიმართა: „შამილ! მთელ ქვეყანაზეა ცნობილი შენი გმირობის ამბავი და შენი დიდება არასდროს დაიჩრდილება; თუ შენ ბედს დაემორჩილები, შეხვდები მთავარსარდალს, ჩაბარდები ხელმწიფე-იმპერატორს, დალუპვისაგან იხსნი შენს ერთგულ ათასობით ადამიანს, დაასრულე შენი დიდებული გამარჯვებები გონიერი გადანყვეტილებითა და დიდსულოვნებით! სარდალს (ალექსანდრ ბარიატინსკის -ვ.გ.) შეუძლია შენთვის ბევრი რამ გააკეთოს, ის შუამდგომლობას გაგინევს იმპერატორთან, რათა შენი და შენი ოჯახის მომავალი უზრუნველყოფილი იყოს“. საუბრის დასასრულს ლაზარევმა მტკიცედ წარმოთქვა: ნავიდეთ, რალას ვუცდით! იმამი კიდევ ყოყმანობდა. ბოლოს შამილმა ლაზარევს მიმართა: – მე თვითონ ნავალ, შენ კი ჩემს შვილებთან დარჩი, სანამ მე დავბრუნდებოდე. იმამს ეშინოდა, რუსებს მისი ცოლ-შვილი არ ამოენწყვიტათ. ლაზარევი ამას მიხვდა და ცოტათი გაბრაზებულმა განუცხადა: „მე შენთან მძევლად არ გამოვუგზავნივარ. თუ გსურს, ნავიდეთ ახლავე, თუ არადა, მე უკან ვბრუნდები!“ მიურიდებმა ვითარების დაძაბვა შეამჩნიეს და იმამს ურჩიეს, ყური არ ეგდო ლაზარევის დაპირებისათვის. ცოტა ხნის შემდეგ შამილმა რუს პოლკოვნიკს ჰკითხა: „მე რომ მთავარსარდალთან ნავიდე, ჩემს ოჯახთან დაბრუნების უფლებას მომცემენ?“ ლაზარევმა უპასუხა, რომ არავინ იყო დაინტერესებული იმამის ოჯახიდან მოშორებაში და, ალბათ, აულში დაბრუნების ნებას მიიღებდა.



Генералъ-адъютантъ
князь Іосифъ Давыдовичъ
ТАРХАНЪ-МОУРАВОВЪ.

Съ фотографіи.

Собственность
кн. П. Л. Меликова.

იმამ შამილის ცხოვრებაში გადამწყვეტი ნუთი დადგა: რიცხვით მცირე ერის შვილმა, რომელიც 25 წელი, 11 თვე და 7 დღე ებრძოდა უზარმაზარ იმპერიას, დანებება გადანყვიტა!

1859 წლის 25 აგვისტოს იმამი შამილი 60 შეიარაღებული მიურიდის თანხლებით აულ ლუნიბიდან გამოვიდა და ალექსანდრ ბარიატინსკის ბანაკისაკენ გაემართა. მოულოდნელად რამდენიმე ათასმა ჯარისკაცმა ერთად იგრიალა „ურა!“, რომლის ექო დაღესტნის მთებში გაისმა. შამილი შეშფოთდა, შეტრიალდა და აულში დაბრუნებას აპირებდა. პოლკოვნიკმა ლაზარევმა ხმამაღლა დაუძახა იმამს: ნუთუ ვერ ხვდები, რომ მთავარსარდლის ბრძანებით ჯარი შენ გესალმება! ძნელი სათქმელია, დაიჯერა თუ არა შამილმა ეს ტყუილი, მაგრამ მაინც მობრუნდა და რუსების ბანაკისაკენ გააგრძელა გზა. შამილს მოლალატე დანიელ ბეი (დანიელ სულთანნი) შეხვდა და იმამს ურჩია, თავდაჭერილი ყოფილიყო გენერალ ალექსანდრ ვრანგელთან და კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკისთან შეხვედრისას. ამ სიტყვებთან ერთად დანიელ ბეიმ ხელი გაუწოდა შამილს, იმამმა ხელი არ ჩამოართვა, მაგრამ უთხრა: მოლალატის დანახვაც კი საზიზღრობაა! ამის შემდეგ იმამმა გენერალ ვრანგელს თავი დაუკრა. გენერალი თბილად შეხვდა შამილს და ასე მიმართა: – დღემდე რუსები შენი მტრები იყვნენ, ამიერიდან რუსებში ბევრ საუკეთესო მეგობარს იპოვი! პოლკოვნიკმა ლაზარევმა თავისი ადიუტანტი პრაპორშჩიკი უზბაშევი ბარიატინსკის ბანაკში გაგზავნა და აცნობა, რომ მალე მასთან შამილი მივიდოდა. იმავდროულად ლაზარევმა შამილს უთხრა, რომ 60 კბილებამდე შეიარაღებული მიურიდით კავკასიის მეფისნაცვალთან გამოცხადება უხერხული იქნებოდა. ამ სიტყვებმა შამილი შეაშფოთა: იმამმა გაიფიქრა, რომ როგორც კი მიურიდებს ჩამოაცილებდნენ, მაშინვე მოკლავდნენ! ჯერ-ჯერობით სამოცივე მიურიდი მასთან რჩებოდა. ბარიატინსკის ბანაკიდან დაბრუნებულმა უზბაშევმა ლაზარევს გენერალ ნიკოლაი ევდოკიმოვის ბრძანება გადასცა, რომელიც პოლკოვნიკს შამილისა და მისი დაცვის განიარაღებას ავალებდა. პოლკოვნიკი ლაზარევი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან მან კარგად იცოდა, რომ კავკასიის მთიელებში

განიარალება დამცირებასა და შეურაცხყოფას ნიშნავდა. ამიტომ იყო, რომ ლაზარევმა გენერალ ევდოკიმოვს აცნობა, კავკასიის მეფისნაცვალს იმამ შამილს შეიარაღებულს წარუდგენდა. გენერალმა ვრანგელმა შამილს მღელვბარება შეატყყო და მის დამშვიდებას შეეცადა: „მე დარწმუნებული ვარ, მთავარსარდალი კარგად მიგიღებთ!“ შამილმა, ისე რომ ხმაში ბზარი არ შეჰპარვია, გენერალს უპასუხა: „მე მაგას მაშინ ვიტყვი, როცა აულში დავბრუნდები!“

კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკი აულ ლუნიბიდან 1,5 ვერსის მოშორებით იმყოფებოდა. მეფისნაცვალს თან ახლდნენ: გენერალი ნიკოლაი ევდოკიმოვი, ადიუტანტი პოლკოვნიკი ტრამპოვსკი და თარჯიმანი. ცოტა მოშორებით იმყოფებოდა ბარიატინსკის მთელი ამალა. შამილი მეფისნაცვალს მიუახლოვდა და მისგან 5-6 ნაბიჯის მოშორებით შეჩერდა. იმამს მწვანე ახალოხი მოუჩანდა, ხოლო თავზე თეთრი ჩაღმა ეხურა. შამილი გაფითრებული ჩანდა, მაგრამ მშვიდად და ყურადღებით ათვალიერებდა გარშემო. იქ მყოფთ ჩათვალეს, რომ ადამიანი, რომელმაც მრავალგზის ჩახედა სიკვდილს თვალებში, შეშინდა! ცოტა მოგვიანებით, როცა შამილმა ბარიატინსკის მიმართა, ყველა დარწმუნდა, რომ შეცდნენ. იმამი საუბრობდა მტკიცე ხმით, თავდაჯერებულად.

ალექსანდრ ბარიატინსკიმ შამილს ასე მიმართა: „შამილ! მე შენ შემოგთავაზე, მოსულიყავი ჩემთან ბანაკში კეპერის მალლობზე, გთავაზობდი ხელსაყრელ პირობებს. შენ არ მიიღე ჩემი წინადადება, ამიტომ მე თვითონ მოვედი აქ. რა თქმა უნდა, ძველი წინადადება ძალაში ველარ დარჩება, ხოლო შენს ბედს გადანყვეტს ხელმწიფე იმპერატორი. მე იმედი მაქვს, რომ მისი უდიდებულესობა შენ შესახებ ჩემს შუამდგომლობას პატივს სცემს.“ შამილმა, ისე, რომ მის ხმაში შიშის ნატამალიც არ იგრძნობოდა, კავკასიის მეფისნაცვალს უპასუხა: „სარდალო, მე არ გავითვალისწინე თქვენი რჩევები, მაპატიე და ნუ განმსჯი. მე უბრალო უზღენი ვარ, ოცდაათი წელი რელიგიას ვიცავდი, მაგრამ ამჯერად ჩემმა ხალხებმა მილალატეს, ჩემი მეზობლები გაიფანტნენ. მეც დავილაღე, უკვე სამოცდასამი წლისა ვარ. ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემ შავ წვერს, მე გაჭაღარავებული ვარ. გილოცავთ დალესტანზე მფლობელობის

დამყარებას და სულითადა გულით მსურს მთიელების მართვაში, მათივე სიკეთისათვის, ხელმწიფემ წარმატებას მიაღწიოს." ალექსანდრ ბარიატინსკი კმაყოფილი დარჩა შამილის სიტყვებით და იმამს განუცხადა, რომ სულ მალე მას იმპერატორთან გაამგზავრებდა. შემდეგ ბარიატინსკიმ შამილს პოლკოვნიკ ტრამპოვიკიზე მიანიშნა და ისევ იმამს მიმართა: „ახლა შენ, როგორც სამხედრო ტყვე, მასთან ერთად ბანაკში წახვალ, ხოლო პოლკოვნიკი ლაზარევი ბანაკში შენს ოჯახს მოიყვანს.“

იმამი შამილი დიდად დამწუხრდა იმის გამო, რომ ლუნიბში ველარ დაბრუნდებოდა, ფერდაკარგულმა ლაზარევს მიმართა: „ესე იგი, მე შენ მომატყუე!“ შეიქმნა ძალზე მძიმე ვითარება, რომლის განმუხტვა ლაზარევმა შემდეგი სიტყვებით სცადა: „დანყნარდი, გაიხსენე, რომ იქ მე გესაუბრებოდი, აქ კი ბრძანებას მთავარსარდალი იძლევა. შეასრულე მისი ბრძანება და არ ინანებ.“ შამილი ცოტა ხნით იმ ლოდზე ჩამოჯდა, რომელზეც მანამ ალექსანდრ ბარიატინსკი იჯდა, შემდეგ წამოდგა, ცხენზე ამხედრდა და კავკასიის მეფისნაცვლის ბანაკისაკენ გაემართა. ერთი მხრიდან მას გვერდში ედგა გენერალი ნიკოლაი ევდოკიმოვი, მეორე მხრიდან – პოლკოვნიკი ტრამპოვსკი. გზა ტყეზე გადიოდა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ შამილმა შეჩერება და ლოცვის უფლება მოითხოვა. ეს არ იყო ჩვეულებრივი ლოცვა, ლოცულობდა ადამიანი, რომელიც ეთხოვებოდა სამშობლოსა და, მაშასადამე, სიცოცხლეს!

შამილის კავკასიის მეფისნაცვლის ბანაკში გამგზავრების შემდეგ პოლკოვნიკი ლაზარევი შამილის მცველი მიურიდების რაზმთან მივიდა. მიურიდები აღელვებულები ჩანდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ იმამი რუსებმა მოკლეს. ცოტაც და ისინი ლაზარევს დაგლეჯდნენ. პოლკოვნიკმა დაასწრო და მიურიდები დაამშვიდა: „შამილი მთავარსარდალთან საუბრობს, მე კი მისი ოჯახის მოსაყვანად მივდივარ, თქვენც ჩემთან ერთად წამოდით, თორემ ჯარისკაცები თქვენ ცოლებს მოიტაცებენ.“ მიურიდები ლაზარევს ლუნიბში გაჰყვნენ. ლაზარევი იმ სახლს მიადგა, სადაც შამილი ცხოვრობდა. პირველი მას იმამის ვაჟი ყაზი მუჰამედი მიეგება, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ შამილი რუსებმა მოკლეს. ყაზი



შამილის შეხვედრა ალექსანდრ ბარიატინსკისთან (1859 წლის 25 აგვისტო).
ა.დ. კოპენკოს ნახატი (1880 წ.)

მუჰამედი ცას ენია სიხარულით, როცა გაიგო, რომ მამა ცოცხალი იყო. პოლკონიკმა ლაზარევმა შამილის მიუხრდებლად დაღესტნისა და ჩეჩნეთის აულებში ცხოვრების უფლების დამადასტურებელი ბილეთები მისცა და თანაც გააფრთხილა, პირველი მოთხოვნისთანავე ხელისუფლების წარმომადგენლებთან უნდა გამოცხადებულიყვნენ. ამის შემდეგ შამილის ოჯახის ყველა წევრი ლაზარევმა ბანაკში წაიყვანა.

1859 წლის 26 აგვისტოს, დილით, კავკასიის მეფისნაცვლის, ალექსანდრე ბარიატინკის ბრძანების თანახმად შამილის დატყვევების აღსანიშნავად რუსეთის ჯარების ალღუმი გაიმართა. ალღუმის დამთავრების შემდეგ ალექსანდ ბარიატინსკიმ შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა: „ლუნიბი ალებულია. შამილი დატყვევებულია და გამოგზავნილია პეტერბურგში.“

შამილისა და მისი ოჯახის პეტერბურგში გამგზავრებისას მოხდა ინციდენტი: იმამის მოლაღატე დანიელ ბეის (დანიელ სულთანს) არ სურდა პეტერბურგში გაეშვა თავისი ქალიშვილი, შამილის ვაჟის, ყაზი მუჰამედის, მეუღლე კარემათი. როცა კარემათი მამასთან გამოსათხოვებლად მივიდა, მოულოდნელად თარჯიმანმა გამოაცხადა, რომ კარემათს არ სურს პეტერბურგში გაჰყვეს ქმარსო. შამილი აღშფოთდა და დანიელ ბეის მოკვლა დაუპირა. საქმეში პოლკოვნიკი ტრამპოვსკი ჩაერია და გამოაცხადა: კავკასიის მეფისნაცვალს სურს, რომ შამილის ვაჟს, ყაზი მუჰამედს, ყველა ცოლი გაჰყვეს პეტერბურგში. მოისმინა თუ არა ტრამპოვსკის სიტყვები, აღშფოთებულმა დანიელ ბეიმ წამოიძახა, მე ძალიან მიყვარს მთავარსარდალი, მაგრამ შამილის შვილს ჩემს ქალიშვილს ვერ გავატანო. როგორც იქნა, ტრამპოვსკიმ დანიელ ბეი დაამშვიდა და კარემათი მეუღლეს გაჰყვა პეტერბურგში.

1859 წლის 26 აგვისტოს შამილი სამუდამოდ გამოემშვიდობა სამშობლოს და აულ ლუნიბთან მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ბანაკიდან პეტერბურგისაკენ გაემგზავრა. შამილისთვის ძნელი იყო სამშობლოს დატოვება, მაგრამ ღრმადმორწმუნე მუსლიმს შეეძაბა ჰგვრიდა ის, რომ წმინდა ქალაქ მექას ხილვა ეღირსებოდა.

თავი VI. ლუნიზიდან მადონამდე (1859–1871)

საპატიო სამხედრო ტყვე შამილი, იმპერატორის ნების თანახმად, სასწრაფოდ უნდა გაეგზავნათ პეტერბურგში. მგზავრობა აულ ლუნიზიდან პეტერბურგამდე ერთ თვეს გაგრძელდა.

1. **ლუნიზიდან ხარკოვამდე.** დატყვევებიდან მეორე დღეს, 1859 წლის 26 აგვისტოს, შამილი აულ ლუნიზის ახლოს მდებარე კავკასიის მეფისნაცვლის ბანაკიდან პოლკოვნიკ ტრამპოვსკის თანხლებით პეტერბურგისაკენ მიმავალ შორეულ გზას დაადგა. შამილს ძლიერი დაცვა აცილებდა: დრაგუნთა 2 ესკადრონი, ქვეითთა 1 ბატალიონი, დაღესტნის ქვეითთა პოლკის 2 ასეული. ათასობით მთიელი ხვდებოდა შამილს გზად, ისინი ცდილობდნენ, იმამის სამოსელს თუ ვერ ემთხეოდნენ, ხელით მაინც შეხებოდნენ. სანამ თემირ-ხან-შურამდე მივიდოდნენ, შამილი მოულოდნელად ავად გახდა. მიურიდებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ იმამი მოწამლეს. თემირ-ხან-შურში ექიმმა წამალი მისცა და შამილიც მალე გამომჯობინდა. შამილს რაიმე შინაგანი სნეულება არ აწუხებდა, მისი ავადმყოფობა უფრო ნერვიული შოკით იყო გამოწვეული. შამილი თემირ-ხან-შურში 1859 წლის 29 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე დარჩა. ტრამპოვსკიმ მიურიდებს ახალი სამოსი უყიდა, სხვადასხვა საჩუქარი მიართვეს შამილის ცოლებსაც. ეს გულუხვობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ იმით, რომ თემირ-ხან-შურში შამილი ოჯახს უნდა გამომშვიდობებოდა და გზა პეტერბურგისაკენ თავის ვაჟ ყაზი მუჰამედთან ერთად გაეგრძელებინა. შამილი ამას ძალზე განიცდიდა და ტრამპოვსკი ცდილობდა, როგორმე შეემსუბუქებინა მისთვის მდგომარეობა.

თემირ-ხან-შურიდან შამილი 1859 წლის 3 სექტემბერს გაემგზავრა. ამჯერად იგი ცხენით აღარ მგზავრობდა, გენერალმა ალექსანდრ ვრანგელმა მას თავისი ტარანტასი დაუთმო. ჩეჩნეთის ტერიტორიის გავლისას შამილს სტანიცა ჩერვლენნაიაში ულამაზესი კაზაკი ქალები მიეგებნენ. ჩერვლენნაიაში შამილი ტარანტასიდან ალექსანდრ ბარიატინსკის ნაჩუქარ ეტლში გადასვეს და ასე გააგრძელა მან გზა. გირ-იურტში შამილი დრაგუნთა პოლკის მეთაურს, გრაფ ნოსტიცს, წარუდგინეს. აქ შამილს გადაუღეს



ალექსანდრ II (1855-1881) ალექსანდრ II (1855-1881)

პირველი ფოტო. გირ-იურტში შამილი ყაბარდოს პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ კლინგერის სახლში ცხოვრობდა.

1859 წლის 5 სექტემბერს შამილი გირ-იურთიდან მოზდოკში გაემგზავრა, გაიარა გეორგიევსკი, ეკატერინოლარი და 7 სექტემბერს სტავროპოლში ჩავიდა. სტავროპოლში შამილს საგანგებო შეხვედრა მოუწევს. ეს იყო პირველი ქალაქი, რომელიც იმამმა იხილა. ქალაქმა შამილზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა ცდილობდა ეს არ შეემჩნია. სამაგიეროდ, ყაზი მუჰამედმა გულუბრყვილოდ იკითხა: "ნუთუ სტავროპოლი პეტერბურგზე უკეთესია?!" 8 სექტემბერს სტავროპოლში შამილმა მასთან შეხვედრის მსურველები მიიღო. ნაშუადღევს 5 საათზე შამილი სახლიდან გამოვიდა და ქალაქში გაისეირნა. მისი ხილვის მსურველები ქალაქის ქუჩებში თან დაჰყვებოდნენ იმამს. სალამოს სტავროპოლის თეატრში შამილის პატივსაცემად სპექტაკლი აჩვენეს. შამილს ყველაფერი უკვირდა, მაგრამ ამჯერადაც არ იმჩნევდა, გულიანად ხარხარებდა მხოლოდ ყაზი მუჰამედი.

2. შეხვედრა იმპერატორ ალექსანდრე II-თან. 1859 წლის 9 სექტემბერს შამილი სტავროპოლიდან გავიდა, მას ჯერ კიდევ ეჭვი ეპარებოდა, ვაითუ, პეტერბურგში არ მიჰყავდათ, ფიქრობდა, რომ ციმბირში გადაასახლებდნენ. სანამ ეტლი ჩრდილოეთისაკენ (ე.ი.პეტერბურგის მიმართულებით) მიდიოდა, შამილი მშვიდად იყო, როცა გზა აღმოსავლეთით (ე.ი. ციმბირის მიმართულებით) გრძელდებოდა, მას შფოთვა ემატებოდა. სტავროპოლიდან დიდი სიჩქარით, დღე და ღამე, მიდიოდნენ, 13 სექტემბერს უკვე ხარკოვს მიაღწიეს. 14 სექტემბერს ხარკოვში პოლკოვნიკ ტრამპოვსკის ბრძანება გადასცეს, რომ შამილი ხარკოვიდან 36 ვერსის მანძილზე მდებარე დაბა ჩუგუევში უნდა ჩაეყვანა, სადაც იგი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ს უნდა შეხვედროდა. 1859 წლის 14 სექტემბერს შამილი ხარკოვიდან ჩუგუევსკენ გაემართა. გზაში ტრამპოვსკის აცნობეს, რომ იმპერატორი ჩუგუევში მხოლოდ 15 სექტემბერს ჩავიდოდა.

1859 წლის 15 სექტემბერს შამილი ალექსანდრე II-ს წარუდგინეს. იმპერატორმა სამხედრო ტყვეს ასე მიმართა: „მე ძალზე მოხარუ-

ლი ვარ, რომ თქვენ, ბოლოს და ბოლოს, რუსეთში იმყოფებით. ვნუხვარ, რომ ეს ადრე არ მოხდა! მონანიება საჭირო არ არის. მე დაგაბინავებთ და ჩვენ მეგობრები გავხდებით!" – დაასრულა თუ არა სიტყვა, იმპერატორი შამილს გადაეხვია და გადაკოცნა. ასეთ მიღებას შამილი ნამდვილად არ ელოდა. იმ წუთიდან ალბათ იგი დარწმუნდა, რომ არც პირადად მას და არც მის ოჯახს საფრთხე არ ელოდა. მიღების შემდეგ იმპერატორმა შამილი ჯარების დათვალიერებაზე მიიწვია. ცხენზე ამხედრებული შამილი უკან მიჰყვებოდა იმპერატორს.

3. ხარკოვიდან პეტერბურგამდე. 1859 წლის 16 სექტემბერს ალექსანდრ II ჩუგუევიდან ხარკოვში გაემგზავრა. იმპერატორს გაჰყვა შამილიც. სალამოს ხარკოვის თავად-აზნაურთა საკრებულოში იმპერატორის პატივისცემად ბალი გაიმართა. აქ შამილმა პირველად იხილა საკარნავალო ტანსაცმლით მოსილი ულამაზესი რუსი ქალები. როცა მათ შამილს ახლოს ჩაუარეს, ამ უკანასკნელმა რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა და ლოცვა წარმოთქვა. ვილაცამ შამილს ჰკითხა, თუ მოსწონდა ეს ქალები, რაზეც პასუხად მიიღო: „ყველა არა... ახალგაზრდები.“ შემდეგ შამილს ჰკითხეს, აძლევდა თუ არა სჯულის კანონი მას ასეთ საზოგადოებაში ყოფნის უფლებას. პასუხი მოულოდნელი იყო: „მე თვითონა ვარ რჯულის კანონი და უფლება მაქვს!“ მრავალ კითხვას შორის იყო ასეთიც: „რატომ იყო, რომ ასე ჯიუტად არ ნებდებოდით, ხომ ხედავთ, აქ რა კარგია!“ შამილმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა: „ღიახ, მე ვნანობ, რომ არ ვიცნობდი რუსეთს და ადრე რუსეთთან მეგობრობას არ ვექებდი! ახლა სავსებით მინდობილი მივდივარ რუსეთის სიღრმეში, მოსკოვისა და პეტერბურგისაკენ.“ რუსმა ქალებმა შამილს ჰკითხეს, მოსწონდა თუ არა ის, რასაც იქ ხედავდა. პასუხი ამჯერად გულწრფელი იყო: „თქვენ სამოთხეში ვერ მოხვდებით!“

1859 წლის 19 სექტემბერს შამილი კურსკში ჩავიდა. მას თან ახლდნენ პოლკოვნიკი ტრამპოვსკი, ყაზი მუჰამედი და ორი მიურიდი. აულ ლუნიბიდან დანყებულ შამილს საზოგადოების ყურადღება არ მოჰკლებია. დიდი იყო მისი პიროვნებისადმი ინტერესი სტავროპოლსა და ხარკოვში, მაგრამ ყოველგვარ მოლოდინს

გადააჭარბა ხარკოვიდან კურსკისაკენ მიმავალ გზაზე მისი ხილვის მსურველთა რაოდენობამ. კურსკში ჩასული შამილი სამხედრო გუბერნატორმა ნიკოლაი ბიბიკოვმა მიიღო. საპატიო სამხედრო ტყვემ სამხედრო გუბერნატორს უთხრა: „მე ძალზე გაკვირვებული ვარ რუსეთში შეხვედრებით. სტავროპოლიდან დაწყებული მოვიხიბლე ქალაქების სილამაზითა და სახლების კეთილმონყობით. მეგონა, ამაზე უკეთესს ვერსად და ვერასოდეს ვნახავდი, მაგრამ ხარკოვისა და კურსკის ნახვის შემდეგ ჩემი შეხედულება მთლიანად შეიცვალა, წარმომიდგენია, რალა მელის მოსკოვსა და პეტერბურგში.“ სამხედრო გუბერნატორთან გამომშვიდობებისას შამილმა მას ასე მიმართა: „მე სამხედრო ტყვე ვარ და უფლებაც კი არ მქონდა, ყველგან ასეთი თბილი შეხვედრის მოლოდინი მქონოდა.“ ნიკოლაი ბიბიკოვმა შამილს უპასუხა: რუსები ბოროტებას ადვილად იფიქსებენ, ეჭვიც არ მეპარება, რომ თქვენ მომავალშიც ასეთივე ყურადღებით შეგხვდებიან!“ კურსკში შამილს რუსი ოფიცერი შეხვდა, რომელსაც კავკასიის არმიის მუნდირი ეცვა. შამილი ოფიცერს მიუხალოვდა და მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

შამილი: – რას უნდა ნიშნავდეს თქვენი ჩერქეზული ჩაცმულობა?

ოფიცერი: – მე კავკასიაში ვმსახურობდი.

შამილი: – დიდი ხანია, რაც იქიდან დაბრუნდით?

ოფიცერი: – უკვე თვრამეტი წელია.

შამილი: – ჩვენებური ყოფილხართ, ძალიან მესიამოვნა თქვენი ნახვა!

კურსკში შამილი იტალიურ ოპერაში წაიყვანეს, სადა „ტრავიატას“ და „სევილიელი დალაქის“ რამდენი აქტი წარმოადგინეს. შამილი იმდენად მოხიბლა მომღერალთა საშემსრულებლო ოსტატობამ, რომ თვალზე ცრემლი მოადგა, რაც, ცხადია, არ შეიმჩნია. ყაზი მოლა და ორივე მიურიდი, ელეონორას პარტიას რომ უსმენდნენ, ტიროდა.

1859 წლის 20 სექტემბერს შამილი კურსკიდან ტულაში გაემგზავრა. აქ მან იარაღის ქარხანა დაათვალიერა და ნანახით აღტაცებული დარჩა. შამილი მიხვდა, რომ სწორედ ამ ქარხანის შესახებ

უყვებოდა მას მისი შვილი ჯემალ ედ დინი. საერთოდ, მთელი გზის მანძილზე შამილი ხშირად ახსენებდა ჯემალ ედ დინს, მამას შვილი ძლიერ ენატრებოდა. 22 სექტემბერს შამილი ტულადან მოსკოვში ჩავიდა და მეორე დღესვე იგი იმ ადამიანს წარუდგინეს, რომელმაც ჩეჩნეთისა და დაღესტნის დაპყრობა, ანუ კავკასიის დიდი ომები, დაიწყო. ეს იყო კავკასიის ყოფილი მთავარსარდალი გენერალი ალექსეი ერმოლოვი. სამწუხაროდ, ამ შეხვედრის შესახებ რაიმე სახის მასალა არ შემორჩენილა.

4. პეტერბურგში. 1859 წლის 26 სექტემბერს შამილი პეტერბურგში ჩავიდა. იგი ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში დააბინავეს. სასტუმროს წინ ყოველდღე უამრავი ხალხი იყრიდა თავს, უამრავი ადამიანი ახლდა მას თან ქალაქის დათვალიერებისას. პეტერბურგელებს ძალზე მოსწონდათ შამილის დინჯი და განონასწორებული საუბარი. ერთხელ მას ჰკითხეს, თუ რა მოენონა რუსეთში ყველაზე მეტად, რაზეც მან ასე უპასუხა: „ხელმწიფე იმპერატორის აღერსიანი მიღება!“ შამილს ასეთი უხერხული კითხვაც დაუსვეს, თუ რატომ არ დანებდა თავიდანვე და რატომ გააგრძელა ბრძოლა ამდენ ხანს. ამ კითხვასაც სამხედრო ტყვემ ღირსეულად უპასუხა: „მე ხალხისათვის ფიცი მქონდა მიცემული. რას იტყოდნენ, რომ მე ფიცი დამერღვია? მე ჩემი გავაკეთე, ჩემი სინდისი სუფთაა. მთელი კავკასია, რუსები და ევროპის ხალხები სამართლიანად განსჯიან, როცა იტყვიან, რომ მე დავნებდი მხოლოდ მაშინ, როდესაც მთიელებს საკვებად მხოლოდ ბალახი დარჩათ.“

შამილის გამცილებელი პოლკოვნიკი ტრამპოვსკი ხარკოვში პოლკოვნიკმა ბოგუსლავსკიმ შეცვალა, კალუგაში ბოგუსლავსკი კაპიტან რუნოვსკის უნდა ჩაენაცვლებინა.

5. კალუგაში. 1859 წლის 10 ოქტომბერს შამილი ყაზი მუჰამედსა და პოლკოვნიკ ბოგუსლავსკისთან ერთად კალუგაში ჩავიდა. კალუგა შამილის მუდმივ საცხოვრებლად იყო შერჩეული. აქედან ყაზი მუჰამედი თემირ-ხან-შურში გაემგზავრა, რათა შამილის ოჯახი ჩამოეყვანა. კალუგაში შამილი თავდაპირველად სასტუმროში ცხოვრობდა, რადგან მისთვის გამოყოფილი სუხოტინის სახლი

ჯერ მზად არ იყო სტუმრის მისაღებად. 31 ოქტომბერს კაპიტანი რუნოვსკი კალუგაში ჩავიდა და შამილს ნარუდგა (1862 წლის 1 აპრილს კაპიტანი რუნოვსკი პოლკოვნიკმა პრუფცლავსკიმ შეცვალა, რომელიც შამილთან ოთხი წელი დარჩა). შამილმა მღელვარება ვერ დამალა ბოგუსლავსკისთან გამოთხოვებისას, რომელთანაც ახლო და თბილი ურთიერთობა ჰქონდა. ერთხელ ბოგუსლავსკიმ შამილს ჰკითხა: „თქვენი ცოლი შუანეთა რომ გაქრისტიანდეს, დაიტოვებდით ცოლად?“ შამილმა დაუფიქრებლად უპასუხა: „დაეიტოვებდი!“ ბოგუსლავსკი ალბათ ასეთ პასუხს არ ელოდა, ამიტომ მორიგი კითხვა დაუსვა: „დარჩებოდა შუანეთა თქვენთან თავისი ნებით?“ არც შამილი ელოდა ასეთ კითხვას, ამიტომ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უპასუხა: „დარჩებოდა!“

კალუგაში შამილს მთარგმნელებად მიუჩინეს ისაკ გრამოვი და ჰაჯი. აქ შამილს დიდი პატივით ეპყრობოდნენ, მაგრამ იგი თემირ-ხან-შურიდან ოჯახის ჩამოსვლის მოლოდინში შფოთავდა. 1859 წლის 5 იანვარს შამილს მარცხენა წარბი აუცახცახდა, რაც იმის ნიშნად ჩათვალა, რომ მალე მისი ოჯახი კალუგაში ჩავიდოდა. მართლაც, 5 იანვარს კალუგაში ჩავიდა შამილის ვაჟი მუჰამედ შაფი და მამას ამცნო, რომ ოჯახი მალე ჩავიდოდა მასთან. მუჰამედ შაფიმ დაინახა, რომ მამა ძალზე ალეღდა, მიუახლოვდა, ხელზე ემთხვია, თვალი ვერ გაუსწორა და განზე გადგა. შამილმა შეიღს ოჯახის წევრების ჯანმრთელობის შესახებ ჰკითხა. ლოდინი დასრულდა, სახლს რამდენიმე ეკიპაჟი მიადგა. პირველად სახლში ქალები შევიდნენ, შემდეგ – მამაკაცები. ქალები მეორე სართულზე დაბინავდნენ, კაცებმა იმ ოთახში მოიყარეს თავი, რომელშიც შამილი სტუმრებს იღებდა. ყაზი მუჰამედი და ოჯახის ყველა სხვა წევრი შამილს ხელზე ემთხვია. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ შამილმა ლოცვა დაიწყო. ლოცვის შემდეგ მასთან ქალები და ქალიშვილები შევიდნენ: ცოლები და გათხოვილი ქალიშვილები ჩადრით, გასათხოვრები – უჩადროდ. 5 იანვრისათვის კალუგაში შამილის ოჯახის 22 წევრი იმყოფებოდა. 1861 წლის 22 ივლისს შამილი ყაზი მუჰამედსა და კაპიტან რუნოვსკისთან ერთად პეტერბურგში გაემგზავრა. შამილს უნდოდა პეტერბურგში მყოფ

კავკასიის მეფისნაცვალ ალექსანდრ ბარიატინსკის შეხვედროდა, რათა ამ უკანასკნელს იმპერატორთან წარედგინა. სამხედრო ტყვე იმპერატორისაგან მისი და მისი ოჯახის მუსლიმთა წმინდა ქალაქ მექაში გაშვებას ითხოვდა. იმპერატორმა შამილი კვლავ თბილად მიიღო და დაჰპირდა, რომ მექაში მისი გამგზავრების ამბავი სამომავლოდ დადებითად გადაწყდებოდა.

6. შამილის ოჯახი. შამილს 8 ცოლი ჰყავდა: ჰორია, ფატიმათ I, ჯავგარადი, ზაიდათი, შუანეთა, ფატიმათ II, ამინათი, ზაინაბი. პირველი ცოლის გარდა, იმამს ყველასთან შვილები ჰყავდა, სამი ვაჟი და ექვსი ქალიშვილი: ჯემალ-ედ-დინი, ყაზი მუჰამედი, მუჰამედ შაფი, ნაფისათი, ფატიმათი, ნაჯავათი, ბაჰუ მესედუ, სოფიათი, მაჰაზათი.

1866 წლის 26 აგვისტოს შამილმა და მისმა ვაჟებმა ყაზი მუჰამედმა და შაფი მუჰამედმა კალუგის სათავადაზნაურო საკრებულოს დარბაზში რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცეს.

7. წმინდა მიწაზე. ალექსანდრ ბარიატინსკის შუამდგომლობის საფუძველზე იმპერატორმა შამილს ოჯახთან ერთად კიევში საცხოვრებლად გადასვლის ნება მისცა, სადაც იგი თითქმის ნახევარი წელი ცხოვრობდა. ალექსანდრ II-მ დანაპირები შეასრულა და 1870 წლის დამდეგს შამილმა მექაში გამგზავრების ნებართვა მიიღო. მამა ოდესამდე ყაზი მუჰამედმა გააცილა, რომელიც მოგვიანებით შეუერთდა თავისიანებს. რუსეთის ხელისუფლების გადანყვეტილებით, შამილს მექაში გამცილებლად რუსი ოფიცერი არ გაჰყოლია. მექისაკენ მიმავალ გზაზე შამილი მედინაში შეჩერდა. დაღესტნისა და ჩეჩნეთის იმამმა ყველა მუსლიმისათვის სანატრელი სურვილი აისრულა, მუჰამედის საფლავი მოილოცა. შამილი ოჯახის წევრების გარემოცვაში 1871 წლის 4 თებერვალს გარდაიცვალა მედინაში. დაკრძალულია იქვე. მამის გარდაცვალების შემდეგ ყაზი მუჰამედი და მუჰამედ შაფი მუდმივად ცხოვრობდნენ მექაში.



შამილი შვილებთან ერთად ტყეობაში



შამილი ბიუსტი თურქეთში ქ. იალოვაში

იმამი შამილი 24 წელი, 11 თვე და 7 დღე ებრძოდა რუსეთის უზარმაზარ იმპერიას. დალესტნისა და ჩეჩნეთის მოსახლეობა რუსეთის არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა და ჯარისკაცთა რაოდენობასთან შედარებით მცირე იყო. როგორი ვაჟკაცობა, თავისუფლებისმოყვარეობა და შეუპოვრობა ამოდრავებდათ ჩეჩნებსა და დალესტნელებს, რომ თავიანთი სათაყვანებელი იმამის მხარდამხარ რუსეთის წინააღმდეგ ომი მეოთხედი საუკუნე გაერძელებინათ. შამილი დამარცხდა, თუმცა დაღვრილ სისხლს ამოდ არ ჩაუვლია: ჩრდილო კავკასია რომ რუსეთის განუყოფელ ნაწილად არ იქცა, დღეს რომ ჩრდილო კავკასიის ხალხებს სახელმწიფოებრიობა და ამ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების დაუოკებელი სურვილი გააჩნიათ, ეს იმამ შამილის დამსახურებაა.

შენიშვნები:

1. ავარია (ხუნძეთი) – დაღესტანში შემავალი ისტორიული მხარე.
2. აკა – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე.
3. ალექსანდრ ბარიატინსკი – კავკასიის მეფისნაცვალის 1856-1862 წლებში.
4. ალექსანდრ ნეიდგარდტი – კავკასიის მთავარსარდალი 1842-1844 წლებში.
5. ალექსეი ერმოლოვი – საქართველოს(კავკასიის) მთავარსარდალი 1816-1827 წლებში.
6. ანდია – დაღესტანში შემავალი ისტორიული მხარე.
7. არცხა – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე.
8. აული – სოფელი ჩრდილო კავკასიაში.
9. აუხი – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე.
10. ბრიგადა – ქვეითი ჯარი, რომელიც რამდენიმე ბატალიონის, დივიზიონის ან პოლკისაგან შედგებოდა.
11. გრენადერთა ბატალიონი (პოლკი) – რჩეულ ქვეითთა ბატალიონი (პოლკი)
12. გრენადერი – რჩეული ქვეითი
13. გრიგორი როზენი – კავკასიის მთავარსარდალი 1831-1837 წლებში.
14. დაღესტანი – ისტორიული მხარე ჩრდილო კავკასიაში, მის აღმოსავლეთ ნაწილში.
15. დიდი ჩეჩნეთი – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე.
16. დიდოეთი (დიდო) – დაღესტანში შემავალი ისტორიული მხარე.
17. დივიზიონი – ბატალიონის ან პოლკის შემადგენლობაში შემავალი საარტილერიო ნაწილი (დივიზიონი შეიძლება დამოუკიდებელი სამხედრო ნაწილის სახითაც არსებულებაც). დივიზიონი არსებობდა ცხენოსან ჯარშიც.
18. დრაგუნთა ესკადრონი – რჩეულ კავალერიისტთა (ცხენოსანთა) ესკადრონი.
19. დრაგუნი – რჩეული კავალერიისტი(ცხენოსანი)

20. ევგენი გოლოვინი - კავკასიის მთავარსარდალი 1837-1842 წლებში.

21. ელისუ - ძველი ჰერეთის აღმოსავლეთის განაპირა თემი, რომელიც XVII საუკუნის დამდეგს ირანის შაჰმა კახეთის მეფეს ჩამოართვა

22. ესაული - კაზაკთა ჯარის ოფიცერი

23. ესკადრონი - საკავალერიო ნაწილი, რომელიც რამდენიმე ოცეულისაგან შედგებოდა.

24. ველიამინოვები - ალექსეი ერმოლოვმა 1816 წელს კავკასიაში ჩამოიყვანა ძმები ივან ველიამინოვი (ველიამინოვ I) და ალექსეი ველიამინოვი (ველიამინოვ II). გენერალ-ლეიტენანტი ივან ველიამინოვი იყო საქართველოს სამოქალაქო ნაწილის მთავარმმართველი, ხოლო გენერალ-მაიორი ალექსეი ველიამინოვი ჯერ ქართული კორპუსის, ხოლო შემდეგ კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსი.

25. თაბასარანი - ისტორიული მხარე სამხრეთ დაღესტანში

26. თერგისპირა ჩეჩნეთი - ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე

27. ივან პასკევიჩი - კავკასიის მთავარსარდალი 1827-1831 წლებში.

28. იმამატი - ყაზი მოლას, ჰამზათ ბეისა და შამილის მიერ ჩრდილო კავკასიაში შექმნილი თეოკრატიული სახელმწიფო.

29. იმამი - სუნიტურ ისლამში ყველაზე გამოჩენილი ღვთისმეტყველი, შიიტურ ისლამში - შუამავალი ადამიანსა და ალაჰს შორის. დაღესტნისა და ჩეჩნეთის იმამატში იმამი უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფალს წარმოადგენდა.

30. ინგუშეთი - ისტორიული მხარე ჩრდილო კავკასიაში, დიდი კავკასიანის ცენტრალურ ნაწილში.

31. იჩქერია - ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე

32. კავალერია - ცხენოსანი ჯარი.

33. კავკასიის ცალკეული კორპუსი - კავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარები. კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი იყო კავკასიის მეფისნაცვალი.

34. კავკასიის ხაზი - გამაგრებული სასაზღვრო ხაზი რუსეთის

იმპერიის სამხრეთ საზღვარზე, ჩრდილო კავკასიის ბარში. თავდაპირველად კავკასიის ხაზი გადიოდა მდინარეების – ყუბანის, მალკას, თერგის – ნაპირებზე (შემდეგში კავკასიის ხაზი გაგრძელდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით). კავკასიის ხაზის გასწვრივ შეიქმნა კაზაკთა დასახლებები. კავკასიის ხაზის უმაღლესი სამხედრო ხელისუფალი იყო მთავარსარდალი.

35. კავკასიის დიდი ომები – რუსეთის იმპერიის ომები ჩრდილო კავკასიის დაპყრობისათვის, რომლებიც 1817-1864 წლებში მიმდინარეობდა.

36. კაზაკები – სოციალურ ჩაგვრას გაქცეული რუსი გლეხები XVI საუკუნიდან მდინარე დნეპრზე სახლდებოდნენ. ისინი კაზაკებად იწოდებოდნენ. დაახლოებით იქ, სადაც დღეს ქალაქი ზაპოროჟიეა კაზაკებმა ააგეს საფორთიფიკაციო ნაგებობები, რომელსაც „ზაპოროჟიეს სეჩი“ (ჭორომს იქით გამაგრებული ადგილი) უწოდეს. კაზაკებმა შექმნეს ძლიერი ცხენოსანი ჯარი, რომელიც წარმატებით ებრძოდა პოლონეთსა და ყირიმის სახანოს. ზაპოროჟიელი კაზაკები XVIII საუკუნის 70-იან წლებში ეკატერინა II-მ მდინარე დონისა და მდინარე ყუბანის ნაპირებზე გადაასახლა. ცოტა მოგვიანებით კაზაკები დასახლდნენ მდინარე თერგზე, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში და მდინარე ურალზე. პეტრე I-ის დროიდან კაზაკების ჯარი რუსეთის რეგულარულ ჯარში განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობდა და კაზაკებით დასახლებულ რეგიონებსაც განსაკუთრებული მმართველობა და დიდი პრივილეგიები ჰქონდა. საქართველოში ძირითადად დონელი კაზაკები მსახურობდნენ.

37. კარაბინერთა ბატალიონი (პოლკი) – მსროლელთა ბატალიონი (პოლკი)

38. ლაკეთი – დაღესტანში შემავალი ისტორიული მხარე.

39. ლეკეთი – დაღესტანში შემავალი ისტორიული მხარე.

40. მაისთი – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე

41. მელხისთი – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე.

42. მეხთის სახანო – ფეოდალური სახელმწიფო დაღესტნის ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობას ავარიელები (ხუნძები) და ყუმუხები შეადგენდნენ.

43. მიურიდი (მორიდი) – შეიხის ან იმამის მორჩილი, სულიერი სრულყოფის მეორე საფეხურზე მყოფი მუსლიმი.

44. მიურიდიზმი – მოძღვრება ისლამში. მიურიდიზმის საფუძველია: ა) ტარიკატის ყველა მიმდევრის თანასწორობა; ბ) მონაფის მასწავლებლისადმი უსიტყვო მორჩილება, მასწავლებლის ნების აუცილებელი აღსრულება; გ) მასწავლებლის აზრის წინასწარ გამოცნობის მისწრაფება.

45. მიხაილ ვორონცოვი – კავკასიის მეფისნაცვალი 1844-1854 წლებში.

46. მცირე ჩეჩნეთი – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე.

47. ნაიბი – იმამატის ადმინისტრაციული ერთეულის (დაახლოებით 1000 კომლის) მმართველი.

48. ნაშხა – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე.

49. ნიკოლაი მურავიოვი – კავკასიის მეფისნაცვალი 1854-1856 წლებში.

50. პორუჩიკი – უმცროსი ოფიცერი.

51. რედუტი – ხისგან ნაგები მცირე ზომის საველე სიმაგრე.

52. სახაზო ბატალიონი – საზღვრის დაცვის ბატალიონი, საზღვრო ბატალიონი.

53. საშამხლო (ტარკის საშამხლო) – ფეოდალური სახელმწიფო დალესტნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში (ცენტრი – ტარკი), მდინარე სულაკიდან დალერსტნის სამხრეთ საზღვრებამდე. საშამხლოს უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფალი იყო შამხალი. 1797 წლიდან ტარკის შამხალი რუსეთის იმპერიის ვასალი გახდა. ჰაზავათის პერიოდში ტარკის შამხლები იყვნენ: მეჰთი II (1797-1830), შულიმან ფაშა(1830-1836), ირაზი(1831), უმალატ IV(1831-1832), აბუ მუსლიმ ხანი(1836-1860), შამსუდინ ხანი(1860-1867).

54. სტანიცა – ჩრდილო კავკასიაში შექმნილი კაზაკთა დასახლება(სოფელი).

55. სუფიზმი – ისლამის ასკეტური მიმდინარეობა, რომლის მიზანი სულიერი სრულყოფის მიღწევაა. სუფიზმის მიმდევრებს სუფიები ეწოდებათ. სუფიზმის მიხედვით, მუსლიმი სულიერი სრულყოფის პროცესში რამდენიმე საფეხურს გადის: 1. შარიათი

(კანონი), რომელიც ყურანის ნორმების უმკაცრეს დაცვას და ამ გზით სულიერების მაღალ საფეხურზე ასვლას გულისხმობს; 2. მისტიციზმის გზით ალაჰთან შეერთების მისწრაფება, რომლის მსურველი ხდება შეიხია ან იმამის მორჩილი, ანუ მორიდი(მოურიდი). მიურიდების ხელმძღვანელს მურიში, იმამი ეწოდება; 3. როცა მიურიდი აღწევს სულიერი სრულყოფის მესამე საფეხურს, („ცოდნას“), ხდება „მაარიფატი“ მესამე საფეხურის შემდეგ მუსლიმი აღწევს კიდევ უფრო დიდ სრულყოფილებას – სცილდება მინას, უერთდება ალაჰს და აღწევს ქეშმარიტებას („ხაკიკატს“, „ტარიკატს“). მუსლიმთა აბსოლუტური უმრავლესობა, ხალხის მასა, მხოლოდ შარიათს (I საფეხურს) აღწევს, მცირე ნაწილი ხდება მურშიდი (II საფეხური), კიდევ უფრო მცირე ნაწილი აღწევს მაარიფატამდე (III საფეხურამდე).

56. ტერელო – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე

57. უზდენი – ჩრდილო კავკასიის ხალხებში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება, ზოგადად იგი, თავისუფალ ადამიანს ნიშნავს.

58. ქართული კორპუსი (ცალკეული ქართული კორპუსი) – საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარები. ქართული კორპუსის მთავარსარდალი იყო საქართველოს მთავარსარდალი.

59. ყადი – მუსლიმთა სასულიერო მსაჯული, მოსამართლე.

60. ყაზი მოლა – (1795-1832) – დალესტნისა და ჩეჩნეთის პირველი იმამი, ზოგიერთი ცნობით – დალესტნის იმამი. მოკლეს რუსებთან ბრძილაში 1832 წლის 17 ოქტომბერს.

61. ყაზიყუმუხის სახანო – დალესტნის ტერიტორიაზე არსებული ფეოდალური სახელმწიფო, რომლის ცენტრი იყო ყუმუხი.

62. ყაიტალი – ისტორიული მხარე ცენტრალურ დალესტანში.

63. ყუზის სახანო – ფეოდალური სახელმწიფო სამხრეთ დალესტანსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში.

64. ყურანი – მუსლიმთა წმინდა წიგნი.

65. შამილი – (1797-1871) – დალესტნისა და ჩეჩნეთის მესამე იმამი(1834-1859).

66. შარიათი – ყურანზე დამყარებული მორალური ღირებულებების განმსაზღვრელი დოგმები, რომლებიც არეგულირებს მუს-

ლიმთა ცხოვრების ყველა სფეროს. შარიათის ნორმების დაცვა სავალდებულოა ყველა მუსლიმისათვის.

67. შაროი – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე.

68. შატოი – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე.

69. ჩებირლა – ჩეჩნეთში შემავალი ისტორიული მხარე.

70. ჩეჩნეთი – ისტორიული მხარე ჩრდილო კავკასიაში მდინარეების თერგისა და სუნჯას ველებზე. ჩეჩნეთის ტერიტორიაზე 1818 წელს ალექსეი ერმოლოვმა დააარსა რუსული სიმაგრე "გროზნაია"

71. ხორუნჟი – დაბალი სამხედრო ნოდება კაზაკთა ჯარში;

72. ხუნძახი – ავარიის ცენტრი, აულ ხუნძახში იყო ავარიის ხანების რეზიდენცია.

73. ჯემალ ედ დინი – ეს სახელი ერქვა შამილის ვაჟს, რომელიც მძევლად იყო რუსეთში, ასევე შამილის ერთ-ერთ უზუცეს თანამებრძოლს.

74. ჰაზავათი – მუსლიმთა საღვთო ომი სხვა აღმსარებლობის, ამ შემთხვევაში ქრისტიანების წინააღმდეგ.

75. ჰამზათ ბეი (1789-1834) – დალესტნის მეორე იმამი (1832-1834), დაილუპა რუსებთან ბრძოლაში 1834 წლის 19 სექტემბერს.

წიგნში გამოყენებული სურათები აღებულია შემდეგი საიტებიდან: www.regiment.ru, www.wikimedia.org, www.blogspot.com, www.runivers.ru, www.liveinternet.ru, www.myhistori.ru, www.ums.mos.ru, www.fb.ru, www.ru.wikipedia.org, www.genia.ge, www.burusi.files.wordpress.com, www.rusgeneral.ru.

გარეკანის უკანა გვერდზე ღუნიბის ციხე და აული ღუნიბი.

სარჩევი

წინათქმა	5
თავი I. კავკასიის დიდი ომების დასაწყისი	7
თავი II. შაზავათის (სალვთო ომის) დასაწყისი.....	24
თავი III. იმამ შამილის ლაშქრობა საქართველოში ყირიმის ომის წინ და ომის დროს (1853-1854 წწ.).....	85
§1. რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა ყირიმის ომის წინ	85
§2. შამილის ჯარების შემოჭრა ქარ-ბელაქანში ყირიმის ომის დაწყებამდე (1853 წლის აგვისტო-სექტემბერი).....	90
§3. იმამ შამილის ჯარების შემოჭრა კახეთში ყირიმის ომის დროს (1854 წლის ივლისი).....	100
თავი IV. შამილის ქართველი ტყვეები.....	120
§1. გენერალ-მაიორი ილია ორბელიანი ტყვეობაში.....	120
§2. დავით ჭავჭავაძისა და ილია ორბელიანის ოჯახები ტყვეობაში.....	129
თავი V. იმამ შამილის უკანასკნელი ბრძოლები (1857-1859).....	152
თავი VI. ლუნიბიდან მედინამდე (1859-1871).....	173
შენიშვნები	184